



იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

IBERIA - COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia
in the Classical and Early Medieval Period



№ **17**

2023

საქართველოს ეროვნული მუზეუმის
ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტი
GEORGIAN NATIONAL MUSEUM
Otar Lordkipanidze Institute of Archaeological Studies



იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

IBERIA-COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia
in the Classical and Early Medieval Period



17

თბილისი 2023 Tbilisi

EDITORIAL & REVIEWERS BOARD:

Gela Gamkrelidze (*Editor-in-Chief*),

**David Braund, Zurab Bragvadze, Vakhtang Shatberashvili,
Darejan Kacharava, Marine Kvatchadze, Goderdzi Narimanishvili,
Nino Lordkipanidze, Maia Charkviani, David Mindorashvili,
Guram Kvirkvelia, Bidzina Murvanidze.**

სარედაქციო-სარეცენზიო საბჭო:

გელა გამყრელიძე (*მთ. რედაქტორი*),

**ზურაბ ბრაგვაძე, დევიდ ბრაუნდი, მარინე კვაჭაძე,
ვახტანგ შატბერაშვილი, დარეჯან კაჭარავა,
მაია ჩარკვიანი, გოდერძი ნარიმანიშვილი,
დავით მინდორაშვილი, ნინო ლორთქიფანიძე,
ბიძინა მურვანიძე, გურამ კვირკველია.**

See the web site:

<http://dspace.nplg.gov.ge/browse?type=author&value=Gamkrelidze%2C+Gela>

<http://ancientworldonline.blogspot.com/2014/09/open-access-ijournal-iberia-kolxeti.html>

<https://georgiannationalmuseum.academia.edu/GelaGamkrelidze>

სტატიებში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლებელია არ ემთხვეოდეს ჟურნალის სარედაქციო-სარეცენზიო საბჭოს შეხედულებებს.

Address: Otar Lordkipanidze Institute of Archaeological Studies.

A. Purtseladze Str., #1-3, Tbilisi, 0105. GEORGIA.

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

ჟურ. იბერია-კოლხეთი, №17, 2023.

ISSN 1512-4207.

UDC 94(479.22)+902.ი.

- CONTENTS -

HOARDS FROM THE VANI CITY-SITE AND ITS SURROUNDINGS (15TH CENTURY BC – 3RD CENTURY AD) Dimitri Akhvlediani, Shalva Buadze, Maia Charkviani, Sulkhan Kharabadze-----	6.
TOPOGRAPHY AND ARCHAEOLOGICAL CONTEXT OF THE METAL FINGER RINGS DISCOVERED ON THE TERRITORY OF GEORGIA. Ana Gabunia-----	35.
THE GRAVE OF CLASSICAL PERIOD FROM THE VILLAGE <i>KHTSISI</i>. Bidzina Murvanidze-----	47.
THE LEAFS OF FUNERARY WREATHS FROM <i>URBNISI</i>. Anna Sakhvadze-----	58.
WEDDING RINGS WITH THE DEPICTION OF HANDSHAKING (From the Collection of Georgian National Museum). K. R. Ramishvili-----	70.
GRAECO-PERSIAN GEMS WITH WARFARE IMAGES FOUND ON THE TERRITORY OF GEORGIA. Ana Gabunia-----	80.
THE TECHNOLOGICAL DETAILS OF MANUFACTURING THE PRECIOUS METAL ARTEFACTS OF PRE-CLASSICAL PERIOD. Nino Kobalia-----	87.
RADIAL EARRINGS: typological classification and stages of development. Nino Kobalia-----	105.
THE MAP OF PREHISTORIC AND CLASSICAL PERIOD ARCHAEOLOGICAL SITES FROM <i>SENAKI</i> MUNICIPALITY. Leri Jibladze, Revaz Kvirkvaia-----	111.
ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS OF <i>SVERI</i> FORTRESS IN 2017-18. Zurab Bragvadze-----	118.
STONE ALTAR FROM THE VILLAGE OF <i>TKOTSA</i>. Bidzina Murvanidze, Leri Jibladze-----	155.
CONTACTS BETWEEN PTOLEMAIC EGYPT AND KINGDOM OF IBERIA: Egyptian artefacts from the palace of <i>Dedoplis Gora</i>. David Gagoshidze-----	162.
REVIEWS:	
Review - The work - <i>Ergeta (Cemeteries)</i> .-----	171.
Review - The work - <i>The Etso Cemetery (5th - 1st centuries BC)</i> .-----	173.
Review - The work - <i>The Beginning of State System in Georgia and Archaeology</i> .-----	175.

PAPERS IN ENGLISH:	
TWO BUILDERS AND A WOMAN IN CAUCASIAN IBERIA: THE INSCRIPTIONS OF ACHILLES, AURELIOS ACHOLI(O)S AND BEURAZOURIA FROM <i>MTSKHETA</i>. Nicolas J. Preud'homme-----	184.
ON THE ARCHAEOLOGY OF GEORGIA AND THE CITY <i>PHASIS (ΦΑΣΙΣ)</i>. Gela Gamkrelidze-----	199.
SUMMARIES. -----	241.
ABBREVIATIONS. -----	247.

- შინაარსი -

ვანის ნაქალაქარსა და მის შემოგარენში გამოვლენილი განძები. დიმიტრი ახვლედიანი, შალვა ბუაძე, მათა ჩარკვიანი, სულხან ხარაბაძე.-----6.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ტოპოგრაფია და არქეოლოგიური კონტექსტი. ანა გაბუნია.-----35.

ხცისის ანტიკური ხანის სამარხი. ბიძინა მურვანიძე.-----47.

სამგლოვიარო გვირგვინის ფურცლები ურბნისიდან. ანა სახვაძე.-----58.

საქორწინო ბეჭდები ხელის ჩამორთმევის გამოსახულებით (საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციიდან). ქეთევან რ. რამიშვილი.-----70.

საქართველოში აღმოჩენილი “ბერძნულ-სპარსული” ტიპის საბეჭდავები საბრძოლო სიუჟეტებით. ანა გაბუნია.-----80.

წინარეანტიკური ხანის ძვირფასი ლითონის წარმოებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური დეტალები. ნინო ქობალია.-----87.

სსივანე საყურა. ნინო ქობალია.-----105.

სენაკის მუნიციპალიტეტის პრაისტორიული და კლასიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. ლერი ჯიბლაძე, რევაზ კვიციანი.-----111.

არქეოლოგიური გათხრები სვერის ციხეზე. ზურაბ ბრაგვაძე.-----118.

ძვის საკურთხეველი სოფ. ტკოციდან. ბიძინა მურვანიძე, ლერი ჯიბლაძე.-----155.

კონტაქტები ვტოლემეოსების ეგვიპტესა და ქართლის სამეფოს შორის: ეგვიპტური ნანარკი დედოფლის გორის სასახლეში. დავით გაგოშიძე.-----162.

რეცენზიები:

რეცენზია ნაშრომზე — *ერგეტა (სამაროვნები).* ზ. ბრაგვაძე.-----171.

რეცენზია ნაშრომზე — *ეცოს სამაროვანი.* -----173.

რეცენზია ნაშრომზე — *სახელმწიფოებრიობის დასაბამი საქართველოში და არქეოლოგია.* ლ. ჯიბლაძე.-----175.

PAPERS IN ENGLISH:

TWO BUILDERS AND A WOMAN IN CAUCASIAN IBERIA: THE INSCRIPTIONS OF ACHILLES, AURELIOS ACHOLI(O)S AND BEURAZOURIA FROM *MTSKHETA*. Nicolas J. Preud'homme.-----184.

ON THE ARCHAEOLOGY OF GEORGIA AND THE CITY *PHASIS* (ΦΑΣΙΣ). Gela Gamkrelidze.-----199.

SUMMARIES. -----241.

Abbreviations. -----247.

ინფორმაცია ავტორებისთვის.-----248.

**ვანის ნაქალაქარსა და მის შემოგარენში გამოვლენილი
ძვ.წ. XV – ახ.წ. III სს-ის განძები**

დიმიტრი ახვლედიანი, შალვა ბუაძე, მაია ჩარკვიანი, სულხან ხარაბაძე

ჩვენი ნაშრომის მიზანია წარმოვაჩინოთ ვანსა და მის შემოგარენში (სამტრედიის, ვანის და ბაღდათის მუნიციპალიტეტები, მდ. რიონის მარცხენა სანაპირო) გამოვლენილი განძები (ტაბ. I).

დიმის განძი (ტაბ. II-III). ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმის ტერიტორიაზე, შემთხვევით, ქვევრში უპოვიათ (1939 წელს) ბრინჯაოს ცულების (12 ც.) განძი. დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში (ინვ. № 5462/1-12). თარიღდება ძვ.წ. XV-XIV სს-ით [ბუაძე 2012: 39, 342, სურ. 1; ლანჩავა 2015: 34, სურ. 13-13ა; ქორიძე 1965: 14, 106-107, ტაბ. IX; ჯიქია 1988: 36-40, სურ. 3¹¹⁻¹⁵-4¹⁻⁷].

გორას განძი (ტაბ. IV-V). ვანის მუნიციპალიტეტის, სოფ. გორას ტერიტორიაზე შემთხვევით (1922 წელს) აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთების განძი. მასში შედიოდა ცულები, თოხები, სეგმენტური იარაღები, ნამგლის ფრაგმენტი და ზოდი (ინახება ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ინვ. № 5412/1-22). ორი სეგმენტური იარაღი და ერთი თოხი ინახება მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (ინვ. № 75702/1-4). თარიღდება ძვ.წ. XIII ს-ით [ბუაძე 2012: 37, 342, სურ. 2; ლანჩავა 2015: 34-35, სურ. 16; ქორიძე 1965: 15-16, 107-108; ხარაბაძე 2008ა: 11-12; ჯიქია 1988: 28-30, სურ. 1⁹⁻¹⁸-2¹⁻⁵].

ქვემო ნოღას განძი (ტაბ. VI). სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოღაში შემთხვევით (1922 წელს) აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთების განძი. თიხის ქოთანში მოთავსებული იყო ცული, თოხი, სამი სეგმენტური იარაღი (დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში, ინვ. № 5419/1-5). თარიღდება ძვ.წ. XIII-XII სს-ით [ბუაძე 2012: 37, 342, სურ. 2; ლანჩავა 2015: 37, სურ. 25; ჯიქია 1988: 33-35, სურ. 2¹⁴⁻¹⁶-3¹].

ზეკარის განძი (ტაბ. VII-VIII). ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ზეკარში შემთხვევით აღმოჩნდა (1924 წელს) ბრინჯაოს ნივთები – ცულები, რგოლი, ჭურჭლის ფრაგმენტები, შუბისპირის მასრა (დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში, ინვ. № 5411/1-8). თარიღდება ძვ.წ. XIII-XI სს-ით [ლანჩავა 2015: 37; ჯიქია 1988: 27-28, სურ. 1⁵].

ზედა ბზვანის განძი 1 (ტაბ. IX, 1). ვანის მუნიციპალიტეტის, სოფ. ზედა ბზვანის, აღმოსავლეთ ნაწილში, “მესხების გორაზე” შემთხვევით (1936 წელს) ნაპოვნია თიხის ჭურჭელში მოთავსებული ბრინჯაოსა და რკინის იარაღის განძი. მასში შედიოდა ბრინჯაოს სეგმენტური იარაღები და რკინის თოხები. იგი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას მიეკუთვნება. განძი დაკარგულია, შემორჩენილია რამდენიმე ნივთის ჩანახატი [ხარაბაძე 2008ა: 22-23; Ховтариа 1959: 150-151, ტაბ. II, 2]. იგი თარიღდება ძვ.წ. VIII-VII სს-ით [ქორიძე 1965: 44, 119, სურ. 40].

სულორის განძი (ტაბ. IX, 2-5). ვანის მუნიციპალიტეტის, სოფ. სულორში შემთხვევით (1990 წელს) აღმოჩნდა განძი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა კოლხური ნახევარდრაქმები - დაახლოებით 700 ც (ტაბ. IX, 2), დარიოს I-ის (ძვ.წ. 521-486 წწ.) სიკლოსი – (ტაბ. IX, 4), ლიდიური კრეზოიდი (ძვ.წ. 560-546 წწ.) – (ტაბ. IX, 3), მილეტური ობოლი (ძვ.წ. VI ს.) – (ტაბ. IX, 5). დაცულია ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში [დუნდუა 2003: 41-42; ლორთქიფანიძე 2002: 206-207; Lebanidze 1999: 155-158].

დაბლა გომის განძი (ტაბ. X, 1). სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ. დაბლა გომში შემთხვევით ნაპოვნია (1929 წელს) ვერცხლის ფიალაში მოთავსებული ვერცხლის მონეტების

განძი, შედგება კოლხური თეთრისაგან - 109 ცალი ტრიობოლი (დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ინვ. № 20-29/1-109) [Куптин 1950: 1-2; Макалатия 1940: 267, სურ. 5; Хоштариа 1977: 153].

ზედა ბზვანის განძი 2. ვანის მუნიციპალიტეტის, სოფ. ზედა ბზვანის, აღმოსავლეთ ნაწილში, “მესხების გორაზე” შემთხვევით (1936 წელს) ნაპოვნია, თიხის ჭურჭელში შენახული კოლხური თეთრის განძი. განძი დაკარგულია [ხარაბაძე 2008ა: 22; Хоштариа 1959: 150-151].

მიქელაფონის განძი. ვანის მუნიციპალიტეტის, სოფ. მიქელაფონში შემთხვევით ნაპოვნია (1951 წელს) განძი – თიხის ჭურჭელში შენახული ვერცხლის სამაჯურის და ვერცხლის სარტყელის ფრაგმენტები (ტაბ. X, 2), ასევე ათი ცალი კოლხური თეთრი. განძის მხოლოდ ტრიობოლებია შემორჩენილი, რომლებიც შერეულია ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ, ვანის არქეოლოგიური მუზეუმისათვის გადაცემულ 17 ცალ ტრიობოლების კოლექციაში [ხარაბაძე 2008ა: 31; Хоштариа 1959:153].

ფერსათის განძი. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ფერსათში შემთხვევით აღმოჩენილია (1929 წელს) კოლხური ნახევარდრამები 39 ც. დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში. ინვ. № 4189-1929 [წიგაიშვილი 1978: 138].

საჯავახოს განძი. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. საჯავახოში შემთხვევით აღმოჩნდა (1894 წელს) კოლხური თეთრის განძი. განძი დაკარგულია [ჩარკვიანი 2005 :77; OAK 1898: 109].

განძი ვანის ნაქალაქარიდან (ტაბ. XI). ვანის ნაქალაქარზე, ნაკვ. 203 კვ. ა7-ბ, ბ8-ში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს (2007 წელს) გამოვლინდა განძი. კერძოდ, თავდაცვითი კედლის ნაშთები ჩაჭრილი აქვს დედაქანში ამოკვეთილ ოთხკუთხა ორმოს, რომლის სიგრძეა 1,90 მ, სიგანე - 0,85 მ, სიღრმე - 0,90 მ. ორმო გამოყენებული იყო განძის გადასამალად. განძის შემადგენლობაშია ბრინჯაოსა და რკინისაგან დამზადებული ნივთები, გარდა ამისა, ცვილის ნაჭერი. განძში შემავალი ნივთები ზოგადად ძვ.წ. III-I სს-ით თარიღდება; ხოლო დაფლული ძვ.წ. I სს-ის მეორე ნახევარში უნდა ყოფილიყო, ძველი ქალაქის დანგრევის შემდეგ [ახვლედიანი 2008; ახვლედიანი და სხვ. 2010: 35-38; Akhvlediani, Etc. 2016; ახვლედიანი და სხვ. 2022]. ინახება ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში.

ბრინჯაოს ნივთები:

ლუთერია, ყურით (ინვ. №07:1-07:315, ტაბ. XII, 1-2).

სადგარი (ინვ. №07:1-07:319, ტაბ. XII, 3).

სადგარი (ინვ. №07:1-07:320, ტაბ. XIII, 1).

სადგარი (ინვ. №07:1-07:321, ტაბ. XIII, 2).

სირენას ფიგურა (ინვ. №07:1-07:322, ტაბ. XIV).

სასაკმევლე, შედგენილი სამი სპილოს თავის გამოსახულებით (ინვ. №07:1-07:323, ტაბ. XV).

ჭრაქი ექვსპატრუქიანი, შედგენილი სპილოს თავისა და ადამიანთა (ერთი ჰერაკლეს) პროტომის სამ-სამი ფიგურით (ინვ. №07:1-07:324, ტაბ. XVI-XVII).

ჭრაქი სამპატრუქიანი, შემკული არწივის და განიმედესის ფიგურებით (ინვ. №07:1-07:326, ტაბ. XVIII).

ჭრაქი სამპატრუქიანი, შემკული ეროსის ოთხი ფიგურით (ინვ. №07:1-07:327, ტაბ. XIX-XX).

ჭრაქი ერთპატრუქიანი (ინვ. №07:1-07:325, ტაბ. XXI).

სარეცლის (კლინეს) ფეხის გარსაკრავები (ინვ. №07:1-07:328-337, ტაბ. XXII).

რკინის ნივთები:

თიმიატერიონი, შედგება თეფშის, კანელურებიანი ღეროსა და სამფეხა სადგარისაგან (ინვ. №07:1-07:316, ტაბ. XXIII,1).

თიმიატერიონი, შედგება თეფშის, ღეროსა და სამფეხა სადგარისაგან (ინვ. №07:1-07:317, ტაბ. XXIII, 2).

„კერია“ შედგება გრეხილი ღეროსაგან (დმ-3,5 სმ, სიგრძე-63 სმ), რომელიც ბოლოვდება მორკალული სალტისებური სადგარებით. სალტეები ბრტყელია (სიგანე - 3 სმ). ერთი სადგარი გვირგვინდება ორი ყუნწისებური შვერილით (სიმაღლე - 3,5 სმ, სიგანე - 5 სმ). სადგარის ბოლოები არ არის შემორჩენილი (ინვ. №07:1-07:318; ტაბ. XXIII, 3).

შუბისპირები (ინვ. №07:1-07:338-352).

ისრისპირები (ინვ. №07:1-07:338-352).

ცვილის ნაჭერი.

ქვედა გორას განძი (ტაბ. XXIV). ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვედა გორაში შემთხვევით აღმოჩნდა (1958 წელს) თიხის ჭურჭელში შენახული, ოქროს ბალთა და სარდიონის მძივები. მპოვნელის ცნობით, ბალთა ორი ნაწილისაგან შედგებოდა, რომელიც მან გაყო და შვილებს დაურიგა; სარდიონის მძივები კი რამდენიმე ათეული ყოფილა (განძის შემორჩენილი ნაწილი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ინვ. №118-65/1-2). განძი ზოგადად ახ.წ. I-III სს-ით უნდა დათარიღდეს [ხარაბაძე 2008ა: 13-14, ტაბ. XIV; ხარაბაძე 2008ბ:110-111, 161, 165, 186].

ზემოთმოყვანილი მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ვანსა და მის შემოგარენში ძვ.წ. XV-X სს-ში გავრცელებული იყო ბრინჯაოს ნივთებისაგან შედგენილი განძები; ძვ.წ. VIII-VII სს-ში – ბრინჯაოსა და რკინის ნივთებისაგან შედგენილი განძები; ძვ.წ. V-III სს-ში განძების აუცილებელ ატრიბუტს კოლხური თეთრი წარმოადგენდა; ხოლო ძვ.წ. I ს-ის შუა წლებიდან ახ.წ. III საუკუნემდე განძები კომპლექტდებოდა რკინის, ბრინჯაოს, ოქროს ნივთებისაგან და სარდიონის მძივებისაგან.

ამდენად, ვანსა და მის შემოგარენში გამოვლენილი ძვ.წ. XV - ახ.წ. III სს-ის განძები, თითქმის ყველა ნიშნით შეესაბამება მთელ კოლხეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ ამავე სახის მასალას, კერძოდ, ბრინჯაოს ნივთების შემცველი განძების მიწაში ჩაფვლა იწყება ძვ.წ. XVIII-XVI საუკუნეებში და წყდება ძვ.წ. VIII-VII სს [ლორთქიფანიძე 2001: 185]; შემდგომში, ძვ.წ. V-III სს-ში კოლხური თეთრის შემცველი განძები ჩნდება, ხოლო ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრიდან ახ.წ. III ს-მდე რკინის, ბრინჯაოს და ოქროს ინვენტარიანი განძები [ახვლედიანი და სხვ. 2019].

ლიტერატურა:

ახვლედიანი 2008: ახვლედიანი დ. განძი ვანიდან (ექსპრეს-ინფორმაცია), - ჟურ. *იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), №4. თბ., გვ. 129.

ახვლედიანი და სხვ. 2010: ახვლედიანი დ., კაჭარავა დ., მათიაშვილი ნ. ვანის ნაქალაქარზე 2007 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში. – ჟურ. *ძიებანი* (რედ. გ. კვიციანი), 19, თბ., გვ. 33-44.

ახვლედიანი და სხვ. 2019: ახვლედიანი დ., ჩარკვიანი მ. კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძვ.წ. V - ახ.წ. VI სს-ის განძები. – ჟურ. *იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), №15, გვ. 86-100.

ახვლედიანი და სხვ. 2022: ახვლედიანი დ., კაჭარავა დ., ხარაბაძე ს. ვანის ნაქალაქარზე 2005 და 2007 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. – ჟურ. *ძიებანი* (რედ. გ. კვიციანი), №25, თბ., გვ. 5-63.

ბუაძე 2012: ბუაძე შ. პირველი არქეოლოგიური ექსპონატები ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმიდან. - ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, კრებული XXII, ქუთაისი, გვ. 37-42, 342;

დუნდუა 2003: დუნდუა გ. კოლხური თეთრი. - ჟურ. *იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), №1, თბ, გვ.33-49.

ლანჩავა 2015: ლანჩავა ო. ქუთაისის არქეოლოგია. ქუთაისი.

ლორთქიფანიძე 2001: ლორთქიფანიძე ოთ. „განძები“ კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში (ფუნქციისა და კულტურულ-სოციოლოგიური ინტერპრეტაციის ცდა). - ჟურ. *ძიებანი* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), დამატებანი, VI, კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები (ედღვნება ოთ. ჯაფარიძეს, 80 ნ.), გვ. 178-195.

ლორთქიფანიძე 2002: ლორთქიფანიძე ოთ. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ.

ქორიძე 1965: ქორიძე დ. კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბ.

ჩარკვიანი 2005: ჩარკვიანი მ. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. - ჟურ. *იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), 2, თბ., გვ. 76-84.

წიგაიშვილი 1978: წიგაიშვილი ზ. ქუთაისის მუზეუმის ნუმისმატიკის ფონდი. - კრებ. *ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. ისტ.-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები*, III, გვ. 134-142.

ხარაბაძე 2008ა: ხარაბაძე ს. „ვანის ქვეყნის“ არქეოლოგიური რუკა (ძვ.წ. VIII-ახ.წ. III სს.), სადისერტაციო ნაშრომი, თბ.

ხარაბაძე 2008ბ: ხარაბაძე ს. ქვედა გორას „განძი“, ჟურ. *იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), 4, თბ., გვ. 110-111, 161, 186.

ჯიქია 1988: ჯიქია ლ. ბრინჯაოს სამეურნეო იარაღები ქუთაისის მუზეუმიდან (კატალოგი). - კრებ. *ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. ისტ.-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები*, V, გვ. 23-50.

Akhvlediani ... 2016: Akhvlediani D., Amaglobeli B., Chi J., Chichinadze M., Kalandadze N., Kacharava D., Maish J., Kvirvelia G., Lordkipanidze N., Saunders D., Tsereteli M., Walton M., The Hoard from the City-State of Vani. - *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე*, ტ. 10, №2, თბ., გვ. 182-191.

Lebanidze 1999: Lebanidze L. Le Trésor Monétaire de Sulori, Actes du VII^e Simposium de Vani, Pariss, p. 155-158.

Күфтин 1950: Күфтин Б. Материалы к археологии Колхиды, II, Тб.

Макалатия 1940: Макалатия С. Археологические находки в сел. Даблагоми и Агаиани, СА, 1940, #5, Мос.-Лен., გვ. 266-271.

ОАК 1898: Отчет Императорской Археологической Комиссии За 1896 год, С.-петербург.

Хоштариа 1959: Хоштариа Н. Археологические исследования в Вани и Ванском районе в 1952 г., მსკა, II, 1959, გვ. 149-162.

Хоштариа 1977: Хоштариа Н. Монети „Колхидკი“, - კრებ. *ვანი* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), III, გვ. 153-158.

ტაბულების აღწერილობა:

ტაბ. I – განძების გავრცელების რუკა ვანსა და მის შემოგარენში.

ტაბ. II - დომის განძი, ცულები: 1 - ინვ. №5462/1, 2 - ინვ. №5462/2, 3 - ინვ. №5462/3, 4 - ინვ. №5462/4, 5 - ინვ. №5462/5, 6 - ინვ. №5462/6.

ტაბ. III - დიმის განძი, ცულები: 1 - ინვ. №5462/7, 2 - ინვ. №5462/8, 3 - ინვ. №5462/9, 4 - ინვ. №5462/10, 5 - ინვ. №5462/11, 6 - ინვ. №5462/12.

ტაბ. IV - გორას განძი, ცულები: 1 - ინვ. №5412/1, 2 - ინვ. №5412/2, 3 - ინვ. №5412/3, 4 - ინვ. №5412/4; თოხები: 5 - ინვ. №5412/5, 6 - ინვ. №5412/6, 7 - ინვ. №5412/1, 8 - ინვ. №5412/8, 9 - ინვ. №5412/9.

ტაბ. V - გორას განძი, სეგმენტური იარაღი: 1 - ინვ. № 5412/10, 2 - ინვ. № 5412/11, 3 - ინვ. № 5412/12, 4 - ინვ. № 5412/13, 5 - ინვ. № 5412/14, 6 - ინვ. № 5412/15, 7 - ინვ. № 5412/16, 8 - ინვ. № 5412/17, 9 - ინვ. № 5412/18, 10 - ინვ. №5412/19; 11 - ნამგალის ფრაგმენტი, ინვ. № 5412/20; 12 - სეგმენტური იარაღის ფრაგმენტი, ინვ. №5412/22.

ტაბ. VI - ქვემო ნოლას განძი, სეგმენტური იარაღი: 1 - ინვ. №5419/1, 2 - ინვ. № 5419/2, 3 - ინვ. № 5419/3; 4 - ცული, ინვ. № 5419/4; 5 - თოხი, ინვ. №5419/5.

ტაბ. VII - ზეკარის განძი, ცულები: 1 - ინვ. № 5411/1, 2 - ინვ. № 5411/2, 3 - ინვ. № 5411/3, 4 - ინვ. № 5411/4.

ტაბ. VIII - ზეკარის განძი: 1 - რგოლი, ინვ. № 5411/5; 2-3 - ჭურჭლის ფრაგმენტები: ძირი, ინვ. № 5411/6; ყური, ინვ. №5411/7; 4 - შუბისპირის მასრა, ინვ. № 5411/8.

ტაბ. IX – 1. ბზვანის განძის ნივთების ნაწილი ნ. ხოშტარიას მიხედვით [Хоштариа 1959:150-151, ტაბ. II], 2-5. სულორის განძი.

ტაბ. X – 1. დაბლაგომის განძი ნ. ხოშტარიას და ბ. კუფტინის მიხედვით [Куптин 1950:1-2; Хоштариа 1977:153], 2. მიქელეფონის განძის ვერცხლის სარტყელის ფრაგმენტები [Хоштариа 1959:153, ტაბ. XVI,2-3; ხარაბაძე 2008ა:31].

ტაბ. XI – 1-2. განძი ვანის ნაქალაქარიდან.

ტაბ. XII – 1-2. ლუთერია და მისი ყური, 3. სადგარი.

ტაბ. XIII – 1-2. სადგრები.

ტაბ. XIV – სირენას ფიგურა.

ტაბ. XV – სასაკმევლე.

ტაბ. XVI–XVII - ექვსპატრუქიანი ჭრაქი.

ტაბ. XVIII – სამპატრუქიანი ჭრაქი, შემკული არწივისა და განიმედესის ფიგურებით.

ტაბ. XIX-XX – სამპატრუქიანი ჭრაქი, შემკული ეროსების ფიგურებით.

ტაბ. XXI – ერთპატრუქიანი ჭრაქი.

ტაბ. XXII – სარეცლის ფეხის ბრინჯაოს გარსაკრავები.

ტაბ. XXIII – 1, 2. თიმიატერიონები, 3. საცეცხლური.

ტაბ. XXIV - ქვედა გორას განძი: 1, 4. ბალთის ფრაგმენტები (ინვ. №118-65/1), გარე და შიდა მხარეები; 2-3, 5-6. – სარდიონის მძივები (ინვ. №118-65/2).

II



III



IV



V



1



2



3



4



5



6




7



8



9



10



11



12

VI



1



2



3



4



5




VII




VIII



IX




1




2



X



1



2

XI



1



2

XII



XIII



1



2

XIV



XV



XVI



XVII



1



2




3


XVIII



XIX




XX



XXI



XXII




XXIII




XXIV




1





2




3



4



5



6



საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლითონის ფარაკიანი ბეჭდების ტოპოგრაფია და არქეოლოგიური კონტექსტი

ანა გაბუნია

შესავალი. გლიპტიკა მცირე ხელოვნების უძველესი დარგია, რაც ძვირფას და ნახევრად ძვირფას ქვებზე, აგრეთვე ლითონზე, ძვალსა და მინაზე გამოსახულების ამოჭრის ხელოვნებას ნიშნავს. გლიპტიკურ ძეგლებს განსხვავებული ფუნქციები გააჩნდა. გამოიყენებოდა როგორც სამკაული, ავგაროზი ან საბეჭდავი [ლორთქიფანიძე 1958: 2].

ძვ.წ. VI-IV სს-ში ანტიკურ სამყაროსა და მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებული იყო სხვადასხვა ფორმის ქვის საბეჭდავები და ლითონისაგან დამზადებული ფარაკიანი ბეჭდები [Boardman 1970: 189]. საქართველოში ფარაკიანი ბეჭდების გავრცელება დადასტურებულია ძვ.წ. V ს-დან. ოქროსა და ვერცხლის ფარაკიან ბეჭდებს პირველად დასავლეთ საქართველოს სამაროვნებზე ვხვდებით (ვანი, საირხე, ბრილი) [ფუთურიძე, ხომტარია, ჭყონია 1972: 113-117; ლორთქიფანიძე, ფუთურიძე და სხვ. 1972: 213-239; მახარაძე და სხვ. 2007: 101].

მსოფლიო საბეჭდავის მრავალ ტიპს იცნობს. იკვლევენ მათ ტიპოლოგიას, მხატვრულ თუ სტილისტურ ასპექტებს. საბეჭდავები ევროპისა და ამერიკის მუზეუმებში ძირითადად კერძო კოლექციების სახითაა შეღწეული, რაც ართულებს მრავალ პრობლემატურ საკითხზე მუშაობას. საგულისხმოა, რომ საქართველოს სხვადასხვა მუზეუმში დაცული ფარაკიანი ბეჭდების აბსოლუტური უმრავლესობა არქეოლოგიური გათხრებითაა გამოვლენილი და სამარხეული კომპლექსებიდან მომდინარეობს. ეს გარემოება საშუალებას იძლევა გავარკვიოთ ისეთი საკითხები, რაზეც მსჯელობა შემთხვევითი მონაპოვარის ფონზე წარმოუდგენელია. მაგალითად, ვის ჰქონდა უფლება ეტარებინა საბეჭდავი, თუ კი ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩენილია ქალის სამარხში, რა იყო მისი ძირითადი ფუნქცია - საბეჭდავი თუ სამკაული, რომელი ხელი და თითი იყო განკუთვნილი საბეჭდავი ბეჭდის სატარებლად, როგორი იყო საბეჭდავის მფლობელის სოციალური სტატუსი და სხვა.

საქართველოში აღმოჩენილი საბეჭდავი ბეჭდების კვლევას მიეძღვნა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი, თუმცა, ამ ნივთების შესწავლა ძირითადად მხოლოდ მხატვრულ-ესთეტიური კუთხით ხდებოდა [ლორთქიფანიძე 1969: 39-48; ლორთქიფანიძე 1975; ლორთქიფანიძე 1981; ჯავახიშვილი 2011: 121-130; ჯავახიშვილი 2015: 7-12; ჯავახიშვილი 2021: 424-436]. ამ გარემოებას ემატება ის ფაქტიც, რომ ბოლო ათწლეულის მანძილზე ანტიკური პერიოდის სამაროვნების შესწავლის შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლითონის ფარაკიანი ბეჭდების რიცხვი წინა წლებთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა, რამაც საჭირო გახადა დაგროვილი მასალის კომპლექსური შესწავლა არქეოლოგიური კონტექსტის გათვალისწინებით. შესაბამისად, შესაძლებელი გახდა ისეთი საკითხების კვლევა, როგორცაა ბეჭდების ფუნქცია, საქართველოს ტერიტორიაზე ლითონის ფარაკიანი ბეჭდების გავრცელების ხასიათი, ბეჭედთა მფლობელების სოციალური სტატუსი და გენდერული კუთვნილება. სტატიაში წარმოდგენილი იქნება კვლევის შედეგებისა და მიღებული დასკვნების მოკლე მიმოხილვა.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლითონის ფარაკიანი ბეჭდები.

ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიაზე ლითონის ფარაკიანი ბეჭდები სულ 43 პუნქტშია აღმოჩენილი და მათი საერთო რაოდენობა დაახლოებით 243

აღწევს. ნივთების ძირითადი ნაწილი სისტემური არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა აღმოჩენილი, ხოლო მცირე ნაწილი შემთხვევითი მონაპოვარია.

დასავლეთ საქართველოს სამაროვნები.

დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ლითონის ფარაკიანი ბეჭდები 20 პუნქტში არის აღმოჩენილი და ყველა მათგანი სამარხებიდან მომდინარეობს - სულ 154 ცალი. ბეჭედთა უმრავლესობა ბრინჯაოსგანაა დამზადებული. დადასტურებულია ოქროს 16 და ვერცხლის 12 ფარაკიანი ბეჭედი. ლითონის ფარაკიანი ბეჭდები ყველაზე დიდი რაოდენობით კონცენტრირებულია დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, სადაც მათი აღმოჩენა 12 ძეგლზე დასტურდება - სულ 77 ცალი (ტაბ. 1). ლითონის ფარაკიანი ბეჭდები აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (ფიჭვნარი, ქვემო ეშერა, გუადიხუ, ლარილარი, საირხე, მოდინახე, ითხვისი, ბრილი) (ტაბ. 2).

აღმოსავლეთ საქართველოს სამაროვნები.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ლითონის ფარაკიანი ბეჭდები გამოვლენილია 21 პუნქტში და მათი საერთო რაოდენობა 90 აღწევს. ბეჭედთა უმრავლესობა ბრინჯაოსგანაა დამზადებული. გამოვლენილია ოქროს 2 და ვერცხლის 26 ფარაკიანი ბეჭედი. ფარაკიანი ბეჭდების ყველაზე დიდი რაოდენობა, სულ 42 ცალი, კონცენტრირებულია შიდა ქართლში - 7 პუნქტში (ტაბ. 3). ქვემო ქართლის სამაროვნებიდან მომდინარეობს 22 ცალი ფარაკიანი ბეჭედი. საბეჭდავები გამოვლენილია 10 პუნქტში (ტაბ. 4). ფარაკიანი ბეჭდები ასევე აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშიც (ყოლოთო, ნაომარი გორა, ნატახტარი, წნისისხევი, აწყური) (ტაბ. 5).

ფარაკიანი ბეჭდების დანიშნულება. საბეჭდავი, სამკაული, ამულეტი?

ერთ-ერთ ყველა მნიშვნელოვან საკითხს ფარაკიან ბეჭედთა ფუნქცია წარმოადგენს. მათი სავარაუდო დანიშნულება საბეჭდავი, ამულეტი ან სამკაული იყო. ბორდმანის მიხედვით, არქაულსა და კლასიკურ ხანაში ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდების ძირითადი დანიშნულება საბეჭდავია, ხოლო ძვირფასი ლითონით დამზადებული ბეჭდები არასდროს გამოიყენებოდა საბეჭდავად და მათი ფუნქციური დატვირთვა მხოლოდ სამკაული იყო [Boardman 1975: 20]. ეს შესაძლებელია შეესაბამებოდეს სინამდვილეს იმ შემთხვევაში, თუ ოქროსა და ვერცხლის ფარაკიან ბეჭედებზე არ გვხვდება მოხმარების კვალი. თუმცა, ამ მოსაზრების საპირისპიროდ, არსებობს მრავალი ანაბეჭდი მინოსური და მიკენური ოქროს ბეჭდებისა, რაც გვიდასტურებს ფაქტს, რომ ეს ბეჭდები გამოიყენებოდა როგორც საბეჭდავები [მათიაშვილი 2005: 597]. საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი კლასიკური თუ ადრე ელინისტური პერიოდის სამარხებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ სამარხეული ინვენტარის უმეტესი ნაწილი სამკაულითაა წარმოდგენილი, თუმცა ფარაკიანი ბეჭდები საკმაოდ მცირე რაოდენობით გვხვდება. ვფიქრობ, ეს ფაქტი გამოიწვევს ფარაკიანი ბეჭდის როგორც მხოლოდ სამკაულის ფუნქციურ დატვირთვას. ფარაკიან საბეჭდავ ბეჭედთა ფუნქცია არც მხოლოდ ავგაროზი იქნებოდა, რადგან ამ შემთხვევაშიც ფარაკიან ბეჭედთა წარმოებასა და მათ სამარხებში ჩატანებას უფრო მასობრივი ხასიათი უნდა ჰქონოდა. მეტად სავარაუდოა, რომ ბეჭდებს ძირითად პრაქტიკული - საბეჭდავის ფუნქცია ჰქონდათ.

ციხია-გორას სატაძრო კომპლექსში აღმოჩენილი ორი ბულა, რომელიც თ. მათიაშვილს განსაზღვრული აქვს როგორც ფარაკიანი ბეჭდის ანაბეჭდები, პირდაპირი მტკიცებულებაა მათი საბეჭდავად გამოყენებისა. თიხის ერთ ბულაზე დატანილია ირმის ორი იდენტური, ხოლო მეორე ბულაზე მდგომარე კაცის შვიდი იდენტური გამოსახულება [მათიაშვილი 2005: 22].

ვანის №9 სამარხში აღმოჩენილი ოქროს ფარაკიანი ბეჭედიც საბეჭდავს უნდა წარმოადგენდეს, რადგანაც მასზე ბერძნული ასოებით ამოტვიფრული სიტყვა ΔΕΔΑΤΟΣ ნეგატიურად არის შესრულებული. არის შემთხვევები, როდესაც ინტალიოზე გამოსახულების მარჯვენა ან მარცხენა მხარეს მდებარეობა განსაზღვრავს, იყო თუ არა ეს კონკრეტული ნივთი განკუთვნილი დასაბეჭდად. მაგალითად, კამარახევი აღმოჩენილი გრძელნაწნავიანი მდგომარე ქალი, რომელსაც ყვავილი მარცხენა ხელში უჭირავს, ხოლო გვირგვინი მარჯვენა დაშვებულ ხელში [ლორთქიფანიძე 1981: 53], ზუსტად იმეორებს ბერძნულ-სპარსული ტიპის საბეჭდავის მსგავს გამოსახულებებს [Boardman 2001: pl. 903]. ფარაკიანი ბეჭდის საბეჭდავად გამოყენება, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ბეჭდების ორმაგი გამოყენების შესაძლებლობას. ბეჭედი შეიძლება ყოფილიყო სამკაული და ავგაროზი ერთდროულად, ასევე წარჩინებულობის სიმბოლო.

ვანის, საირხისა და ტახტიძის სამაროვნებზე, სამარხებში, მთავარ მიცვალებულთან ერთად ფიქსირდება თანხმხლები პირების დაკრძალვა, რომელნიც თითქმის ყოველთვის შემკულნი არიან ოქროსა და ვერცხლის ნივთებით, თუმცა, როგორც სამარხებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, ფარაკიანი ბეჭდები ახლავს მხოლოდ მთავარ მიცვალებულს. მაგალითად, ვანის ძვ.წ. V საუკუნით დათარიღებულ №11 სამარხში, სადაც ძვირფასი სამკაულით შემკული ოთხი მიცვალებული იყო დამარხული, ოქროს ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა მხოლოდ მთავარი მიცვალებულის ხელზე [ლორთქიფანიძე, ფუთურიძე და სხვ. 1972: 239]. ტახტიძის ძვ.წ. IV ს-ის ბოლო ათწლეულით დათარიღებულ №3 სამარხში, სადაც ორი მიცვალებული იყო დამარხული, ვერცხლის ორი და ბრინჯაოს ერთი ბეჭედი სწორედ მთავარი მიცვალებულის ინვენტარს წარმოადგენდა. ვერცხლის ბეჭდები აღმოჩნდა მიცვალებულის მარჯვენა ხელზე, ხოლო ბრინჯაოს ბეჭედი - მიცვალებულის მარცხენა მხართან [გაგოშიძე 2020: 61-63]. მსგავსი შემთხვევა ფიქსირდება საირხის №1 და №8 სამარხებში. №1 სამარხში, სადაც გამოვლინდა ორი მიცვალებულის ნაშთი, ბრინჯაოს ორი ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა მთავარ მიცვალებულთან [მახარაძე და სხვ. 2007: 40]. ოთხი მიცვალებული აღმოჩნდა 8 სამარხში. ყველა მათგანი შემკული იყო ოქროსა და ვერცხლის სამკაულით, თუმცა ბრინჯაოსა და ვერცხლის ორი ბეჭედი გამოვლინდა მხოლოდ მთავარ მიცვალებულთან [მახარაძე და სხვ. 2007: 61-71]. ვფიქრობ, ფარაკიანი ბეჭედი ამ შემთხვევებში წარჩინებულობის მაჩვენებელი იყო.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, ფარაკიანი ბეჭედი გამოიყენებოდა არა როგორც მხოლოდ სამკაული ან ამულეტი, არამედ როგორც საბეჭდავი. ითვლება, რომ საბეჭდავის გავრცელება კერძო საკუთრების ინსტიტუტის განვითარებასთანაა დაკავშირებული [ლორთქიფანიძე 1958: 2].

ჰეროდოტეს მიხედვით, სპარსეთის იმპერიაში საბეჭდავებს ფართოდ იყენებდნენ. მისი ცნობის თანახმად, ყველა ბაბილონელი ატარებდა საბეჭდავს [Herodotus 1.195]. საბეჭდავის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველებს ჰეროდოტეს „ისტორიების“ მე - 3 ნიგნში მოთხრობილი ამბავი კუნძულ სამოსის ტირანის, პოლიკრატეს შესახებ. როდესაც პოლიკრატეს მოსთხოვეს თავიდან მოეშორებინა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთი, ის გემით გავიდა ზღვაში და თავისი საბეჭდავი წყალში გადააგდო [Herodotus 1.41. 1-2].

საინტერესოა ასევე ძველი აღმოსავლური ცნობა ქალაქ მარის დედოფალ შიბტუმის შესახებ. მან მიიღო წერილი ქმრისაგან, რომელიც სთხოვდა მეუღლეს, მისი ნივთები დაებეჭდა იმ საბეჭდავით, რომელზეც იყო წარწერა “სიბტუმი, იარიმ-ლიმის შვილი, ზიმრი-ლიმის მეუღლე” [Stol 2013: 388].

დანამდვილებით იმის თქმა, იყენებდა თუ არა ერთი ადამიანი რამდენიმე საბეჭდავს ერთდროულად შეუძლებელია, თუმცა ეს შესაძლებლობა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმ შემთხვევაში, თუ სამარხში ერთზე მეტი ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩენილი, როგორც ეს ჩვენს მასალაში გვხვდება. წერილობითი წყაროების მიხედვით, ერთადერთი ადამიანი, რომელიც რამდენიმე განსხვავებულ საბეჭდავს მოიხმარდა, იყო რომის იმპერატორი ოქტავიანე ავგუსტუსი. ის იყენებდა ოთხ სხვადასხვა საბეჭდავს, თუმცა არა ერთდროულად, არამედ სხვადასხვა დროს [Instinsky 1962; Simpson 2005: 185-188]. რ. ვოლენფელსი ურუქის ლურსმული წარწერების ანაბეჭდების მიხედვით მოგვითხრობს ერთი კაცის შესახებ, რომელიც ძვ.წ. 276 წლიდან 230 წლამდე, დროის სხვადასხვა მონაკვეთში, მოიხმარდა შვიდ საბეჭდავს და ავტორის თქმით, ეს საერთო წესი იყო სხვებისთვისაც [Wallenfels 1996: 119].

ფარაკიანი ბეჭდის მფლობელის სოციალური სტატუსი.

ვის ჰქონდა უფლება ეტარებინა საბეჭდავი ბეჭედი? ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს ლითონის საბეჭდავ ბეჭედთა მფლობელის სოციალური სტატუსის განსაზღვრა წარმოადგენს.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი საბეჭდავი ბეჭდების ტარება რომ მხოლოდ დიდებულთა პრივილეგიაა, მოწმობს ვანის, საირხისა და ბრილის ძვ.წ. V ს. სამარხები. საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. V საუკუნით დათარიღებულ რიგითი მოსახლეობის არც ერთ სამაროვანზე არ გამოვლენილა ლითონის ფარაკიანი ბეჭედი (კიკეთი, კოდისწყალი, ბეშთაშენი, კუმისი და სხვ.). საგულისხმოა, რომ ფიჭვნარში ძვ.წ. V ს-ის კოლხურ სამაროვანზე გათხრილი 500-მდე სამარხიდან არცერთში არ აღმოჩენილა ფარაკიანი ბეჭედი, ხოლო ფიჭვნარის ბერძნულ ნეკროპოლზე, სადაც დაახლოებით 320 სამარხია გათხრილი, გამოვლინდა ოქროსა და ვერცხლის 5 ფარაკიანი ბეჭედი: როგორც ჩანს, ბერძნებს საბეჭდავი ბეჭდების ხმარების ხანგრძლივი ტრადიცია ჰქონდათ, მაშინ, როდესაც დიდებულთა წრის წარმომადგენელი ადგილობრივი მოსახლეობისათვის ეს მეხუთე საუკუნის სიახლეა (ვანი, საირხე).

ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან, ვანისა და საირხის მდიდრულ სამარხებში, ოქროსთან ერთად ჩნდება ვერცხლისა და ბრინჯაოსაგან დამზადებული ფარაკიანი ბეჭდები. სწორედ ამ პერიოდიდან იმატებს იმ სამარხთა რაოდენობა, სადაც ფარაკიანი ბეჭდებია აღმოჩენილი. მართალია, ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის მდიდრულ სამარხებში მრავლად არის გამოვლენილი ოქროს ნაკეთობები, თუმცა, სამარხებზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ამ პერიოდში ოქროს ფარაკიანი ბეჭდები ნელ-ნელა ხმარებიდან გამოდის და მას ან ვერცხლი ან ბრინჯაო. გვაქვს შემთხვევები ოქროსა და ვერცხლის ფარაკიანი ბეჭდების ერთ სამარხში მოხვედრისა მაშინ, როცა ოქროსთან ერთად ბრინჯაოს ბეჭედი ვანის სამარხებში არ არის აღმოჩენილი. ბრინჯაო გვხვდება ან დამოუკიდებლად, ან ვერცხლთან ერთად.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი და შესწავლილი ადრეელინისტური პერიოდით დათარიღებული 587 სამარხიდან საბეჭდავი ბეჭედი გამოვლინდა მხოლოდ 39 სამარხში, რაც საერთო რაოდენობის მხოლოდ 7% - ს შეადგენს.

მაგალითად, დაბლაგომში გათხრილი ძვ.წ. IV-III საუკუნის 55 ქვევრსამარხიდან ბრინჯაოს ოთხი ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა მხოლოდ ოთხ სამარხში (№4, №7, №12 და №190 [Куртин 1950: 44]. დაფნარში 38 ქვევრსამარხიდან მხოლოდ 3 მათგანში გამოვლინდა ბრინჯაოს ხუთი ფარაკიანი ბეჭედი [Кигურაძე 1976: 40-41, 53-54]. სავარაუდოა, რომ ეს სამარხები ეკუთვნოდა მოსახლეობის საშუალო ფენას, თუმცა, რიგ შემთხვევებში მათშიც შეინიშნება ქონებრივი უთანასწორობა. საგულისხმოა, რომ საბეჭდავი ბეჭედი სწორედ ქონებრივად გამორჩეულ სამარხებშია აღმოჩენილი (ზემო ფარცხმა, დაბლაგომი, ითხვისი). ძვ.წ. III-II საუკუნეებით დათარიღებული ზემო ფარცხმის 25 სამარხიდან, ბრინჯაოს ხუთი ბეჭედი გამოვლინდა მხოლოდ სამ სამარხში (სამარხები №13, №16, №18) [ვაშაკიძე 1985: 104-105, თოლორდავა 1980: 14-26].

საბეჭდავ ბეჭედთა მფლობელის სოციალური კუთვნილების განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია ქვემო ქართლის მასალები, სადაც სისტემური გათხრების შედეგად ჩვენთვის საინტერესო პერიოდის 10 სამაროვანია მეტნაკლებად შესწავლილი, ხოლო ამ სამაროვნებიდან მომდინარე საბეჭდავ ბეჭედთა საერთო რაოდენობა 21 - ია.

ს. მარგიშვილმა ქვემო ქართლის სამაროვნები სამ ჯგუფად დაჰყო და სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიაკუთვნა. პირველ ჯგუფში გააერთიანა ალგეთის (წინწყაროს) სამარხი და შავსაყდარა II მდიდრული სამარხები და მათში დაკრძალულები ქონებრივად და სოციალურად დანიშნულებულთა წრეს მიაკუთვნა [მარგიშვილი 1992: 98].

სამარხთა მეორე ჯგუფში ავტორი აერთიანებს პაპიგორის სამაროვნის №49 ქვევრსამარხს, ასევე ენაგეთის სამაროვნის №1, კუშჩის №3, არდისუბნის №1 და გარისის გორის (თეთრწყარო) №23 სამარხებს [მარგიშვილი 1992: 99]. მისი თქმით, ამ სამარხთა ინვენტარი საგრძობლად არ განსხვავდება რიგითი სამარხებისგან, თუმცა მათში გვხვდება ძვირფასი ლითონის სამკაული და გამორჩეული ჭურჭელი, რაც უცხოა რიგითი მოსახლეობის სამარხებისათვის. მარგიშვილის აზრით, ამ ჯგუფსა და რიგით სამარხებს შორის სოციალური განსხვავება აშკარაა და საქმე უნდა გვექონდეს რიგით მოსახლეობაში არსებულ ქონებრივ უთანასწორობასთან [მარგიშვილი 1992: 99].

მესამე და ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს რიგითი მოსახლეობის სამარხები შეადგენს. მათში ინვენტარი საკმაოდ ღარიბულია და წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით, ბრინჯაოს, რკინის და იშვიათად ვერცხლის სამკაულით [მარგიშვილი 1992: 101].

ქვემო ქართლის სამაროვნებზე ფარაკიან ბეჭედთა გავრცელების ანალიზმა აჩვენა, რომ საბეჭდავი ბეჭედი აღმოჩენილია მხოლოდ წინწყაროს მდიდრულ სამარხში (შავსაყდარა II ყველა მდიდრული სამარხი გაძარცვულია) [მარგიშვილი 1992: 10-23]. რიგით სამაროვნებზე საბეჭდავი ბეჭედები ფიქსირდება მხოლოდ ერთეულ სამარხებში. ეს სამარხები უმეტეს შემთხვევაში განსხვავებულია სხვა სამარხებისაგან ინვენტარის მრავალფეროვნებით. აქვე დავამატებ, რომ მარგიშვილის მიერ მეორე ჯგუფში გაერთიანებულ ყველა სამარხში, რომელთაც რიგითი სამარხებისგან სოციალური სტატუსით გამოარჩევს და ქონებრივ უთანასწორობას მიაწერს, აღმოჩენილია ფარაკიანი ბეჭედიც (პაპიგორა №49, კუშჩი №3, არდისუბანი №1, ენაგეთი №1). აღნიშნული გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ძვ.წ. IV-III სს-ში საბეჭდავი ბეჭდის მფლობელი შეიძლება ყოფილიყო მოსახლეობის რიგითი ფენის წარმომადგენელი, თუმცა, ის უჭველად განსხვავებული სოციალური სტატუსის მატარებელი იყო.

ძვ.წ. IV-III საუკუნეებში, ლითონის ფარაკიანი ბეჭდის მფლობელი რომ უეჭველად განსხვავებული სოციალური სტატუსის მატარებელია და ამასთანავე განსაკუთრებული იურიდიული სტატუსის მქონე ინდივიდია, ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ისეთი დიდი

სამაროვნების გათხრებისას, როგორცაა: აბელია, პაპიგორა, გარისის გორა, ეცო, კამარახევი, სამაჩვეთი, საბეჭდავი ბეჭდები სამარხებში ერთეულების სახით ფიქსირდება. ხოლო ამავე პერიოდის მრავალ სამაროვანზე (აბულმუგი, შავსაყდარა I, გომარეთი) საბეჭდავები საერთოდ არ აღმოჩენილა. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადრეელინისტური პერიოდით დათარიღებული, გათხრილი და შესწავლილი 788 სამარხიდან ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა მხოლოდ 33 - ში, რაც საერთო რაოდენობის მხოლოდ 4 % - ს შეადგენს.

არის შემთხვევები ფარაკიანი ბეჭდების ბავშვის სამარხში აღმოჩენისა (ნოქალაქევი, სამარხი №3; ვანი, სამარხი №10; ეცო, სამარხი №17, №64; ტახტიძირი, სამარხი №8, №12, №16). აღსანიშნავია, რომ ბავშვის სამარხში აღმოჩენილი ყველა ბეჭედი რკალგახსნილია. საბეჭდავთა სამარხში ჩატანება შემთხვევითი ხასიათის არ უნდა იყოს, თუმცა, თუ რატომ ატანდნენ ბავშვებს საბეჭდავ ბეჭდებს დანამდვილებით თქმა ძნელია და ამის შესახებ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა არის შესაძლებელი.

ფარაკიანი ბეჭდის მფლობელის გენეალოგიური კუთვნილება.

მიუხედავად იმისა, რომ სამარხთა უმეტესობაში სქესი არ არის განსაზღვრული, კვლევამ დაგვანახა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ლითონის ფარაკიანი ბეჭდები ძვ.წ. V საუკუნიდან მოყოლებული ძვ.წ. IV-III სს ჩათვლით დადასტურებულია ქალების სამარხებშიც (საირხე, კუმჩი, ფიჭვნარი, ბრილი, ვანი, ითხვისი, კამარახევი, ტახტიძირი, ალგეთი, საძეგური).

ძვ.წ. V საუკუნის შუა ხანებით დათარიღებული ვანის წარჩინებული კოლხი ქალის №11 სამარხი ერთ-ერთი ყველაზე მდიდრულია კოლხეთში. სამარხში ოთხი ადამიანის ჩონჩხი დაფიქსირდა, რომლებიც შემკულნი იყვნენ სამკაულით, ხოლო მთავარი მიცვალებული გამოირჩეოდა ყველაზე მდიდრული შემკულობით, რაც უსვამდა ხაზს მის სოცალურ სტატუსს. ოქროს ერთი ფარაკიანი ბეჭედი სწორედ მისი კუთვნილება იყო [ლორთქიფანიძე, ფუთურიძე და სხვ. 1972: 239].

ტახტიძირის №5 სამარხი 20 წლის ქალს ეკუთვნოდა, რომელიც სავარაუდოდ ბავშვთან ერთად იყო დამარხული. ვერცხლის თითო ფარაკიანი ბეჭედი გამოვლინდა მიცვალებულის ორივე ხელზე [გაგომიძე 2020: 70-72].

კამარახევიში, სადაც ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებული №34 სამარხია გამოვლენილი, ბრინჯაოს ორი ფარაკიანი ბეჭედი გამოვლინდა №9 და №65 სამარხებში, რომლებიც ქალებს ეკუთვნოდა [რამიშვილი 1959: 10-16; ჯღარკავა 1982: 162].

სხალთას სამაროვანზე, სადაც ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებული №60 სამარხია გათხრილი, ბრინჯაოს ფარაკიანი სამი ბეჭედი გამოვლინდა ორ სამარხში. მათგან ერთი, სამარხი №1, ქალის კუთვნილებაა [ნიკოლაიშვილი, შატბერაშვილი და სხვ. 2010: 433].

ითხვისის სამაროვანზე, სადაც გაითხარა 21 სამარხი, ბრინჯაოს ერთი ფარაკიანი ბეჭედი მხოლოდ №2 სამარხში აღმოჩნდა, რომელიც ქალს ეკუთვნოდა. სამარხში გამოვლინდა ორი ქალი და ერთი ბავშვის ჩონჩხი. ბრინჯაოს ბეჭედი მთავარი მიცვალებულის კუთვნილებაა. სამარხი ძვ.წ. IV საუკუნის შუა ხანებით თარიღდება [Гогибериძე 2003: 79].

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალები ცდილობდნენ მიეღწიათ საზოგადოებაში იმ პოზიციებისათვის, რომლებიც განეკუთვნებოდნენ მამაკაცურ სფეროებს. საისტორიო წყაროების თანახმად, ცნობილია, რომ იყვნენ მმართველი ქალები, ქურუმი ქალები, გადამწერი ქალები და ა.შ [Seibert 1973: 58-59]. შუმერულ, ძველ ასირიულ და ძველ ბაბილონურ

პერიოდში ქალის საბეჭდავის სტილი არ განსხვავდებოდა კაცის საბეჭდავის სტილისაგან [Stol 2013: 388-89].

საქართველოს ტერიტორიაზე ფარაკიან ბეჭედთა ქალების სამარხებში აღმოჩენა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, საზოგადოებაში ქალს შეთავსებული ჰქონდა ისეთი ფუნქციებიც, რაც საბეჭდავი ბეჭდის გამოყენებას საჭიროებდა. ქალი უძღვებოდა საშინაო მეურნეობას, გამომდინარე აქედან, ის ვალდებული იყო დაებეჭდა, მაგალითად, პროდუქტი, როგორც ეს მოთხრობილია მარის დედოფალ შიბტუმის შესახებ ზემოთ მოტანილ ცნობებში. ვანისა და საირხის სამარხებში აღმოჩენილი რიტუალური ნივთებიდან გამომდინარე, მ. ინაძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სამარხებში დაკრძალულნი იყვნენ ქურუმი ქალები [ინაძე 1986: 42-49].

თითო სამარხში აღმოჩენილი რამდენიმე ფარაკიანი ბეჭედი.

სამარხებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ერთსა და იმავე მიცვალებულს ზოგ შემთხვევაში ერთდროულად ჩატანებული ჰქონდა ერთი ან სხვადასხვა ლითონისაგან დამზადებული რამდენიმე ფარაკიანი ბეჭედი. ბეჭდები მიცვალებულს ეკეთა ორივე ხელზე, სხვადასხვა ან ერთსა და იმავე თითზე. ბეჭდები ძირითადად აღმოჩენილია მიცვალებულის მარჯვენა ხელზე, თუმცა საგულისხმოა, რომ ფიჭვნარის ბერძნულ სამაროვანზე ბეჭდები ძირითად მიცვალებულის მარცხენა ხელის არეშია აღმოჩენილი [კახიძე 2007: 144; კახიძე, ვიკერსი 2014: 113-123]. ბორდმანის ცნობის მიხედვით, ოლიმპოს სამაროვანზე ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი მარცხენა ხელის შუა თითზე იყო მოთავსებული [Boardman 1970: 237].

ანწყურის ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებული №3 სამარხი შეიცავდა ბრინჯაოს ექვს ფარაკიან ბეჭედს [ლიჩელი 2011: 25-47]. ვანის №19 სამარხში, რომელიც ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრითაა დათარიღებული, ვერცხლის ორი ბეჭედი გამოვლინდა მიცვალებულის მარჯვენა ხელის ერთ თითზე [მათიაშვილი 2011: 16]. ვერცხლის ორი და ბრინჯაოს სამი ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა ტახტიძის №20 სამარხში. მათგან ოთხი ბეჭედი დადასტურდა მიცვალებულის მარჯვენა ხელთან, ხოლო ბრინჯაოს ერთი ბეჭედი მარცხენასთან. სამარხი ძვ.წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედით თარიღდება [გაგოშიძე 2020: 150]. ოქროს ორი და ვერცხლის ხუთი ფარაკიანი ბეჭედი აღმოჩნდა ვანის №24 სამარხში მთავარი მიცვალებულის მარჯვენა ხელის არეში. სამარხი ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრით არის დათარიღებული [Kacharava, Kvirkvelia 2009: 282-83]. ოქროს ორი და ვერცხლის ორი ფარაკიანი ბეჭედი გამოვლინდა ვანის №9 სამარხში, რომელიც ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებით არის დათარიღებული [ლორთქიფანიძე, ფუთურიძე და სხვ. 1972: 203].

დასკვნა.

არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ლითონის ფარაკიანი ბეჭდები ხმარებაში ძვ.წ. V ს-დან შემოდის, თუმცა მათი ტარება მხოლოდ ადგილობრივი დიდებულების პრივილეგიაა, რადგანაც ამ პერიოდით დათარიღებული რიგითი მოსახლეობის არცერთ სამაროვანზე ამგვარი ნივთები არ აღმოჩენილა.

ძვ.წ. V ს-ში გავრცელებული ფარაკიანი ბეჭდები ძირითადად ძვირფასი ლითონის - ოქროსგანაა დამზადებული, თუმცა გვხვდება ვერცხლის ცალებიც. ყველა მათგანი იმპორტია. ძვ.წ. IV საუკუნის შუა ხანებიდან ოქროსთან ერთად გამოჩენას იწყებს ვერცხლისა და ბრინჯაოსგან დამზადებული ბეჭდები, რომელნიც, მ. ლორთქიფანიძისა და ქ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ადგილობრივად უნდა იყოს დამზადებული.

ფარაკიანი ბეჭდები თანაბრადაა გავრცელებული საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ფარაკიან ბეჭედთა სამარხებში აღმოჩენას მასიური ხასიათი არ გააჩნია, მეტად სავარაუდოა, რომ მათ ძირითადად პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა და გამოიყენებოდა როგორც საბეჭდავი. ამავე დროს, ეს არ გამოორიცხავს ფარაკიან ბეჭედთა ორმაგ დანიშნულებას. საბეჭდავთან ან სამკაულთან ერთად მისი დანიშნულება შეიძლება ყოფილიყო ავგაროზი. ფარაკიანი ბეჭედი შეიძლება წარჩინებულობის სიმბოლოც ყოფილიყო.

მასალების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ძვ.წ. IV-III საუკუნეებში ლითონის ფარაკიანი ბეჭდები აღმოჩენილია როგორც მდიდრულ, ისე მოსახლეობის რიგითი ფენის წარმომადგენელთა სამარხებში. ამ უკანასკნელზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ საბეჭდავის მფლობელი შესაძლოა იყოს მოსახლეობის რიგითი ფენის წარმომადგენელი, თუმცა, იგი უჭველად განსხვავებული სოციალური სტატუსის მატარებელია და, ამასთანავე, როგორც ჩანს, განსაკუთრებული იურიდიული სტატუსის მქონე ინდივიდია.

მიცვალებულს სხვადასხვა, თუ ერთი და იგივე ლითონისაგან დამზადებული ბეჭდები ეკეთა ორივე ხელის სხვადასხვა ან ერთსა და იმავე თითზე. განსხვავებით ოლიმპოს სამაროვნის მაგალითისაგან, სადაც, ბროდმანის მიხედვით მიცვალებულს საბეჭდავი ბეჭედი ყოველთვის მარცხენა ხელის შუა თითზე უკეთია, საქართველოს სამაროვნებზე ამგვარი ტრადიცია არ ფიქსირდება და ფარაკიანი ბეჭედი მიცვალებულს შესაძლოა ნებისმიერ ხელზე და თითზე ჰქონოდა ჩამოცმული. როგორც ჩანს, საბეჭდავის ტარების უფლება თანაბრად ჰქონდა ქალსაც და მამაკაცსაც. აღსანიშნავია ფარაკიან ბეჭედთა აღმოჩენა ბავშვების სამარხებშიც.

ლიტერატურა:

- გაგოშიძე 2020:** გაგოშიძე იულ. ტახტიძირის სამაროვნები. თბ.
- ვაშაკიძე 1985:** ვაშაკიძე ნ. ზემო ფარცხმის სამაროვანი. - კრებ. სდსძ, XIII, თბ., გვ. 74-86.
- თოლორდავა 1980:** თოლორდავა ვ. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ.
- ინაძე 1986:** ინაძე მ. სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთსი. - ჟურ. მაცნე №4, თბ., გვ. 13-27.
- კახიძე 2007:** კახიძე ამ. ფიჭვნარი I. ანტიკური სამყარო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი (ფიჭვნარის ძვ.წ. V ს-ის ბერძნული ნეკროპოლი, ნაწ. I), თბ.
- კახიძე, ვიკერსი 2014:** კახიძე ამ. ვიკერსი მ. ფიჭვნარი VI. კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, თბ.
- ლიჩელი 2011:** ლიჩელი ვ. სამარხეული ინვენტარი აწყურისაგან. - კრებ. ინტერ-დისციპლინარული არქეოლოგია, I, თბ., გვ. 25-48.
- ლორთქიფანიძე 1958:** ლორთქიფანიძე მ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, II, თბ.
- ლორთქიფანიძე 1969:** ლორთქიფანიძე მ. ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, თბ.
- ლორთქიფანიძე 1975:** ლორთქიფანიძე მ. კოლხეთის ძვ.წ. V-III საბეჭდავი ბეჭდები, თბ.
- ლორთქიფანიძე 1981:** ლორთქიფანიძე მ. უძველესი საბეჭდავი-ბეჭდები კოლხეთიდან და იბერიიდან, თბ.
- ლორთქიფანიძე, ფუთურიძე და სხვ.1972:** ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა. არქეოლოგიური გათხრები ვანში, ვანი I, თბ., გვ. 198-239.
- მათიაშვილი 2005:** მათიაშვილი თ. კავთისხევის (ციხიაგორა) გლიპტიკური ძეგლები. (ავტორეფერატი), თბ.

მათიაშვილი 2011: მათიაშვილი ნ. ელინისტური ხანის სამარხები კოლხეთის ნაქალაქარებიდან, თბ.

მარგიშვილი 1992: მარგიშვილი ს. ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები ალგეთის ხეობიდან, თბ.

მახარაძე და სხვ.2007: მახარაძე გ., ნერეთელი ნ. საირხე. თბ.

ნიკოლაიშვილი, შატბერაშვილი და სხვ. 2010: ნიკოლაიშვილი ვ., შატბერაშვილი ზ., შატბერაშვილი ვ. სხლათას ნამოსახლარი და სამაროვანი. -კრებ. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და აქეოლოგია საქართველოში, თბ., გვ. 426-484.

რამიშვილი 1959: რამიშვილი რ. კამარახევის სამაროვანი. კრებ. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის (რედ. ან. აფაქიძე), II. თბ., გვ. 5-52.

ფუთურიძე, ხოშტარია, ჭყონია 1972: ფუთურიძე რ, ხოშტარია ნ., ჭყონია ა. ვანის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1961-1963 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები, კრებ. ვანი I. (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), თბ., გვ. 111-132.

ჯავახიშვილი 2011: ჯავახიშვილი ქ. ვანის ნაქალაქარზე 2003-2005 წლებში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები. - ჟურ. *იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), №7. თბ., გვ. 121-130.

ჯავახიშვილი 2015: ჯავახიშვილი ქ. საქართველოს გლიპტიკური ძეგლები. - ჟურ. *იბერია-კოლხეთი*, (რედ. გ. გამყრელიძე), №11. თბ., გვ. 5-37.

ჯავახიშვილი 2021: ჯავახიშვილი ქ. გლიპტიკა,—საქართველოს არქეოლოგიის ნარკვევები (ძვ.წ.V–ახ.წ.Vსს), საქართველოს ეროვნული მუზეუმის, - ჟურ. *იბერია-კოლხეთის დამატება*, I. (რედ. გ. გამყრელიძე), თბ. გვ. 424-436.

ჯლარკავა 1982: ჯლარკავა თ. კამარახევის სამაროვანი. -კრებ. მცხეთა, (რედ. ან. აფაქიძე), VI, თბ., გვ.139-186.

Boardman 1970: Boardman J. Greek Gems and Finger Rings, London, 1970.

Instinsky 1962: Instinsky, H. U. *Die Siegel des Kaisers Augustus*. Deutsche Beiträge zur Altertumswissenschaft Bd. 16, Baden-Baden.

Kacharava, Kvirkvelia 2009: Kacharava D., Kvirkvelia G, Recent Archaeological Finds on the Upper Terrace of the Vani Site. *Ancient civilizations from Scythia to Siberia*, 14. Leiden, 2009, pp. 237-315.

Stol 2013: Stol M. Woman in the Ancient Near East. Berlin.

Seibert 1973: Seibert I. Die Fraue im Alten Orient, Leipzig.

Simpson 2005: Rome’s “Official Imperial Seal?” The Rings of Augustus and His First Century Successors (BD. 54, H.2 (2005)), 180-188.

Wallenfels 1996: Wallenfels R. Private Seals and Sealing Practices at Hellenistic Uruk, BCH. Suppl. 29. 113-129.

Гогиберидзе 2003: Гогиберидзе Н. Браслеты и гривны Грузии V-I вв. до н.е. Тб.

Кигურაძე 1976: Кигურაძე Н. Дапнарский Могильник. Тб.

Куфтин 1950: Куфтин Б. Материалы К Археологии Колхиды II. Тб.

1

ადგილმდებარეობა/სამაროვანი	სამარხი	ბეჭდების რაოდენობა
ვანი (სულ = 29)	N6	4
	N9	4
	N10	1
	N11	1
	N16	7
	N19	2
	N22	1
	N24	7
	N26	2
დაფნარი (სულ = 5)	N3	2
	N11	2
	N12	1
დაბლაგომი (სულ = 5)	N4	1
	N7	1
	N19	1
	N12	1
	კრამიტსამარხი	1
ფარცხანაყანევი (სულ = 2)	სამარხი X	2
მუხიანი	ნომრის გარეშე	4
ქვიტირი	ნომრის გარეშე	1
ქვედა მესხეთი	ნომრის გარეშე	4
წიფნარი	ნომრის გარეშე	2
ზემო ფარცხმა (სულ = 6)	N3	3
	N16	2
	N18	1
ნოქალაქევი (სულ = 16)	N2	3
	N3	3
	N4	2
	N5	1
	N9	3
	N17	1
	N2 (1982)	2
	N6 (1982)	1
ბატნაოხორუ(სულ 2)	N2	2
კოდორეთი	ნომრის გარეშე	1

2

ადგილმდებარეობა/ სამაროვანი	სამარხი	ბეჭდების რაოდენობა
ფიტენარი (სულ = 46)	-	46
ქვიშა ეშერა (სულ = 3)	N2	2
	“მებრძოლი სამარხი”	1
გუადიხუ (სულ = 13)	N9	8
	N5	2
	ნომრის გარეშე	3
ლარილარი	ნომრის გარეშე	11
საირსე (სულ = 6)	N1	2
	N8	2
	N10	1
	N13	1
მოდინახე	N6	1
ითხვისი	N2	1
ბრილი	N21	2

3

ადგილმდებარეობა/სამ.	სამარხი	ბეჭდების რაოდენობა
ტახტიძირი (სულ = 29)	N3	3
	N5	2
	N7	1
	N8	3
	N9	1
	N12	2
	N14	3
	N15	3
	N16	4
	N17	1
	N19	1
	N20	5
ქვიანა	ნომრის გარეშე	3
ყანაეთი	ნომრის გარეშე	3
საძეგური	ნომრის გარეშე	3
კამარახევი (სულ = 2)	N9	1
	N65	1
ედისი	ნომრის გარეშე	1
რიყანების ველი	ნომრის გარეშე	1

4 - 5

ადგილმდებარეობა/ სამაროვანი	სამარხი	ბეჭდების რაოდენობა
ეცო (სულ = 6)	N16	1
	N39	2
	N59	1
	N60	1
	N91	1
აღგეთი(სულ =4)	ნომრის გარეშე	4
სხალთა (სულ = 3)	N1	1
	N43	2
ასურეთი	ნომრის გარეშე	1
აბელია (სულ = 3)	ნომრის გარეშე	3
არდასუბანი	ნომრის გარეშე	1
თეთრიწყარო	ნომრის გარეშე	1
პაპიგორა	ნომრის გარეშე	1
ღრმახევისთავი	ნომრის გარეშე	1
კუშნი	ნომრის გარეშე	1
ყოღოთო (სულ = 3)	ნომრის გარეშე	3
თოხლიაური (სულ = 2)	ნომრის გარეშე	2
ნაომარი გორა (სულ = 7)	a	5
	b	2
წნისისხევი (სულ = 3)	N1	1
	N24	1
	N33	1
აწყური (სულ = 15)	N1	3
	N3	5
	N5	5
ნატახტარი	ნომრის გარეშე	1

ხცისის ანტიკური ხანის სამარხი

ბიძინა მურვანიძე

სამარხი აღმოჩნდა შიდა ქართლის სოფ. ხცისში, რომელიც მდებარეობს ხაშურის მუნიციპ.-ის ადმინისტრაციული ცენტრიდან აღმოსავლეთით და მისგან დაშორებულია ათი კილომეტრის მანძილზე. სოფელი გაშენებულია თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე და მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე (ტაბ. I). საკრებულოში გაერთიანებულია ხუთი სოფელი: ხცისი, დიდი თხილნარა, კრისხევი, მიწობი, პატარა თხილნარა. ისტორიულ წყაროებში სოფ. ხცისი მოხსენებულია XVIII ს-დან [ბაგრატიონი 1941; ქც 4: 345,15; ბაგრატიონი 1986: 33; გიულდენშტედტი 1962: 177, 217; გამყრელიძე და სხვ. 2013: 652]. არქეოლოგიური კვლევების თვალსაზრისით ხაშურის მუნიციპალიტეტის მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის მონაკვეთი არ არის შესწავლილი. თუმცა, ამ ტერიტორიაზე წლების განმავლობაში შემთხვევითი აღმოჩენებით მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა დაგროვდა. ნივთების შემთხვევით პოვნის ფაქტი დადასტურებულია ჯერ კიდევ 1946 წელს, როდესაც ადგილ ვარცლებში, მიწის სამუშაოების დროს ნაპოვნი იქნა სამარხი-ქვაყუთი, რომელშიც მიცვალებული დასვენებული ყოფილა ზურგზე, თავით დასავლეთით. სამარხის ინვენტარი დაკარგულია [ნუცუბიძე 1990: 462]. მოგვიანებით, 1964-1974 წლებში, კერძო პირებს (თ. გელდიაშვილი, ვ. პაპუაშვილი, ვ. ძამანაშვილი, ნ. ხვედელიძე) სოფ. ხცისიდან ხაშურის მუზეუმში ჩაუბარებიათ შემთხვევით მოპოვებული არტეფაქტები. მათ შორის: ბრინჯაოს სატევარი და შუბისპირი (ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი), ორი სატევარი (ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი) და სხვადასხვა პერიოდის თიხის ჭურჭლის ნატეხები. სოფლის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების კულტურული ფენები და არქიტექტურული ნაშთები; სოფელში დგას რამდენიმე მოქმედი ეკლესია. სოფლის აღმოსავლეთით მდებარეობს თომა ციციშვილის სასახლე [დვალი 1990: 462]. შემთხვევით მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით და დღევანდელი მონაცემებით ჩანს, რომ სოფ. ხცისი და მისი მიმდებარე ტერიტორია საცხოვრებლად ათვისებულია ძვ.წ. II ათასწლეულიდან.

ანტიკური ხანის №2 ორმოსამარხი (№1 სამარხად ჩავთვალეთ 1946 წელს აღმოჩენილი ქვაყუთი – ბ. მ.) შემთხვევით აღმოჩნდა კერძო მესაკუთრის, როლანდ ზალკალიანის ეზოში. სამეურნეო ნაგებობის მოწყობისათვის ამოღებული ორმოს ძირზე გამოვლინდა მიცვალებულის ქვედა კიდურის ძვლები და თიხის ჭურჭელი (ორმოს სიღრმე 2.85 მ). აღნიშნული ნაგებობის გამართვისას ნაწილობრივ დაზიანდა ორმოსამარხი, რომლის დაახლოებითი ზომებია – 2.15 x 1.10 მ. სამარხის გეოგრაფიული კორდინატებია: X - 390387.69; Y - 4648623.42; ზღვის დონიდან -0 წერტილი – 716 მ. დასაკრძალავი ორმო გამართული იყო მოყავისფრო თიხა-მინაში, შევსებას ქონდა მოყავისფრო-მოშავო ფერი. სამარხის თავზე სხვადასხვა დროს ბუნებრივი ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილია განსხვავებული შემადგენლობის დანალექი ფენები (ტაბ. III,2).

ამდენად, სამარხის სტრატეგიაფია ასეთია: 1. ჰუმუსის ფენა - 0.40 მ; 2. წვრილ-კენჭოვანი დანალექი - 0.20 მ; 3. მოყვითალო ფერის ლამნარევი თიხა - 0.15 მ; 4. მოყვითალო-მოყავისფრო სტერილური თიხნარი - 0.75 მ; 5. ქვალორლისა და ნეშომპალის შემცველი დანალექი - 0.60 მ; 6. მოყავისფრო თიხნარი, რომელშიც სამარხის ორმოა გაჭრილი - 0.80 მ.

სამარხში დაკრძალული 30-35 წ-ის დაახლოებით 180 სმ სიმაღლის მამაკაცი, დასვენებული იყო მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით დასავლეთით (ტაბ. II,1; III,1). მიცვალებულის ძვლები კარგად იყო დაცული. ანთროპოლოგ ლ. ბითაძის კვლევებით, მიცვალებულს ზედა ყბის ძვალზე აღენიშნება სიმსივნური ნანაზარდი, ხოლო ლავინის

ძვალზე, ოსტეოსარკომა (მიცვალებულის ძვლები შესწავლილია ლ. ბითაძის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში).

სამარხში დაფიქსირებული არტეფაქტები:

1. **ხელადა** (ინვ. № ხმმ 100355/ა-80100 - ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საინვენტარო ნომერი), თიხის, დაზიანებული. აღმოჩნდა მიცვალებულის მარჯვენა ფეხის ტერფთან (ტაბ. IV, 1; V, 1).

2. **თასი** (ხმმ №100356/ა-80101, ძვ.ლ. №380 - ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ძვირფასი ლითონების ფონდის ნომერი) ვერცხლის, ორყურა. დაზიანებული. აღმოჩნდა მიცვალებულის სახის წინ, ზედა კიდურებთან. მარცხენა ხელის ფალანგის ძვალი დაფიქსირდა ჭურჭლის ყურში. სავარაუდოდ თასი მიცვალებულს ხელში ეჭირა (ტაბ. II,1; III,1; V,2).

3. **სასაფეთქლე რგოლი** (ხმმ №100357ა/ა-80102ა, ძვ.ლ. №381ა), ოქროსი (ელექტრუმის?), წრიული ფორმის, ბრტყელი. აღმოჩნდა მიცვალებულის მარჯვენა ყურთან. წონა - 1.9 გრ; ზომა - დმ - 1.9 სმ (ტაბ. II,2; IV,6; V,3).

4. **მონეტა** (ხმმ №100359/ნ-1550, ძვ.ლ. №382), ვერცხლის, მითრიდატე II (ძვ.წ. 123-88 წწ); წონა - 4.13 გრ; ზომა - 22/20 მმ. აღმოჩნდა მიცვალებულის მარჯვენა ხელის სხივის ძვალთან (ტაბ. III,1; IV,4).

5. **რკინის ნივთის ფრაგმენტი** (ხმმ №100358/ა-80103). ძლიერ დაჟანგული. აღმოჩნდა მიცვალებულის ბარძაყის ძვალთან (ტაბ. III,1).

6. **მონეტა** (ხმმ №100360/ნ-1551, ძვ.ლ. №383), ვერცხლის, ოროდ II (ძვ.წ. 57-38 წწ); წონა - 2.43 გრ; ზომა - 18/20 მმ. დაზიანებული. აღმოჩნდა მიცვალებულის სახის წინ, ვერცხლის თასთან (ტაბ. III,1; IV,3).

7. **სასაფეთქლე რგოლი** (ხმმ №100357ბ/ა-80102ბ, ძვ.ლ. №381ბ), ოქროსი, (ელექტრუმის?) წრიული ფორმის, ბრტყელი. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალის ადების შემდეგ, მარცხენა ყურისა და კისრის არეში. წონა - 1.8 გრ; ზომა - დმ - 1.9 სმ. (ტაბ. III,1; IV,7; V,4).

8. **მონეტა** (ხმმ № 100361/ნ-1552, ძვ.ლ. №384), ვერცხლის, ოროდ II (ძვ.წ. 57-38 წწ); წონა - 2.92 გრ; ზომა - 20/21 მმ; აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალის ადების შემდეგ, ქვედა ყბასთან (ტაბ. III,1; IV,2).

9. **მძივები** (ხმმ №100362/ა-80104), პასტის, 34 ცალი. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასა და სამარხის კედელს შორის (ტაბ. III,9; IV,5; V,5).

სამარხში აღმოჩენილი მასალა დაცულია ხაშურის მუზეუმში (მიღება-ჩაბარების აქტი №2. 08.05.2021).

სამარხში აღმოჩენილი ნივთებით თუ ვიმსჯელებთ (ოქროს სასაფეთქლე რგოლები, ვერცხლის თასი და მონეტები), შეიძლება ვიფიქროთ, რომ დაკრძალული სიცოცხლეში ეკონომიურად შეძლებული და სოციალურად დაწინაურებული პიროვნება უნდა ყოფილიყო. ისტორიულად ეს ის დროა, როცა ქართლის სამეფო რომისა და პართიის იმპერიების კულტურულ გავლენას განიცდიდა (ახ.წ. I ს), ქართლის სამეფოზე გამავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები კი აძლიერებდა ამ გავლენებს [ლორთქიფანიძე 1957: 377-384; ნარიმანიშვილი 2009: 94-125]. აღნიშნული სავაჭრო თუ კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის საფუძველზე ხდებოდა რომაული სამყაროდან ქართლში სხვადასხვა ნაწარმის იმპორტირება, ხცისის №2 სამარხში აღმოჩენილი მასალის მსგავსი არტეფაქტები იბერიის არქეოლოგიურ ძეგლებზე ძვ.წ. I - ახ.წ. I სს-ში იჩენს თავს [კაჭარავა 2021: 240-259. ტაბ. V].

ხცისის სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ორყურა თასიც რომაული ნაწარმია. დღევანდელი მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე, მსგავსი ვერცხლის თასი მხოლოდ სოფ. ალაიანის №2 სამარხშია აღმოჩენილი და დათარიღებულია ახ.წ. I ს-ით [მირიანაშვილი 1983: 22, 61, ნახ. 2, სურ. 75].

როგორც აღვნიშნეთ, სამარხში აღმოჩნდა ოქროს ორი სასაფეთქლე რგოლი, რომელთაგან ერთი დადასტურდა მიცვალებულის თავის ქალის ქვეშ, საფეთქელთან ახლოს, მეორე — მარჯვენა ყურთან. მსგავსი სასაფეთქლე ოქროს რგოლები დადასტურებულია „რიყიანების ველის“ №1 სამარხში, ოღონდ რგოლები ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტასთან ერთად მიცვალებულს კბილებში ქონდა მოქცეული. ამავე სამარხში აღმოჩენილია ოროდ II-ის ვერცხლის დრაქმა (ძვ.წ. 58-38 წწ), რომელიც მიცვალებულს ხელში ეჭირა. სამარხი, ინვენტარის მიხედვით, დათარიღებულია ძვ.წ. I ს-ის II ნახევრით. ბრტყელი, წრიული ფორმის ოქროს სასაფეთქლე რგოლები, ასევე აღმოჩენილია ნასტაკისის ველის სამაროვანზე, ოღონდ ისინი უფრო ვიწრო და სქელია. სამარხი ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება [ბოხორაძე 1981: 9-35].

ხცისის სამარხის თითქმის იდენტური სასაფეთქლე რგოლი, სხვა ძვირფასი ლითონისაგან დამზადებულ მასალასთან ერთად, 1996 წელს შემთხვევით აღმოჩნდა ჩაქვის სოფ. ჩაისუბანში. მასალა დათარიღებულია გვიანელინისტური ხანით - ძვ.წ. II-I სს. [სურმანიძე 2002: 82-88, ტაბ. 1-2; კახიძე და სხვ. 2016: 31-35].

აღსანიშნავია ხცისის № მე-2 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის სამი მონეტა (მონეტები გაასუფთავა საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის ლაბორატორიის თანამშრომელმა თ. ფარჯანაძემ; განსაზღვრა - საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის თანამშრომელმა მ. პატარიძემ). მითრიდატე II-ის მონეტა დაფიქსირდა მიცვალებულის მარჯვენა ხელის სხივის ძვალთან; ოროდ II-ის ერთი მონეტა გამოვლინდა ვერცხლის თასთან; მეორე - მიცვალებულის თავის ქალის ადების შემდეგ, ქვედა ყბასთან. არ არის გამორიცხული, რომ მითრიდატე II-ს და ოროდ II-ს ერთი მონეტა თავიდან მოთავსებული ყოფილიყო ვერცხლის თასში და შემდეგ გადმოვარდა. რაც შეეხება ოროდ II-ს მეორე მონეტას, მისი მიცვალებულის ქვედა ყბასთან აღმოჩენის გამო, შეიძლება ვიფიქროთ, ბერძნული სამყაროდან შემოტანილი ე.წ. ქარონის ობოლის ჩატანების წესის შესაბამისად, მონეტა მიცვალებულს პირში ქონდა მოთავსებული.

საქართველოს ტერიტორიაზე მიცვალებულისათვის მონეტების ჩატანების ფაქტები ძვ.წ. V ს-დან დასტურდება გუადიხუსა და ფიჭვნარის სამაროვნებზე [Трапш 1963: 273; კახიძე და სხვ. 2005: 38]. ფიჭვნარის ძვ.წ. V-IV სს-ის ბერძნულ სამაროვანზე სამარხებში თითო მონეტაა აღმოჩენილი და ისინი მიცვალებულს კბილებში უდევს. არის შემთხვევა, როდესაც მონეტა მიცვალებულს ხელში უჭირავს [კახიძე და სხვ. 2004: 87-103]. ვანის ნაქალაქარზე მონეტები ძვ.წ. IV-III სს-ის თითქმის ყველა სამარხშია აღმოჩენილი [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 208].

აღმოსავლეთ საქართველოში ძვ.წ. IV-III სს-ის სამარხებში მიცვალებულისათვის მონეტების ჩატანების ფაქტი იშვიათად, მაგრამ მაინც ფიქსირდება: მცხეთიჯვრის სამაროვანზე [ბრაგვაძე და სხვ. 1993: 19,25]; ახალციხეში წნისის სამაროვანზე [კვიციანიძე 1983: 28-32]; ბორნიღელეს სამაროვანზე [ლამბაშიძე და სხვ. 1987: 42]; სამთავროს ძვ.წ. III-I სს-ის ქვევრსამარხებში [თოლორდავა 1980: 53]; მცხეთაში, მოგვთაკარის სამაროვანზე [სიხარულიძე და სხვ. 1985: 109-131]; საყარაულო სერის სამაროვანზე [ჯინჯიხაშვილი 1980: 48-49]; ბოგვის მდიდრულ სამარხში [მარგიშვილი 1992: 34, 77-78]; არკნეთის სამაროვანზე [ჯაფარიძე 1956: 190, 197] და სხვ. რიყიანების ველის №2 სამარხში აღმოჩენილია ათი მონეტა. მათგან ოროდ II-ის (58/57-38/37წწ) სამი მონეტა მიცვალებულს ხელში ეჭირა. დანარჩენი

შეიძლება აღმოჩნდეს მიცვალებულის ფეხებისა და მუცლის არეში: ოთხი ისევე როგორც II-ის, ორი ფრაგმენტ IV-ის (38/37-3/266), ერთი – არტაშან IV-ის (88-77 წწ). სამარხი ახ.წ. I ს-ის პირველი ნახევრით არის დათარიღებული [ბოხოჩაძე 1981: 9-35; მირიანაშვილი 1983: 1-120].

მიღებულია, რომ სამარხებში აღმოჩენილი მონეტების ტოპოგრაფია და რაოდენობა განსხვავებულია არამც თუ ერთ სამაროვანზე, არამედ ერთი სამაროვნის სამარხების ერთ ჯგუფშიც კი. რაც შეეხება ე.წ. ქარონის ობოლის ჩატანების წესს, რომელიც ბერძნული სამყაროდან შემოტანილად არის მიჩნეული, არც ერთ სამაროვნზე სავალდებულო წესად არ ფიქსირდება [კაჭარავა და სხვ. 2021: 271].

სამარხში აღმოჩენილი თიხის დოქი, განეკუთვნება სუფრის ჭურჭელს. აქვს ოდნავ შესქელებული პირის გვირგვინი. მრგვალგანივკვეთიანი ყური ჭურჭლის პირზე და ტანზეა მიძერწილი. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოშავო-მონაცრისფროდ, ემჩნევა ოდნავი სიპრიალე. ასეთივე ფერისაა ჭურჭლის კეციც. თავის მონოგრაფიაში გ. ნარიმანიშვილს ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მსგავსი დოქები გაერთიანებული აქვს V ქრონოლოგიურ ჯგუფში და ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით და ახ.წ. I ს-ით ათარიღებს [Нариманишвили 1991: 83; ნარიმანიშვილი 2018: 77-84].

სამარხში აღმოჩნდა 34 ცალი მინისებური პასტის მძივი, რომელთა შორის 32 ცალი მრგვალ-ბრტყელი ფორმისაა, მოთეთრო ფერის; საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი მძივები დროის ხანგრძლივ მონაკვეთში (ძვ.წ. I ათასწ. - ახ.წ. I ათასწ.) ფიქსირდება. კასრისებური ფორმის, მოყვითალო ფერის პასტის 1 მძივი, რომელიც აღმოჩენილია ხცისის სამარხში, ასევე ფართოდაა გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზე და ასევე დიდ ქრონოლოგიურ დიაპაზონს მოიცავს. სამარხში აღმოჩნდა ერთი პოლიქრომული მძივი, კასრისებური ფორმის, შავი ფერის, რომელსაც შუაში მოთეთრო-მონაცრისფრო მინის ზოლი აქვს ჩართული. მსგავსი პოლიქრომული მძივები აღმოჩენილია ვანში, ძვ.წ. II-I სს. [ლორთქიფანიძე და სხვ. 1983: 106]; სამთავროს № 106 ქვევრსამარხში, ძვ.წ. I – ახ.წ. I-II სს. [თოლორდავა 1980: 53]; არკნეთის №1 ორმოსამარხში, ძვ.წ. I – ახ.წ. I სს. [ჯაფარიძე 1956: 189,197]; დედოფლის გორაზე, ძვ.წ. I – ახ.წ. I სს. [გოგიბერიძე 2003: 104] და სხვ.

სამარხში აღმოჩენილი მძივების ნაწილი დაფიქსირდა მიცვალებულის თავის ქალაზე და მის გვერდით, რაც გვაფიქრებინებს, რომ მძივის ასხმით მიცვალებულს თმები ჰქონდა შეკრული, ან მძივები დამაგრებული ჰქონდა თავსაბურავზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამარხში დადასტურებული მასალისა და მოძიებული პარალელების გათვალისწინებით, ხცისის №2 სამარხი ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრითა და ახ.წ. I ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.

ლიტერატურა:

ბაგრატიონი 1941: ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოს, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ.

ბაგრატიონი 1986: ბაგრატიონი იოანე, ქართლ-კახეთის აღწერა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა. თბ.

ბოხოჩაძე 1981: ბოხოჩაძე ალ. არქეოლოგიური გათხრები ალაიანსა და ძალისაში. თბ.

ბრაგვაძე და სხვ. 1993: ბრაგვაძე ზ., დავითაშვილი ამ. მცხეთიჯვრის ელინისტური ხანის სამარხები, თბ.

გამყრელიძე და სხვ. 2013: გამყრელიძე გ., მინდორაშვილი დ., ბრაგვაძე ზ., კვაჭაძე მ. - ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. თბ.

გიულდენშტედტი 1962: გიულდენშტედტი იოჰან, მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა.

გოგიბერიძე 2003: გოგიბერიძე ნ. პოლიქრომული მინის მძივები დედოფლის გორიდან. – ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე (რედ. ზ. თვალჭრელიძე), 45. თბ.

დვალი 1990: დვალი თ. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5. თბ.

თოლორდავა 1980: თოლორდავა ვ. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში (ქვეევრსამარხები), თბ.

კახიძე და სხვ. 2016: კახიძე ამ., მამულაძე შ. აჭარის არქეოლოგიური ძეგლები, თბ.

კახიძე და სხვ. 2005: კახიძე ამ., ხალვაში მ. ქიოსური ამფორების ერთი ჯგუფის დათარიღების საკითხისათვის (ფიჭვნარის ძვ.წ. V ს-ის ბერძნული ნეკროპოლის მიხედვით), – ჟურ. “*ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში*” (რედ. ბ. მაისურაძე), №15-16, გვ. 170-172.

კახიძე და სხვ. 2004: კახიძე ამ., ვიკერსი მ. საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1998-2002) კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, კრებ. ფიჭვნარი, I, (რედ. ამ. კახიძე), ბათუმი-ოქსფორდი.

კაჭარავა 2021: კაჭარავა დ. უცხოური ნაწარმი, – საქართველოს არქეოლოგიის ნარკვევები (ძვ.წ. V–ახ.წ. Vსს), საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, – ჟურ. *იბერია-კოლხეთის დამატება*, I. (რედ. გ. გამყრელიძე), თბ. გვ. 240-259. ტაბ. V, სურ. 70.

კაჭარავა და სხვ. 2021: კაჭარავა დ., ჩარკვიანი მ., კვაჭაძე მ., გამყრელიძე გ. სამარხთა ტიპები და დაკრძალვის წესი. – საქართველოს არქეოლოგიის ნარკვევები (ძვ.წ. V – ახ.წ. V სს), საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, – ჟურ. *იბერია-კოლხეთის დამატება* (რედ. გ. გამყრელიძე), I. თბ. გვ. 259-278.

კვიციანიძე 1983: კვიციანიძე კ. წნისისხევის ადრეელინისტური ხანის სამაროვანი, ძეგლის მეგობარი, №63. გვ. 28-32.

ლორთქიფანიძე 1957: ლორთქიფანიძე ოთ. ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო სავაჭრო გზის შესახებ. – სმამ, XIX, №3. თბ. გვ. 377-384.

ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ან. არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წ. – კრებ. *ვანი* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), I, თბ., გვ. 198-243.

ლორთქიფანიძე და სხვ. 1983: ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., კაჭარავა დ., მათიაშვილი ნ., თოლორდავა ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ან., ლორთქიფანიძე მარგ., გიგოლაშვილი ელ., ლიჩელი ვ., გამყრელიძე გ. ანტიკური (ბერძნული) იმპორტი ვანსა და მის მიდამოებში. – კრებ. *ვანი*, VII (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), თბ.

მარგიშვილი 1992: მარგიშვილი ს. ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები ალგეთის ხეობიდან, თბ.

მირიანაშვილი 1983: მირიანაშვილი ნ. შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (აღაიანის არქეოლოგიური ძეგლები). – ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები (რედ. ალ. ბოხორაძე), II. თბ.

ნარიმანიშვილი 2009: ნარიმანიშვილი გ. დარაქოის ნამოსახლარი და სამხრეთ კავკასიის აქემენიდური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. – ჟურ. *იბერია-კოლხეთი*, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი (რედ. გ. გამყრელიძე), №5, თბ. გვ. 94-125.

ნარიმანიშვილი 2018: ნარიმანიშვილი გ. აღმოსავლეთ საქართველოს ძვ.წ. VII – ახ.წ. VII სს კერამიკა. – ჟურ. *იბერია-კოლხეთი*, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი (რედ. გ. გამყრელიძე), №14. გვ. 77-144.

ნუცუბიძე 1990: ნუცუბიძე ა. ხცისი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5. თბ. გვ. 462.

სიხარულიძე და სხვ. 1985: სიხარულიძე ან., აბუთიძე ა. დიდი მცხეთის ადრერკინის, ანტიკური და ადრე ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, მცხეთა VII (რედ. ან. აფაქიძე), თბ. გვ. 109-150.

სურმანიძე 2002: სურმანიძე ნ. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ჩაქვისწყლის ხეობაში, - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები - II, გვ. 82-88, ტაბ. 1-2. ბათუმი.

ლამბაშიძე და სხვ. 1987: ლამბაშიძე ოთ, ლამბაშიძე ირ. ახალი არქეოლოგიური მასალები სამცხე-ჯავახეთიდან. ჟურ. *ძეგლის მეგობარი*, №4. გვ. 36-43.

ქც, 1973: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ.4, თბ.

ჯაფარიძე 1956: ჯაფარიძე ოთ. არქეოლოგიური გათხრები სოფ. არკნეთში. — თსუ შრომები, ტ. 63, გვ. 186-206. თბ.

ჯინჯიხაშვილი 1980: ჯინჯიხაშვილი გ. ძვ.წ. I - ახ.წ. I სს. ქვევრსამარხები საყარაულო სერის სამაროვნიდან.- კრებ. კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები (რედ. გ. ცქიტიშვილი), გვ. 42-59. თბ.

Нариманишвили 1991: Нариманишвили Г. Керамика Картли V-I в.в. до н. э. Тб.

Трапш 1963: Трапш М. Некоторые итоги раскопок Цебельдинских некрополей 1960-62 гг. – Труды АБНИИ, XXXIII-XXXIV, Сухуми.

ტაბულების აღწერა:

ტაბ. I,1. სოფ. ხცისი, აეროფოტო; 2. სოფ. ხცისი, ხედი სამხრეთიდან.

ტაბ. II,1. სამარხი №2, ხედი აღმოსავლეთიდან; 2. სამარხი №2, დეტალი.

ტაბ. III,1. სამარხი №2, გრაფიკული ანაზომი; 2 სამარხი №2-ის დანალექის ჭრილი.

ტაბ. IV- V. სამარხი №2-ის ინვენტარი.

I



1



2


II




1



2



- 1. თიხის ჭურჭელი
- 2. თასი
- 3. 7.სასაფეთქლე რგოლი
- 4. 6. 8. მონეტა
- 5. რკინის ფრაგმენტი
- 9. მძივები



IV



1



2



3



4



5







6



7

V



0 1 2

სამგლოვიარო გვირგვინის (ხოირის) ფურცლები ურბნისიდან

ანა სახვაძე

ანტიკურ სამყაროში გვირგვინს სხვადასხვა ფუნქცია ჰქონდა. ის შესაძლოა ყოფილიყო სპორტულ, ლიტერატურულ თუ მუსიკალურ შეჯიბრებებში გამარჯვებულთა ჯილდო. ცნობილია სამხედრო ჯილდოდ მიღებული და ღვთაებებისთვის შეწირული გვირგვინებიც. მიცვალებულთა გვირგვინით შემკობის ტრადიცია ელინისტური და გვიანანტიკური ხანისთვისაა დამახასიათებელი და ეგეოსურ სამყაროს უკავშირდება [Deonna 1928: 27-28; ჭყონია 1981: 59-63].

ოქროს ან ვერცხლისაგან დამზადებული სამგლოვიარო გვირგვინები სხვადასხვა მცენარის ფოთლის გამოსახულებებს წარმოადგენს (დაფნა, ზეთისხილი, მირტი, მუხა, სურო, ვაზი). საქართველოში მსგავსი ტიპის, სავარაუდოდ, დაფნის გვირგვინის უადრესი აღმოჩენა დასტურდება ვანში ე.წ. მოზაიკურიატაკიან ტაძარში (ძვ.წ. II-I სს) და ტაძრის შეწირულობადაა მიჩნეული [ჭყონია 1981: 62]. შეწირულობა უნდა ყოფილიყო ახ.წ. 80 წლით დათარიღებულ დედოფლის გორის სასახლის ერთ-ერთ ოთახში საკურთხეველზე რომაული ღვთაებების ქანდაკებებთან ერთად დადასტურებული ოქროს რტო [გაგოშიძე 2016: 59]. სამგლოვიარო გვირგვინები გავრცელებულია ბოსფორის სამეფოს მდიდრულ სამარხებში [Максимова 1979: 44], საქართველოში კი ისინი გვიანანტიკურ ხანის სამარხებში ჩნდება. არმაზისხევში ბერსუმა ერისთავის სამარხში, მუხისა და ნიახურის ფოთლების ფორმის ოქროს ფურცლები - ხოირა აღმოჩნდა [აფაქიძე და სხვ. 1955: 49], ნიახურის ფოთლის მოყვანილობისაა ბაიათხევის №32 და №33 სამარხებში ნაპოვნი ხოირის ფურცლები [ნიკოლაიშვილი, გიუნაშვილი 1995: 97-134, სურ. 1030-1046], ასეთივე ფორმისაა სამთავროს სამაროვნის ერთ-ერთ სამარხსა [მანჯგალაძე 1985:43-107] და ამავე სამაროვნის №905 აკლდამაში [აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996] ნაპოვნი გვირგვინის ფურცლები. ხოირის ფურცლები დადასტურებულია აგრეთვე თბილისსა [დიღმელაშვილი 2014] და ბორში [Придик 1914]. დასაკრძალავი გვირგვინის ფურცლები აღმოჩნდა ურბნისშიც, სადაც გასული საუკუნის 60-იან წლებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად 25-ე უბანზე გვიანანტიკური ხანის სამაროვანი გამოვლინდა (25-ე უბანზე გათხრებს ხელმძღვანელობდა დ. ქორიძე). აქ სამგლოვიარო გვირგვინი 116 სამარხიდან რვა სამარხში დადასტურდა (სამარხი 189, 193, 51, 170, 215, 231, 216, 191). ფოთლები რამდენიმე ტიპისაა: სამკბილა (ერთ კომპლექსში), მართკუთხა (ერთ კომპლექსში) და რომბის ფორმის (შვიდ კომპლექსში). თითოეულზე რელიეფურად გამოყვანილია ფოთლებისათვის დამახასიათებელი ძარღვები. ურბნისში ფოთლების უმეტესობას რომბის ფორმა აქვს და დაფნის ფოთლის სტილიზებულ გამოსახულებას წარმოადგენს. მსგავსი ფორმის გვირგვინები საქართველოში არსად დასტურდება. ანალოგიური გვირგვინები ეგვიპტეში ფაიუმის, ჰავარას, ერ-რუბაიატში, ანტინოპოლისსა და სხვა ძეგლებზე აღმოჩენილ პორტრეტებზე გამოსახულ ადამიანებს ამკობთ. პორტრეტების თარიღი ახ.წ. 50-170 წლების ფარგლებში მერყეობს [Walker 1997: 40, 56, 71, 94-96, 108, 113, 115-116; cat. 13, 32, 48, 84, 86, 103, 108, 111; Стрелков 1936:103-108; III, V]. როგორც აღმოჩნდა, სამგლოვიარო გვირგვინის თანმხლები ინვენტარი ურბნისიდან ეგვიპტური პორტრეტების ასაკს ემთხვევა. მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა აღნიშნული სამარხების კომპლექსური კვლევა. ურბნისში აღმოჩენილი სამგლოვიარო გვირგვინის შემცველი სამარხები ორმოში გამართულ ხის კონსტრუქციას წარმოადგენდა, რომელშიც მიცვალებული ზურგზეა გამოტილი და დამხრობილი OW მიმართულებაზე. სამ შემთხვევაში

საქმე გვაქვს წყვილად დაკრძალვასთან (სამარხი №51, 231, 191). სამარხეული ინვენტარი მრავალფეროვანია და შეიცავს იმპორტულ მინის ჭურჭელსა და გლიპტიკურ ძეგლებს (ნივთები შესწავლილი და გამოქვეყნებულია მ. საგინაშვილისა და ქ. ჯავახიშვილის მიერ).

№189 სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის (ტაბ. I, კატ. №1) ანალოგია წითლად მოხატული თიხის დერგი დედოფლის გორის სასახლიდან, რომლის ნგრევის თარიღიც განსაზღვრულია ახ.წ. 80 წლით [Chanishvili and others 2008: 70-71, cat. 99]. სამარხში აღმოჩენილი მინის ჭურჭლების თარიღი ახ.წ. I საუკუნეა (ტაბ. I, კატ. 2-10) [საგინაშვილი 1970: 58, 60, 62-63], ხოლო გლიპტიკური ნიმუშების ყველაზე გვიანდელი თარიღი ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნის დასაწყისზე მოდის (ტაბ. I, კატ. 18-23) [ჯავახიშვილი 1972: 23-25, 81]. ე. ჰევერნიკს და მ. საგინაშვილს შესწავლილი აქვს კვირისტავის ფორმის მინის ნივთები, მათ შორის ურბნულიც. ისინი საკინძისთავებადაა მიჩნეული (ტაბ. I, კატ. 17) და ახ.წ. I-II საუკუნეებით თარიღდება [Haevernick 1981:226; საგინაშვილი 2004: 143-145]. №189 სამარხში აღმოჩენილი სამგლოვიარო გვირგვინის ფურცლები რომბის ფორმისაა, რომელთა პარალელების თარიღი ახ.წ. 50-170 წლებს შორის მერყეობს (ტაბ. I, კატ. 11). ინვენტარის გათვალისწინებით სამარხის თარიღი ახ.წ. I ს-ის ბოლო - ახ.წ. II ს-ის დასაწყისით განისაზღვრა.

№193 სამარხში აღმოჩენილი წითლად მოხატული თიხის დოქის (ტაბ. II, კატ. 31) ზუსტი ანალოგები აღმოჩენილია ამავე სამაროვნის №105, 152 და 207 სამარხებში, აგრეთვე, ახ.წ. 80 წლით დათარიღებულ დედოფლის გორის სასახლესა [Chanishvil and others 2008: 78, კატ. 54] და არაუგვიანეს ახ.წ. I საუკუნის დასასრულით დათარიღებულ რიყიანების ველის სამაროვნის №6 სამარხში [მირიანაშვილი 1983: 24-26, სურ. 42]; გლიპტიკის ნიმუშები (ტაბ. II, კატ. 59-63) ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II საუკუნის დასაწყისით თარიღდება [ჯავახიშვილი 1972:41-44, კატ. 43-48], ხოლო მინის ჭურჭელი ახ.წ. I საუკუნეს არ სცდება (ტაბ. II, კატ. 33-44) [საგინაშვილი 1970, კატ. 40, 45, 46, 49, 50, 51, 76, 82, 94, 103, 104, 108, 109, 110, 112, 125]. აქვე აღმოჩენილი ქარვის მძივი კურდღლის გამოსახულებით (ტაბ. II, კატ. 54) ე.მ. ალექსეევას კლასიფიკაციის 34-ე ტიპს მიესადაგა და თარიღდება ახ.წ. I ს. მეორე ნახევარი - II საუკუნით [Алексеева 1978: 25, ტაბ. 25,10]. სამარხში დადასტურებული მინის საკინძისთავი (ტაბ. II, კატ. 58) გავრცელება ახ.წ. I-II საუკუნეებს უკავშირდება [Haevernick 1981: 226; საგინაშვილი 2004:143-145]. №193 სამარხში რომბისებური ფორმის სამგლოვიარო გვირგვინის ფურცლებთან ერთად სამკბილა ფორმის ფოთლებიც აღმოჩნდა (ტაბ. II, კატ. 50). თუ რომბისებურ ფოთლებს ანალოგი არ ეძებნებათ საქართველოში, სამკბილა ფოთლები გავრცელებულია ისეთ ძეგლებზე, როგორცაა სამთავროს სამაროვნის ახ.წ. II საუკუნეების კრამიტსამარხები [ჯალაბაძე და სხვ. 2019:13, კატ. 3, 4; მანჯგალაძე 1985, კატ. 228-229] და ისინი გვხვდება გვიანაც ახ.წ. II-III საუკუნეების სამარხებში [აფაქიძე და სხვ. 1955: 22-59]. სამარხეული ინვენტარის მიხედვით №193 სამარხი ახ.წ. I ს-ის ბოლო - ახ.წ. II ს-ის დასაწყისში უნდა გამართულიყო.

№51 სამარხში აღმოჩენილია წითლადმოხატული ყელნიბოიანი დოქი (ტაბ. III, კატ. 70). ყელნიბოიანი დოქების გავრცელებას დ. გაგოშიძე ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრიდან ვარაუდობს [გაგოშიძე და სხვ. 2020: 258]; მინის ჭურჭელი (ტაბ. III, კატ. 72-74) სირიული ნაწარმია და დათარიღებულია ახ.წ. I საუკუნით [საგინაშვილი 1970: 67, კატ. 94, 95]; გლიპტიკური ძეგლები ახ.წ. I-II საუკუნეებითაა დათარიღებული (ტაბ. III, კატ. 77-79) [ჯავახიშვილი 1972: 39-40, კატ. 40, 41, 42]. ეგვიპტური პორტრეტების მიხედვით ამავე პერიოდით განისაზღვრა რომბის ფორმის სამგლოვიარო გვირგვინის ფურცლებიც (ტაბ. III, კატ. 75) [Walker 1997: 40, 56, 71, 94-96, 108, 113, 115-116; cat.13, 32, 48, 84, 86, 103, 108, 111].

სამარხეული კონტექსტი და მისი მსგავსება ამავე სამაროვნის არაუგვიანეს ახ.წ. II ს-ის დასაწყისით დათარიღებული სამარხების ინვენტართან (თიხის ჭურჭელი, სამგლოვიარო გვირგვინი, გლიპტიკური ნიმუშები, მინის ჭურჭელი), №51 სამარხის თარიღს ახ.წ. II ს-ის დასაწყისით განსაზღვრავს.

№170 სამარხის ორყურა, ყელნიბოიანი დოქი (ტაბ. III₂, კატ. 84) მსგავსია ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილი ასეთივე ჭურჭლის [Chanishvili 2008: 69, კატ. 67]. ახ.წ. I ს-ის ბოლოდან ვარაუდობს დ. გაგომიძე ყელნიბოიანი ჭურჭლების გავრცელებას [გაგომიძე და სხვ. 2020: 258]. სამარხში ნაპოვნი მინის ჭურჭელი ახ.წ. I საუკუნით (ტაბ. III₂, კატ. 85-89) [საგინაშვილი 1970: 51, 52, 68, 70, 72, 84], გლიპტიკური ნიმუშები კი ახ.წ. I ან II საუკუნეებითა განსაზღვრული (ტაბ. III₂, კატ. 100-103) [ჯავახიშვილი 1972: 37-39], რომის ფორმის სამგლოვიარო გვირგვინის ფოთლები პარალელების მიხედვით ახ.წ. 50-170 წლებით თარიღდება (ტაბ. III₂, კატ. 94) [Walker 1997: 40, 56, 71, 94-96, 108, 113, 115-116; cat. 13, 32, 48, 84, 86, 103, 108, 111]. დათარიღებისთვის გასათვალისწინებელია სამარხის სტრატეგრაფია. №170 სამარხის თავზე გამართული იყო ახ.წ. III ს-ის მასალების შემცველი №168 სამარხი. ირკვევა, რომ სამარხი ახ.წ. III საუკუნემდე გაიმართა, სამარხეული ინვენტარის მიხედვით კი, №170 სამარხის თარიღს ახ.წ. II ს-ის პირველი ნახევრით განვსაზღვრავთ.

№215 სამარხში აღმოჩენილი მინის სანელსაცხებლები ახ.წ. I ს-თა დათარიღებული (ტაბ. IV₁, კატ. 111-112) [საგინაშვილი 1970: 60-61, კატ. 61, 62]. სამარხში ნაპოვნი დოქი (ტაბ. IV₁, კატ. 110) დაუდევრადაა გაპრიალებული, რაც ახასიათებს ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრის - ახ.წ. II საუკუნეების შავად გამომწვარ ჭურჭელს [ნარიმანიშვილი 2018: 102]. სამარხეული ინვენტარის მიხედვით სამარხი ახ.წ. I ს-ის ბოლო - II ს-ის დასაწყისით განვსაზღვრეთ.

№231 სამარხში ნაპოვნი მინის ჭურჭელი (ტაბ. IV₂, კატ. 124, 125) დათარიღებულია ახ.წ. I- II საუკუნეებით [საგინაშვილი 1970: 78, კატ. 152, 153]. მინის ჭურჭლის მიხედვით დათარიღდა გლიპტიკური ძეგლიც (ტაბ. IV₂, კატ. 129) [ჯავახიშვილი 1972: 57, კატ. 79]. აღნიშნულ თარიღს არ ეწინააღმდეგება სამგლოვიარო გვირგვინის ფოთლების გავრცელების ხანაც (ტაბ. IV₂, კატ. 126) [Walker 1997: 40, 56, 71, 94-96, 108, 113, 115-116; cat. 13, 32, 48, 84, 86, 103, 108, 111]. სამარხის თარიღი არაუგვიანეს ახ.წ. II ს-ის დასაწყისით უნდა განისაზღვროს.

№216 სამარხში დამათარიღებელი ნივთი მხოლოდ სამგლოვიარო გვირგვინია (ტაბ. IV₂, კატ. 132), რომლის მსგავსება ამავე სამაროვნის №189, 193, 51, 170, 215 და №231 სამარხებში აღმოჩენილ ასეთივე ფოთლებთან (ტაბ. I, კატ. 11; ტაბ. II, კატ. 50; ტაბ. III₁, კატ. 75; ტაბ. III₂, კატ. 94; ტაბ. IV₁, კატ. 114; ტაბ. IV₂, კატ. 126) №216 სამარხის ზედა თარიღს ახ.წ. II ს-ის დასაწყისით განსაზღვრავს.

№191 სამარხში ნაპოვნი ცალყურა დოქი (ტაბ. IV₄, კატ. 136) მსგავსია ყათლანისხევის № 2 სამარხში ნაპოვნი დოქისა. ამავე სამარხში ნაპოვნი გემა ახ.წ. II-III საუკუნეებით განსაზღვრა მ. ლორთქიფანიძემ [ნახუტაიშვილი 1964: 91, ტაბ. I]. ახ.წ. I-II საუკუნეებით თარიღდება ურბნისის №191 სამარხში ნაპოვნი წითლად შეღებილი თიხის ორყურა ჭურჭლის (ტაბ. IV₄, კატ. 137) ანალოგი ამავე სამაროვნის მე-16 უბნის სამარხიდან [ჭილაშვილი 1964: 48 ტაბ. XIII₃]. ახ.წ. II ს-ის მეორე ნახევრის სამთავროს N 136 აგურსამარხში მსგავსი ჭურჭელია ნაპოვნი [Ивашенко 1980: 11, კატ. 98]. ჟინვალის სამაროვნის №523 კომპლექსში აღმოჩენილი მსგავსი ჭურჭელი კი, ახ.წ. III საუკუნითაა დათარიღებული [ჩიხლაძე 2015: 91-92, 264, ტაბ. XXXVIII₂₁₅]. ორყურა ქილის (ტაბ. IV₄, კატ. 137) ანალოგებია ამავე სამაროვნის №265, №11 სამარხების ნაშთში, №183, №73 სამარხებში აღმოჩენილი. ეს სამარხები ახ.წ. III ს-ის მასალას

შეიცავს. ვფიქრობთ, მსგავსი ტიპის ჭურჭლები ახ.წ. II ს-ის მეორე ნახევრიდან იწყებს გამოჩენას და №191 სამარხის დოქი (ტაბ. IV₄, კატ. 137) შესაძლოა ერთ-ერთი ადრეული ფორმაა. შემკობის სტილით ის განსხვავდება ამავე სამაროვნის მსგავსი ტიპის ორნამენტით შემკული ჭურჭლებისაგან, რომლებიც ახ.წ. III ს-ის სამარხებში აღმოჩნდა. განსხვავება სავარაუდოდ, მათმა მცირე ქრონოლოგიურმა სხვაობამ განაპირობა.

№191 სამარხის მინის ჭურჭელი (ტაბ. IV₄, კატ. 138) და ინტალიოები (ტაბ. IV₄, კატ. 145, 146) ახ.წ. II საუკუნით თარიღდება [საგინაშვილი 1970: 80, 87; ჯავახიშვილი 1972:54]. რაც შეეხება სამგლოვიარო გვირგვინის ფოთლების ფორმა №191 სამარხში განსხვავებულია. მართკუთხა ფორმის ფოთლებზე რელიეფურად გამოყვანილია ძარღვები (ტაბ. IV₄, კატ. 141). ყველა სამარხი, სადაც რომბის ფორმის ფოთლები აღმოჩნდა, დათარიღდა ახ.წ. I საუკუნის ბოლო - II ს-ის დასაწყისით. სამარხეული ინვენტარის მიხედვით №191 სამარხის გამართვა ახ.წ. II ს-ის მიწურულშია სავარაუდო. სამარხების ქრონოლოგიური სხვაობა კარგად გამოჩნდა ხოირის ფოთლების ფორმაშიც. კერძოდ, რომბის ფორმის ფურცლები ზუსტად იმ პერიოდის სამარხებში დასტურდება, რომელიც ეგვიპტური პორტრეტების თანადროულია, ხოლო მოგვიანებით ფოთლების ფორმა იცვლება და მათი სამარხში არსებობა დაკრძალვის წესის ტრადიციის შენარჩუნებით აიხსნება. №191 სამარხის ახ.წ. II ს-ის მიწურულით დათარიღებას მასში აღმოჩენილი ინვენტარი არ ეწინააღმდეგება.

სამგლოვიარო გვირგვინების შემცველი სამარხებიდან ოთხში ბაგისსაფარიც აღმოჩნდა (სამ. №189, 193, 216, 191; ტაბ. I, კატ. 13, ტაბ. II, კატ. 51, ტაბ. IV₃, კატ. 133, ტაბ. IV₄, კატ. 142). ბაგისსაფარი საქართველოში, წინწყაროსა და ყანჩაეთის ელინისტური ხანით დათარიღებულ კომპლექსებში გვხვდება [გაგოშიძე 1964: 15-19]. მოგვიანებით მსგავსი ფირფიტები გვიანანტიკური ხანის სამარხებშიც (მცხეთა, კლდეეთი) დადასტურდა. ჩანს, მათი სამარხში ჩაყოლება ელინისტური ტრადიციას, რომელიც გრძელდება ახ.წ. I-II საუკუნეებშიც. აღსანიშნავია, რომ ხოირის ფურცლების მსგავსად, №191 სამარხში აღმოჩენილი ბაგისსაფარი ფორმით განსხვავდება დანარჩენებისაგან. ეს უკანასკნელი აქვე დადასტურებული სამგლოვიარო გვირგვინის ფოთლების ფორმას იმეორებს და მართკუთხაა. ბაგისსაფარები ბოლოებზე გახვრეტილია.

დღევანდელი მონაცემებით ურბნისში სამი ტიპის სამგლოვიარო გვირგვინის ფოთლები დადასტურდა: სამკბილა, მართკუთხა და რომბის ფორმის. უმეტესობა რომბის ფორმისაა და ანალოგიურია ეგვიპტის ზოგიერთ პორტრეტზე გამოსახული გვირგვინებისა. ურბნისის კომპლექსების სინქრონულია პორტრეტების გავრცელების თარიღი - ახ.წ. 50-170 წლები. მიუხედავად იმისა, რომ ურბნისის სამაროვანი ახ.წ. III-IV საუკუნეებშიც აგრძელებს არსებობას, ამ პერიოდის სამარხებში გვირგვინები უკვე აღარ დასტურდება. განსხვავებული სურათია გვიანანტიკური ხანის სხვა ძეგლებზე - არმაზისხევი, ბაიათხევი და სამთავრო, სადაც სამკბილა და მუხის ფოთლის ფორმის სამგლოვიარო გვირგვინები ახ.წ. III-IV საუკუნეების სამარხებში დასტურდება.

ლიტერატურა:

აფაქიძე და სხვ.1955: აფაქიძე ან., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ. მცხეთა -არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, მცხეთა I, თბ.

აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996: აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ., მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი ახ.წ. III ს-ის - აკლდამა 905, - კრებ. მცხეთა XI, (რედ. ან. აფაქიძე), გვ. 7-42.

გაგოშიძე 1964: გაგოშიძე იულ. ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ.

გაგოშიძე 2016: გაგოშიძე იულ. რომაული პანთეონი ზოროასტრულ საკურთხეველზე, - კრებ. მუზეუმი, №4, გვ. 56-59.

გაგოშიძე და სხვ.2020: გაგოშიძე იულ., გაგოშიძე დ., გოგიბერიძე ნ., სახვაძე ან., ჭანიშვილი თ., ტახტიძირის სამაროვნები, თბ.

დიღმელაშვილი 2014: დიღმელაშვილი ქ., საკრძალავი რიტუალის ერთი დეტალი მცხეთის მუზეუმიდან, - კრებ. მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა, ტ. I, თბ.

კერესელიძე 1978: კერესელიძე თ., ძვლის ნივთების კატალოგი, თბ.

მანჯგალაძე 1985: მანჯგალაძე გ. სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები, - კრებ. *მცხეთა* (რედ. ან. აფაქიძე), VII, თბ., გვ. 43-108.

მირიანაშვილი 1983: მირიანაშვილი ნ., შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები II, თბ.

ნარიმანიშვილი 2018: ნარიმანიშვილი გ., აღმოსავლეთ საქართველოს ძვ.წ. VII - ახ.წ. VII სს კერამიკა (ნანილი II), ჟურ. *იბერია-კოლხეთი*, (რედ. გ. გამყრელიძე) 14, თბ., გვ. 77-144.

ნიკოლაიშვილი, ვ., გიუნაშვილი, გ. 1995: მცხეთა - არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ბაიათხევი, - კრებ. *მცხეთა*, X, (რედ. ან. აფაქიძე), თბ., გვ. 97-134.

საგინაშვილი 1970: საგინაშვილი მ. ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი, თბ.

საგინაშვილი 2004: საგინაშვილი მ. კიდევ ერთხელ კვირისტავის ფორმის მინის საკინძისთავეების შესახებ, - ჟურ. *ძიებანი* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), 13-14, თბ., გვ. 143-146.

ჩიხლაძე 2015: ჩიხლაძე ვ. წინაქრისტიანული ხანის ჟინვალის სამაროვანი, თბ.

ჭილაშვილი 1964: ჭილაშვილი ლ., ნაქალაქარი ურბნისი, თბ.

ჭყონია 1981: ჭყონია ან. ოქროს სამკაული ვანის ნაქალაქარიდან, -კრებ. *ვანი* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), VI, თბ., გვ. 59-63.

ხახუტაიშვილი 1964: ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე I, 1957-1963 წწ., თბ.

ჯავახიშვილი 1972: ჯავახიშვილი ქ. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ.

ჯალაბაძე და სხვ. 2019: ჯალაბაძე მ., ჯავახიშვილი ქ., დავლიანიძე ც., კუბლაშვილი მ., ქობალია ნ., სახვაძე ან. ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები სამთავროდან, თბ.

Chanishvili and others 2008: Chanishvili T., Furtwängler, A., Gagoshidze, I., Löhr, H., Ludvig, N., Pottery, The excavations of the palace at Dedoplist Gora and the Roman influence in the Caucasian kingdom of Iberia, Iberia and Rome, *Langenweißbach*, pp. 63-86.

Deonna 1928: Deonna W. Bandeau funéraire en or du musée de Genève. RA, V s., Rome XXVII, Paris.

Haevernick 1981: Haevernick E. Beiträge zur Glasforschung (Die Wichtigsten aufsätze von 1938 bis 1981. Verlag Philipp von zabern, Mainz am Rhein, pp. 221-227.

Walker 1997: Walker S. (ed.) Ancient Faces, New York.

Алексеева 1978: Алексеева Е. Античные бусы Сев. Причерноморья, Археология, В. Г1-12., М.

Иващенко 1980: Иващенко М. Самтаврские погребения первых трех веков н.э., Мцхета III, Тб.

Максимова 1979: Максимова М. Артюховский курган, Л.

Придик 1914: Придик Е. Придик Новые кавкзские клады. МАР, вып. 34.

Стрелков 1936: Стрелков А. Фаюмский портрет, "Academia", М.

ტაბულების აღწერა (კატალოგი):

ტაბულა I. (ფრაგმენტული ნივთები ტაბულებზე დატანილი არ არის, თუმცა აღწერაში წარმოდგენილია სამარხში აღმოჩენილი თითოეული ნივთი). **სამარხი №189: 1.** დერგი, თიხის, ვარდისფრად გამომწვარი, ყელნიბოიანი, წითლად მოხატული (GNM 1-1-61: 34 76). **2-10.**

სანელსაცხებლები, მინის, გამჭვირვალე, თავისფულად ნაბერი. პირგადაშლილი, ბაკოს შემოუყვება ირგვლივი ღარი, ყელი ცილინდრული, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი. ორყურა. ყურები მიმაგრებულია ყელსა და მხარზე. სიმაღლე - 6 სმ, პირის დიამეტრი - 2,7 სმ, მუცლის დიამეტრი - 4,8 სმ (GNM1-1-61:3477-3485). ახ.ნ. I საუკუნე [საგინაშვილი 1970, კატ. 48,59,60,74,69,75,70,98]. **11.** სამგლოვიარო გვირგვინი, ფურცლები (14 ცალი). ფურცლოვანი ოქროსი. რომბის ფორმის, რელიეფური ძარღვებით (GNM1-1-61:3488). **12.** საყურე, ოქროსი. წყვილი (GNM1-1-61:3487). **13.** ბაგისსაფარი, ფურცლოვანი ოქროსი. წვერებთან ნახვრეტებით (GNM1-1-61:3486). **14.** საკიდები, ეგვიპტური ფაიანსის (2ც.) (GNM 1-1-61:3490). **15.** მძივები, ბრინჯაოსი (8ც.), სარდიონის, აქატის, მინის, პასტის, გიშერის. მძივსაკიდი, პასტა (GNM1-1-61:3495). **16.** ზარაკი, ბრინჯაო. ნახევარსფერული (GNM1-1-61:3492). **17.** საკინძისთავი, მინის (GNM1-1-61:3494). **18.** ბეჭედი, ინტალიო. ვერცხლი, გრანატი. აფროდიტეს გამოსახულებით (GNM1-გლ.ფ. №1044). ინტალიო - ძვ.ნ. I საუკუნის ბოლო ახ.ნ. I საუკუნის დასაწყისი [ჯავახიშვილი 1972:23, კატ. 3]. **19.** ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სარდიონი. ჰერმესის გამოსახულებით (GNM1-გლ.ფ. №1039). ინტალიო - ახ.ნ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი [ჯავახიშვილი 1972:24, კატ. 6]. **20.** ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. არტემიდა ეფესელის გამოსახულებით (GNM1- გლ.ფ. №1041). ახ.ნ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი [ჯავახიშვილი 1972:25, კატ. 7]. **21.** ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. ძალის გამოსახულებით (GNM1-გლ.ფ. №1042). ინტალიო - ახ.ნ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი [ჯავახიშვილი 1972:25, კატ. 8]. **22.** ბეჭედი, ინტალიო. რკინა, მინა. გამოსახულია მხედარი (GNM1-გლ.ფ.№1040). ახ.ნ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი [ჯავახიშვილი 1972:81, კატ. 131]. **23.** ბეჭედი, ინტალიო. რკინა, მინა. გამოსახულია ხელი ყაყაჩოებით და თავთავებით (GNM1-გლ.ფ.№1043). ახ.ნ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი [ჯავახიშვილი 1972:25, კატ. 9]. **24.** ბეჭედი, ვერცხლი. თეთრი პასტის თვალით (GNM1-1-61:3503). **25.** ბეჭედი, ბრინჯაო (GNM1-1-61:3504). **26.** მონეტა. ვერცხლი. ავგუსტეს დენარი. ქარონის ობოლი. (GNM1-1-61:3489). **27.** ილარი, ვერცხლი (GNM1-1-61:3493). **28.** ნემსი/მახათი, ბრინჯაო (GNM1-1-61:3491). **29.** ნივთი/სტილოსი, ძვალი (1-1-61:3496). [კერესელიძე 1978:75]. **30.** ლურსმნები, რკინა. მსხვილი. დაჟანგული. სარკოფაგის ნაწილები (GNM1-1-61:3505).

ტაბულა II. სამარხი 193: 31. დოქი, თიხის. ჩალისფერკეციანი, წითლად მოხატული (GNM1-1-61:3537). **32-49.** ჭურჭელი, მინაის (GNM1-1-61:3538-3555). ახ.ნ. I საუკუნე [საგინაშვილი 1970, კატ. 45, 46,49-51,112,40,109,110,125,76,108,91,82,103,104]. **50.** სამგლოვიარო გვირგვინის ფურცლები, ოქრო. რომბის ფორმის, ზედაპირზე რელიეფური ძარღვებით (28 ც.), სამკბილა (2ც.) (GNM1-1-61:3564). **51.** ბაგისსაფარი, ფურცლოვანი ოქრო. რომბის ფორმის. წვეროებთან გახვრეტილი. ეფინა პირზე (GNM1-1-61:3565). **52.** საყურე, ოქრო. წყვილი (GNM1-1-61:3566). **53.** საკიდი, ბრინჯაო. წყვილი (GNM1-1-61:3573). **54.** მძივსაკიდები, ქარვა. კურდღლის/ძალის გამოსახულება (GNM1-1-61:3567, 3568). **55.** მძივსაკიდი, ქარვა (4ც.) (GNM1-1-61:3569). **56.** მძივები. ქარვა, გიშერი, მთის ბროლი, მინა (GNM1-1-61:3570). **57.** ზარაკი, ბრინჯაო. ნახევარსფერული (GNM1-1-61:3572). **58.** საკინძისთავი, მინა (GNM1-1-61:3571). **59.** ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. ფორტუნას გამოსახულებით (GNM1 გლ.ფ. №1054). ინტალიო- ახ.ნ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი [ჯავახიშვილი 1972:41-42, კატ. 44]. **60.** ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სამფენიანი მინა. ფორტუნას გამოსახულებით. ბეჭდის დიამეტრი - 1,9 სმ (GNM 1-გლ.ფ. 1052) [ჯავახიშვილი 1972:42, კატ. 45]. ინტალიო - ახ.ნ. I საუკუნის მეორე ნახევრითა და II საუკუნის დასაწყისით თარიღდება [ჯავახიშვილი 1972:42, კატ. 45]. **61.** ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სამფენიანი

მინა. ფორტუნას გამოსახულებით. ბეჭდის დიამეტრი - 1,8 სმ, სიმაღლე - 2,5 სმ (GNM1- გლ.ფ. №1053). ახ.ნ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი [ჯავახიშვილი 1972:43, კატ. 46]. **62.** ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სამფენიანი მინა. გამოსახულია ათენა (GNM 1- გლ.ფ. 1050). ინტალიო - ახ.ნ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი [ჯავახიშვილი 1972:43, კატ. 47]. **63.** ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. ქვაზე გამოსახულია სამფეხა არსება (გორგონა) - ადამიანის თავით ცენტრში (GNM1- გლ.ფ. №1051) [ჯავახიშვილი 1972:41, კატ. 43]. **64.** ბეჭედი, ინტალიო. რკინა, პასტა. თვალზე გამოსახულია ცხოველი (GNM 1-1-61:3561, გლ.ფ. №1055) [ჯავახიშვილი 1972:44, კატ. 48]. **65.** მონეტა, ვერცხლი. გოტარზე-არტაბან II. ქარონის ობოლი (GNM1-1-61:3563, გ.ფ. №11049). **66.** სარკე, ბრინჯაო. დამტვრეული (GNM1-1-61:3576). **67.** ნივთი, ბრინჯაო (GNM1-1-61:3574). **68.** ნივთი, ძვალი. ღეროვანი, ნატეხები (GNM1-1-61:3575). **69.** ნიჟარა. დამტვრეული (GNM1-1-61:3577).

ტაბულა III-1. სამარხი 51: **70.** დოქი, თიხა. ჩალისფრად გამომწვარი, ნითლად მოხატული. (GNM1-1-59:2253). **71.** დოქი, თიხა. ჩალისფრად გამომწვარი, სამტუჩა (GNM1-1-59:2252). **72-74.** სანელსაცხებლები, მინა. (GNM1-1-59:2256,2254,2255). ახ.ნ. I საუკუნე [საგინაშვილი 1970, კატ. 52,94,95]. **75.** სამგლოვიარო გვირგვინი, ფურცლები, ოქრო. (21 ც.). რომბის ფორმის, რელიეფური ძარღვებით. (GNM1-1-59:2264). **76.** მძივი, სარდიონი. (GNM1-1-59:2257). **77.** ბეჭედი, ინტალიო. ვერცხლი, მინა. გამოსახულია ამური და ფსიქეა. (GNM1- გლ.ფ. №973). ახ.ნ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი [ჯავახიშვილი 1972:40, კატ. 41]. **78.** ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. აპოლონის გამოსახულებით. (GNM1-1-59:2265; გლ.ფ. №971). ახ.ნ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი [ჯავახიშვილი 1972:40, კატ. 42]. **79.** ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სარდიონი. ათენას გამოსახულებით. (GNM1-1-59:2266, გლ.ფ. №972). ახ.ნ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი [ჯავახიშვილი 1972:39, კატ. 40]. **80.** ბალთა, ბრინჯაო. (GNM1-1-59:2262). **81.** აბზინდა, რკინა. (GNM1-1-59:2260). **82.** მონეტა, ვერცხლი. აგვუსტუსის. ქარონის ობოლი. (GNM1-1-59:2263). **83.** რგოლი, ნყვილი. ბრინჯაო. (GNM1-1-59:2258, 2259).

ტაბულა III-2. სამარხი 170: **84.** პელიკისებრი ჭურჭელი, თიხა. ვარდისფრად გამომწვარი, ყელნიბოიანი, ორყურა (GNM1-1-61:3351). **85-93.** სანელსაცხებლები, მინა (GNM1-1-61:3352-3360). ახ.ნ. I საუკუნე [საგინაშვილი 1970, კატ.15,10,119,120,111,183,184, 102,182]. **94.** სამგლოვიარო გვირგვინი, ფურცლები, ოქრო (7ც.). რომბის ფორმის, რელიეფური ძარღვებით (GNM1-1-61:3376). **95.** მძივსაკიდები (3ც.), მინისებრი პასტა (GNM1-1-61:3373). **96.** მძივები. ბრინჯაო, სარდიონი, მინა, პასტა, გიშერი, ქარვა (GNM1-1-61:3372). **97.** სკარაბეოიდი, მინა (GNM1-1-61:3374). **98.** ზარაკი, ბრინჯაო. კონუსური (GNM1-1-61:3370). **99.** საკინძი, ბრინჯაო (GNM1-1-61:3371). **100.** ბეჭედი, ინტალიო. ვერცხლი, სარდიონი. გამოსახულია ეტლში შებმული ორი ცხენი. ეტლში დგას გამარჯვების ქალღმერთი ნიკეა(?) (GNM1-1-61:3361, გლ.ფ. №1021). ახ.ნ. I-II საუკუნეები [ჯავახიშვილი 1972:38, კატ. 37]. **101.** ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. ბრინჯაოს ბეჭედში ჩასმულ ინტალიოზე გამოსახულია ფრთოსანი ნიკე (GNM1 გლ.ფ. №1024). ახ.ნ. II საუკუნე [ჯავახიშვილი 1972:39, კატ. 39]. **102.** ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, მინა. არტემიდეს გამოსახულებით. ღერო ნაკლულია. თვალის სიგრძე - 0,6 სმ, სიგანე - 0,5 სმ. (GNM1 გლ.ფ. №1023). ახ.ნ. I ს. და II ს-ის დასაწყისი [ჯავახიშვილი 1972:37, კატ. 36]. **103.** ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. ათენას გამოსახულებით (GNM1-1-61:3362, გლ. ფ. №1022). გემა - ახ.ნ. II ს. [ჯავახიშვილი 1972:38, კატ. 38]. **104-106.** ბეჭედი, ბრინჯაო (3ც.) (GNM1-1-61:3365, 3366,

3367). **107.** ბეჭედი, რკინა (GNM1-1-61:3368). **108.** ბეჭედი, მინა. ყვითელი (GNM1-1-61:3369). **109.** ნივთი, ძვალი (GNM1-1-61:3375) [კერესელიძე 1978:75, კატ. 254].


ტაბულა IV-1. სამარხი 215: 110. დოქი, თიხა. შავპრილა (GNM1-1-62:3761). **111-113.** სანელსაცხებლები, მინა (GNM1-1-62:3762, 3763, 3764). ახ.ნ. I ს. [საგინაშვილი 1970:60, კატ. 61, 62]. **114.** სამგლოვიარო გვირგვინი, ფურცლები, ოქრო (12ც.). რელიეფური ძარღვებით (GNM1-1-62: 3765). **115.** საყურე, ვერცხლი. წყვილი (GNM1-1-62: 3768). **116.** მძივები. გიშერი, მინა, პასტა, სარდიონი, აქატი, მთის ბროლი. საკიდები. პასტა (GNM1-1-62:3773). **117.** ზარაკი, ბრინჯაო. კონუსური, ზედაპირი დაფარულია ირგვლივი ღარებით (GNM 1-1-62:3767). **118.** ბეჭდები (2ც.), რკინა. ერთ-ერთს აქვს შერჩენილი თეთრი პასტის თვალი (GNM1-1-62:3765). **119.** მახათი, ბრინჯაო (GNM1-1-62:3766). **120.** დანა, რკინა (GNM1-1-62:3769). **121.** მონეტა, ვერცხლი. გოტარზე-არტაბან II. ქარონის ობოლი (GNM1-1-62:3770, გ.ფ. 11050). **122.** ლურსმნები, რკინა. ოთხნახნაგა, დამტვრეული. სარკოფაგის ნაწილი (GNM1-1-62: 3772).

ტაბულა IV-2. სამარხი 231: 123. დოქი, თიხისა. ვარდისფრად გამომწვარი (GNM1-1-62 :39 24). **124, 125.** სანელსაცხებლები, მინა (GNM1-1-62:3925, 3926). ახ.ნ. I-II საუკუნე [საგინაშვილი 1970:78, კატ. 152, 153]. **126.** სამგლოვიარო გვირგვინი, ფურცლები. ოქრო. (15ც.). რომბისებური ფორმის, რელიეფური ძარღვები (GNM1-1-62:3929). **127.** საყურე, ვერცხლი (GNM1-1-62:3932). **128.** მძივები. სარდიონი, მთის ბროლი, პასტა, მინა, გიშერი, ქარვა (GNM1-1-62:3930, 3933). **129.** ბეჭედი, ინტალიო. ბრინჯაო, სარდიონი. გამოსახულია ხელი თავთავებით (GNM1-1-62:3929) [ჯავახიშვილი 1972:57, კატ. 79]. **130.** რგოლი, ბრინჯაო (GNM1-1-62:3931). **131.** მონეტა. ავეუსტუსის (GNM1-1-62:3928).

ტაბულა IV-3. სამარხი 216: 132. სამგლოვიარო გვირგვინი, ფურცლები (5ც.), ოქრო (GNM1-1-62:3774). **133.** ბაგისსაფარი, ოქრო. ბოლოებზე გახვრეტილი (GNM1-1-62:3775). **134.** საყურე, ვერცხლი (GNM1-1-62:3776). **135.** მძივები. სარდიონი, მინა (GNM1-1-62 :3777).

ტაბულა IV-4. სამარხი 191: 136. დოქი, თიხა. ჩალისფრად გამომწვარი (GNM1-1-61:3509). **137.** ქილა, თიხა. ჩალისფრად გამომწვარი, შეღებილი (GNM 1-1-61:3510). **138-140.** ჭურჭელი, მინა (GNM1-1-61:3511,3512,3521). ახ.ნ. II საუკუნე [საგინაშვილი 1970:80, კატ. 160]. **141.** სამგლოვიარო გვირგვინი, ფურცლები. ოქრო. ოთხკუთხა ფორმის ფირფიტებზე რელიეფურად გამოყვანილია ძარღვები (GNM1-1-61:3513). **142.** ბაგისსაფარი, ფურცლოვანი ოქრო. ბოლოებზე თითო ნახვრეტით (GNM1-1-61:3513). **143.** საკიდები. ბრინჯაო, პირიტი (GNM1-1-61:3526); ბრინჯაო, ქვა, სარდიონი, გიშერი (GNM1-1-61 : 3527, 3528, 3530). **144.** მძივები. მინა, პასტა, გიშერი. (GNM1-1-61:3530). **145.** ბეჭდები, ბრინჯაო. (2 ც.) (GNM1-1-61:3518, 3519). **146.** ბეჭედი, ინტალიო. რკინა, სარდიონი. გამოსახულია დემეტრა (GNM1 გლ.ფ. №1049). **147.** ბეჭედი, რკინა (GNM1-1-61:3517). **148.** დანა, რკინა. ყუნწიანი (GNM1-1-61:3514). **149.** რგოლები, ბრინჯაო. (2ც) (GNM1-1-61:3520, 3525). **150.** ნივთი, ძვალი. დამუშავებული (GNM1-1-61:3522,3523) [კერესელიძე 1978:88, კატ. 348]. **151.** სალესი, ქვა (GNM1-1-61:3515). **152.** კოჭი, გახვრეტილი (GNM 1-1-61:3524) [კერესელიძე 1978:81, კატ. №297].





31



33



34



35



36



38



39



40



41



42



43



44



50



51



52



53



54



55



59



60



63



61



62



65



69



56



57



58

III

სამარხი N51



სამარხი N170



IV

სამარბი N215



1

სამარბი N231



2

სამარბი N216



3

სამარბი N191



4

საქორწინო ბაჭყალი ხელის ჩამორთმევის გამოსახულებით
(საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციიდან)
ქეთევან რ. რამიშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის გლიპტიკის ფონდში დაცულია საკმაოდ მნიშვნელოვანი ჯგუფი ბეჭდებისა, რომელთა გემა-ინტალიოებზე ან ფარაკებზე და ზოგჯერ რკალზეც კი გამოსახულია ხელის ჩამორთმევა – ორი ადამიანის გადაჭდობილი მარჯვენა ხელის მტევანი. საერთოდ, ხელის ჩამორთმევა ერთერთი გავრცელებული სიუჟეტთაგანია გამომსახველობით ხელოვნებაში და მათ შორის საიუველირო ნაკეთობებსა თუ გლიპტიკურ ძეგლებზე. ხელის ჩამორთმევის გამოსახულება უძველესი მოტივია და მას სხვადასხვა დროს განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენთვის ცნობილი უადრესი ხელის ჩამორთმევა აღბეჭდილია ასურულ ბარელიეფზე, რომელიც ასახავს ძვ.წ. 855 წლის მოვლენებს (ტაბ. I/1). ამ ისტორიული ხელის ჩამორთმევის მონანილენი არიან ასირიელთა მეფე სალმანანსარ მესამე და ბაბილონის მეფე მარდუქ-ზაქირ-შუმ პირველი. მოვლენები, რომლებიც წინ უსწრებდა ამ ხელის ჩამორთმევას, დაკავშირებული იყო ხელისუფლებისა და მიწების გადანაწილებასთან და ამ შემთხვევაში ბაბილონის მმართველი ამ შესვლით გამოხატავს მადლიერებას იმ დახმარებისთვის, რომელიც მას სალმანანსარ მესამემ აღმოუჩინა. ჰერასა და ათენას ხელისჩამორთმევა არის გამოსახული ძვ.წ. V ს-ის ძველბერძნულ ბარელიეფზე ათენის აკროპოლისის მუზეუმიდან (ტაბ. I/2), რაც შესაძლოა ნიშნავდეს მათ კავშირს პარისის (ტროას) წინააღმდეგ, მას შემდეგ, რაც პარისმა ყველაზე ლამაზ მანდილოსნად აფროდიტე მიიჩნია და ე. წ. „*განხეთქილების ვაშლი*“ მას გადასცა.

აღსანიშნავია აგრეთვე ათენში დამზადებული ძვ.წ. IV ს-ის საფლავის სტელა, რომელზეც გამოქანდაკებულია ბაბუასა და შვილიშვილის ხელის ჩამორთმევა, რაც მისალმების აღმნიშვნელია (ტაბ. I/3). სტელა ინახება ათენში, პირეის მუზეუმში. მამაკაცსა და ქალს შორის ხელის ჩამორთმევა არის გამოსახული საფლავზე დასადგმელ ატიკურ თეთრგრუნტიან, ნითელფიგურულ ლეკითოსზე (ძვ.წ. V ს-ის ბოლო), სადაც ეს შესტი დამშვიდობების აღმნიშვნელია (ტაბ. I/4). ლეკითოსი ინახება პეტერბურგის ერმიტაჟში [Горбунова 1973: 28, ნახ. 19]. საინტერესოა, რომ ზოგ საფლავის ქვაზე ფეხზე მდგომი ქალისა (ანუ ცოცხალი ცოლის) და მწოლიარე მამაკაცის (ანუ გარდაცვლილი ქმრის) ფიგურები ხშირად ხელჩაკიდებული გამოისახება (მაგ. ძვ.წ. V ს-ის მიწურულის სტელაზე გოლგის ნეკროპოლიდან (კვიპროსი), რაც გარეგნულად თითქოს არ გავს ბერძნულ “*ხელის ჩამორთმევას*”, თუმცა იდენტური შინაარსობრივი დატვირთვა გააჩნია – ქორწინების მყარი კავშირისა იმ ქვეყნადაც – მიცვალებულ ქმარს გადამრჩენელი ცოცხალი ცოლისგან ხელის მეშვეობით გადაეცემა სასიცოცხლო ენერჯია [Акимова, Савельев 2012: 19].

გლიპტიკურ ძეგლებზე ყველაზე ადრეული ხელის ჩამორთმევა გვხვდება ძვ.წ. VI-V სს-ის სარდერის სკარაბეოიდზე (ტაბ. I/5) და ძირითადად თანხმობისა და კავშირის ნიშანს წარმოადგენს [Максимова 1950: 230; Walters 1926: 26, №513]. ასეთივე სიმბოლური დატვირთვა აქვს ხელის ჩამორთმევას ელინისტურ ხანაშიც. მაგ. გვიანელინისტური ხანის ვერცხლის ბეჭედში ჩასმულ ოქროს ოვალურ ფირფიტაზე გამოსახული ხელის ჩამორთმევა (ტაბ. I/6), რომელსაც კავშირის, შეთანხმების მნიშვნელობა აქვს და ახლავს ბერძნული წარწერა – “*ომონია*” (კავშირი, შეთანხმება). როგორც მ. მაქსიმოვა აღნიშნავს, რომაული ხანიდან (განსაკუთრებით გვიანრომაული ხანიდან) ხელის ჩამორთმევას აქვს საქორწინო შეთანხმებისა და კავშირის მნიშვნელობა [Максимова 1950: 231].

შეთანხმებისა და კავშირის, აგრეთვე სიუხვისა და გამრავლების (შესაძლოა ქორწინების დროს) მნიშვნელობა უნდა ქონდეს ხელის ჩამორთმევას ადრერომაული ხანის (I-II სს.) ჰელიოტროპისგან დამზადებულ გემა-ინტალიოზე, რომელზეც გამოსახულია მრავალფიგურიანი კომპოზიცია - ორი, ერთმანეთის პირდაპირ მდგომი ტიხეს (მარცხენა ხელში სიუხვის ყანნი უპყრიათ და თავზე კალათოსები ადგათ) მარჯვენა ხელის მტევნების ჩამორთმევა, რომლის ზემოთ გამოსახულია ჰელიოსისა და სელენის თავები ერთმანეთის პირდაპირ, პროფილში (ტაბ. I/7). ხელის ჩამორთმევის ქვემოთ კი გამოსახულია ბერძნული წარწერა - „XARA“, რომელსაც მაგიური დალოცვის - „იხარეს“, „ისიამოვნეს“ მნიშვნელობა ჰქონდა. ამ წარწერის ქვემოთ - ისევ ხელის ჩამორთმევაა [Henig, Whiting 1987: №119]. ადრერომაულ ბეჭდებზე ხელის ჩამორთმევის შუაში - ხელებს შორის ხშირად გამოსახება სიუხვის სიმბოლო თავთავები (ტაბ. I/8) და ყაყაჩოს ნაყოფი მაგ. გრანატის (პიროპი) რომაულ გემა-ინტალიოზე [Richter 1956: №563], ხოლო ზოგჯერ - მაგ. ახ. ნ. I ს-ის სარდიონის გემაზე ორ თავთავს შორის დამატებით გამოსახულია (ტაბ. I/9) ჰერმესის კვერთხი - კერიკეონი [Henig, Whiting 1987: №119]. მარტივ კომპოზიციებში ხელის ჩამორთმევის ზემოთ ხშირად გამოსახებოდა მაგიური ბერძნული წარწერა „XARA“ - „იხარე“ (ტაბ. I/10), როგორც მაგ. სარდიონის, II ს-ით დათარიღებულ გემაზე *პუშკინის* მუზეუმიდან [Финогенова 2012: 203, №156].

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია საკმაოდ შთამბეჭდავი კოლექცია გემებისა და ბეჭდებისა, რომლებზეც ხელის ჩამორთმევის კომპოზიცია არის ამოკვეთილი და ჩვენი მოსაზრებით, ისინი საქორწინო ბეჭდებს წარმოადგენენ. გემა-ინტალიოები ამ გამოსახულებით ყველაზე უხვად აღმოჩენილია ურბნისის სამაროვანზე (გლ. ფ. 942, 981, 992, 1005, 1078, 1096, 1136, 1198). ისინი შეისწავლა ქ. ჯავახიშვილმა და I-III სს-ით დაათარიღა [ჯავახიშვილი 1972]. ურბნული გემები, უკლებლივ ყველა, ინტალიოებს წარმოადგენენ და მათი უმრავლესობა რკინისა და ბრინჯაოს ბეჭდებშია ჩასმული, მხოლოდ ერთია (1198) ვერცხლისა, რადგან სამარხები, სადაც ეს ბეჭდებია აღმოჩენილი არ არის მდიდრული. მათ შორის ორ - ყველაზე ადრეულ გემაზე (1078 და 1136 - ტაბ. II/1, 2), რომელთაგან ერთი რკინის, ხოლო მეორე ბრინჯაოს ბეჭედში ზის, გადაჭდობილ ხელებს შორის ნაყოფიერების სიმბოლო - თავთავები და ყაყაჩოს ნაყოფია გამოსახული და დათარიღებულია I-II სს-ებით [ჯავახიშვილი 1972: 34, 47, ტაბ. II/28, ტაბ. IV/56].

II ს-ით არის დათარიღებული მონითალო-ყავისფერი სარდიონის ინტალიო, რომელიც რკინის ბეჭდის ფრაგმენტში ზის (942, ტაბ. II/3) და რომელზეც ხელის ჩამორთმევის სქემატური გამოსახულებაა ამოკვეთილი. სამი სარდიონის ინტალიო, რომლებიც რკინისა (ამ გემაზე გადაჭდობილ ხელებს შორის პურის თავთავები და ყაყაჩოს ნაყოფი - ნაყოფიერების სიმბოლო არის ამოკვეთილი) და ბრინჯაოს ბეჭდებში ზის და მათზე ხელის ჩამორთმევაა ამოჭრილი (992, 1005, 1096, ტაბ. II/4, 5, 6) დათარიღებულია II-III სს-ით, ხოლო მუქი სარდერის ინტალიო, რომელიც რკინის ბეჭდის ფრაგმენტში ზის და რომელზეც ხელის ჩამორთმევაა ამოჭრილი (981, ტაბ. II/7) თარიღდება III ს-ით [ჯავახიშვილი 1972: 34, 47, 55, 60-63, 75]. მონითალო-ყავისფერ ინტალიოზე, რომელიც ვერცხლის ოდნავ ჰორიზონტალურ მხრებიან და დაბალბუდიან ბეჭედში ზის, გამოსახულია ხელის ჩამორთმევის ძალზე სქემატური გამოსახულება (1198, ტაბ. II/8). გამოსახულების სქემატურობიდან და ბეჭდის ფორმიდან გამომდინარე (ამგვარი ბეჭდები გავრცელებულია III-IV სს-ში), ვფიქრობთ, რომ ბეჭედიც და გემაც ამავე ხანით უნდა თარიღდებოდეს.

როგორც ირკვევა, ხელის ჩამორთმევიანი გემები ურბნისის გარდა ფართოდ იყო გავრცელებული გვიანანტიკური ხანის (II-III სს.) აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა

პუნქტში - სამთავროში (ტაბ III/1), ჟინვალში (ტაბ. III/2), ზემო ავჭალაში (ტაბ. III/3), თბილისში (ღრმაღელე) (ტაბ. III/5), წყნეთში (ტაბ. III/6), სადაც ისინი მოპოვებული იყო რიგით სამარხებში ან შემთხვევით და მათ, საფიქრებელია, საქორწინო დანიშნულება ჰქონდათ. ერთი სარდიონის გემა ხელის ჩამორთმევით, რომელიც რკინის ბეჭდის ფრაგმენტში ზის (ტაბ. III/4), მილკევიჩის კოლექციიდანაა და დათარიღებულია II-III სს-ით, იგი საქორწინო ბეჭდადაა მიჩნეული [Макимова 1950: ტაბ I/30; ლორთქიფანიძე 1961: ტაბ. IX/28; ლორთქიფანიძე 1967: 44-45; ლორთქიფანიძე 1990].

დასავლეთ საქართველოში ბეჭედი ხელის ჩამორთმევის გამოსახულებით ამოკვეთილია ვერცხლის ბეჭედში ჩასმულ სარდიონის გემა-ინტალიოზე (ტაბ. III/7), რომელიც ბიჭვინთაში, № 69 სამარხშია აღმოჩენილი. ბეჭედი შეისწავლა მ. მშვილდაძემ, იგი რომაულ ნაკეთობად მიიჩნია და III ს-ით დაათარილა. მკვლევარმა გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ბეჭედი რომაული გარნიზონის დისლოკაციის ადგილას აღმოჩნდა და გაიზიარა ო. ნევეროვის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ გვიანანტიკურ ხანაში ხელის ჩამორთმევას შესაძლოა ჰქონოდა მებრძოლთა შორის თანხმობის მნიშვნელობაც [მშვილდაძე 2012: 54-55]. ჩვენი მოსაზრებით, არ იყო გამორიცხული, რომ რომაელ ლეგიონერსაც ეტარებინა საქორწინო ბეჭედი და საერთოდ, ბეჭდის ზომის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს ბეჭედი ზომით უფრო ქალისას ჰგავს.

ბიზანტიის იმპერიაში ბეჭდები ხელის ჩამორთმევის გამოსახულებით ასევე ძალიან პოპულარული იყო და მათაც საქორწინო დანიშნულება ჰქონდათ. როგორც ცნობილია, ბიზანტიელები რომის იმპერიის მემკვიდრეებად თვლიდნენ თავს და ბეჭდები ხელის ჩამორთმევით უკვე IV-V სს-ში გამოისახებოდა ბიზანტიურ კამეოებზე (ტაბ. IV/1), კომპოზიციას ხშირად ახლდა ბერძნული წარწერა („ომონოია“- რაც ძვ. ბერძნულად ნიშნავს ორი გულისა და გონების თანხმობას, ჰარმონიულ კავშირს) [Walker 2011: 61-62]. საქართველოში არქეოლოგიური გათხრების გზით აღმოჩენილი ბიზანტიური პერიოდის ბეჭდები ხელის ჩამორთმევის გამოსახულებით ჩვენთვის ცნობილი არ არის, რაც შესაძლოა აიხსნას იმ ფაქტორით, რომ ქრისტიანები სამარხში სამკაულს აღარ ატანდნენ. საფიქრებელია, რომ, ადრეშუასაუკუნეებში ბიზანტიის კულტურული გავლენის ქვეშ მყოფ საქართველოში მსგავსი ტიპის ბეჭდები ცნობილი იქნებოდა. ასეთი ბეჭდები უცხო რომ არ იყო ქართული მოსახლეობისათვის ადასტურებს ზემოჩამოთვლილი გვიანანტიკური გემების სიმრავლე, რომლებზეც ხელის ჩამორთმევის სიუჟეტიც ასახული.

როგორც ჩანს, ხელის ჩამორთმევა იმდენად პოპულარული სიუჟეტი გახდა რომაული ხანიდან მოყოლებული, რომ იგი გამოსახულია განვითარებული შუასაუკუნეების ბეჭედზეც. ერთი ასეთი ოქროს ბეჭედი შემთხვევით აღმოჩნდა კახეთში, გურჯაანის რ-ში (ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, გლ. ფ. 763). ბეჭედი საიუველირო ხელოვნების შედეგს წარმოადგენს. დამზადებულია მაღალი ხარისხის ოქროსაგან (XII ს.), მისი მხრები შემკულია ძალიან მოხდენილი, სუფთად და ღრმად ნაკვეთი ხვეული ორნამენტით (ტაბ. IV/2). მსგავსი ორნამენტი ფართოდ არის გავრცელებული ქართული ოქრომჭედლობის ძეგლებზე, ეს ორნამენტი დასტურდება აგრეთვე ჟინვალის ნაქალაქარზე აღმოჩენილ, XII-XIII სს-ით დათარიღებულ ადგილობრივად დამზადებულ სელჩუკური ტიპის ოქროს ბეჭდის რკალის შემკულობაში [რამიშვილი 2016: 283-300]. გურჯაანში აღმოჩენილი ოქროს ბეჭედი ადგილობრივი ნაკეთობაა. ბეჭდის რკალის ზომიდან (დმ – 14 მმ; ბეჭდის სიმაღლე – 19 მმ) გამომდინარე ვასკვნიტ, რომ ეს სამკაული მანდილოსანს ეკუთვნოდა, ხოლო ბეჭდის ხარისხიანი, მაღალმხატვრული შემკულობა კი მისი მფლობელის მაღალი სოციალური წრიდან წარმომავლობაზე მიგვითითებს. რკალის ქვედა ნაწილში, როგორც გარე, ისე შიდა

პირზე არცთუ ღრმად, მაგრამ მკაფიოდ ამოჭრილია ხელის ჩამორთმევა (ტაბ. IV/3). ცნობილი გლიპტიკოსის ს. ბარნაველის მოსაზრებით, ბეჭედი ნიშნობისაა. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ამ დეტალით ბეჭედი ევროპულ ნიშნობის ბეჭედებს ემსგავსება და რომ ეს მოტივი ანტიკური ბეჭედებიდან მომდინარეობს [ბარნაველი 1966: 157]. დაავამატებთ, რომ ბეჭდის რკალის შემკობა მის შუა ადგილას ხელის გულის მხრიდან ასევე რომაული ტრადიციას, რომელსაც ბიზანტიელებიც მისდევდნენ - როცა ბეჭდის მფლობელი სალმის ნიშნად ხელს ასწვენდა, ყველას შეეძლო დაენახა ბეჭდის რკალის შუაში ჩასმული ძვირფასი ქვა და შეეფასებინა იგი [Габриэль 2009: 74].

როგორც ჩანს, ქრისტიანული ბეჭედების რკალში ძვირფასი ქვის ჩასმა ჩანაცვლდა გამოსახულებით (ამ შემთხვევაში ხელის ჩამორთმევით). ბეჭდის ნახევარსფეროსებრ, ამოზურცულ ფარაკზე ნეგატივურად ამოჭრილია ასომთავრული დაქარაგმებული წარწერა (იხ. ტაბ. IV/4), რაც ნიშნავს, რომ ბეჭედი საბეჭდავადაც ყოფილა გამოყენებული. წარწერა ძალიან ლამაზი, გამართული კალიგრაფიითაა შესრულებული, დიდ-პატარა ასოების მონაცვლეობით, რომელთა შორის ყველაზე გრძელი ასოებია კიდურა – ხანი და განი და ცენტრალური რანი. წარწერა მთლიანობაში დეკორატიული ხასიათისაა, რასთანაც მომგებიანადაა შეხამებული კლაკნილი დაქარაგმების ნიშნები, რაც უფრო ხელნაწერებისთვის არის დამახასიათებელი. ორიოდ სიტყვით გვინდა შევეხოთ ოქროს ბეჭედზე გამოსახულ დაქარაგმებულ წარწერას „ხთრგნ“, რომელიც, ჩვენი მოსაზრებით უნდა იკითხებოდეს ან როგორც 1. „ხითარისგან“ - ხითარი ძველქართული სახელია და არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ამ პირის (ხითარის) მიერ მომავალი მეუღლისადმი მირთმეულ ნიშნობის ბეჭედზე მისი სახელი ამოკვეთათ. ამ სახელისგან ნაწარმოებია აგრეთვე წმინდად ქართული გვარი ხითარიშვილი, რომელსაც არავითარი საერთო არ აქვს სომხურ ხითარიანთან. 2. წარწერა შესაძლოა იკითხებოდეს როგორც „ხათრისგან“. ხათრი არაბულ-სპარსული სიტყვაა (ხათირ) და გავრცელებულია სამსავე ქართველურ ენაში: ქართულში ხათრი=პატივისცემა, თავაზი; ლაზურში ხატირ=ხსოვნა, პატივისცემა; სვანურში ხათრ=ხათრი, მორიდება [ბუკია 2011: 5-6]. მ. ანდრონიკაშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოში არაბულ-სპარსული სიტყვების შემოღინება სპარსულის და ნაწილობრივ თურქულის გზით იწყება XI-ს-იდან და განსაკუთრებით ძლიერდება XII ს-ში, რაც ნათლად ვლინდება XII-XIII სს-ის ქართულ საერო თხზულებებში [ანდრონიკაშვილი 1965: 297].

აკ. შანიძის განმარტებით, ვეფხისტყაოსანში სიტყვა ხათრი რამდენჯერმე გამოყენებულია განსხვავებული მნიშვნელობით – გავლენა, ზემოქმედება [შანიძე 1960]. როგორც ჩანს, ბეჭედზე ამოკვეთილი სიტყვა უნდა გავიგოთ ასე: პატივისცემისთვის, ხსოვნისთვის, რაც სავსებით მისაღებია ნიშნობის ბეჭდისთვის. ამავე დროს, ეს შეიძლება იყოს მაგიური მნიშვნელობის სიტყვა - გავლენისთვის, ზემოქმედებისთვის, რაც გულისხმობდა ქორწინების დაცვას გარედან შესაძლო აგრესიული სასიყვარულო თავდასხმისაგან. თუ ჩვენი მსჯელობა მართებულია, მაშინ გამოდის, რომ ბეჭედი არა მარტო ევროპულ სამყაროსთან ავლენს სიახლოვეს, არამედ აღმოსავლურთანაც, რაც უცხო არ იყო ისეთი გეოგრაფიული მდებარეობის ქვეყანაში შექმნილი ხელოვნების ძეგლებისათვის, როგორც საქართველოა და რის საუკეთესო მაგალითსაც წარმოადგენს შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“. გარდა ამისა, ვინაიდან ეს ბეჭედი არის მფლობელის საბეჭდავი-ბეჭედი და იგი ამ ბეჭდით ბეჭდავდა პირად საკუთრებას, სიტყვა ხათრისთვის, პატივისცემისთვის ან მაგიური სიტყვა - ზემოქმედებისთვის სასარგებლო იქნებოდა დაბეჭდილი ნივთების ხელშეუხებლობისთვისაც.

ხელის ჩამორთმევის ძალზე სქემატური გამოსახულება არის ამოკვეთილი მოხისში (თეთრინყაროს რ-ნი) შემთხვევით აღმოჩენილ ბრინჯაოს საბეჭდავი-ბეჭდის რომბისებრი ოვალის ფორმის მაღალ და სქელ ფარაკზე (ტაბ. IV/5). ხელის ჩამორთმევა არის გამოსახული

აგრეთვე რკალის შუაში (ტაბ IV/6). ბეჭდის რკალი შიგნიდან ბრტყელია და ზემოდან ოდნავ ამობურცული, მთელ სიგრძეზე ნიბო გასდევს (გლ. ფ. 1128). ფარაკზე (21X8 მმ), ხელის ჩამორთმევის გარშემო არე და ნაწილობრივ მხრები ბადისებრადაა დახაზული. ბეჭედი საკმაოდ მოზრდილია და საფიქრებელია, რომ მამაკაცის კუთვნილებაა. მოხისური ბეჭედი გვიანი შუასაუკუნეებით დასაწყისით უნდა თარიღდებოდეს (XIV-XV სს.), რადგან ფორმით თიმურიდების ხანის მაღალ, ნაწვეტებული ოვალის ფორმის და სქელფარაკიან ბეჭდებთან ავლენს სიახლოვეს [Content 1987: 102-113]. როგორც ჩანს, საქართველოში ხელის ჩამორთმევის ძალზე სქემატური გამოსახულება ამ პერიოდშიც აქტუალურია ნიშნობის ბეჭდებზე, თუმცა გამოსახულება უკვე ძალზე სქემატურია როგორც ფარაკზე, ისე რკალზე.

ლიტერატურა:

- ანდრონიკაშვილი 1965:** ანდრონიკაშვილი მ. არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში, - თსუ შრომები, ტ.105. თბ.
- ბარნაველი 1966:** ბარნაველი ს. განვითარებული შუასაუკუნეების ქართული საბეჭდავების საკითხისთვის, - ჟურ. *მაცნე*, № 5, (რედ. ა. ბოჭორიშვილი), თბ., გვ. 154-162.
- ბუკია 2011:** ბუკია მ. კომპოზიტთა ერთი რიგისათვის ვ. კასლანდიას - *აფხაზურ-რუსულ ლექსიკონი*, ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. III. თბ.
- ლორთქიფანიძე მ. 1961:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III. თბ.
- ლორთქიფანიძე 1967:** ლორთქიფანიძე მ. საქართველოს სახელ. მუზეუმის გემები, IV. თბ.
- ლორთქიფანიძე 1990:** ლორთქიფანიძე მ. ჟინვალის გვიანანტიკური ხანის გლიპტიკური ძეგლები. ხელნაწერი. (ინახება საქართველოს სახ. მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში).
- მშვილდაძე 2012:** მშვილდაძე მ. ბიჭვინთის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. თბ.
- რამიშვილი 2016:** რამიშვილი ქ. რ. განძი ჟინვალის ნაქალაქარიდან, - ჟურ. *ძიებანი* №23, გვ. 283-300.
- შანიძე 1960:** შანიძე აკ. ვეფხისტყაოსანი/ შოთა რუსთაველი (ლექსიკონი), - *ჩვენი საუნჯე: ქართული მწერლობა*, ტ. 3. თბ.
- ჯავახიშვილი 1972:** ჯავახიშვილი ქ. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. თბ.
- Акимова, Савельев 2012:** Акимова Л., Савельев Ю. Надгробие с изображением ритуальной трапезы – из собрания Гос. Музея Изобразительных Искусств им. А. Пушкина. Мос.
- Горбунова 1973:** Горбунова К. Белые лекифы в собрании Эрмитажа. Памятники Античного Прикладного Искусства. Лен.
- Максимова 1950:** Максимова М. Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XVI-В. (რედ. ან. აფაქიძე). გვ. 221-274. თბ.
- Финогенова 2012:** Финогенова С. Мир в Миниатюре – Геммы из собрания ГМИ им. Пушкина. М.
- Content 1987:** Content D. Islamic Rings and Gems – The Benjamin Zucker Collection. London.
- Richter 1956:** Richter G. Catalogue of Engraved Gems, Etruscan and Roman. Roma.
- Vikan 1990:** Vikan G. Art and Marriage, vol. 44. pp. 145-163. Harvard.
- Walker 2011:** Walker A. Myth and Magic in Early Byzantine Marriage Jewelry - The Persistence of Pre-Christian Traditions. The Material Culture of Sex, Procreation, and Marriage in Premodern Europe.
- Walters 1926:** Walters H. Catalogue of The Engraved Gems and Cameos Greek Etruscan and Roman in The British Muzeum. London.

ტაბულების აღწერილობა:

- ტაბ. I.1.** ხელის ჩამორთმევა მეფე სალმანანსარი III-სა და ბაბილონის მეფე მარდუქ-ზაქირ-შუმს შორის, ასურული რელიეფი.
- ხელის ჩამორთმევა – ათენა და ჰერა. ძველბერძნული რელიეფი. ათენის აკროპოლისის მუზეუმი.
 - ხელის ჩამორთმევა ბაბუასა და შვილიშვილს შორის, საფლავის ქვა, ათენი, პირეის მუზეუმი.
 - ხელის ჩამორთმევა ქალსა და მამაკაცს შორის, ატიკური ნითელფიგურული ლეკითოსი.
 - ხელის ჩამორთმევა VI-V სს-ის სარდერის სკარაბეოიდზე.
 - ხელის ჩამორთმევა გვიანელინისტურ ვერცხლის ბეჭედში ჩასმულ ოქროს ფირფიტაზე.
 - ხელის ჩამორთმევა ორ ტიხეს შორის და მათ ქვემოთ ორი ხელის მტევნის ჩამორთმევა და ბერძნული წარწერა – *იხარე*, ისიამოვნე ჰელიოტროპის გემაზე (I-II სს.).
 - ხელის ჩამორთმევა თავთავებითა და ყაყაჩოს ნაყოფით გრანატის ადრერომაულ ინტალიოზე.
 - ხელის ჩამორთმევა თავთავებითა და შუაში კერიკონით სარდიონის I ს-ის რომაულ ინტალიოზე.
 - ხელის ჩამორთმევა და ბერძნული წარწერა – *იხარე*, ისიამოვნე, II ს-ის სარდიონის ინტალიოზე პუშკინის მუზეუმიდან.
- ტაბ. II.1-8** ხელის ჩამორთმევა სარდიონისა და მინის ინტალიოებზე რკინის, ბრინჯაოსა და ვერცხლის ბეჭედებში, ურბნისის სამაროვანი, (I-III სს).
- ტაბ. III.1.** ხელის ჩამორთმევა სარდიონის ინტალიოზე რკინის ბეჭედში, სამთავრო.
- ხელის ჩამორთმევა სარდიონის ინტალიოზე რკინის ბეჭედში, ჟინვალი.
 - ხელის ჩამორთმევა სარდიონის ინტალიოზე რკინის ბეჭედში, ზემო ავჭალა.
 - ხელის ჩამორთმევა სარდიონის ინტალიოზე რკინის ბეჭედში, მილკევიჩის კოლექცია
 - ხელის ჩამორთმევა სარდიონის ინტალიოზე რკინის ბეჭედში, თბილისი.
 - ხელის ჩამორთმევა სარდიონის ინტალიოზე რკინის ბეჭედში, წყნეთი.
 - ხელის ჩამორთმევა სარდიონის ინტალიოზე ვერცხლის ბეჭედში, ბიჭვინთა, სამ. 69, III ს.
- ტაბ. IV.1.** ხელის ჩამორთმევა ადრეზიზანტიურ საქორწინო ბეჭედის აქატის კამეოზე და ბერძნული წარწერა – *ჰარმონია*.
- ხელის ჩამორთმევა განვითარებული შუასაუკუნეების (XII ს.) ოქროს ბეჭედის რკალზე გურჯაანიდან. ამობურცულ ფარაკზე ნეგატივური ბერძნული წარწერაა.
 - ხელის ჩამორთმევა გურჯაანული ბეჭედის რკალის შუაში.
 - გურჯაანული ბეჭედის წარწერის ანაბეჭდი.
 - ხელის ჩამორთმევის სქემატური გამოსახულება ბრინჯაოს სქელფარაკიანი ბეჭედის ფარაკზე მოხისიდან (XV-XVI სს).
 - ხელის ჩამორთმევის იმიტაცია *მოხისური* ბეჭედის რკალზე.

I



1



2



3



4



5



6



7



8



9



10

II



1



2



3



4



5



6



7



8

III



1



2



3



4



5



6



7

IV



1



2



3



4



5



6

საქართველოში აღმოჩენილი “ბერძნულ-სპარსული”

ტიპის საბეჭდავები საბრძოლო სიუჟეტებით

ანა გაბუნია

ნასტაგისის სამაროვნის გათხრების დროს, 1979 წელს, №29 (53) სამარხში აღმოჩნდა მომწვანო ფერის გამჭვირვალე მინის ინტალიო (სურ.1). სიგრძივ გახვრეტილი, თითქმის კვადრატულფუძიანი. ბრტყელ ფუძეზე გამოსახულია ბრძოლის სამფიგურიანი სცენა: ორი მამაკაცი იბრძვის ერთის წინააღმდეგ. სამივე მათგანს ცალ ხელში ფარი, მეორეში კი მოკლე შუბი უჭირავს. ჩაცმულობაც ერთნაირი აქვთ, მოკლე, მუხლამდე კაბები აცვიათ. გამოსახულება ზედაპირულია, დეტალები არ არის კარგად დამუშავებული.

იდენტიფიკაციის მიზნის მრავალწახნაგა ცნობილია ციხიაგორას მდიდრული სამარხიდან (გ.ფ. ინვ. №1570) (სურ. 2) იმავე სამარხში აღმოჩნდა კიდევ ერთი მრავალწახნაგა. მასზეც ბრძოლის სცენაა გამოსახული, თუმცა ოთხფიგურიანი (გ.ფ. ინვ. №1571) (სურ. 3). ციხიაგორას მდიდრულ სამარხში გამოვლენილი ორივე მრავალწახნაგა ემსგავსება ერთმანეთს გამოსახულების სტილითა და სიუჟეტით, ამდენად ისინი ერთი სახელოსნოდან უნდა მომდინარეობდეს, რომელშიც ნასტაგისის ინტალიოც უნდა გავაერთიანოთ. ციხიაგორას მდიდრული სამარხი ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისი ხანით არის დათარიღებული [ცქიტიშვილი 2001: 44], ხოლო ნასტაგისის სამარხი, თანმხლები მასალის მიხედვით სავარაუდოდ ძვ.წ. I საუკუნით უნდა დათარიღდეს.

საინტერესოა დასკილეიონის (აქემენიდური სპარსეთის სატრაპია ფრიგიასში) ბულებზე დატანილი გამოსახულებები, რომელთაგანაც რამდენიმე ბულას სიუჟეტი ემსგავსება ნასტაგისისა და ციხიაგორის გამოსახულებებს. ავტორი, ბულებს ე.წ. “პერსიანიზირებული” სტილის ჯგუფში ათავსებს და ძვ.წ. IV საუკუნით ათარიღებს [Kaptan 2002: 107]. მსგავსსიუჟეტიანი საბეჭდავები ასევე გამოქვეყნებული აქვს ბორდმანს, სადაც ავტორი გემებს ბერძნულ-სპარსული სტილის გვიან, ბერძნის ჯგუფში ათავსებს [Boardman 1970, pl.310, cat. n. 883].

ციხია-გორასა და ნასტაგისის საბეჭდავებზე დატანილი მეომრებისა და მათი იარაღის წარმომავლობის იდენტიფიცირება რთულია, რადგან გამოსახულება ნაკლები დეტალიზაციით ხასიათდება, თუმცა ეს საბეჭდავები ყველა ნიშნით უნდა გავაერთიანოთ ე.წ. “ბერძნულ-სპარსული” გლიპტიკის ძეგლებში. ტერმინი “ბერძნულ-სპარსული” პირველად გერმანელმა მეცნიერმა ა. ფურტვენგლერმა გამოჰყო იმ საბეჭდავთა მიმართ, რომლებიც მომდინარეობდა აქემენიდური იმპერიის დასავლეთი რეგიონებიდან და დაათარიღა ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრითა და IV ს-ის დასაწყისით [Furtwangler 1900: 116]. საბეჭდავების ძირითადი ნაწილის წარმომავლობა უცნობია. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მრავალი მოსაზრება ამ საბეჭდავთა წარმომავლობის ცენტრების, შემქმნელი ოსტატების ეროვნებისა თუ კულტურული კუთვნილების შესახებ.

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ე.წ. ბერძნულ-სპარსული საბეჭდავები შექმნილია სპარსეთის კარზე მოღვაწე იონელი ბერძნების მიერ სპარსელი მომხმარებლისათვის, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს რომ საბეჭდავები შექმნილია სპარსელი ოსტატების მიერ ბერძნული ხელოვნების გავლენით. განსხვავებული მოსაზრება აქვს ნ. ნიკულინას, რომელიც ვარაუდობს, რომ ე.წ. ბერძნულ-სპარსული საბეჭდავები მცირე აზიის იმ ადგილობრივ მოსახლეთა შემოქმედებაა, რომლებიც ერთდროულად განიცდიდნენ ბერძნული და ირანული ხელოვნების გავლენას [Никulina 1966: 20]. მოგვიანებით, მირანდა მარვინმა მთლიანად

შეცვალა წარმოდგენა ბერძნულ-სპარსულ გლიპტიკაზე. მარვინთან ვკითხულობთ: “კითხვა არ უნდა დაისვას იმის შესახებ გემა ეკუთვნის ბერძნულ თუ სპარსულ ხელოვნებას ან ვინ არის მისი შემქმნელი, ბერძენი თუ სპარსელი ოსტატი, არამედ მნიშვნელოვანია ის, თუ რომელ ქალაქში და რა პერიოდში იქმნებოდა ეს გემები”. მისი მიზანი იყო აღედგინა კონტექსტი უცნობი წარმომავლობის საბეჭდავებისა და ახლიდან დაეჯგუფებინა ლოკალიზებული სახელოსნოების მიხედვით. ის იმედოვნებდა, რომ განსაზღვრავდა სპეციფიურ რეგიონალურ გარემოს, სადაც გარკვეული სტილისტური ვარიანტები იწარმოებოდა [Marvin 1973: 19].

ჯონ ბორდმანმა ბერძნებისა და სპარსელების შეხვედრა-თანამშრომლობის შედეგად შექმნილ გლიპტიკაში სამი კლასი გამოიყო: სასახლის სტილი, ბერძნული სტილი და შერეული სტილი. მან ე.წ. ბერძნულ-სპარსული ან, როგორც შემდეგ უწოდა, ბერძნულ-აღმოსავლური საბეჭდავები შერეული სტილის ჯგუფში განიხილა. შერეული სტილი მოიცავს 11 ჯგუფს და მათი გავრცელების არეალი სცილდება მცირე აზიის ფარგლებს. ამ ჯგუფში გამოყოფილ ბერძნულ ჯგუფის საბეჭდავებს იგი პოსტაქემენიდური და ელინისტური პერიოდით ათარიღებს [Boardman 1970: 303–329].

ჯენიფერ გეითსი თავის ნაშრომში აკრიტიკებს ჯონ ბორდმანისა და სხვა მკვლევრების მოსაზრებებს ბერძნულ-სპარსულ გლიპტიკასთან დაკავშირებით [Gates 2002: 105-132]. გეითსის თქმით, კლასიკურ არქეოლოგებში დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა ტენდენცია სტილისა და ეთნიკური კუთვნილების შეერთებისა, რაც გამოიხატება განსაკუთრებით ბერძნული ხელოვნების დაკავშირებაში ძველ ახლო აღმოსავლურ კულტურებთან. მკვლევრის აზრით, ეს პრობლემატური ჯგუფი ხელოვნურად შექმნეს კლასიკურმა არქეოლოგებმა და ხელოვნების ისტორიკოსებმა იმისათვის, რომ აღენერათ და განეხილათ უცნობი წარმომავლობის საბეჭდავების კოლექციები და დაემტკიცებინათ აქემენიდურ იმპერიაში წარმოებული მატერიალური კულტურის ძეგლები როგორც მარგინალური ნაწილი ბერძნული სტილისა. გეითსი დასძენს, რომ ძალიან ბევრი ასეთი საბეჭდავი, რომელიც ბორდმანმა განიხილა როგორც ბერძნულ-სპარსული სტილისა, სავარაუდოდ არც კანონიკურად ბერძნულია და არც სპარსული [Gates 2002: 118].

მკვლევრის აზრით, სტილი არ უნდა განვიხილოთ როგორც პირდაპირი ინდიკატორი მისი მწარმოებლის თუ მომხმარებლის ეთნიკური იდენტობისა ან ჯგუფური კუთვნილებისა, რადგან სტილი არის შეთვისებული ან ნასწავლი. ოსტატს არ სჭირდება იყოს სპარსელი ან ბერძენი იმისთვის, რომ გამოხატოს სპარსელი კაცი პერსეპოლისურ საკარო სტილში, ან ათენას ფიგურა პერიკლეს პერიოდის ათენიდან [Gates 2002: 119].

სტილისტური არჩევანი თავისი არსით კომპლექსური თემაა და სოციალური ჩარჩოების გარეშე თითქმის შეუძლებელია აღდგეს მათი კავშირი იდენტურობასთან. ბერძნულ-სპარსულ საბეჭდავებთან მიმართებაში კი, რომელთა წარმომავლობა, ძირითადად, უცნობია, მრავალი მკვლევარისთვის სტილი პირდაპირი ინდიკატორია ეთნიკური იდენტურობისა, რასაც გეითსი არ ეთანხმება. გეითსის აზრით, საბეჭდავების სოციალური კონტექსტი, როდესაც ის ხელმისაწვდომია შესასწავლად, შესაძლებელია გახდეს აქტიური მონაწილე კვლევაში [Gates 2002: 120].

ბრძოლის სცენები სპარსული ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოტივია [Xin 2014: 216]. აქემენიდური პერიოდის განმავლობაში საბრძოლო იკონოგრაფიას ვხვდებით მონუმენტურ რელიეფზე, მოხატულ ხის ნივთებზე, სამკაულსა და საკუთრივ საბეჭდავებზე [Xin 2010: 548]. მონუმენტური ხელოვნებისგან განსხვავებით, საბრძოლო სიუჟეტები მეტად გავრცელებულია აქემენიდური პერიოდის საბეჭდავებზე, ვიდრე ახლო აღმოსავლეთის

ისტორიის რომელიმე ადრეულ პერიოდში [Collon 1988: 12]. ქრისტოფერ ტუპლინის სტატისტიკის მიხედვით, საბეჭდავებსა და ბულებზე არსებული 108 გამოსახულებიდან 62 სრულიად, ხოლო 46 ცალი პოტენციურად უკავშირდება სახმელეთო ბრძოლებს [Tuplin 2010: 112-113]. ტუპლინის კვლევის მიხედვით, 108 გამოსახულებიდან 40 ეთმობა ცხენოსნებს, ხოლო თითქმის ორჯერ მეტი, 68 საბეჭდავის გამოსახულება - ქვეით მეომრებს [Tuplin 2010: 114].

აქემენიდური საბრძოლო სიუჟეტები შესაძლოა გადმოგვცემდეს როგორც ისტორიულ ინფორმაციას, ასევე იყოს ზოგადი ხასიათის. გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, რაც უფრო დეტალური და უნიკალურია სცენა, მეტად სავარაუდოა, რომ იგი ასახავდეს ისტორიულ მოვლენას. გამოსახულებები, რომლებიც იქმნებოდა აქემენიდური იმპერიის ცენტრის სახელოსნოებში, უფრო სარწმუნოაა მიჩნეული ისტორიულ წყაროდ, ვიდრე სამეფოს პროვინციებში დამზადებული ცალები [Xin 2014: 242].

ე.ნ. “სასახლის სტილის” გლიპტიკურ ძეგლებზე წარმოდგენილი საბრძოლო სიუჟეტები ძირითადად ცილინდურ საბეჭდავებსა და თიხის ბულებზე გვხვდება. აღნიშნულ საბეჭდავებზე კვეთა შესრულებულია მკაფიოდ, პლასტიკურად, წმინდად და დახვეწილად [Xin 2014: 243]. სასახლის სტილისაგან განსხვავებით, რომელიც იქმნებოდა იმპერიის ცენტრში და გამოირჩევა სტილის განსაკუთრებული ერთიანობით, ე.ნ. *პერსიანიზირებულ* სტილს ჰქონდა მეტად ფართო გეოგრაფიული გავრცელება და ამდენად, წარმოდგენილია სტილისტურად მეტად განსხვავებული ვარიანტებით. ეს განსხვავებულობა კი მიანიშნებს კულტურულ დისტანციას იმპერიის ცენტრისგან. *“პერსიანიზირებული”* სტილის გემები, სრულად არ ასახავს სპარსული ხელოვნების ტრადიციას და არის ნაკლებად სარწმუნო, როგორც ისტორიული წყარო, ვიდრე სასახლის სტილის საბეჭდავები, რომელთა მეშვეობით ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია აქემენიდური ისტორიის აღდგენა (ტერმინი *“პერსიანიზირებული”* სტილი პირველად გამოიყენა დენიზ კაპტანმა იმ საბეჭდავებთან მიმართებაში, რომლებიც ე.ნ. ბერძნულ-სპარსული გლიპტიკის სახელითაა ცნობილი. თავის ნაშრომში მკვლევარი *“პერსიანიზირებულ”* ჯგუფში ათავსებს იმ საბეჭდავებს, რომელთა დასამზადებლად გამოყენებულია ბერძნული მხატვრული კონცეფცია ანატოლიურ, ახლო აღმოსავლურ და სპარსულ ელემენტებთან ერთად [Kaptan 2002: 4-6; Xin 2014: 243].

აქემენიდური საბრძოლო სიუჟეტები, როგორც მისი ნეო-ასირიული და ნეო-ელამიტური წინამორბედნი, გამოსახულების მიხედვით ორ ძირითად კატეგორიად იყოფა. პირველ კატეგორიაში ერთიანდება გამოსახულებები, რომლებზეც ბრძოლის შედეგია ასახული (მაგ. ბეჰისტუნის რელიეფი, რომელზეც გამოსახულია მტერზე გამარჯვებული მეფე დარიოსი). ეს სცენები მეტად სტანდარტიზირებულია. მეორე კატეგორია მოიცავს ე.წ. ნარატიულ გამოსახულებებს, სადაც საკუთვრივ ბრძოლის პროცესია ასახული. უკანასკნელი კატეგორია იკონოგრაფიის მხრივ მეტად ვარიაციულია და გამოსახავს საბრძოლო მოქმედებების მრავალ სხვადასხვა ფაზას [Xin 2010: 548].

აქემენიდურ საბრძოლო სცენებზე ასახულია ეთნიკურად სხვადასხვა მეზობლები, ხოლო მათი იდენტიფიცირება შესაძლებელია სამოსით, იარაღითა და თავსამკაულით [Xin 2014: 218]. აქემენიდური საბრძოლო გამოსახულებები აღმოჩენილია მთელი იმპერიის მასშტაბით და შექმნილია სხვადასხვა სტილით, რადგანაც ისინი მზადდებოდა სხვადასხვა სახელოსნოში სპარსეთის გარეთაც [Xin 2014: 221].

ცნობილია, რომ საბეჭდავები და მათზე დატანილი გამოსახულებები მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სპარსულ კულტურასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჰეროდოტეს მიხედვით, სპარსეთის იმპერიაში საბეჭდავებს ფართოდ იყენებდნენ. საბეჭდავი ეკუთვნოდა

სამეფო კარის წარმომადგენლებს, სატრაპებს, სამოქალაქო მსახურებსა და ვაჭრებს [Llewellyn-Jones 2010: 165]. იდენტიფიცირებულია რამდენიმე საბეჭდავის მფლობელის სახელი პერსეპოლისიდან, რომელზეც საბრძოლო სცენებია გამოსახული. პერსეპოლისის ადმინისტრაციული არქივების მიხედვით, ამ ტიპის საბეჭდავის ყველა მფლობელი მაღალი სოციალური სტატუსის მატარებელი იყო. როგორც ადმინისტრაციული კონტროლის იარაღი ეს საბეჭდავები გამოიყენებოდა როგორც კერძო, ისე ოფიციალურ დონეზე და მიმოქცევაში იყო შეზღუდულ, მმართველ ელიტასთან მიახლოებულ სოციალურ გარემოში. საბრძოლო სცენები ასევე გამოსახულია სამკაულსა და დასაკრძალავ ძეგლებზე. არეობს მოსაზრება, რომ გამოსახულებები საბრძოლო სცენებით ამკობდა ელიტურ სახლებსა და მეფის სასახლესაც კი [Xin 2014: 259-262]. ვარაუდს, რომ გემები საბრძოლო სცენებით უმეტესად საზოგადოების ელიტურ ფენას ეკუთვნოდა, ამყარებს ჩვენს მიერ განხილული მინის ორი საბეჭდავი, რომელიც ციხიაგორას მდიდრულ სამარხში აღმოჩნდა. სამარხში ერთი მიცვალებული ესვენა და გამოირჩეოდა მრავალფეროვანი ინვენტარით. გვხვდება ოქროსა და ვერცხლის სამკაული, ოქროს დისკო, ვერცხლის ტორევეტიკული ნიმუშები: ჩამჩა, ფიალა, ბრინჯაოს საბრძოლო იარაღები. სამარხი ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით არის დათარიღებული [ცქიტიშვილი 2001: 41-44].

ციხიაგორას სამარხში აღმოჩენილი მრავალნახნაგას პირზე გამოსახულია ბრძოლის ოთხფიგურიანი სცენა (ინვ. №1571) (სურ. 2). მინა ირიბებულია და გამოსახულების დეტალების გარჩევა ჭირს. მრავალნახნაგაზე გამოსახულია ფარით, შუბითა და მშვილდით აღჭურვილი ოთხი მებძოლი, მათგან ერთი გარდაცვლილია და მინაზე წევს. ყველა მათგანს მუხლამდე კაბა აცვია. საბეჭდავები, რომელზეც გამოსახულია ბრძოლის სცენა დაღუპულ მებრძოლთან ერთად, მომდინარეობს პერსეპოლისიდან და ოქსუსის განძიდან. ერთი, მსგავსიუფიტიანი გამოსახულება ცნობილია, როგორც არშამას ცილინდრული საბეჭდავი [Xin 2014: 552].

როგორც აღვნიშნე, მრავალნახნაგაზე გამოსახულ ერთ-ერთ მებრძოლს ხელში მშვილდი უჭირავს. აქემენიდურ პერიოდში სპარსულ არმიაში მშვილდი ერთ-ერთი მთავარი იარაღი. სპარსელი მშვილდოსნების გამოსახულებები ბერძნულ და სპარსულ ხელოვნების ნიმუშებზე აძლევს მკვლევარებს საშუალებას აღადგინონ სპარსული მშვილდის ტიპი. აქემენიდებმა შექმნეს მშვილდოსნების უამრავი გამოსახულება ქანდაკებებზე, გემებზე, მონეტებსა და ცილინდრულ საბეჭდავებზე. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მშვილდის გამოსახულება აქემენიდური სამეფოს ძლიერების სიმბოლოა [Zutterman 2003: 138]. მკვლევრების, გარისონისა და რუთის მიხედვით, მშვილდოსნის გამოსახულებები საბეჭდავების ერთი-ერთი ყველაზე გავრცელებული მოტივია აქემენიდური იმპერიის გულში და შეადგენს პერსეპოლისის საბეჭდავების და ანაბეჭდების ათ პროცენტს [Garrison, Root 2001: 43.]. აქემენიდურ იმპერიაში მშვილდის ორი ძირითადი ტიპია ცნობილი: ელამიტური მშვილდი და სკვითური მშვილდი. სკვითებისა და სპარსელები გარდა მშვილდის ეს ტიპი ცნობილი იყო კიმერიელებისა და მიდიელებისთვის [White 2020: 28-29]. მართალია, ნასტაგისის ინტალიოზე გამოსახულება ნაკლები დეტალიზაციით ხასიათდება, თუმცა შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ მასზე სკვითური მშვილდია გამოსახული.

რაც შეეხება ნასტაგისის საბეჭდავს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მასზე გამოსახულ სამივე მეომარს ხელში ფარი და მოკლე შუბი უჭირავს. მუხლამდე ქიტონით შემოსილი მებრძოლები, ხელში ფართა და შუბით გამოსახულია ლიკიის ჰერონის რელიეფებზე ტრისადან, რომელიც აგებულია ძვ.წ. 380 წელს [Oberleitner 1994]

მძიმედ აღჭურვილი ქვეითი მეომრის - ჰოპლიტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღი სწორედ ფარი იყო. ფარით აღჭურვილი სპარსელი მეომრის გამოსახულება აქემენიდურ ხელოვნებაში საკმაოდ იშვიათია. აქემენიდურ გლიპტიკურ ძეგლებში ბერძნების მონინალმდეგეები ხშირად ატარებენ ფარს და შესაბამისად გემების მჭრელებს ჰქონდათ უნარი ამ იარაღის გამოსახვისა. იკონოგრაფიულად ფარით გამოსახული იყო ბერძენი მებრძოლი და გამომდინარე აქედან, სპარსელების გამოსახვა ფარის გარეშე იყო წინასწარ გამიზნული არჩევანი. აქემენიდურ მონეტებზე გამოსახულია სამეფო ფიგურები მშვილდით, შუბით, ხანჯლით, მაგრამ არასდროს ფარით. სავარაუდოდ აქემენიდებისათვის ფარი არ წარმოადგენდა სპარსელის სიმბოლურ გამოსახულებას [White 2020: 79].

რომაული ხანის ბერძნულ და ლათინურ წერილობით წყაროებს თუ გადავხედავთ დავინახავთ, რომ იბერიის ჯარში იყვნენ როგორც ცხენოსნები, ისე ქვეითნი, ხოლო ძირითადი საბრძოლო იარაღი შუბი და მშვილდისარი იყო. საინტერესოა პლუტარქეს ცნობა, რომელიც ახსენებს “შუბოსან იბერებს” [Plutarch, Lucullus 31.5]. აპიანეს ცნობის მიხედვით კი იბერები “ისრებითა და შურდულებით აბრკოლებდნენ მითრიდატეს” [Appian. Mirth., 15. 101]. საყურადღებოა ასევე სტრაბონის ცნობა: “აღბანელები არიან შუბოსნები მშვილდოსნები, აქვთ აბჯრები და ფარები, მუზარადები ცხოველთა ტყავის, იბერების მსგავსად” [Strabo XI, 4, 5]. აღნიშვნის ღირსია სამადლოს ელენისტური ხანის (ძვ.წ. III ს) ქვევრებზე დატანილი მხედართა გამოსახულებები, რომელთა იარაღი მოკლე სატყორცნი შუბია, ხოლო ქვეითნი მახვილითა და ფარებით არიან აღჭურვილნი [შეიარაღების შესახებ იხ. გაგოშიძე 2004: 119, Гагошидзе 1979: ტაბ. XV, XVI; გამყრელიძე და სხვ. 2005; გამყრელიძე 2010: 135-159]. ხელშუბოსანი და მშვილდით აღჭურვილი მხედრები ასევე გამოსახულია დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილი ადგილობრივად დამზადებულ ძვლის გრავირებულ ფირფიტებზე [გაგოშიძე 2004: 119]. იულ. გაგოშიძე აღნიშნავს, რომ ანალოგიების ძიებისას საქართველოს ფარგლებს გარეთ მან ვერ მიაკვლია მოკლე სატყორცნი შუბით შეიარაღებული მხედრების გამოსახულებებს [გაგოშიძე 2004: 119].

როგორც დავინახეთ ხელშუბით, ფართა და მშვილდით აღჭურვილი მეომრის გამოსახულება უცხო არ არის ელინისტური და მოგვიანო ხანის ადგილობრივად მიჩნეული ხელოვნების ნიმუშებისათვის, რაც დადასტურებულია წერილობითი წყაროებითაც. შესაძლოა გამოითქვას მოსაზრება, მინის საბეჭდავთა ადგილობრივად დამზადების შესახებ, თუმცა, სტილითა და გამოსახულებით კავშირი ე.წ. ბერძნულ-სპარსული გლიპტიკის მოგვიანო, ბერძნის ჯგუფთან აშკარაა.

ლიტერატურა:

გაგოშიძე 2004: გაგოშიძე იულ. პირველი საუკუნის იბერიელი მხედარი, - ჟურ. *ძიებანი* (რედ. ვ. ჯაფარიძე), 13-14, თბ., გვ. 118-142.

გამყრელიძე და სხვ. 2005: გამყრელიძე გ., ფირცხალავა მ., ყიფიანი გ. ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები (ანტიკური პერიოდი), თბ.

გამყრელიძე 2010: გამყრელიძე გ., ომი და შეიარაღება იბერია-კოლხეთში, თბ.

ცქიტიშვილი 2001: ცქიტიშვილი გ., მდიდრული სამარხი ციხიაგორას სამაროვნიდან, ჟურ. *ძიებანი* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), 7, თბ., გვ. 41-44.

Collon 1988: Collon D. *Firs impressions: Cylinder Seals in the Ancient Near East*. Published by University of Chicago.

Furtwängler 1900: Furtwängler A., *Die Antiken Gemmen*. Leipzig: Giesecke and Devrient.

Gates 2002: Gates J., *The Ethnicity Name Game: What Lies behind "Graeco-Persian"?* Ars

Orientalis, v. 32, Medes and Persians: Reflections on Elusive Empires, Freer Gallery of Art, The Smithsonian Institution and Department of the History of Art, University of Michigan, pp. 105-132.

Garrison, Root 2001: Garrison M., Root M. Seals on the Persepolis fortification tablets, v. I. images of heroic encounter part 1: text. oriental institute publications, v. 117 The oriental institute of the university of Chicago, Illinois.

Kaptan 2002: Kaptan D., The Daskyleion Bullae: Seal images from the Western Achaemenid Empire. Nederland instituut voor het nabije oosten. Leiden.

Llewellyn-Jones 2010: Llewellyn-Jones L., The Big and Beautiful Women of Asia: Picturing Female Sexuality in Greco-Persian Seals. In: The World of Achaemenid Persia, pp 165-178.

Marvin 1973: Marvin M., Studies in Graeco-Persian Gems. Ph.D. diss., Harvard University.

Oberleitner 1994: Oberleitner P., Das Heroon von Trysa – Ein lykisches Fürstengrab des 4.Jh.n.Chr.; Antike Welt, Sonderheft 1994.

Tuplin 2010: Tuplin Ch., All the King's Horse: In Search of Achaemenid Persian Cavalry. New Perspectives on Ancient Warfare, ed. M. Brill, Leiden, pp. 100-182.

White 2020: White J., Bows and Spears in *Achaemenid* Persia. A dissertation submitted in partial satisfaction of the requirements for the degree Doctor of Philosophy in History.

<https://escholarship.org/uc/item/9819d1v6>

Xin 2010: Xin W., Enemies of Empire: A Historical Reconstruction of Political Conflicts between Central Asians and the Persian Empire. In: The World of Achaemenid Persia, ed. John Curtis and John Simpson, pp. 545-564. I.B.Tauris & Co Ltd, London.

Xin 2014: Xin W., 'o young man... make known of what kind you are': warfare, history, and elite ideology of the Achaemenid Persian empire. Iranica antiqua, v. XLIX. pp. 209-299.

Zutterman 2003: Zutterman Ch., The bow in the ancient near east, a re-evaluation of archery from the late 2nd millennium to the end of the *Achaemenid* empire. Iranica antiqua, v. XXXVIII, pp. 119-165.

Гагошидзе 1979: Гагошидзе Ю. Самадло (Археол. раскопки) - Гос. музей Грузии, - *Мецниереба*, Тб.

Никулина 1966: Никулина Н. Малоазийская глиптика второй половины V–IVвв. до н.э. и проблема восточногреческого и греко-персидского искусства. Мос.

ტაბულების აღწერილობა:


სურ. 1. მინის ინტალიო, ნასტავისის სამაროვანი.

სურ. 2. მინის მრავალნახნაგა, ციხიასგორას მდიდრული სამარხი (გ.ფ. №1570).


სურ. 3. მინის მრავალნახნაგა, ციხიასგორას მდიდრული სამარხი (გ.ფ. №1571).



1



2



3

**წინარეანტიკური ხანის ძვირფასი ლითონის წარმოებასთან
დაკავშირებული ტექნოლოგიური დეტალები**

ნინო ქობალია

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი კოლხური კულტურის ისტორიაში ის მნიშვნელოვანი ეტაპია, როდესაც საფუძველი ეყრება კოლხური ოქრომჭედლობის სახელით ცნობილ უნიკალურ საიუველირო სტილს, რომელიც ოდნავ მოგვიანებით, კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური გაერთიანების არსებობის ხანაში წარჩინებულ პირთა სამარხებში აღმოჩენილი შედეგების შექმნის წინაპირობაა.

გამომდინარე იქიდან, რომ კოლხეთი და ზოგადად კავკასიის რეგიონი ლითონდამუშავების და მისი მოპოვების ერთ-ერთი უძველესი კერაა, სრულიად ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ კოლხური კულტურის აყვავების დროს, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, ოქროთი და ვერცხლით ბუნებრივად მდიდარ გარემოში, ადგილობრივი მოსახლეობა, ლითონდამამუშავებელ სახელოსნო ცენტრებში, ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების გვერდით, საიუველირო ნაწარმსაც აწარმოებდა.

დღევანდელი მონაცემებით, წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობის ნიმუშების საწარმო-სახელოსნოები იდენტიფიცირებული არ არის, თუმცა სამაროვნებზე აღმოჩენილი სხვადასხვა სახის საიუველირო იარაღებად მიჩნეული ნივთები, აქ ადგილობრივი ოსტატების არსებობის პირდაპირი მანიშნებელია. ანტიკური ხანაში ოქრომჭედლობის ნიმუშების ადგილობრივი წარმოების დასასაბუთებლად, მკვლევარ ან. ჭყონიას სამი ჯგუფის ნივთები აქვს გამოყოფილი: 1) ოქროს ზოდები, ნაღვენთები, ფირფიტის ჩამონაჭრები და ნამზადები; 2) მეორადი დამუშავებისთვის განკუთვნილი, დაზიანებული და ფრაგმენტირებული ძვირფასი ლითონის სამკაული; 3) შეკეთებული ან გადაკეთებული ძვირფასი ლითონის ნივთები [ჭყონია 2012: 5; ჭყონია ან. გამყრელიძე გ. 2021: 394-397]. აღსანიშნავია, რომ ზემოთჩამოთვლილი პუნქტებიდან ყველა წინარეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობაშიც დასტურდება. მაგ.: 1) ზოდი - ჭუბურხინჯის, ნოსირის განძებში; 2) დაზიანებული ნივთები/ნივთის ფრაგმენტები - ნოსირის განძში; 3) შეკეთების კვალი - ნარეკვავში აღმოჩენილი იხვის ფორმის საკიდები და სხვ.

წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ნაწარმის შედარებით გვიანდელ კომპლექსებში აღმოჩენის ფაქტები (მაგ. წინარეანტიკური ხანის ფილიგრანის წნულით მოჩარჩოებული საკიდები ვანის ძვ.წ. IV ს-ის კომპლექსიდან), გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდის ძვირფასი ლითონის ნაწარმის გარკვეული ნაწილი თაობებს ყოფილიყო გადაცემული და მეორადი დამუშავებით გადაკეთებული ან გადამდნარი.

ნივთების მეორადი დამუშავების ტრადიციების არსებობასთან დაკავშირებით, საინტერესოა პალესტინაში, ტელ ელ-აჟურში (რეგიონში, სადაც ოქროს ნედლეული ასევე ადვილად ხელმისაწვდომი იყო), ძვ.წ. XVI ს-ით დათარიღებულ ძეგლზე აღმოჩენილი გადასადნობად განკუთვნილი ოქროსა და ვერცხლის დაზიანებული ნივთების ცალკეული დეტალები [Eluere 1990:102]. ანტიკური ხანის კოლხეთში ამის პარალელია ვანის ცენტრალურ ტერასაზე, ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრისა და ძვ.წ. III საუკუნის რიყის ქვებით ნაგებ კომპლექსში აღმოჩენილი, ერთად თავმოყრილი ოქროს ფრაგმენტები: დეფორმირებული საყურე რგოლი, საკიდების ნაწილაკები, მილაკები, ორნამენტირებული ფირფიტის ფრაგმენტები [ჭყონია 2012: 47; ჭყონია ან. გამყრელიძე გ. 2021: 394], ხოლო წინარეანტიკური

ხანის კოლხეთში, განძებში ოქროს ზოდებთან ერთად სხვადასხვა ოქროს ნივთის ფრაგმენტების (ოქროს ჯართი) აღმოჩენები.

წინარეანტიკური ხანის კოლხეთში ძვირფასი ლითონის ნივთების ადგილობრივ წარმოებას, განძებში გამოვლენილ ზოდებსა და ფრაგმენტირებულ ნივთებთან ერთად, სამარხულ კომპლექსებში აღმოჩენილი საიუველირო იარაღებიც ადასტურებენ. მაგ., ცაიშის №1 სამარხ-ორმოში აღმოჩენილი ბრინჯაოსა და რკინის მახათები, ნემსები, ყაისნალისა და ჩაქუჩისმაგვარი ნივთები, სატეხები, წვეტიანი საკანრები და ა.შ. [პაპუაშვილი და სხვ. 2015], რომლებიც გამოყენებული შეიძლება ყოფილიყო როგორც ძვირფასი ლითონის, ისე ბრინჯაოს, კალის და სხვა სამკაულის დასამუშავებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ოქრომჭედლობის სახელოსნოების ამსახველი პირდაპირი არქეოლოგიური ფაქტები არ გვაქვს, არაერთი არაპირდაპირი მინიშნებით, მათი არსებობა ბრინჯაოს სახელოსნოების გვერდით უნდა ვივარაუდოთ. ამაზე მეტყველებს: 1) თანადროულ ეგეოსურ და ბერძნულ სამყაროში არსებული პარალელები; 2) კოლხურ განძებში ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს ზოდების ერთად აღმოჩენები; 3) ფაქტი, რომ ბრინჯაოსა და ოქროს მხატვრული დამუშავებისთვის ფუნქციურად იგივე ინსტრუმენტების გამოყენებაა საჭირო.

საოქრომჭედლო ცენტრების სამჭედლო სახელოსნოებში არსებობის ტრადიციაზე, ასევე, მიუთითებს მოგვიანო პერიოდის არქეოლოგიური მონაცემები: სარკინეში გათხრილ მრავალგანყოფილებიან, დიდ სახელოსნოში, სადაც ხდებოდა რკინის და სხვა ლითონების დამუშავება, ოქრომჭედლის სამუშაო ადგილიც ყოფილა გამართული [აფაქიძე 1963: 209-211, ხახუტაიშვილი 1966:129-130, ჭყონია 2012:10; ჭყონია ან. გამყრელიძე გ. 2021: 394-397].

ბრინჯაოს ლითონდამამუშავებელი საწარმოო სახელოსნოები ძველ კოლხეთში ძირითადად ნამოსახლარებზეა დადასტურებული და მათი კონცენტრაცია, მნიშვნელოვანი მდინარეების ხეობებთან შეინიშნება. ამის მიზეზი, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად (მაგ., ის, რომ მდინარეები შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო როგორც მათ ხეობებში გამავალი სამთამადნო წარმოების ძეგლებთან დამაკავშირებელი მთავარი საკომუნიკაციო საშუალება) შეიძლება ალუვიური ოქროს მოპოვებასთანაც ყოფილიყო კავშირში.

სახელოსნოების იდენტიფიკაციის მიზნით, საყურადღებოა ამ პერიოდის კოლხეთში - ნოქალაქევი, ოჩხომურში, მუხურჩასა და ბანძაში აღმოჩენილი საწარმოო ნამოსახლარების სახელით ცნობილი სახელოსნოები [Гордזה და სხვ. 1990; ლომიტაშვილი 2002], სადაც სხვადასხვა სახის მინერალის მძივებთან ერთად, სავარაუდოდ, ოქროს ნივთებსაც აწარმოებდნენ. ამ მხრივ საინტერესოა დ. ლომიტაშვილის მიერ ნოქალაქევის სახელოსნო ნამოსახლარზე გამოყოფილი ქვის ერთი ჯგუფი - მინერალოგიაში ცნობილი როგორც „ბაზანიტი“ [SiO₂, სიმაგრე 5.5-7 - ეს არის ხავერდოვანი შავი სილიციუმის ქვა, რომელიც მისი სიხისტისა და შავი ფერის გამო ძვირფასი ლითონის სისუფთავის შესამოწმებლად გამოიყენებოდა], ხოლო სამეცნიერო ლიტერატურაში, პლინიუსის წყაროების თანახმად ცნობილი როგორც „ლიდიური ქვა“, ან „ჰერაკლეს ქვა“ [Pliny, The Natural History: XXXIII.126]. ოქრომჭედლობასთან დაკავშირებით აღნიშნული ქვა საინტერესოა, რამდენადაც იგი უძველესი პერიოდიდან მოყოლებული ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონის სინჯებისთვისაა გამოყენებული [Lord 1937: 228-231; ლომიტაშვილი 2003:17-18].

შესაძლოა, ცენტრალური კოლხეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით დათარიღებულ კომბინირებულ საწარმოო-ნამოსახლარ კომპლექსებში მინერალის სამკაულთან ერთად ძვირფასი ლითონის წარმოებაზე მიუთითებდეს ისიც, რომ ამ პერიოდის კოლხეთში აღმოჩენილი ძვირფასი ლითონის ნაწარმი, ბევრ შემთხვევაში, ადგილობრივ

წარმოებული მინერალის თვლებით არის ინკრუსტირებული. ასევე ფაქტი, რომ ძვირფასი ლითონის ნაწარმი, უმეტეს შემთხვევაში, ამ პერიოდის კოლხეთისთვის დამახასიათებელ, ადგილობრივად დამზადებულ სარდიონის მოზრდილ, სფერულ, კარგად ნაპრიალებ მძივებთან ერთად არის აღმოჩენილი.

შესაძლოა მძივების დასამზადებელ სახელოსნოებში ძვირფასი ლითონის წარმოების სასარგებლოდ მეტყველებდეს ეგვიპტის ახალი სამეფოს პერიოდის ტექსტურ და მხატვრულ წყაროებში ასახული ფაქტები, რომელთა მიხედვით ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში სამკაულის წარმოებაში სპეციალიზირებული ოსტატები ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ნივთებთან ერთად, ნახევრადძვირფასი ქვების, მინისა და ფაიანსის დამუშავება-წარმოებაშიც იყვნენ დახელოვნებულნი [Golani 2013].G

ოქროს ქიმიური და ფიზიკური მახასიათებლები:

ოქრო არის ერთადერთი მეტალი, რომელიც ბუნებაში მზა სახით მოიპოვება. მისი მოპოვება შესაძლებელია როგორც პირველად - სხვადასხვა სახის ქანების ძარღვებში, ისე მეორად - მდინარეულ საბადოებში, სადაც ოქრო ალუვიურ ქვიშასა და ხრეშში ოქროს შემცველი მადნის გამოფიტვის ან დაშლის შედეგად ხვდება. ოქრო სხვებთან შედარებით მძიმე და რბილი ლითონია. მას ახასიათებს კარგი თბო და ელექტროგამტარობა. მის განსაკუთრებულ თვისებას წარმოადგენს მაღალი ქიმიური მდგრადობა: არ იჟანგება, არ რეაგირებს ტუტეებთან, მჟავებთან და მარილებთან [ფოფორაძე და სხვ. 2005: 23], რომელიც მისი მაღალი ღირებულების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია.

თვითნაბადი ოქრო სპილენძის, ვერცხლის და მცირე რაოდენობით რკინის, კალის და პლატინიუმის ჯგუფის მინარევებით ხასიათდება და გვხვდება სხვადასხვა ფორმის კრისტალების, ფირფიტების, მარცვლების, ნაჭრების და ქერცლის სახით, რომელთა წონა რამდენიმე მილიგრამიდან რამდენიმე კილოგრამამდე მერყეობს. ოქროს, მასში სხვადასხვა ლითონის კონცენტრაციის შესაბამისად, ახასიათებს განსხვავებული ფერი და თვისებები.

წინარეანტიკური ხანის კოლხეთში აღმოჩენილი ოქროს ნივთების მაღალტექნოლოგიური მახასიათებლებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მისი შემქმნელი ხელოსნები ლითონის ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს საკმაოდ კარგად იცნობდნენ. იმისათვის, რომ ხელოსანს სწორად განესაზღვრა ოქროსა და ვერცხლის ჩამოსხმის, ჭედვის/კვერვის, გლინვის, რჩილვის და სხვა სახის ცხელი დამუშავებისთვის საჭირო თერმული რეჟიმი, აუცილებელი იყო გაეთვალისწინებინა ლითონებისა და შენადნობების როგორც ფიზიკური (ფერი, სიმაგრე, სიმკვრივე, დნობის ტემპერატურა, თბოგამტარობა, არეკვლის უნარი), ისე მექანიკური (მდგრადობა, დრეკადობა, სიმაგრე, პლასტიკურობა) თვისებები.

ოქროს ნივთების გარეგნული მახასიათებლებიდან და ზოგიერთი ნივთის ქიმიური შედგენილობის შესწავლიდან ჩანს, რომ წინარეანტიკური ხანის კოლხეთში, ანტიკური პერიოდისგან განსხვავებით, ოქროს რაფინირების ტექნიკას ჯერ კიდევ არ იცნობდნენ. აქ აღმოჩენილი ოქრომჭედლობის ნიმუშები, შედგენილობის მხრივ, დიდი ვარიაციებით გამოირჩევა. ვხვდებით როგორც შედარებით მაღალი, ისე დაბალი სინჯის ოქროს ვერცხლის, სპილენძის და ზოგჯერ უმნიშვნელო რაოდენობით რკინისა და კალის მინარევებით. შედარებით მაღალი სინჯის ოქრო საფიქრებელია, რომ ალუვიური წესით ყოფილიყო მოპოვებული, ხოლო ვერცხლის მაღალმინარევიანი (ელექტრუმი) - სამთო წესით, ან საბადოსთან ახლოს, ალუვიურად.

ვერცხლისა და სპილენძის მაღალი შემცველობის ოქროს ვხვდებით არა მხოლოდ კოლხურ, არამედ ბერძნულ, ეტრუსკულ, ირანულ, ასურულ და სხვა საოქრომჭედლო

ცენტრებში, რაც ნათლად მიუთითებს, რომ ამ პერიოდში რაფინირების ტექნიკა ჯერ არ იყო დანერგილი და ნივთები მზადდებოდა ოქროს ბუნებრივი შენადნობისგან.

მადნისეული ოქროს მოპოვების ფაქტები, დღევანდელი მონაცემებით, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიურად დადასტურებული არ არის, თუმცა ოქროს სინჯებიდან გამომდინარე, არ გამოვრიცხავთ, რომ ვერცხლის ძალიან მაღალი შემცველობის მქონე ოქროს ნივთთა გარკვეული ნაწილი სწორედ ამ გზით იყოს მოპოვებული. როგორც ცნობილია, მადნისეული ოქროსგან განსხვავებით (რომელსაც ახასიათებს მინარევი ლითონების მაღალი შემცველობა), მეორადი საბადოდან მოპოვებული ოქრო, მინარევი ლითონების შედარებით დაბალი კონცენტრაციით და მაღალი სინჯით ხასიათდება. ეს გამონწვეულია იმით, რომ ხშირად ოქროს ზოდი პირველადიდან მეორად საბადომდე ძალიან დიდ გზას გადის და ხანგრძლივი გადაადგილების დროს სუფთავდება, ანუ ნიადაგისა და ატმოსფერული ზემოქმედების შედეგად ხდება მადანში ვერცხლის და სპილენძის ოქსიდირება, რის შედეგადაც იგი იკარგება [ლამბაშიძე და სხვ. 2010: 58].

წინარეანტიკური ხანის ოქროს ნაწარმს ახასიათებს ვერცხლის შემცველობა 60-დან 90%-მდე, რაც მის ფერსა და თვისებებზეც კარგად არის ასახული. ვერცხლისა და ოქროს შენადნობში, თუ ვერცხლის შემცველობა 30%-ს აღემატება, ოქრო ხდება უფრო მკრთალი და მოთეთრო-ლიმონისფერ შეფერილობას იძენს, სპილენძის მაღალი კონცენტრაცია კი (15%-მდე) მას უფრო მონათლო შეფერილობას აძლევს [ფოფორაძე და სხვ. 2005: 34]. აღსანიშნავია, რომ ძველ სამყაროში ოქრო ვერცხლის მაღალი კონცენტრაციით (პლინიუსის თანახმად, ერთი მეხუთედი, XXXIII,80) ცნობილი იყო როგორც თეთრი ოქრო, ან ელექტრუმი [Higgins 1980]. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდის ოქრომჭედლობის ნიმუშებს, ანტიკური ხანის ოქროს ნივთებისგან განსხვავებით, რომელთა უმეტესობა რაფინირებული ოქროსგანაა დამზადებული, აქვთ პერსპექტივა, ინტერდისციპლინარული კვლევების საფუძველზე, იდენტიფიცირდნენ სავარაუდო საბადოებთან. ამის საშუალებას იძლევა ოქროს ქიმიური მინარევების - კალა და პლატინიუმის ჯგუფის მეტალების არსებობა მეტალში, რომელიც ყველა საბადოში განსხვავებულია და ლითონს თავისებურ, ე.წ. უნიკალურ კოდს აძლევს.

წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობის ზოგიერთი ნიმუშის სპექტრული ანალიზი და მათი გარეგნული მახასიათებლები ცხადყოფს, რომ ისინი არარაფინირებული ოქროსგანაა დამზადებული. რაფინირების ტექნიკის დანერგვა და მისი მასიური გამოყენება, როგორც კოლხეთში, ისე სხვა თანადროულ კულტურულ ცენტრებში, მხოლოდ ძვ.წ. VI ს-ის შემდეგ იწყება და დაკავშირებულია ლიდიაში სამონეტო მიმოქცევის შემოღებასთან. ამგვარი ოქროს უპირატესობა გახლავთ ის, რომ მიკრო ფორმატის დეტალები და ფურცლოვანი ოქრო რაფინირებული მეტალისგან გაცილებით მარტივად მზადდება, ვიდრე ეს დაბალი სინჯის ოქროს შემთხვევაშია შესაძლებელი. ცნობილია, რომ არარაფინირებულ ოქროში პლატინიუმის ჯგუფის მინარევები (ოსმიუმი, ირიდიუმი, რუტენიუმი), მიუხედავად იმისა, რომ მათი წილი შენადნობში ძალიან მცირეა, დიდ პრობლემას ქმნიან ტექნიკური დამუშავების დროს (ისეთი ნივთების მიღებისას, როგორიცაა ოქროს ფურცელი, მავთული და ა.შ.). კლასიკურ ხანაში, მიკრო დეტალების მქონე დელიკატური ნივთების დასამზადებლად იყენებდნენ ასეთი მინარევებისგან საგანგებოდ განმწმენდილ ოქროს, ხოლო უფრო მასიური, სადა ნივთებისთვის (მაგ. საბეჭდავი ბეჭდები) შედარებით დაბალი სინჯის ოქროს ვერცხლის ან სპილენძის მაღალი კონცენტრაციით, რომელიც მოცულობასთან ერთად გაზრდიდა მის სიმაგრესაც.

წინარეანტიკურ ხანაში, მიუხედავად იმისა, რომ რაფინირების ტექნიკა ჯერ არ იყო დამკვიდრებული, ოქროს ეს თვისება შესაძლოა იცოდნენ კიდევ, შესაბამისად, რთული

დეკორატიული პროცესებისთვის არჩევდნენ შედარებით მაღალი სინჯის ოქროს (რომელსაც, შესაძლოა, ხელოსნები ფერთაც განსაზღვრავდნენ).

ოქროს დამუშავებასთან ერთად, ამ პერიოდში, ასევე კარგად იცნობდნენ ვერცხლის ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებსაც. ვერცხლზე ზუსტად იგივე ტექნოლოგიური ხერხების გამოყენებაა შესაძლებელი რაც ოქროზე, ოღონდ იმის გამო, რომ ვერცხლის დნობის ტემპერატურა ოქროსთან შედარებით დაბალია, იგივე შედეგის მიღება მასზე გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ოქროზე. ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ იგი შედარებით ნაკლებად მოქნილი ლითონია, ვერცხლისგან ფურცელი ისეთი თხელი ვერ გამოდის, როგორც ოქროს შემთხვევაში [Williams და სხვ. 1994: 14]. მიუხედავად ამ სირთულეებისა, ჩვენ მაინც ვხვდებით ზუსტად იგივე ტექნოლოგიური ხერხების გამოყენებას ვერცხლზე, რაც მათი შემქმნელი ოსტატების საკმაოდ მაღალ კვალიფიკაციაზე მეტყველებს.

ტექნოლოგიური და დეკორატიული ხერხები:

უკანასკნელ წლებში, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული ძვირფასი ლითონის ნაწარმის საკმაოდ რაოდენობით დაგროვებამ საშუალება მოგვცა შეძლებისდაგვარად განგვესაზღვრა ის ტექნოლოგიური პროცესები, რომლებსაც კოლხეთში მოღვაწე იუველირები ფლობდნენ.

ზოგადად, ოქროს ნივთების დამზადებისთვის ორი ძირითადი ხერხია ცნობილი: ჩამოსხმა და გამოჭედვა. ჩამოსხმით მიღებული მასიური ოქროს ნივთები უძველესი დროის ევროპული ოქრომჭედლობისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო ჭედური სახით მიღებული - აღმოსავლური და ორიენტალური ტრადიციაა. ის თუ, რამ განაპირობა აღმოსავლურ ოქრომჭედლობაში დელიკატური ნივთების პოპულარობა, ორი რამით შეიძლება აიხსნას: 1). ფურცლოვანი ოქროთი ოსტატი ამზადებდა მასიური ეფექტის მქონე ნივთებს ოქროს მინიმალური დანახარჯით; 2). გრანულაცია და ფილიგრანის მირჩილვა, ტექნოლოგიურად შეუძლებელია მასიური ფორმის ჩამოსხმულ ნივთებზე, ამისთვის ოქროს თხელი ფირფიტა იყო საჭირო. ჩამოსხმით, ამ პერიოდში, მხოლოდ სპილენძის, კალის, ანტიმონის და ვერცხლის სამკაული მზადდებოდა.

წინარეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობაში ოქროს ნივთების უმეტესობა ინდივიდუალურად დამზადებული ნაწილების (გრანულები, მავთული, ფურცლოვანი ოქრო, საინკრუსტაციო მასალა) ერთმანეთზე რჩილვის, ან მექანიკური გადაბმის გზით მიმაგრებით იწყობოდა. ამ პერიოდის საიუველირო საქმეში გამოყენებული ე.წ. პირველადი, ე.ი. ტექნოლოგიური ხერხებია: ჩამოსხმა, ჭედვა, ჭრა, რჩილვა, გაპრიალება; ხოლო მეორადი, ე.ი. დეკორატიული: ფილიგრანი, გრანულაცია, ინკრუსტაცია, გრავირება, მოოქროება.

ჩამოსხმა ერთ-ერთი ყველაზე მარტივი ხერხია ლითონის ნივთების მისაღებად, განსაკუთრებით ისეთი რბილი მეტალისთვის, როგორც ოქროა, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ იგი ლითონის გაცილებით მეტ დანახარჯს მოითხოვს, არ იყო პოპულარული ძველ ბერძნულ და აღმოსავლურ ოქრომჭედლობაში და მოგვიანებით ევროპულ ოქრომჭედლობაშიც დაკარგა აქტუალობა. წინარეანტიკურ ხანის ოქრომჭედლობაში ჩამოსხმის სახით დამზადებულ ძვირფასი ლითონის ნივთებს წარმოადგენენ: ზოგიერთი სადა, მცირე რგოლები, სამაჯურები, სასაფეთქლე ხეიბი, დუგმა და დიადემები, რომელთა ანალოგები ბრინჯაოშიც მეორდება. ვერცხლში ჩამოსხმით მიღებული ნივთები უფრო ხშირად გვხვდება, გამომდინარე იქიდან, რომ იგი ოქროსთან შედარებით უფრო ხელმისაწვდომი ლითონია. ჩამოსხმით მიღებული მცირე ზომის ნივთები თუ დეტალები საკმაოდ რაოდენობით ფიქსირდება ბერძნულ საოქრომჭედლო ცენტრებში გვიანბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული რომაულ ხანამდე. აქ, არქეოლოგიურად დადასტურებულია

გვიანბრინჯაოს ხანის რგოლების, საყურეების და სხვა მცირე ნივთების ჩამოსასხმელი მრავალი ყალიბი [Higgins 1980:18, Pl.1e]. არსებობს ვარაუდი, რომ აღნიშნული ყალიბები ლითონის არა პირდაპირი ჩამოსხმისთვის, არამედ ცვილის მოდელის დასამზადებლად გამოიყენებოდა და იყო პირველადი ეტაპი ე.წ. *ცვილის მოდელის დაკარგვის ტექნოლოგიისა*. შესაძლოა კოლხეთში გავრცელებული ადრეული ოქრომჭედლობის ჩამოსხმული ნიმუშებიც ცვილის მოდელით იყოს მიღებული, მით უმეტეს, რომ ამის ტრადიცია ჯერ კიდევ თრიალეთური ეპოქის ოქრომჭედლობაშიც არსებობდა. წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობაში, ჩამოსხმის გზითაა დამზადებული სასაფეთქლე ხვები, მცირე ზომის სკულპტურული საკიდი, დუგმა და სხვ. (ტაბ. 1₂).

ჭედრობა ოქროს ტექნოლოგიური დამუშავების ერთ-ერთი უძველესი ხერხია. ის, ძირითადად, ფურცლოვანი ოქროს მისაღებად გამოიყენებოდა. გამოჭედვის მეთოდით ოქროს თხელი ფურცლის დამზადების ტექნოლოგიის პირველი შემოღება ეგვიპტელებს და მესოპოტამიელებს მიეწერებათ. ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში ეგვიპტელებმა შეიმუშავეს გამოჭედვის შედეგად ოქროს ფურცლის მიღების ისეთი ტექნოლოგიური ხერხები, რომელსაც დღესაც კი, ათასწლეულების შემდეგ, აღფრთოვანებაში მოჰყავს ადამიანი. მათ მიერ დამზადებული ყველაზე თხელი ოქროს ფოლგა 0.001 მმ. სისქისაა [Ogden 1982: 34]. ეგვიპტელები იყვნენ პირველები, რომლებმაც აღმოაჩინეს ოქროს განსაკუთრებული თვისებები: გამძლეობა, მოქნილობა, სირბილე და ჭიმვადობა. ოქროს თხელ ფურცლებად გამოჭედვისთვის მხოლოდ მისი ჩაქუჩით დაბრტყელება არ კმაროდა. ამისთვის სათანადო ცოდნა და უნარები იყო საჭირო.

წინარეანტიკურ ხანაში ოქროს ნივთები ძირითადად ჭედვით გამოყვანილი ოქროს ფირფიტისგან და ფურცლოვანი ოქროსგან მზადდებოდა. ოქროს ფურცლის მისაღებად დაბრტყელებული ზოდი თავსდებოდა გრდემლზე და იჭედებოდა შუა ნაწილიდან კიდეების მიმართულებით. გამომდინარე იქიდან, რომ დარტყმების შედეგად, ოქრო და ვერცხლი, ისევე როგორც ყველა სახის ლითონი, მალე კარგავს პლასტიურობას და ხდება უფრო მყიფე, მოქნილობის გაზრდის და დეფორმირების წინააღობის შესამცირებლად, პერიოდულად ხურდებოდა სათანადო ტემპერატურაზე და თავსდებოდა ცივ წყალში [Higgins 1980: 12]. ამ გზით, ჭედვის დროს დაზიანებული კრისტალები აღდგებოდა და ლითონი იბრუნებდა პირვანდელ მოქნილობას. გამოჭედილი ოქროს ფურცელი სისქის მიხედვით შეიძლება ყოფილიყო: 1. ოქროს ფირფიტა, 2. ფურცელი ან 3. ფოლგა [Ogden 1982: 34-35; Rudolph 1995].

გამოჭედვითვე ხდებოდა სხვადასხვა სახის რელიეფური დეკორების (სიღრმეზე ან სიმაღლეზე გამოსახული) მიღება. ამისთვის შემდეგი ხერხები გამოიყენებოდა: 1) ოქროს ნაჭერი თავსდება სასურველი დეკორის მქონე მეტალის ან ხის შტამპზე და ზემოდან წნეხვით, რომელიც ხორციელდებოდა ცვილის, ტყვიის ან რომელიმე სხვა უფრო რბილი მასალის დახმარებით, ხდებოდა ოქროს ფურცელზე შესაბამისი დეკორის გამოყვანა; 2) ოქრო იდებოდა ცვილზე, ტყვიაზე ან სხვა რომელიმე რბილ მასალაზე და ზემოდან შესაბამისი ფორმის შტამპის ზეწოლით ხდებოდა ფორმების გამოყვანა; 3) ფუყე ნივთების დასამზადებლად საჭირო ფორმების გამოყვანა ხდებოდა სასურველი დეკორის/ფორმის რელიეფურ ყალიბზე ოქროს ფურცლების მორგებით [Williams და სხვ. 1994: 15].

წინარეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობაში ჭედვისა და წნეხვის შედეგად სხვადასხვა სახის შტამპებით გამოყვანილ რელიეფურ დეკორატიულ სახეებს და ფორმაზე გამოჭედილ ნივთების დეტალებს არაერთ ნიმუშზე ვხვდებით (ტაბ. 2). მაგ., ასეთებია სხვადასხვა სახის, სამკუთხა ფორმის საკიდების ფურცლოვანი გარსაკრავები სამთავროსა და ცაიშის სამაროვნიდან, სარტყლის ფრაგმენტი, მძივების გარსაკრავები და სხვ. ამ მხრივ

საინტერესოა ამ პერიოდის ოქრომჭედლობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ელემენტი, ურჩხულის თავებით დაბოლოებულ რგოლები (ტაბ. 3). მათზე ურჩხულის თავები დამზადებულია რგოლისგან დამოუკიდებლად. გამოსახულების მისაღებად სათანადო სისქის ოქროს პატარა ფირფიტებზე, წინასწარ გამოყვანილ ფორმაში, რომელიც ურჩხულის თავის პროფილის ფორმის უნდა ყოფილიყო, წნეხვით გამოჰყავდათ თავის პროფილი, ე.ი. თავის ნახევარი. რელიეფურად გამოყვანილი ფორმები რჩილვით მაგრდებოდა ერთმანეთზე. ურჩხულის თავი რგოლზე წამოსაცმელად ბოლოვდებოდა მილისებური სეგმენტით - საყელოთი. საბოლოო სახის მისაღებად საჭირო იყო კიდევ არაერთი დეტაილს დამატება: კოლხეთისთვის დამახასიათებელ ნიმუშებზე თვალები, ეშვები და დინგი ხშირად ფილიგრანის მავთულებითაა გამოსახული; კბილების გადმოსაცემად გამოყენებულია ცვარა, ხოლო ყურები ფირფიტოვანი ოქროთია მიღებული და მირჩილულია თავზე. აღნიშნული დეტალების (ცხოველის თავის) დამთავრების შემდეგ ხდებოდა მისი რგოლზე წამოცმა, სადაც იგი, ძირითადად, მექანიკურად მაგრდებოდა. გადაბმის ადგილის დასაფარად და მისი უფრო მყარი ფიქსაციისთვის, ამგვარ რგოლებსა და სამაჯურებს საყელოსთან შემოვლებული აქვთ სხვადასხვა სახის დეკორის ფილიგრანული სარტყლები. ამგვარი სამაჯურის ან რგოლის დაბოლოებები, თანადროულ და მომდევნო პერიოდის საოქრომჭედლო ცენტრშიც აქტუალურია და უფრო დიდი ვარიაციებითაც გვხვდება.

ფუყე ნივთების დამზადების მთავარი უპირატესობა და პოპულარობა მდგომარეობდა ოქროს მინიმალურ დანახარჯში. ამ მეთოდით ძალიან მცირე რაოდენობის ოქროთი მასიური ეფექტის მქონე ნივთების მიღება იყო შესაძლებელი. იმისთვის, რომ ღრუტანიაანი ნივთები უფრო გამძლე და მაგარი ყოფილიყო, იგი ივსებოდა გარკვეული მასით (თაბაშირით, თიხით, პასტით, ცვილით და სხვ.). სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესო ნიმუშებზე ამგვარი მასა არ არის შემორჩენილი ან შესწავლილი.

მოოქრობა წინარეანტიკური ხანის საიუველირო სახელოსნო ცენტრებში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდი. პრეისტორიულ ხანაში იგი ძირითადად გულისხმობდა ოქროს ფოლგის გადაკვრას სხვადასხვა მასალისგან დამზადებულ გულაზე. წინარეანტიკური ხანის კოლხეთში ოქროთი ძირითადად იფარებოდა ვერცხლის, ბრინჯაოს, ტყვიისა და კალის ნივთები. ოქროს თხელი ფურცელი ლითონზე შეიძლება დამაგრებული ყოფილიყო გადაჭედვის და გვერდების შემოკეცვის, რჩილვის, ან გარკვეული ნებოვანი ნივთიერების (ე. წ. კოპალის ნებოს) დახმარებით [Higgins 1980: 29-30].

ნებოს გამოყენება საჭირო იყო სპილენძის ან ბრინჯაოს მოოქროებისთვის და იგი თერმულ დამუშავებასაც მოითხოვდა: საჭირო იყო ბრინჯაოს ან სპილენძის ზედაპირზე დანებებული ოქროს ფურცლის იმ ტემპერატურაზე გახურება, რომელიც უზრუნველყოფდა ზედაპირზე მის მცირედით შედუღებას [ფოფორაძე და სხვ. 2005: 66]. ცივი მეთოდით ოქროს ფურცლით მოოქროების დროს ძალიან თხელი ოქროს ფოლგა (სასურველი სისქე 0.001-0.003 მმ) ნებოვანი ნივთიერებით ეკვროდა ზედაპირს. წინარეანტიკურ ხანაში ვერცხლისწყლით მოოქროების მეთოდი არცერთ საოქრომჭედლო ცენტრშია დადასტურებული. სავარაუდოდ, ეს მეთოდი არც კოლხი ოქრომჭედლებისთვის იქნებოდა ცნობილი.

მოოქროებასთან ერთად კოლხეთში, ისევე როგორც მსგავსი ტრადიციების მქონე სხვა საოქრომჭედლო ცენტრებში, გამოიყენებოდა მოვერცხვლაც, რომელიც ზუსტად იგივე ტექნოლოგიურ პროცედურებს მოიცავდა. სამწუხაროდ, იმის გამო რომ ვერცხლი უმეტეს შემთხვევაში ცუდად ინახება და ოქროზე მეტად კოროზირებადია, მოვერცხლილი ნიმუშების ძალიან მცირე ნაწილია შემორჩენილი.

მარტივი სახით მექანიკურად მოოქრული ნივთები საქართველოში ჯერ კიდევ თრიალეთურ ოქრომჭედლობაში ფიქსირდება და, აქედან მოყოლებული, განვითარების საკმაოდ ხანგრძლივ ტრადიციას გადის. წინარეანტიკური ხანის კოლხური კულტურის მსგავსი ტექნოლოგიით დამზადებული ნიმუშებიდან ჩანს, რომ ამ ტექნიკის ცოდნას აქ საკმაოდ მაღალ დონეზე ფლობდნენ. ვხვდებით როგორც მექანიკური გზით მოოქრულ, ისე შედნობა-შენებების გზით გადაკრულ ფოლგებს, ფურცლებს და ფირფიტებს (ტაბ. 3₂).

მავთული უძველეს საიუველირო ხელოსნობაში ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებული სახეა როგორც პირველადი, ისე მეორადი დამუშავებისთვის [Rudolph 1995]. ის გამოიყენებოდა როგორც ნივთების და დეტალების დასამაგრებლად, ისე დეკორაციისთვის. მავთული მიიღებოდა გრძლად და წვრილად დაჭრილი ოქროს ფურცლის სიგრძეზე გადახვევით და ქვის ან ბრინჯაოს ფირფიტებს შორის გორაობით მანამ, სანამ სასურველ მრგვალ განივკვეთს არ მიიღებდა [Higgins 1961: 14].

უბრალო მავთულის მიღების უფრო მარტივი ხერხი იყო მისი ჩამოსხმა და შესაბამის სისქეზე გამოჭედვა. ოქროს წვრილი მავთულისგან მხატვრული სახეების შექმნის ერთ-ერთი უძველესი ხერხია ფილიგრანი. მისი უძველესი ნიმუშები ძვ.წ. III-II ათასწლეულის, მესოპოტამიის, ეგეოსური სამყაროს, ეგვიპტის და სხვა მნიშვნელოვანი ძეგლების გვერდით, საქართველოს ადრეყორღანული კულტურის ძეგლებზეც დასტურდება. უძველესი დროიდან ფილიგრანის გამოყენების ორი ხერხია ცნობილი: ზედაპირზე მირჩილული მხატვრული სახეები და ჭვირულად გამოყვანილი ფორმები.

ძვ.წ. VIII ს-დან, როცა ფილიგრანი (გრანულაციასთან ერთად), გვიანბრინჯაოს ხანაში არსებული გარკვეული წყვეტილის მერე, კვლავ ხდება პოპულარული სირიულ, ფინიკიურ, ბერძნულ და სხვა ორიენტალისტურ ტრადიციებზე დაფუძნებულ სახელოსნო ცენტრებში, კოლხეთშიც აქტიურად გამოიყენება და ნივთების დეკორირების ერთ-ერთ ნამყვან ხერხი ხდება. წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებზე ძირითადად გამოყენებულია სადა, ან გრეხილი მავთულისგან შედგენილი ორნამენტული სახეები. ხშირია წყვილი გრეხილური მავთულისგან მიღებული წნულის იმიტაციები, ან წინვისებური ორნამენტი. ფილიგრანი დასტურდება როგორც ოქროზე, ისე ვერცხლის ნიმუშებზე. ზოგ შემთხვევაში იგი გამოყენებულია საინკრუსტაციო ბუდეებად (ფილიგრანული ინკრუსტაცია). უძველესი კოლხური ოქრომჭედლობის ძეგლებზე დადასტურებულია როგორც ჭვირული (ტაბ. 4₃) (ნოსირისა და ცაიშის მძივები და სხვ.), ისე დახურული ფილიგრანი (ტაბ. 4₂).

გრანულაცია, ფილიგრანთან ერთად გახლავთ ოქროს ნივთის შემკობის ერთ-ერთი ყველაზე ძველი, პრესტიჟული და შრომატევადი ხერხი. მათი განვითარება, სავარაუდოდ, ერთდროულად მოხდა, რადგან გრანულების რჩილვა ზედაპირზე იგივე ხერხს და მასალას მოითხოვს, რაც ფილიგრანის შემთხვევაშია საჭირო. გრანულაციის აქტიური გავრცელების პირველი ეტაპი მოიცავს ძვ.წ. III-II ათასწლეულებს. მისი უადრესი ნიმუშები აღმოჩენილია მესოპოტამიაში, ძვ.წ. 2560-2400 წწ-ით დათარიღებულ ურის სამეფო სამარხებში. ოდნავ მოგვიანებით იგი ფართოდ ვრცელდება ასურეთში, ტროაში, კარმირ-ბლურში, ეფესოში, მარიში, ამრიტში, კვიპროსზე, კრეტასა და სარდინიაზე. ირანში გრანულაციის ტექნიკა უწყვეტად ვითარდებოდა ძვ.წ. XVI ს-დან თითქმის მეცხრამეტე ს-მდე [Wolters 1983: 68-69].

ძვ.წ. II ათასწლეულში, ეს ტექნოლოგიური ხერხი დამკვიდრებულია არა მხოლოდ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, არამედ ანატოლიაში, აზერბაიჯანში, ურარტუში, ტრაპეზუნტსა და შავიზღვისპირეთში. საბერძნეთში გრანულაციის ტექნიკა ვრცელდება

ადრემიკენური ხანიდან - ძვ.წ. XV ს-ის შუა წლებში, და პოპულარულია ძვ.წ. X ს-მდე. მისი განვითარების მომდევნო ფაზა აქ ძვ.წ. VIII ს-დან იწყება [Wolters 1983: 73].

გვიანბრინჯაოს ხანის დასასრულს, გრანულაციის გამოყენებაში წყვეტილი, ირანის გარდა, ყველა კულტურულ არეალში შეინიშნება. მისი განვითარების ისტორიაში, მეორე ფაზად მიჩნეულია ძვ.წ. VIII-VII საუკუნეები. ძვ.წ. IX საუკუნის დასასრულიდან იგი აქტიურად ვრცელდება ასურეთში, ეგვიპტეში, საბერძნეთსა და ურარტუში. ძვ.წ. VIII ს-ის ბოლო-VII საუკუნის დასაწყისში, ბერძნული და ფინიკიური კოლონიზაციის გავლენით, პოპულარული ხდება მთელს აღმოსავლეთ და დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში [Wolters 1983: 74]. ამ პერიოდში გრანულაცია აქტიურად გამოიყენება ორიენტალისტური სტილის ეტრუსკულ, ფინიკიურ, სკვითურ, სირიულ და კოლხურ ოქრომჭედლობის ნიმუშებზე (სამწუხაროდ, ამ პერიოდის კოლხური ოქრომჭედლობა, ამ სფეროში არსებულ ფუნდამენტურ ნაშრომებში უმეტესწილად არაა მოხსენიებული, ალბათ, საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში მათი არასათანადო ცნობადობის გამო).

გრანულაციის ტექნიკა განვითარების ყველაზე სრულყოფილ სახეს ძვ.წ. IV ს-ის ეტრურიაში აღწევს, თუმცა მის განვითარებას აქ საფუძველი ჯერ კიდევ ადრეეტრუსკულ პერიოდში, ძვ.წ. 700-625 წლებში ეყრება. დამზადების ტექნიკის სირთულის მიხედვით, წინარეანტიკური ხანის კოლხეთში აღმოჩენილ ნიმუშებზე გამოყენებული გრანულაციის ფორმები და ხერხები იდენტურია თანადროული ორიენტალისტური სტილის საოქრომჭედლო ცენტრებში დანერგილი მეთოდების. გრანულაციის დასამზადებლად ოსტატს მთავარი უნარი გრანულების განლაგების დროს დაჭირდებოდა და არა მისი შექმნისას, რომელიც საკმაოდ შრომატევადი, მაგრამ არც თუ ისე რთული პროცესია. გრანულების მისაღებად ოქროს ფურცელი ან მავთული იჭრებოდა სასურველი, მცირე ზომის ნაწილებად, იდებოდა თიხის, სავარაუდოდ, ნახშირიან ტიგელზე და ხურდებოდა მანამდე, სანამ ოქრო არ დაიწყებდა დნობას და პატარა გრანულებად/ბურთებად გარდაქმნას. გრანულების დიდი რაოდენობით წარმოებისთვის ოქროს ნაწილები და ნახშირი თავსდებოდა ურთიერთმონაცვლე ფენებად. გაცივების შემდეგ ხდებოდა გრანულების გასუფთავება და ზომის მიხედვით დახარისხება, ამისთვის შესაძლოა გამოეყენებინათ სხვადასხვა ზომის საცრები [Higgins 1980]. გრანულაციის, ისევე როგორც ფილიგრანის დატანა შესაძლებელი იყო მხოლოდ ოქროს თხელ ზედაპირზე. უფრო მასიურ ნივთზე, სითბოს სწრაფი გამტარობის გამო, გრანულები ან მავთულები მანამდე დაიწყებდა დნობას, სანამ დაიწყებოდა რჩილვის პროცესი. რთული ხასიათის დეკორის განლაგებისას, სიმეტრიის დასაცავად, ოქროს ზედაპირზე, ალბათ, წინასწარ ხდებოდა გარკვეული მონახაზების გაკეთება (გეგმის დატანა). გრანულაცია, ისევე როგორც ფილიგრანი საშუალებას იძლეოდა ხელოსანს გამოესახა როგორც სიბრტყითი, ისე სამგანზომილებიანი სივრცითი დეტალები. გრანულაცია ვერცხლზეც ზუსტად იგივე პროცედურას მოითხოვდა, რასაც ოქროზე, ოღონდ ის სინატიფე, რაც ოქროს შემთხვევაში შედარებით მარტივად მიიღებოდა, ვერცხლზე გაცილებით რთული შესასრულებელი იყო.

წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობის ნიმუშებზე დასტურდება როგორც სუფთად და მაღალოსტატურად მირჩილული, ისე შედარებით „ჩამდნარი“ სახით დატანილი გრანულები, რაც ოსტატთა განსხვავებულ გამოცდილებებზე მეტყველებს.

რჩილვა ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო პროცესი იყო, რომელიც სათანადო ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვდა. ეტრუსკებში, სადაც რჩილვით დეკორირების ტექნიკა ძალიან მაღალ დონეზე იყო განვითარებული, ტექნოლოგიური და მიკროსკოპული კვლევებით ირკვევა, რომ ძირითადად სამი სახის რჩილვის მეთოდი იყო გავრცელებული: 1)

მეტალის შენადნობით რჩილვა: ამისთვის შესაბამისი პროპორციით შერეული ოქროს, სპილენძის და ვერცხლის შენადნობისგან დამზადებული თხელი ფურცელი იდებოდა სარჩილავ ზედაპირზე; 2) სინთეზირებული შეერთება: ამ დროს, იმის გამო, რომ არ იყენებდნენ სარჩილავს, მისარჩილავი დეტალები „ჩამდნარი“ სახით ერწყმოდა ზედაპირს. ასეთი მეთოდით შეერთებულ ნივთებზე, ე.წ. საკონტაქტო ზონის, ანუ სარჩილავის დაფიქსირება ლაბორატორიულად შეუძლებელია; 3) სპილენძის მარილზე დაფუძნებული რჩილვა [Parrini... 1982: 118].

საინტერესოა, რომ ეტრურიაში, სადაც გრანულაციის ტექნიკამ თავისი განვითარების ზენიტს მიაღწია, ოქროს დამუშავების რეცეპტში, გრანულების რჩილვისას იყენებდნენ ქარვას. პენსილვანიის უნივერსიტეტის მუზეუმის ლაბორატორიაში ეტრუსკულ ნაწარმზე ჩატარებული მიკროსკოპული დათვალიერებით, გრანულებსა და ოქროს ფურცელს შორის დადასტურდა დამწვარი ქარვის ფრაგმენტები. მკვლევარმა ტელმა ფოლემმა, მის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის მეშვეობით დაადგინა, რომ ქარვის ფხვნილის სარჩილავთან დატანის უპირატესობა იყო ის, რომ იგი დნობის საკმაოდ მაღალი ტემპერატურის გამო იცავდა უმცირეს გრანულებს „ჩადნობისგან“. აღნიშნულ ნიმუშებზე შემორჩენილი უმცირესი ფისოვანი ნარჩენების სპექტრული ანალიზი იდენტური აღმოჩნდა დეკორირებისთვის გამოყენებული ქარვის ნიმუშების, რამაც ცხადჰყო, რომ ეტრუსკები ტექნოლოგიაში იყენებდნენ იგივე ქარვას, რასაც დეკორირებისთვის [Follet 1985].

გრანულაციასა და ფილიგრანისთვის, წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ზოგ ნიმუშზე ვიზუალური დაკვირვებით ჩანს, რომ სარჩილავ მასალად, ძირითადად, სპილენძის მინარევიანი ნებოვანი ხსნარია გამოყენებული (კოლოიდური სარჩილავი). სავარაუდოდ, ეს წარმოადგენდა სპილენძის მარილებისგან (ან სპილენძის კარბონატისგან) დამზადებულ რეაქტიულ სარჩილავს, რომელიც მზადდებოდა თანაბარი რაოდენობის დაფხვნილი სპილენძის მარილის და ორგანული ნებოს (მცენარეული, ან თევზის) წყალთან გაზავებით. მიღებული პასტისებური ნებოვანი კონსისტენცია წაესმებოდა მისარჩილ ზედაპირს და ხდებოდა გრანულების განლაგება. ნებოვანი მასის წყალობით ხელოსანს მარტივად შეეძლო გრანულები გადაენაწილებინა და დაეფიქსირებინა სასურველი განლაგებით. გამზადებულ ნივთს მოათავსებდნენ ტიგელზე და ახურებდნენ ნახშირის ცეცხლზე. 100°C-ზე გახურებისას სპილენძის მარილი გარდაიქმნებოდა სპილენძის მჟავად, 600°C-ზე ნებო გარდაიქმნებოდა ნახშირბადად, რომელიც 850°C-ზე შთანთქავდა სპილენძის მჟავის ჟანგბადს და აორთქლდებოდა ნახშირორჟანგის სახით, შესაბამისად, დარჩებოდა მხოლოდ სუფთა სპილენძი, რომელიც 890°C-ზე ოქროსთან შევიდოდა რეაქციაში და მოხდებოდა დეტალების ერთმანეთთან დაკავშირება. სარჩილავი მასის (სპილენძის) რაოდენობა ოქროს ან ვერცხლის სინჯის მიხედვით განისაზღვრებოდა. სუფთა ოქროს შემთხვევაში, რომლის დნობის ტემპერატურაა 1063°C-ია, ხელოსანი უფრო თამამი იქნებოდა ლითონის გახურებისას, ელექტრუმის ან ვერცხლის (მათი დნობის ტემპერატურაა 961°C) შემთხვევაში კი პირიქით. იმ შემთხვევაში თუ შედულების დროს, ნივთი განსაზღვრულზე ოდნავ მეტად გადახურდებოდა, გრანულები ან მავთულები დაიწყებდნენ დნობას, ამიტომ საჭირო იყო ხელოსანს ზუსტად სცოდნოდა რჩილვისთვის საჭირო ტემპერატურა.

წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებზე გრანულაცია ვერცხლზე იგივე წარმატებით ტარდებოდა, როგორც ოქროზე. ვხვდებით გრანულებით დეკორირების სხვადასხვა ხერხს: 1) ერთეულ გრანულაციას (ცილინდრულ მძივებზე, ცხოველის თავის დეტალების გამოსაყვანად), 2) ხაზოვან გრანულაციას (სხვადასხვა სახის გეომეტრიული დეკორის მისაღებად) (ტაბ.4₁), 3) რელიეფურ გრანულაციას (საყურის პირამიდისებური

ფორმის საკიდებზე). მოზრდილი ნივთების ცალკეული დეტალების შეერთებისთვის ზემოთ განხილული მეთოდი, ალბათ, შეუფერებელი იქნებოდა და საჭირო იქნებოდა უფრო მყარი სარჩილავის და შედარებით მაღალი ტემპერატურის გამოყენება. მყარი შედუღებისთვის, როგორც წესი, ოქროსთვის ოქროს, ხოლო ვერცხლისთვის ვერცხლის სარჩილავი გამოიყენებოდა, ოღონდ, მათში უმატებდნენ მცირე რაოდენობით ისეთ ლითონს (ტყვია, სპილენძი, თუთია, კალა, კადმიუმი და სხვ.), რომ სარჩილავის დნობის ტემპერატურა შესაერთებელი დეტალების დნობის ტემპერატურაზე უფრო დაბალი ყოფილიყო [ფოფორაძე და სხვ. 2005:53]. ამისთვის ძირითადად იყენებდნენ ვერცხლის და სპილენძის ნაერთს.

ამრიგად, რჩილვა ნივთის დამზადების ბოლო ტექნოლოგიური ეტაპი იყო. ამის შემდეგ ნივთი საჭიროებდა მცირე კოსმეტიკურ შელამაზებას: ამისთვის სწორი ზედაპირის მქონე ნივთები პრიალდებოდა აბრაზიული (წმინდა) ფხვნილის დახმარებით ან მექანიკურად, ხოლო გრანულაციით ან ფილიგრანით დამზადებული ნივთები ინმინდებოდა მისი მოთავსებით „ჩამარინადებით“ კოროზირებად ხსნარში (მაგ. შაბი, მარილწყალი და სხვა) [Williams 1994].

ინკრუსტაცია ორიენტალისტური პერიოდის ერთ-ერთი ნაკლებად, მაგრამ მაინც დამახასიათებელი დეკორატიული მეთოდია. ამ პერიოდში ვხვდებით როგორც ნახევრად ძვირფასი თვლებით, ისე პასტისებური მასით და ქარვით ინკრუსტაციის ფაქტებს.

უძველესი ინკრუსტირებული სამკაულის გავრცელების არეალად მესოპოტამიისა და ეგვიპტის რეგიონები მოიაზრება. ყველაზე ადრეულ ნიმუშებს ვხვდებით ურის ძვ.წ. 2500 წლით დათარიღებულ სამეფო სამარხებში [Woolley 1929: pl.138]. სირიაში უკვე ძვ.წ. 2000 წელს ინკრუსტაციის ტექნიკა საკმაოდ მაღალ დონეზეა ასული, შესაძლოა აქ იგი ძვ.წ. III ათასწლეულშიც აქტიურად ყოფილიყო გამოყენებული. ეგეოსურ სამყაროში ინკრუსტაციის უადრესი ნიმუშები ძვ.წ. XVII საუკუნითაა დათარიღებული. მინოსურ კულტურაში აღმოჩენილი ამგვარი სამკაულის უძველესი ნიმუშები სტილისტურად ძალიან ახლოს დგანან მესოპოტამიურ ნაწარმთან, ამიტომ, მათი გავრცელების პირველწყაროდ მკვლევარები სწორედ ამ რეგიონს მოიაზრებენ [Higgins 1961:29]. ძვ.წ. II ათასწლეულში, პოლიქრომიული სტილის ოქროს სამკაულის გავრცელების არეალში ამიერკავკასიის რეგიონიც ექცევა. თრიალეთურ კულტურაში აღმოჩენილ ოქროს ნივთებში ბევრი მსგავსება იგრძნობა თანადროულ ეგეოსურ და მესოპოტამიურ სამკაულთან.

ძვ.წ. XV-XIII სს-ში პოლიქრომიული სტილის სამკაული კვლავ ინარჩუნებს პოპულარობას [Rosenberg 1921:23]. ამ პერიოდის ბერძნულ სამყაროში, ძირითადად, გამოყენებულია ლურჯი და მწვანე მინა, ფირუზის, ზურმუხტის და ლაპის ლაზურის იმიტაციისთვის [Higgins 1961:29]. ე.წ. *ბნელ საუკუნეებში* ინკრუსტირებულ სამკაულს აღარ ვხვდებით. იგი ხელახლა ჩნდება ძვ.წ. IX საუკუნიდან (ძვ.წ. IX ს-ის საბერძნეთში ატიკასა და კრეტაზე აღმოჩენილი სამკაული) და პოპულარულია ძვ.წ. VII საუკუნემდე.

ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში მის ხელახალ გავრცელებას ფინიკიელ ვაჭრებს მიაწერენ, რომელთა მარშრუტი საკმაოდ ვრცელ ტერიტორიებს მოიცავდა. ძვ.წ. VII საუკუნიდან, ფინიკიელთავე დამსახურებით, ინკრუსტირებული ნიმუშები გამოჩენას იწყებენ ეტრურიაშიც, თუმცა აქ დიდი პოპულარობით ვერ სარგებლობენ და მალევე ქრებიან [Higgins 1961:29]. აღმოსავლურ ძეგლებზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის სამკაული ბევრი არაა შემორჩენილი, ინკრუსტაცია შემკობის ერთ-ერთ დამახასიათებელ კომპონენტად რჩება. კლასიკურ ხანამდე გავრცელებული იყო ინკრუსტაციის ცივი ხერხი. მას ვხვდებით გვიანბრიჯაო-ადრერკინის ხანის ახლო აღმოსავლეთში, ეგვიპტეში, ეტრურიაში, ფინიკიაში, საბერძნეთში, სკვითებთან და სხვა საუფელირო სახელოსნო ცენტრებში. მინისებური პასტა, ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი და მარტივი ხერხი იყო ფერადი დეკორირებისთვის.

ამგვარი მასა, ძირითადად, ფილიგრანის, ან ფირფიტოვან ბუდეებშია ჩასმული და, უმეტეს შემთხვევაში, არაა შემორჩენილი, ისევე როგორც ქარვით ინკრუსტირებული ნაწილები.

საქართველოში გავრცელებულ საიუველირო ნაწარმში ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვებით შექმნილ პოლიქრომიულ სახეებს ჯერ კიდევ თრიალეთური ეპოქის ოქრომჭედლობაში ვხვდებით. საოქრომჭედლო საქმის დეგრადაციის შემდეგ, დეკორირების ეს ხერხი ოდნავ სახეცვლილი ფორმით არსებობას განაგრძობს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოს მხატვრულ ნაწარმში. მაგ., როგორც ლაბორატორიული კვლევებით ირკვევა, ბრილში აღმოჩენილი ზოგი ტიპის ბრინჯაოს საკიდები და შტანდარტები მინისებური მასით ყოფილა ინკრუსტირებული; ფერების კონტრასტის პრინციპით ჩანს ინკრუსტირებული სამთავროს სამაროვნის ნახევარწრული აბზინდები; აღნიშნული ტრადიცია ადრერკინის ხანის ძეგლებზეც განაგრძობს არსებობას. მაგ., წითელი შუქურას სამაროვანზე აღმოჩენილი ნახევარწრული აბზინდები ინკრუსტირებულია როგორც მინით, ისე ლითონით. ლითონით ინკრუსტაცია კოლხური და ყობანური ბრინჯაოსთვის ერთ-ერთი დამახასიათებელი დეკორატიული ხერხია. აქ, ბრინჯაოს ნაწარმზე (მართკუთხა აბზინდები, სატევრის ტარები), ძირითადად, რკინის საინკრუსტაციო მასაა გამოყენებული. ამ მხრივ აღსანიშნავია ლეჩხუმში აღმოჩენილი დახურული ტიპის ქვის ყალიბის ერთი ნაწილი, რომელშიც ძაბრისებური ჩაღრმავებიდან სასურველ ფორმაზე ისმებოდა ცხელი საინკრუსტაციო მასა. მიღებულ თხელ ფირფიტას შემდეგ აჭედებდნენ საინკრუსტაციო ნივთის საგანგებოდ გამზადებულ ბუდეში [სულავა 2002; Sulava 2008].

უძველესი კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებში საკმაო რაოდენობითაა გამოყენებული ოქროს ფირფიტის თვალბუდეებში ჩასმული ნახევრადძვირფასი საინკრუსტაციო ქვები (სარდიონი, ოპალი) (ტაბ.1₁). ბუნებრივი მინერალებით ინკრუსტაციის ფაქტები თანადროული პერიოდის სხვა საოქრომჭედლო ცენტრებში ძალიან იშვიათია. კოლხეთში მათი გამოყენება ამ მინერალის პოპულარობით უნდა აიხსნას, რასაც მათი ადვილი ხელმისაწვდომობა და დამუშავების ტექნიკის კარგი ცოდნა განაპირობებდა.

თვლებით ინკრუსტაციის ნიმუშები თანადროული პერიოდის სამკაულთა შორის გვხვდება კალის ნივთზეც - ესენია კალის მასიური სოკოსებურდაბოლოებებიანი ხვიები, რომელზეც საგანგებოდ ამოკვეთილ ბუდეებში მოთავსებულია მოწითალო ფერის თვლები. ისინი საინკრუსტაციოდ ამოკვეთილი ბუდეებით მოგვაგონებენ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრილის, სამთავროს და თრელის სამკაულზე კვეთილ საინკრუსტაციო ბუდეებს, ხოლო ფორმით უკავშირდებიან ბერძნულ სამყაროში გავრცელებულ მსგავს საყურე ხვიებს, რომელთაგან ზოგი ნიმუშზე ქარვით ინკრუსტაციაც დასტურდება.

ქარვა კოლხეთის უძველესი ოქრომჭედლობის ნიმუშებზე ყველაზე ხშირად გამოყენებული საინკრუსტაციო მასალაა. იგი ორგანული წარმოშობის მინერალთა რიცხვს განეკუთვნება და წარმოადგენს მილიონობით წლის წინ გადაშენებული წინვოვანი მცენარეების გაქვავებულ ფისს. სხვადასხვა თვისებებიდან გამომდინარე ქარვას აქვს ადამიანთა მიერ ექსპლუატაციის საოცრად მრავალფეროვანი ისტორია [Follet 1985:64]. პირველად ადამიანი მას დაახლოებით 13 000 წლის წინ, ბალტიის ზღვის სანაპიროებზე გაეცნო [Grimaldi 2009: 51] და სხვადასხვა პერიოდში იყენებდა როგორც დეკორატიული, ისე რელიგიური და სამკურნალო დანიშნულებით. სხვადასხვაგვარი სასარგებლო თვისებებიდან გამომდინარე, ის ხშირად უკვდავებასთან იყო დაკავშირებული, ხოლო ჰაეროვანი, კამკაშა ყვითელი ფერის და ადვილად დამუშავებადობის (მათ შორის დნობა) გამო, ოქროს მსგავსად, ღვთაებრივი წარმომავლობა მიეწერებოდა.

ქარვა, ისევე როგორც ოქრო, იყო ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნილი ნივთი უძველეს ცივილიზაციებში. ამის ერთ-ერთი მიზეზი, გარეგნული მახასიათებლების გარდა, მისი თვისებები იყო. ძველ სამყაროში ცნობილი იყო, რომ დაფქვილი ქარვის შერევა ღვინოში მას ვარგისიანობას უხანგრძლივებდა. ადრეული ექიმები მას იყენებდნენ თვალის ინფექციების, სისხლიანი ჭრილობების და სხვა დაავადებების სამკურნალოდ [Follet 1985:64].

საქართველოში ქარვით ინკრუსტაციის ადრეული ნიმუშები ჯერ კიდევ თრიალეთში დასტურდება (მაგ. ოქროს თასი). გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საქართველოში მისი იმპორტი დიდი რაოდენობით ხდებოდა, სავარაუდოდ, ნედლეულის სახით და გამოიყენებოდა როგორც საიუველირო დეკორირების, ისე ცალკეული სამკაულის (საკიდების, მძივების) დასამზადებლად. სავარაუდოდ, საქართველოში ქარვის იმპორტი ბალტიისპირეთიდან ხდებოდა ხმელთაშუაზღვისპირეთის გავლით. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთში ბალტიისპირეთიდან იმპორტირებული ქარვა ცირკულირებდა. არის მოსაზრება, რომ იგი იყო ბარტერული საქონელი ადრეულ ევროპასა და ხმელთაშუაზღვაში. უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში, ბალტიისპირეთის ტომებს შექმნილი ჰქონდათ ქარვით ვაჭრობის ქსელი ევროპის მთავარ მდინარეებზე, რომლის საბოლოო პუნქტს ეგეოსური სამყარო წარმოადგენდა. ძვ.წ. XIII-VI ს-ში ხმელთაშუაზღვისპირეთში ქარვის დისტრიბუტორები იყვნენ ფინიკიელი მეზღვაურები, რომლებიც, სხვა სახის ეგზოტიკურ ნივთებთან ერთად, ქარვითაც ვაჭრობდნენ [Follet 1985: 64].

კოლხეთში, ისევე როგორც თანადროულ ბერძნულ, ეტრუსკულ, ფინიკიურ და სხვა მნიშვნელოვან საოქრომჭედლო ცენტრებში, ქარვით დამზადებული სამკაულის ტარება მაღალი სოციალური სტატუსის პირთა პრივილეგია იყო. იგი უმეტესწილად შედარებით მდიდრულ სამარხეულ კომპლექსებში გვხვდება, როგორც წესი, ოქროს, ფაიანსის, მინის და სხვა ეგზოტიკურ ნივთებთან ერთად.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, წინარეანტიკური ხანის კოლხეთში საიუველირო ნაწარმის დასამზადებლად გამოყენებული ოსტატთა ტექნოლოგიური ცოდნა და კვალიფიკაცია აერთიანებს თანამედროვე მსოფლიოს წამყვან კულტურულ ცენტრებში დანერგილ თითქმის ყველა მეთოდს. დღეს უკვე სადავო აღარაა, რომ ანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის შესანიშნავი შედეგები ლოგიკური შედეგია იმ დიდი გამოცდილების, რომელსაც წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობა სულ მცირე ნახევარი საუკუნის განმავლობაში მაინც აგროვებდა.

ლიტერატურა:

- აფაქიძე 1963:** აფაქიძე ან. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ.
- ლომიტაშვილი 2002:** ლომიტაშვილი დ. ნოქალაქევი-1, საწარმო-ნამოსახლართა კულტურა, - კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XIII, თბ. გვ. 87-97.
- ლომიტაშვილი 2003:** ლომიტაშვილი დ. ცენტრალური კოლხეთი ძვ.წ. VIII ახ.წ. VI სს. ციხეგოჯი - არქეოპოლისი - ნოქალაქევი (ავტორეფერატი), თბ.
- პაპუაშვილი და სხვ. 2014:** პაპუაშვილი რ., ჯიბლაძე ლ. ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების ცენტრი ყულევის ნამოსახლარიდან, - ჟურ. ძიებანი, 22. გვ. 178-186.
- პაპუაშვილი და სხვ. 2015:** პაპუაშვილი რ., ესებუა თ., ჯიქია ლ., პაპუაშვილი ი. ცაიშის სამაროვანი. თბ., ზუგდიდი.
- სულავა 2003:** სულავა ნ. ლეჩხუმში აღმოჩენილი მცირე ზომის ყალიბის შესახებ. - ჟურ. ძიებანი, (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), 10, თბ.

ფოფორაძე და სხვ. 2005: ფოფორაძე ნ., გაჩეჩილაძე ხ., გველესიანი ს., დათუაშვილი მ. საიუველირო საქმე. თბ.

ღამბაშიძე 2010: ღამბაშიძე ირ., მინდიაშვილი გ., გოგოჭური გ., კახიანი კ., ჯაფარიძე ი. უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში. თბ.

ჭყონია 2012: ჭყონია ან. ოქრომჭედლობის სახელოსნოს ნაშთები ვანის ნაქალაქარზე, ჟურ. *იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), №8. თბ. გვ. 5-17.

ჭყონია, გამყრელიძე 2021: ჭყონია ან. გამყრელიძე გ. ოქროს სამკაული. - საქართველოს არქეოლოგიის ნარკვევები (ძვ.წ.V-ახ.წ.Vსს), საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, ჟურ. *იბერია-კოლხეთის* დამატება (რედ. გ. გამყრელიძე), №1. თბ. გვ. 383-402.

ხახუტაიშვილი 1966: ხახუტაიშვილი დ. იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები. თბ.

Eluère 1990: Eluère Ch., *Les secrets de l'or antique*. Paris.

Follet 1985: Follet T. *Follett Amber in Goldworking*. *Archaeology* 38: 64-65.

Grimaldi 2009: Grimaldi D., *Pushing Back Amber Production*, *Science*, October 2009, DOI: 10.1126/science.1179328 · Source: PubMed.

Higgins 1961: Higgins R.A., *Greek and Roman Jewellery* (1st ed.). London.

Higgins 1980: Higgins R. A., *Greek and Roman Jewellery*, Berkeley -Los Angeles.

Lord 1937: Lord L. E., *The Touchstone*, *The Classical Journal*, 32, # 7. pp: 428-431.

Ogden 1982: Ogden J., *Jewellery of the Ancient World*. New York: Rizzoli.

Parrini 1982: Parrini P., Formigli E., Mello E., *Etruscan Granulation: Analysis of Orientalizing Jewelry from Marsiliana d'Albegna*. In: *American Journal of Archaeology*, Jan., 1982, Vol. 86, No. 1, pp. 118-121. Published by: Archaeological Institute of America Stable URL: <https://www.jstor.org/stable/504299> .

Rosenberg 1921: Rosenberg M., *Geschichte der Goldschmiedekunst auf technischer Grundlage: Zellenschmelz*. Frankfurt.

Rudolph 1995: Rudolph W., *A golden legacy. Ancient jewellery from the Burton Y. Berry Collection at the Indiana University Art Museum, Bloomington, Indianapolis*, 1995.

Sulava 2008: Sulava N., *On a small mould discovered in mountainous Colchis. Ancient mining in Turkey and the Eastern Mediterranean (Amitem)*. - U. Jalcin (Ed.). Ankara.

Williams D., Ogden I., 1994: Williams D., Ogden I., *Greek Gold, Jewelry of the Classical World*, NY.

Wolters 1983: Wolters J., *Die Granulation: Geschichte und Technik einer alten Goldschmiedekunst*.

Гогодзе и др. 2010: Гогодзе Э; Давлиანიძე Ц; Панцхава Л., Изготовление цветных каменных бус в древней Колхиде и некоторые аспекты ремесленного производства Причерноморье. Материалы V симпозиума по древней истории Причерноморья, Вани, Тб.

ტაბულების აღწერა:

ტაბ. 1. – 1) წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ინკუსტრირებული ნიმუშები; 2) ჩამოსხმის გზით მიღებული ნიმუშები.

ტაბ. 2. – გამოჭედვით მიღებული და შტამპით გაფორმებული ოროს ფირფიტით დაფარული ნიმუშები.

ტაბ. 3. – 1) რგოლები, წამოცმული, თევით გამოყვანილი ურჩხულის თავებით; 2) მოოქრული რგოლები.

ტაბ. 4. – გრანულაციის და ფილიგრანის გამოყენებით დამზადებული ნიმუშები.

1

სატვერის ტარის შესამკობელი დეტალები
ერგეტა I N5



სატვერის ტარის თავზე ჩასასმელი დილაკები

გაიში N1



გაიშის სამაროვანი



გაიში N1

დეკორატიული დეტალი - ქარქაშის დეკორატიული ლენტი



1

გაიშის სამაროვანი

ბრილის სამაროვანი



2

ცაიშის სამაროვანი



1 სმ.

ნარეკვავი



1 სმ.

გორადირი



ბრილი



ერგეტა III N4




ურეკი N3



წითელი შუქურა N26



წითელი შუქურა N29



ნოსირის განძი



ნიგვზიანი
(საკულტო
მოედანი)



ერგეტა II
N11



ერგეტა



4

ცაიში



1

ერგეტა



ნოსირი

2



3



სხივანა საყურე: ტიპოლოგიური კლასიფიკაცია და განვითარების ეტაპები

ნინო ქობალია

ისევე როგორც სხვა მრავალი ტიპის სამკაულის შექმნა და ევოლუცია, საყურეების წარმოშობის უძველესი ფენომენიც ძველ აღმოსავლეთთან არის დაკავშირებული [ჭყონია 1981: 17]. ძველ კოლხეთში საყურეები და სასაფეთქლეები თავსამკაულის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტიპი იყო. მათი რაოდენობიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისევე როგორც კლასიკურ ხანაში, წინარეანტიკური ხანის კოლხეთშიც, იგი არა მხოლოდ სარიტუალო, არამედ ყოველდღიური ცხოვრების ნაწილიც უნდა ყოფილიყო. რადგან სამკაულის ეს ჯგუფი გამოიყენებოდა როგორც სასაფეთქლედ, ისე საყურედ და მათი ფუნქციური გამიჯვნა ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია, სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი, სიმარტივისთვის, საერთო სახელით, საყურეებად არის მოხსენიებული [ჭყონია 1981: 17; ჭყონია და სხვ. 2021: 383-402].

ფაქტი, რომ კლასიკური ხანის წარჩინებულთა სამარხებში გავრცელებული კოლხური ოქრომჭედლობის განმსაზღვრელი ნიმუშების დიდ ნაწილს - დიადემას, სხივანა, ჭვირულბურთულიან, დაცვარულბურთულიან საყურეებს და მძივსაკიდების ზოგიერთ ტიპს პროტოტიპები კოლხური ბრინჯაოს კულტურაში ეძებნება, გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ორნამენტული სახეები წინარეანტიკურ ხანაშიც დაწინაურებული სოციალური ფენის სტატუსის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ატრიბუტი იყო.

აღსანიშნავია, რომ საყურეების სასაფეთქლედ გამოყენება ქრონოლოგიურად ემთხვევა გრეხილი რკალით და ფირფიტოვანი, ტრაპეციის ან რომბული ფორმის დაბოლოებებისგან შემდგარ, ე.წ. კოლხური ტიპის დიადემის პროტოტიპების გამოჩენას და იდეურად ასახავს ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში მიმდინარე სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ადრეულ პროცესებს [ლორთქიფანიძე 2012]. როგორც ეს არაერთ მკვლევარს აღუნიშნავს. ადრეანტიკური ხანა ქართული საიუველირო ხელოსნობის ისტორიაში გახლავთ ის მნიშვნელოვანი ეტაპი, როდესაც არსებობას იწყებს კლასიკური ხანის ოქრომჭედლობის ზოგი მნიშვნელოვანი ფორმა, რომელთა შორის ერთ-ერთი ე.წ. სხივანა საყურეა. სხივანა საყურეები წინარეანტიკური ხანის კოლხეთში ჩამოყალიბებული სამკაულის ტიპია, რომელიც ადრეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობაში, რიგ სხვა ნიმუშებთან ერთად (მაგ., კოლხური ტიპის დიადემა), განსაკუთრებულ ადგილს იკავებს წარჩინებული საზოგადოების სტატუსის განმსაზღვრელ მთავარ ატრიბუტებს შორის.

დღეისათვის არსებული მონაცემები უკვე გვაძლევს საშუალებას, ამ ტიპის საყურეების ვარიანტები, მათი ქრონოლოგიურ-ტერიტორიული გადანაწილების გათვალისწინებით, განსხვავებულად განვიხილოთ. როგორც ცნობილია, სხივანა საყურის სახელწოდება აერთიანებს საყურის სხვადასხვა - ერთსხივიან, ორსხივიან, სამსხივიან და მრავალსხივიან ვარიანტებს. ნივთების ტიპოლოგიურმა კლასიფიკაციამ და თითოეული ტიპის ქრონოლოგიური და ტერიტორიული გადანაწილების დადგენამ საშუალება მოგვცა მეტ-ნაკლებად განგვესაზღვრა სხივანა საყურის განვითარების გარკვეული ეტაპები.

საყურე, ტიპი I. - ერთსხივიანი საყურეები (ტაბ.1). ამ ტიპის საყურის ძირითადი ფორმაა რგოლზე უძრავად მიჩრილი ღერო დაბოლოებული ხუთი მოზრდილი ბურთულით შედგენილი მტევნით. მათში სხივის გამოყვანის რამდენიმე მანერას ვხვდებით: 1.1. ცვარას ოთხი რიგით გამოყვანილი ღერო, 1.2. მოზრდილი ცვარას ბურთულების ერთი რიგით გამოყვანილი ღერო; 1.3. დაკეჭნილი მავთულით გამოყვანილი ღერო და 1.3.ა. ოთხი

დაგრეხილი მავთულით მიღებული წნული სახის ღერო. ყველა ვარიანტისთვის საერთოა ხუთი მოზრდილი ბურთულისგან გამოყვანილი პირამიდისებური მტევანი.

არქეოლოგიური მონაცემების შეჯერებით იკვეთება სურათი, რომ ერთსხივიანი ვარიანტები სხივანა საყურეების ყველაზე ადრეული ფორმაა. ამაზე მეტყველებს როგორც ზოგიერთი სამარხეული კომპლექსის ინვენტარი, ისე თვითონ საყურის სტილისტურ-ვიზუალური ნიშნები - მაგ., სასაფეთქლე რგოლების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მოგვიანო პერიოდისთვის მეტად დამახასიათებელ ბოლოებგაბრტყელებულ და გახვრეტილ ვარიანტებს. დღევანდელი მონაცემებით, ერთსხივიანი საყურის ერთ-ერთი ადრეული ნიმუში აღმოჩენილია ნარეკვავის სამაროვანის, ძვ.წ. VII საუკუნით დათარიღებულ №41 სამარხში, სადაც საყურის ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილება კარგად არის განსაზღვრული კომპლექსში წარმოდგენილი წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის სხვა სახის ნაწარმით. აქ, ოქროს ჭვირულ მძივებთან და იხვის ფორმის მძივსაკიდებთან ერთად, ვხვდებით მუქი ფერის სარდიონის მოზრდილ, სფერულ, კარგად ნაპრიალებ მძივებსა და ბრინჯაოს ისეთ ნივთებს, რომლებიც დამახასიათებელი ნაწარმია ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების კოლხეთის მატერიალურ კულტურის ძეგლებისთვის.

ნარეკვავის №41 სამარხში აღმოჩენილი ოქროს სხივანა საყურე წარმოადგენს ბოლოებგაბრტყელებულ და გახვრეტილ საყურე რგოლზე უძრავად მიმაგრებულ ცვარას სამი მოზრდილი ბურთულისგან შედგენილ ღეროს, დაბოლოებულს ხუთმარცვლიანი მტევნით [აფაქიძე და სხვ. 1998: 108]. სხივანა საყურის ამავე (ადრეულ) ვარიანტს მიეკუთვნება ნარეკვავის №59 ქალის სამარხში (ინახება მცხეთის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალში) აღმოჩენილი ელექტრუმის ორი საყურე - ესენია ცვარას წვრილი ბურთულების ოთხი რიგით გამოყვანილი მოკლე ღერო, ბოლოში ცვარას ბურთულების რაოდენობის ზრდით მიღებული შესქელებით. ისინი სტილისა და ტექნოლოგიური მანერით ძალიან ახლოს დგანან თრელის სამაროვანზე აღმოჩენილ ცვარათი შედგენილ სამკუთხასაკიდიან საყურეებთან - იგივეა საკიდი რგოლი, რგოლზე მირჩილვის პრინციპი და ცვარას ბურთულებით აგების მანერა. ნარეკვავის №41 სამარხში აღმოჩენილი სხივანა საყურე ზუსტ პარალელებს პოულობს ბრილის სამაროვანის ნაწარმთან და კარგად განსაზღვრავს მათი გავრცელების ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს ძვ.წ. VII ს-ით.

დღევანდელი მონაცემებით, ელექტრუმის, ვერცხლისა და ბრინჯაოსგან დამზადებული ერთსხივიანი საყურეების გავრცელების ძირითადი არეალი რაჭის რეგიონს (ბრილი, ჯოისუბანი, გორიმო და შემთხვევითი აღმოჩენები - იხ. გობეჯიშვილი 1952) მოიცავს. ერთეულების ან წყვილის სახით ისინი აღმოჩენილია ყაზბეგში [გაგოშიძე 1976], ბეშთაშენში (GNM 169-64:36), ნახჩევანში, არგვეთის სამაროვანზე [დავლიანიძე 1983:36], ალგეთში [Тушишвили 1988: 34-35, სურ. 80], დიგორიაში [Уварова 1900: ტ. XXXVI/8], ყობანში [Уварова 1900: ტ. XXXVI/8] და სხვ. კავკასიის ფარგლებს გარეთ ერთსხივიანი საყურეების ზუსტი ანალოგი ცნობილია ირანიდან [THE MET: N1984.175.34ა,ბ]. სამნუხაროდ, აღნიშნული ნიმუში არქეოლოგიური კონტექსტის გარეშე, მაგრამ თარიღი განსაზღვრულია არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მსგავსი სტილის ნიმუშზე დაყრდნობით - ესაა ჰასანლუს ძვ.წ. IX საუკუნის ფენაში აღმოჩენილი საყურე, რომელიც რგოლზე უძრავად მირჩილული კონუსური დაბოლოების მქონე მოკლე ღეროთი [THE MET: 65.163.62ა, ბ] ახლოს დგას ზემოთნახსენებ ერთსხივიან საყურესთან. აღსანიშნავია, რომ ჰასანლუს ადრერკინის ხანის ქალაქური ტიპის გამაგრებულ დასახლებაში აღმოჩენილია სხვა არაერთი არტეფაქტი, რომელიც მნიშვნელოვან მსგავსებას პოულობს ამიერკავკასიის ნიმუშებთან. მათ შორის აღნიშვნის ღირსია ადრერკინის ხანის კოლხურ ძეგლებზე ფართოდ გავრცელებული მუქი

სარდიონის დიდი ზომის კარგად ნაპრიალები, სფერული მძივები [THE MET: 61.100.141], რომელიც აქ ძვ.წ. IX საუკუნით დათარიღებულ ფენაშია აღმოჩენილი. აღსანიშნავია, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში აქ მდებარეობდა სავაჭრო და მხატვრული ნიმუშების წარმოების ერთ-ერთი მთავარი ცენტრი, რომელსაც ძალიან ახლო კავშირი ჰქონდა თანადროული ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცენტრებთან [Muscarella 1966] და, ალბათ, ისევე როგორც სხვა მსგავსი ცენტრები, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ორიენტალისტრი სტილის დისტრიბუციის საკითხშიც. კიდევ ერთ, შორეულ პარალელად შეიძლება დავასახელოთ ადრერკინის ხანის პალესტინაში გავრცელებული საყურეების ერთი ჯგუფი [Golani 2013: 241, სურ.11], რომელთაგან ყველაზე მეტ ვიზუალურ მსგავსებას ომანში, დიბას კოლექტიურ სამარხში აღმოჩენილი ოქროს საყურე ავლენს [Genchi და სხვ. 2018: 108]. კომპლექსი საინტერესოა იმით, რომ აქ აღმოჩენილი ოქრომჭედლობის სხვა ნიმუშიც - გრანულებით შედგენილი ცილინდრული და ჭვირული ბიკონუსური მძივი [Genchi და სხვ. 2018: სურ.7] - გარკვეულ სტილისტურ კავშირს ავლენს თანადროული პერიოდის კოლხურ ოქრომჭედლობასთან.

ჩვენი ვარაუდით, სხივანა საყურეების ერთსხივიანი ვარიანტების ზოგადი იდეა - რგოლზე უძრავად მიჩრილული, კონუსური დეტალით დაბოლოებული ღერო - ე.წ. ასურული ტიპის საყურეებს უკავშირდება (რელიეფებზე გამოსახული ვარიანტები - [იხ. Maxwell-Hyslop 1971: 236. სურ.126]). ამ მხრივ, კოლხეთის სხივანა საყურის ფორმასთან ყველაზე ახლოს დგას ლურისტანის, ვარ კაბუდის ძვ.წ. VIII ს-ის დასასრულითა და VII ს-ის დასაწყისით დათარიღებულ სამარხში აღმოჩენილი ასურული ტიპის ვერცხლის საყურე - რგოლზე მიჩრილული გრანულებით შედგენილი გრძელი, ბოლოში შემსხვილებული ღერო [Maxwell-Hyslop 1971: 264. Pl. 248]. ერთსხივიანი საყურეების რაოდენობრივი და ტერიტორიული გადანაწილებით ისახება სურათი, რომ ძვ.წ. VII-VI სს-ში მათი წარმოების ძირითადი ცენტრი კოლხეთის მთიან რეგიონში, რაჭაში მდებარეობდა. ამ პერიოდში, აქ მოსახლე საზოგადოების გარკვეული ჯგუფი, თავისი პრივილეგირებული სტატუსის წარმოსაჩენად ქმნის სამკაულის აღნიშნულ ფორმას, რომელსაც, ოდნავ მოგვიანებით, კლასიკურ ხანაში, კოლხეთის ადმინისტრაციულ ცენტრებში მოღვაწე წარჩინებული საზოგადოება სტატუსის განმსაზღვრელ აუცილებელ ატრიბუტად იყენებს. ძვ.წ. VI ს-დან იქმნება სხივანა საყურეების მრავალფეროვანი ვარიანტები - ორი, სამი, ოთხი და მეტსხივიანი ნიმუშები.

საყურე, ტიპი II. - ორსხივიანი ვარიანტი (ტაბ.2). დღევანდელი მონაცემებით, ორსხივიანი საყურეების აღმოჩენის არეალი მხოლოდ რაჭის რეგიონს უკავშირდება. აქ ვხვდებით ოქროს, ელექტრუმის და ვერცხლისგან დამზადებულ ათამდე ნიმუშს (ბევრი მათგანი დაზიანებული და ნაკლები სახითაა შემორჩენილი). აღსანიშნავია, რომ საკიდის აღნიშნული ტიპიდან ყველა მიჩრილულია სადა, მრგვალგანივკვეთიან რგოლზე (არ ვხვდებით ბოლოებგახვრეტილ ვარიანტებს). სხივები ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი - II.1. ცვარას ოთხი რიგით აგებული და II.2. მოზრდილი ბურთულების ერთი რიგით აგებული ღეროები. ღეროები, უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთთან ახლოს არის განლაგებული და მტევნებით ერთმანეთთან დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ საყურეთა დიდ ნაწილს ეტყობა ხმარების და ცვეთის კვალი.

საყურე, ტიპი III. - სამსხივიანი ვარიანტი (ტაბ.2). სამსხივიანი ვარიანტები სხივანა საყურეების ოდნავ მოგვიანებით, სავარაუდოდ, ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანებიდან გავრცელებული ფორმაა. მისი ყველაზე მარტივი ფორმა აღმოჩენილია კამარახვის ძვ.წ. IV-III ს-ით დათარიღებულ №74 სამარხში (მცხეთის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი, ინვ. 11-996: 3). დამზადების მანერით - მოკლე სხივებითა და რგოლზე მიჩრილვის პრინციპით,

აღნიშნული საყურე ძალიან ჰგავს ნარეკვაგში აღმოჩენილ ადრეანტიკური ხანის ერთსხივიან ვარიანტებს, შესაბამისად, მისი დამზადების თარიღი კომპლექსზე უფრო ადრეულად მიგვაჩნია. ბრილის სამაროვანზე ეს ტიპი მხოლოდ ერთი ნიმუშით არის წარმოდგენილი - ესა ვერცხლის წვრილი მავთულის ბოლოებგაბრტყელებულ და გახვრეტილ რგოლზე მიმაგრებული, რადიალურად გაშლილი, გრეხილი მავთულებით შედგენილი სამი ლერო, რომელთა ბოლოები ურთიერთგადაბმულია ორწყება მსხვილი გავარსის რკალით (GNM 133-975: 55). სამსხივიანი საყურის კიდევ ერთი ნიმუში ცნობილია შიდა ქართლში, ქლივანის სამაროვნის (გორის მუნიციპ.) ძვ.წ. VI საუკუნით განსაზღვრულ №3 სამარხში [Слахов 1977: 222-223, ტაბ. XCVII, 14) - ის წარმოადგენს სადა, მრგვალ რგოლზე მიმაგრებულ, წნული სახის ლეროებით აგებულ, ერთმანეთთან შეერთებულ სამ სხივს ბოლოში მტევნებით.

სამსხივიანი საყურეების ოქროს ვარიანტები ცნობილია ჟინვალის სამაროვანზე - სამი ცალი (GNM N: 3-985: 2,5,6) და ფიჭვნარში - 2 ც. მათი თარიღი ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევრით არის განსაზღვრული. როგორც ვნახეთ, სამსხივიანი ვარიანტები, სხივანა საყურის ყველაზე ნაკლებგავრცელებული ფორმაა, რომელიც კარგად ასახავს სხივანას ადრეული ფორმებიდან მრავალსხივიან, მდიდრულ ვარიანტებზე გარდამავალ ხანმოკლე ეტაპს. სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი ასევე მიჩნეულია წინარეანტიკური ხანის სამკუთხასაკიდიანი საყურეების ტრადიციების გამგრძელებელ ფორმად [ჭყონია 1981; ლორთქიფანიძე 2012].

ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთ, საყურე რგოლზე დამაგრებული რადიალურად გაშლილი „სხივების“ ზოგად იდეას, პარალელები არაერთ კულტურულ არეალში ეძებნება, თუმცა აქაური საყურეების იდენტური ფორმით, არსად. სამსხივიან ვარიანტების ყველაზე ახლო სტილისტური პარალელებია: ლეფკანდიში, ძვ.წ. X-IX საუკუნით დათარიღებულ N 5 სამარხში აღმოჩენილი წყვილი საყურე [Higgins 1980: pl. 171: 5,11; Laffineur 1998: pl. 1.2]; სამხრეთ იორდანიასში, ტავილანის განძში [Ogden 1995: fig. 8.22; Golani 2013:240-241] აღმოჩენილი ვერცხლის ნიმუში; სხივების იდეას გადმოსცემს, ასევე, ელევსისის ძვ.წ. IX-VIII სს-ის სამარხებში აღმოჩენილი ორი სხვადასხვა სახის საყურე, დახვეული მავთულით გამოყვანილი სამი კონუსური სხივით და ირანში აღმოჩენილი ნიმუში, რომელზეც სხივები ცვარათი შედგენილი სამკუთხედებითაა გადმოცემული [THE MET: 1984.175.33ა].

საყურე, ტიპი IV. - ოთხი და მეტსხივიანი ვარიანტები (ტაბ.2). ოთხი და მეტსხივიანი საყურეები ძვ.წ. VI საუკუნის დასასრულიდან გავრცელებული ფორმაა, რომელიც ძვ.წ. V საუკუნეში კოლხური საყურის ერთ-ერთ მდიდრულ და მაღალმხატვრულ ვარიანტს ქმნის [იხ. ჭყონია ან. 1981: 17-21; გამყრელიძე გ. 1982: 70-72]. მათ ყველაზე დიდი რაოდენობით ფიჭვნარის ადრეანტიკური ხანის კოლხურ სამაროვანზე ვხვდებით (დაახლ. 27-მდე ერთეული). ამ კახიძე განიხილავს რა ამ საკიდების გავრცელების არეალს და ამიერკავკასიის მასშტაბით მათ რაოდენობრივ გადანაწილებას, რაშიც აშკარად ფიჭვნარი დომინირებს, ამ ტიპის საყურეების დამზადების ერთ-ერთ მთავარ ცენტრად სწორედ ამ რეგიონს მოიაზრებს [კახიძე და სხვ. 2004]. ვფიქრობთ, სხივანა საყურეების მრავალსხივიან ვარიანტებთან მიმართებაში ეს მოსაზრება მართებულია, თუმცა დასაკონკრეტებელია პერიოდი და ტიპი, რადგან, მათში არ უნდა გავაერთიანოთ სხივანა საყურეების ის ვარიანტები, რომელთა გავრცელება სხვა პერიოდსა და რეგიონს უკავშირდება. დიდი ალბათობით, სხივანა საყურეების მრავალსხივიანი ვარიანტები კოლხეთის პოლიტიკურ ცენტრებში რაჭის რეგიონიდან ვრცელდება იმ მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობების ფონზე, რაც ამ დროს მთისა და ბარის რეგიონებს შორის ივარაუდება [შეადარე, იხ. ჭყონია ან. 1981: 17-21; გამყრელიძე გ. 1982: 70-72].

ამრიგად, სხივანა საყურის ტიპოლოგიური, ტერიტორიული და ქრონოლოგიური გადანაწილებით, იკვეთება შემდეგი სურათი: 1) სხივანა საყურის ფენომენი ქართულ ოქრომჭედლობაში ძვ.წ. VII საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება და იგი აღმოსავლური სამყაროდან შემოსული იდეის ადგილობრივ სტილზე მორგებული ფორმაა; 2) სხივანა საყურის დიდი რაოდენობით გავრცელების პირველი ეტაპი ძვ.წ. VII ს-ის მეორე - ძვ.წ. VI საუკუნის რაჭის რეგიონს მოიცავს. აქ იგი ელექტრუმის, ვერცხლის, ბრინჯაოს და ანთიმონის ერთი, ორი და იშვიათად სამსხივიანი, მარტივი ვარიანტებით შემოიფარგლება; 3) ძვ.წ. V ს-ის დასაწყისიდან გამოჩენას იწყებს ოთხი და მეტსხივიანი ვარიანტები, რომელთა უმეტესობა უკვე შედარებით მაღალი ხარისხის ოქროსგანაა დამზადებული და ადრეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის ერთ-ერთ მდიდრულ და მაღალმხატვრულ შედეგებს ქმნის. მათი წარმოების და დისტრიბუციის მთავარი, ახლა უკვე კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა და შიდა რეგიონებია.

ლიტერატურა:

- აფაქიძე და სხვ.1999:** აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ა., გიუნაშვილი გ., გავაშელი ე., ლლონტი ნ. კაპანაძე მ. ნარეკვავის სამაროვანი, - მცხეთა - ნარეკვავი | 1998. თბ.
- გაგოშიძე 1976:** გაგოშიძე იულ. მასალები ქართული ოქრომჭედლობის ისტორიისთვის, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XXXII–B, თბ. გვ 5-36.
- გამყრელიძე 1982:** გამყრელიძე გ. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები (სოფ. მთისძირი), -საქ. მეცნ. აკადემიის გამომც. “მეცნიერება”, თბ.
- გობეჯიშვილი 1952:** გობეჯიშვილი გ. არქეოლოგიური გათხრები საბჭ. საქართველოში.
- კახიძე, ვიკერსი 2004:** კახიძე ამ., ვიკერსი მ. ფიჭვნარი (რედ. ამ. კახიძე), ტ. I, თბ.
- კახიძე 2016:** კახიძე ამ. *ფიჭვნარი* (რედ. ამ. კახიძე), VII, თბ.
- ლორთქიფანიძე 2012:** ლორთქიფანიძე ნ. ძველი ქართული სამკაული. თბ.
- ჭყონია 1981:** ჭყონია ან. ვანის ოქროს სამკაულები. - *ვანი* (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), VI.
- ჭყონია, გამყრელიძე 2021:** ჭყონია ან. გამყრელიძე გ. ოქროს სამკაული. - საქართველოს არქეოლოგიის ნარკვევები (ძვ.წ.V–ახ.წ.Vსს), საქართველოს ეროვნული მუზეუმი, - *ჟურ. იბერია-კოლხეთის დამატება* (რედ. გ. გამყრელიძე), I. თბ. გვ. 383-402.
- Despini 1996:** Despini J. Ancient Gold Jewelry, Athens: Ekdotike Athenon.
- Genchi 2018:** Genchi F., Fattore L., Nava A., Maini E. The LCG2 complex at Dibbā (Musandam, Oman, II-I millennium BC): structural, material, and osteological elements. Proceedings of the Seminar for Arabian Studies. 48, 99–117. <http://www.jstor.org/stable/45163148>.
- Golani 2013:** Golani A. Jewelry from the Iron Age II Levant. Orbis Biblicus et Orientalis, Series Archaeologica 32, Fribourg: Academic Press.
- Maxwell-Hyslop 1971:** Maxwell-Hyslop K. R. Western Asiatic jewellery, c.3000-612 BC.
- Muscarella 1966:** Muscarella O. W. Hasanlu 1964. The Metropolitan Museum of Art Bulletin 25.
- THE MET:** <https://www.metmuseum.org> .
- Сланов 1977:** Сланов А. Итоги арх. исслед. Сохтинского и Кливанского могильников, - ПАИ 1977.
- Тушишвили 1988:** Тушишвили Н. Раскопки в Алгетском ущелье. – Археол. открытия 1986, М.
- Уварова 1900:** Уварова П.С. Могильники Северного Кавказа, - МАК. Вып. VIII. М.

1

საყურე, ტიპი I. ერთსხივიანი
ძვ. წ. VII ს.-V ს-ის პირველი ნახევარი

ნარეკვავი

ბრილი

ყოზანი დიგორა

ირანი



I.

ნარეკვავი

ბრილი

ბრილი



I.1.

II.2.

ტაბ. 2

საყურე, ტიპი II. - ორსხივიანი
ძვ. წ. VI-V სს

საყურე, ტიპი III. სამსხივიანი

ძვ. წ. VI ს-ის ბოლო - V ს

ბრილი

ვარსიმანთკარი



ტიპი IV. მრავალსხივიანი

ჭითახევი



ბრილი



სოფ. მოისძირი

სენაკის მუნიციპალიტეტის პრაქტიკული და კლასიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები

ლერი ჯიბლაძე, რევაზ კვიციანი

სენაკის მუნიციპალიტეტი, რომელიც მოიცავს როგორც კოლხეთის დაბლობის, ისე მთისწინეთის ნაწილს, მდიდარია სხვადასხვა პერიოდის (ქვის ხანიდან გვიან შუასაუკუნეებამდე) არქეოლოგიური ძეგლებით. მათგან მხოლოდ მცირე ნაწილია სრულად შესწავლილი, უმრავლესობა კი არქეოლოგიური დაზვერვების შედეგადაა გამოვლენილი, ან შემთხვევითაა აღმოჩენილი. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის დასავლეთ საქართველოს საძიებო არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელმაც ცენტრალური კოლხეთის ტერიტორიაზე, კერძოდ აბაშის, სენაკისა და მარტვილის რაიონებში 1966-68 წლებში ფართომასშტაბიანი დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა და ოცზე მეტ პუნქტში შეკრიბა სხვადასხვა პერიოდის მასალა [გრიგოლია და სხვ. 1973: 32]. 1967 წლიდან ცენტრალური კოლხეთის ტერიტორიაზე ბრინჯაო-ადრეკინის პერიოდის ძეგლების შესწავლის საქმეში დიდი სამუშაოები გასწიას ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჯერ დ. ქორიძის, შემდეგ კი ე. გოგაძის ხელმძღვანელობით. მათ მიერ სტაციონალური გათხრებით შესწავლილ იქნა შუა და გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანის ნამოსახლარი ნოსირი III (ტაბ. I-15) [გოგაძე და სხვ. 1975: 47-51; გოგაძე 1982]. დაზვერვებით და მცირემასშტაბიანი გათხრებით ძველკოლხური I და II ეტაპის მასალები გამოვლინდა გეჯეთისა და სოფ. ხორშის „ლომურას გორას“ ნამოსახლარებზე (ტაბ. I-17,11) [გოგაძე 1982: 36-39; ჯიბლაძე 2007: 22-23]. ქვედაპალეოლითური ხანის ძეგლები (მუსტიეს პერიოდი) ზედაპირულად აკრეფილი მასალების მიხედვით გამოვლინდა სოფ. მენჯში (მენჯი I, II. ტაბ. I-1), ძვ. სენაკში (ტაბ. I-2), ნოქალაქევეში (ტაბ. I-3), საცხვიტაოში (ტაბ. I-4) [გრიგოლია და სხვ. 1973: 17]. ზედაპალეოლითის მასალები აღმოჩენილ იქნა სენაკში (ცხაკაია I, II და საკირეს ქედი. ტაბ. I-1,5).

ნეოლითურ ხანას უნდა მიეკუთვნოს დაზვერვების შედეგად მოპოვებული მასალები შემდეგი პუნქტებიდან: პატარა ზანა, დიდი ზანა და უშაფათი (ტაბ. I-6,7,8). საცხვიტაოში (ტაბ. I-4) კი სკოლის საძირკვლის ამოღებისას აღმოჩნდა კერამიკული მასალა [გრიგოლია და სხვ. 1973: 20]. ამავე ძეგლებზე აღმოჩნდა აგრეთვე მცირე ზომის სატეხები, სხვადასხვა ტიპის ხელშუბები და ა.შ.

სოფ. ხორში 1977 წელს ჩატარდა სადაზვერვო ხასიათის სამუშაოები. იქ სადაც გზის მშენებლობისას ხრემის მოსაპოვებლად კარიერი გაკეთდა, მთლიანად მოხსნილი იქნა ძველი ნამოსახლარის ფართობი და გაითხარა რამდენიმე გვიანანტიკური თუ ადრეული შუასაუკუნეების სამარხი (ტაბ. I-10). აქვე აღმოჩნდა ადრე ანტიკური და ბრინჯაოს ხანის (ნოსირი III ფენების სინქრონული) კერამიკა.

ხორშის უკერამიკო ნეოლითური ხანის სადგომი დადასტურდა ზედაპირულად აკრეფილი მასალების მიხედვით. ნამოსახლარი მდებარეობს მდ. მალდაკონის მარცხენა ნაპირზე, 20 მ. სიმაღლის ტერასაზე (ტაბ. I-9). ძეგლის შესწავლა მიდინარეობდა 1974-1981 წწ. სამეგრელოს ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გ. გრიგოლიას ხელმძღვანელობით [ნებიერიძე 1991: 235]. ნამოსახლარზე დაფიქსირდა 30-35 და 35-42 სმ. სისქის უძრავი კულტურული ფენა, სადაც გამოვლინდა 25-30 სმ. დიამეტრის მქონე ბოძების საყრდენი ორმოები. აღმოჩნდა სწორკუთხა ნაგებობის ნაშთი, ასევე ხელსაფქვავეები, კერის ოვალური ფორმის ორმოები, საბეგველები და მრავალრიცხოვანი ქვის მასალა.

მეორე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ობიექტი, რომელიც შესწავლილი იქნა სოფ. ხორშში არის ბუნებრივი სამოსახლო ბორცვი „ლომურა“ (ტაბ. I-10). ზედაპირულად აკრეფილი მასალის მიხედვით დადგინდა ადრეანტიკური და გვიანბრინჯაოს ხანის (ნოსირის III კულტურული ფენის სინქრონული) ფენების არსებობა [გრიგოლია და სხვ. 1973: 30; გოგაძე 1982: 38].

ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის მასალები, უპირატესად ქვის ინვენტარის მიხედვით ცნობილია სენაკის საკირე გორაზე (ტაბ. I-5), ბეთლემსა (ტაბ. I-13) და ეკში (ტაბ. I-12) [გრიგოლია და სხვ. 1973: 23]. საცდელი თხრილი გაკეთდა საკირე გორაზე, რომელიც მდებარეობს ეკის ქედის განშტოების აღმოსავლეთ ფერდზე. აქ კირქვის ქანების აფეთქებისას დაინგრა გამოქვაბული, სადაც აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ქვის ყუაგახვრეტლი ცული და ბრინჯაოს სადგისი [გრიგოლია და სხვ. 1973: 21].

საკირის მასალებთან ახლოს დგას ბეთლემის (ტაბ. I-13) ენეოლითური ხანის ნამოსახლარზე აღმოჩენილი არტეფაქტები. აქ სამოსახლოდ ბუნებრივი ბორცვია გამოყენებული. ის მდებარეობს სოფ. ფოცხოსკენ მიმავალ გზაზე, მდ. გურძემის მარცხენა ნაპირზე. ძეგლზე აღმოჩნდა ქილისებური ფორმის ჭურჭელი, კაჟის ნანარმი და სხვა მასალა [გრიგოლია და სხვ. 1973: 21-22].

ნაოხვამუ, რომელიც მდებარეობს სენაკის რაიონის სოფ. რეკას სამხრეთ-დასავლეთით (ტაბ. I-14) მიეკუთვნება ხელოვნურ ბორცვზე გამართულ ნამოსახლართა ტიპს. ბორცვის სიმაღლე 2 მ-ია, ხოლო დმ 50-60 მ. ბ. კუფტინმა აქ სამი კულტურული ფენა გამოყო [Күфтин 1950:193-238; ჯიბლაძე 1997:41; ჯიბლაძე 2007:22]. ქვედა ფენა მიაკუთვნა შუაბრინჯაოს ხანის დასასრულს, მომდევნო – გვიანბრინჯაოს ეტაპს, ხოლო ზედა ფენა დაათარიდა რკინის ხანის იმ ეტაპით, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე ყველაზე ადრეული ბერძნული კოლონიზაციის თანადროულია [Күфтин 1950: 152, 188].

არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც ნოსირი III-ის სახელითაა ცნობილი, მდებარეობს ამავე სახელწოდების სოფლის ჩრდილოეთ მხარეს, მდ. ტეხურის მარცხენა სანაპიროზე, ქ. სენაკიდან აღმოსავლეთით 7-8 კმ მანძილზე (ტაბ. I-15). ის ხელოვნურად გამართული სამოსახლო ბორცვია (სიმაღლე 1,8-1,9 მ, ფართობი 2000 კვ.მ), სადაც გამოიყო ოთხი კულტურული ფენა [გოგაძე 1982: 51-58]. ქვედა I, II ფენები, სადაც გვხვდება სხვადასხვა დეკორით გაფორმებული კერამიკა, ქვის ცული, სოჭი-ადლერის ტიპის თოხი, მიაკუთვნეს ძვ.წ. XVIII-XVI (ან XIX-XVII) და ძვ.წ. XV-XIV (ან XVI-XV) სს-ებს. III-IV ფენების თარიღი განისაზღვრა ძვ.წ. XIII-XII (ან XIII-XI) და ძვ.წ. X-IX სს-ებით (ან ძვ.წ. XI ს-ის დასასრულითა და ძვ.წ. X ს-ის დასაწყისით) [გოგაძე 1982: 17]. მდ. ტეხურისპირა ფლატის I საძიებო მოედანის სახელით ცნობილი ძეგლი მდებარეობს ნოსირის ბორცვის ჩრდილოეთით, მდინარის მარცხენა სანაპიროზე ღია, გაშლილ, გაუმაგრებელ ადგილზე (ტაბ. I-25). ძეგლზე გამოიყო ელინისტური, ადრეანტიკური და წინარეანტიკური ხანის კულტურული ფენები. გამოვლინდა თიხატკეპნილ იატაკზე დაწყობილი დანახშირებული ძვლები და სამეურნეო ორმოები [გოგაძე 1982: 37].

გვიანბრინჯაოს ხანის ხელოვნურად გამართული ნამოსახლარის ნაშთები გამოვლინდა აგრეთვე სოფ. ნოსირიდან ორიოდე კმ მანძილზე, ცემენტის ქარხნის მიდამოებში (ტაბ. I-16), სადაც აღმოჩნდა ძელურ ნაგებობათა ნაშთები [გოგაძე 1982: 37]. ნოსირის განძი აღმოჩნდა 1929 წელს სოფ. ნოსირში (ტაბ. I-26) მიწის სამუშაოების დროს. ეს კოლექცია იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შევეცდებით სრულად გადმოვცეთ მასში შემავალი ნივთები: ბრინჯაოს ზოდები; სარდიონის სხვადასხვა ზომის სფერული მძივები (24 ც); გველის ოქროს ქანდაკება (ნაკლული); ოთხკუთხა, ორნამენტირებული ოქროს საკიდი; ოქროს მრგვალი

ფუყე ნივთი; დაფანჯრული ვერცხლის მძივები (8 ც); ოქროს ნივთის ფრაგმენტი ლომის გამოსახულებით; ვერცხლის სამკაულის ფრაგმენტები (2ც.) [ქორიძე 1965:46]. დ. ქორიძის ცნობით საინვენტარო დავთარში არაფერია ნათქვამი ძეგლის ხასიათის შესახებ, მაგრამ მან კოლექციაში შემავალი დიდი რაოდენობის ბრინჯაოს ზოდებზე დაყრდნობით კოლექცია განხად ჩათვალა და ძვ.წ. VIII-VII სს-ებით დაათარილა [ქორიძე 1965: 43,46]. ნოსირის განძი რამდენჯერმე გამოქვეყნდა და სხვა მკვლევარებმაც მიანიჭეს განძის კვალიფიკაცია [Куртин 1941: 133-135, სურ. 129-132; Куртин 1949: 170-171; 176-177]. თუმცა არსებობს აზრი, რომ ეს კოლექცია სხვა „განძების“ მსგავსად (ნალეფსაო, ლეჩე, ვედითკარი, მახათი, გურძემი, ნახუნაო) სამარხეული ინვენტარის ნაწილია.

გეჯეთის ხელოვნური ნამოსახლარი მდებარეობს ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე, მდ. ტეხურის ნაპირზე, ნოსირი III-დან ჩრდილო-აღმოსავლეთით 3 კმ-ის დაშორებით (ტაბ. I-17) [გოგაძე 1982: 36; ჯიბლაძე 2007: 22]. ნამოსახლარი დაზვერვილი იქნა 1968 წელს, ხოლო 1970 და 1974 წწ. ჩატარდა მცირე მასშტაბის გათხრები. ძეგლზე გავლებულ თხრილში გამოიყო მოყვითალო სტერილური თიხნარი მიწით გამიჯნული ნოსირი III-ის მეორე და მესამე კულტურული ფენების შესატყვისი ორი ფენა [გოგაძე 1982: 59].

გვიანბრინჯაოს ხანის ხელოვნური ნამოსახლარის ნაშთი აღმოჩნდა სენაკის რაიონის სოფ. ნოქალაქევის მეურნეობის ტერიტორიაზე (ტაბ. I-19), ექსკავატორის მიერ ამოღებულ ქვაბულში. დაფიქსირდა ძეგურ ნაგებობათა ფრაგმენტები [გოგაძე 1982: 37]. მძივების სანარმოო სახელოსნოს ნაშთები გამოვლინდა მდ. ტეხურის მარჯვენა სანაპიროზე, ნოქალაქევის ნამოსახლარის ერთ-ერთ უბანზე (ტაბ. I-20). აქ 1973 წლიდან გათხრებს აწარმოებდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიცია ჯერ პ. ზაქარაიას, შემდეგ დ. ლომიტაშვილის ხელმძღვანელობით. მინერალების ნატეხებითან ერთად დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ხელსაწყო-იარაღები: თეთრი ქვიშა-ქვის სოლისებური ფორმის სახეხ-საპრიალებლები, ღარებიანი ქვები, სატეხები, საჩეჩქეები, გრდემლები [გოგაძე 2010: 163; ლომიტაშვილი 2003: 15]. კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ კერამიკულ ნაკეთობათა და არქეოლოგიური კომპლექსების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაციის საფუძველზე სახელოსნო დათარიღებულია ძვ.წ. VIII-VII სს-ით, რაც რადიოკარბონულმა ანალიზმაც დაადასტურა (ძვ.წ. VII ს.).

ეგრისის სამეფოს დედაქალაქი, ციხე-გოჯი (არქეოპოლისი) მდებარეობს მდ. ტეხურის მარცხენა სანაპიროზე სოფ. ნოქალაქევის ტერიტორიაზე (ტაბ. I-21). ისტორიული წყაროების მიხედვით ის ააგო ეგრისისა და სვანეთის ერისმთავარმა ქუჯიმ. პირველი გათხრები, რომელსაც გერმანელი არქეოლოგი შნაიდერი ხელმძღვანელობდა, ჩატარდა 1930-1931 წწ, რომელიც 1973 წელს განახლდა და დღემდე მიმდინარეობს (ხელმ.: პ. ზაქარაია, დ. ლომიტაშვილი, ნ. მურღულია). ქალაქი სამი ნაწილისგან შედგებოდა (საერთო ფართობი 15 ჰა) და გალავნით იყო გარშემორტყმული [ქსე 1984: 482]. მთავარი ნაწილი განლაგებული იყო მდინარის პირას, გარნიზონის სამყოფელი მდებარეობდა ფერდობზე, ხოლო შიდა ციხე (ციტადელი) მთის წვერზე. ქვედა ციხის ტერასაზე გამოვლინდა ეგრისის მეფეთა IV ს.-ის სასახლისა და V ს.-ის სამნავიანი ბაზილიკის ნანგრევები; VI ს.-ის დასაწყისის მცირე ზომის სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც მოგვიანებით გუმბათიან ეკლესიად გადაკეთდა. აღმოჩნდა ამავე ხანის ორი აბანოსა და სხვა ნაგებობათა ნაშთები. ნოქალაქევეში გაითხარა ძვ.წ. IV-III სს. სამაროვანი. გამოვლინდა ძვ.წ. IV ს.-ისა და ახ.წ. IV-V სს-ების ნამოსახლარის ნაშთები [ზაქარაია და სხვ. 1984: 69].

მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე 1 კმ დაშორებით სოფ. საგვიჩიოს მიდამოებში (ტაბ. I-18). სადაზვერვო თხრილებით შესწავლილ იქნა ზურგანი, პატარა „კონდა“, №3, 4 ბორცვები

და ფიჩორისპირა ნამოსახლარი [ჯიბლაძე 2007: 24]. ხელოვნური ბორცვები ერთმანეთისაგან გამოყოფილი იყო ღრმა თხრილებით. ზედაპირულად აკრეფილი იქნა კოლხური ქვევრების ფრაგმენტები და ამფორები, მათ შორის იმპორტულიც. ყველა ძეგლზე გამოიყო ანტიკური და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ფენები. ნამოსახლარები გამაგრებული იყო ხელოვნური თხრილებით. გამოითქვა მოსაზრება, რომ აქ ანტიკური ხანის ქალაქური ტიპის დასახლება უნდა ყოფილიყო.

სენაკის ჩრდილოეთით, „კალანდარიშვილების გორაზე“ და მის მიმდებარე ტერიტორიაზე (ტაბ. I-22) სადაზვერვო სამუშაოების შედეგად აღმოჩნდა ძვ.წ. V-III სს-ის დიდი ნამოსახლარი სამაროვანთან ერთად. აქ გამოვლენილი ბერძნული თიხის ნაწარმი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ამ დასახლების სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე ბერძნულ სამყაროსთან.

ქ. სენაკის სამხრეთ გარეუბანში, საკალანდარიშვილოს სასაფლაოდან 300 მეტრის აღმოსავლეთით, ფეოდალური ხანის ციხის (ჯიხას) ნანგრევებიდან 150 მეტრის სამხრეთით გამოვლენილი იქნა ორი ერთმანეთთან დაბალი ყელით შეერთებული ხელოვნური ბორცვი, რომელსაც პატნაოხურუს (ბატონის ნამოსახლარი) ეძახიან (ტაბ. I-24). ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით აქ ადრე თიხის ჭურჭელი და ოქროს ნივთები უპოვიათ [გრიგოლია და სხვ.1973: 31]. ბორცვის მთელ ზედაპირზე აიკრიფა ადრეანტიკური და ელინისტური ხანის კოლხური ქვევრების, ამფორების, გვერდებაკეცილი ბრტყელი კრამიტების ნატეხები [გრიგოლია და სხვ.1973: 31]. გავლებული იქნა საძიებო თხრილი, სადაც აღმოჩნდა ბრინჯაოს თხელფურცლოვანი, შედგენილი ჭურჭლის ფრაგმენტები. თხრილში დადასტურდა ქიოსური ამფორის ფრაგმენტიც. ჩრდილოეთი ბორცვი თარიღდება ძვ.წ. VI-III სს-ებით. სამხრეთი ბორცვის სიმაღლეა 2,5 მ, დმ. 30 მ. ნიაღვრისაგან გადარეცხილ ფენაში გამოიკვეთა ინვენტარიანი დანგრეული ორი ქვევრსამარხის კონტურები. ამ ბორცვს ძვ.წ. IV-III-სს-ებით ათარიღებენ [გრიგოლია და სხვ.1973: 33]. აქვე უნდა ითქვას, რომ საგანგებოდ ჩატარებული ძიების მიუხედავად, ვერ მივაკვლიეთ აღნიშნულ ძეგლს. ადგილობრივი მაცხოვრებლები ტოპონიმ „ბატნაოხორუს“ არ იცნობენ. ასევე გაურკვეველია რა იგულისხმება “ხელოვნურ ბორცვებში”. როგორც ცნობილია, ამ ტიპის ბორცვები მხოლოდ კოლხეთის დაბალი ზონისთვისაა დამახასიათებელი. კალანდარიშვილების გორა და მისი მიმდებარე ტერიტორია კი ბუნებრივ მთიან-ბორცვოვანი სისტემის ნაწილია.

სოფ. ეკში, ტოჩი ნინუას ეზოში 1971 წელს აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების (907 ცალი) განძი (ტაბ. I-23). მასში შედიოდა პართიის მეფის ოროდ II-ის (ძვ.წ. 57-38 წწ.) დრაქმა (ვერცხლის ფული) და რომის იმპერატორების: ნერვას, ტრაიანეს, ადრიანეს, ანტონინუს-პიუსის, ლუციუს ვერუსის, კომოდუსის, პეტრინაქსის, ნიგერიუსის, სეპტიმიუს-სევერუსის და სხვთა სახელით მოჭრილი დიდრაქმები და დინარები. ეკის განძის 774 მონეტა მოჭრილია კესარიის ზარაფხანაში, 131 მონეტა რომისა და რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციების ზარაფხანებში, დანარჩენი სხვა პროვინციებში. ყველაზე გვიანდელი მონეტა 222 წლით თარიღდება [დუნდუა, ნირღვავა 1971: 42].

ძირითადად ამით ამოიწურება სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღეისათვის ცნობილი პრეისტორიული და კლასიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების ნუსხა. მომავალში წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოებისა და შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად მათი რაოდენობა ალბათ უფრო გაიზრდება.

ლიტერატურა:

გოგაძე 1975: გოგაძე ელ. ჯავახიშვილი გ. საგინაშვილი მ. ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1972-1973 წლების მუშაობის ანგარიში. კრებ. შსმავ IV, თბ. გვ. 47-51.

გოგაძე 1982: გოგაძე ელ. კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა. თბ.

გვინჩიძე 1988: გვინჩიძე გ., ელინისტური ხანის კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის. თბ.

გრიგოლია და სხვ. 1973: გრიგოლია გ. ფხაკაძე გ. ბარამიძე მ. ლორთქიფანიძე გ. დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წ. მუშაობის შედეგები. - კრებ. მსკა, ტ. V. თბ. გვ. 17-38.

დუნდუა, ნირღვავა 1971: დუნდუა გ. ნირღვავა ვ. ეკის განძი. ჟურ. - *ძეგლის მეგობარი*, № 27-28, თბ. გვ. 42-45.

ზაქარაია 1984: ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვიანიძე ვ., გვინჩიძე გ., ციხეგოჯი ნოქალაქევი. თბ.

ლომიტაშვილი 2003: ლომიტაშვილი დ. ცენტრალური კოლხეთი ძვ.წ. VII ახ.წ. VIII სს. (ციხეგოჯი, არქეოპოლისი, ნოქალაქევი), (ავტორეფერატი), თბ.

ნებიერიძე 1991: ნებიერიძე ლ. ნეოლითი. საქართველოს არქეოლოგია, ტ. I (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), თბ. გვ. 268-261.

პაპუაშვილი და სხვ. 2012: პაპუაშვილი რ., ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი ნ., არქეოლოგიური სამუშაოები წყალტუბო-მენჯის მონაკვეთის ელექტროგადამცემი ხაზის ტრასაზე. ჟურ. - *იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), № 8, თბ. გვ. 46-56.

ქც 1984: ქართული საბჭ. ენციკლოპედია, ტ. 7, თბ.

ქორიძე 1965: ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბ.

ჯიბლაძე 1997: ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების სტრატეგრაფია, ქრონოლოგია, პერიოდიზაცია (ფიზიკის ნამოსახლარის ცენტრალური ბორცვი) თბ.

ჯიბლაძე 2007: ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები. თბ.

ჯიბლაძე 2020: ჯიბლაძე ლ., კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სხვადასხვა კატეგორიის ძეგლების (ნამოსახლარები, სამაროვნები, ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოები) ჟურ. *ონლაინ არქეოლოგია*, №18, გვ. 80-98.

Куптин 1941: Куптин Б. Археологические раскопки в Триалети. Тб.

Куптин 1949: Куптин Б. Материалы к археологии Колхиды, т. I, Тб.


Куптин 1950: Куптин Б. Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб.

ტაბულების აღწერილობა:

ტაბ I. სენაკის მუნიციპალიტეტის პრეისტორიული და კლასიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების რუკა:

1. მენჯი I, II. ზედა პალეოლითის ხანის ზედაპირულად აკრეფილი მასალა.
2. ძველი სენაკი. ზედა პალეოლითის და ნეოლითის ხანის ზედაპირულად აკრეფილი მასალა.

3. ნოქალაქევი. ზედა პალეოლითის და ნეოლითის ხანის ზედაპირულად აკრეფილი მასალა.
4. საცხვიტაო. ზედა პალეოლითისა და ნეოლითის ხანის ზედაპირულად აკრეფილი მასალა.
5. სენაკი (საკირეს ქედი). ზედა პალეოლითის, ნეოლითის და ენეოლითის ხანის ზედაპირულად აკრეფილი მასალა.
6. პატარა ზანა. ნეოლითის ხანის ზედაპირულად აკრეფილი მასალა.
7. დიდი ზანა. ნეოლითის ხანის ზედაპირულად აკრეფილი მასალა.
8. უშაფათი. ნეოლითის ხანის ზედაპირულად აკრეფილი მასალა.
9. ხორში. ადრენეოლითური სადგომი.
10. ხორში. გვიანანტიკური და ადრე შუასაუკუნეების ხანის სამარხები.
11. ხორში. ლომურას გორის ნამოსახლარი (გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა).
12. ეკი. ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის მასალა.
13. ბეთლემი (ბერთემი). ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის მასალა.
14. რეკა (ნაოხვამუ). გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი.
15. ნოსირი III. შუაბრინჯაოს და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი.
16. სენაკი. ცემენტის ქარხნის ტერიტორია. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი.
17. გეჯეთი. გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი.
18. საგვიჩიო. ნამოსახლართა კომპლექსი.
19. ნოქალაქევი (მეურნეობის ტერიტორია). გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი.
20. ნოქალაქევი. ადრერკინის ხანის მძივების სახელოსნოს ნაშთი.
21. ნოქალაქევი. გვიანანტიკური ხანის და ადრეული შუასაუკუნეების ნაქალაქარი (არქეოპოლისი).
22. სენაკი (საკალანდარაშვილოს გორა). სხვადასხვა პერიოდის კულტურული ფენები.
23. ეკი. რომაული და პართიული მონეტების განძი.
24. ბატნაოხორუ. ადრეანტიკური ხანის და ელინისტური ხანის ნამოსახლარი და სამაროვანი.
25. ნოსირი (მდინარისპირა ფლატე). ადრეანტიკური ხანის და ელინისტური ხანის ქვევრსამარხები და ნამოსახლარი.
26. ნოსირი. ბრინჯაოს, ოქროს, ვერცხლის ნაკეთობებისაგან და სხვა ნივთებისაგან შემდგარი განძი.



არქეოლოგიური გათხრები სვერის ციხეზე

ზურაბ ბრაგვაძე

2017-18 წლებში მიმდინარეობდა არქეოლოგიური სამუშაოები სვერის ციხეზე, რომელიც მდებარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტში, ჭიათურის სამხრეთ-აღმოსავლეთით 15 კმ-ზე, სვერისხევის მარცხენა ნაპირზე. ციხე კირქვის მასივზეა ამოზიდული (სურ. 1) და აგებული უნდა იყოს VII-VIII საუკუნეებში. ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით, ციხის აგება მურვან-ყრუს საქართველოში ლაშქრობების პერიოდს უკავშირდება: "თქმულ არს ჟამსა ყრუსასა დადგა არგვეთს ციხე სუერი" [ქც IV 1975: 361]. ციხე ასევე მოიხსენიება თურქ-სელჩუკთა საქართველოში 1068 წლის შემოსევების დროს. ამ მოვლენის შესახებ "მატიანე ქართლისა" გადმოგვცემს. სელჩუკებმა არგვეთში შეაღწიეს და "არბიეს იგი ვიდრე სუერის ციხემდე" [ქც I 1955: 309; გამყრელიძე და სხვ. 2013: 480]. 1590 წელს სვერის ციხე ქართლის მეფემ, სიმონ I-მა დაიკავა. 1661 წ. იმერეთში ლაშქრობის დროს, ქართლის მეფემ - ვახტანგ V-მ აიღო და აბაშიძეთა ფეოდალურ სახლს გადასცა. 1744 მას იმერეთის მეფე ალექსანდრე V დაუფლა. ორი წლის შემდეგ აბაშიძეებმა ციხე უკან დაიბრუნეს. ხრესილის ბრძოლის (1757 წ.) შემდეგ ემორჩილებოდა იმერეთის სამეფო ხელისუფლებას. 1763 წელს ის ოსმალებმა აიღეს და დაანგრიეს, რის შემდეგაც ციხე აღადგინეს. იმერეთის აჯანყების (1810წ.) დროს რუსეთის ჯარმა დაიკავა. ამის შემდეგ სვერის ციხემ დაკარგა ადრინდელი მნიშვნელობა და როგორც საფორტიფიკაციო ნაგებობა, გაუქმებული იქნა [გამყრელიძე და სხვ. 2013: 480].

სვერის ციხე საკმაოდ მწირად არის შესწავლილი სამეცნიერო კუთხით. ფაქტიურად გ. ცქიტიშვილის ერთი სტატიის გარდა ამ მხრივ არც არაფერი მოგვეპოვება [ცქიტიშვილი 1970: 34-38]. ანალოგიური ვითარებაა ციხის არქეოლოგიური შესწავლის მხრივაც. XX საუკუნის 70-იან წლებში შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ციხის სამხრეთ ფერდობზე ჩაატარა მცირე მასშტაბის სადაზვერვო სამუშაოები და გამოავლინა ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიური ფენები. მოპოვებულია ადრე ანტიკური ხანის შავი ფერის ყელდალარული და ბიკონუსური ფორმის დერგების, ქოთნებისა და ყურმილიანი დოქების ფრაგმენტები. ამ მონაპოვრს საკუთარ მონოგრაფიაში მოკრძალებული ადგილი დაუთმო ჯ.ნადირაძემ [ნადირაძე 1990: 129-130]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ერთი მცირე სადაზვერვო თხრილის გარდა სხვა არქეოლოგიური გათხრები სვერის ციხეზე არ ჩატარებულა. ამავე პერიოდში ციხის აღმოსავლეთ ფერდოთან გზის გაყვანისას დაანგრიეს გვიანანტიკური ხანის სამარხი, რომლისგანაც გადარჩა მხოლოდ ერთი მსხლისებურ ტანიანი, ჩალისფერკეციანი დოქი, რომელიც სვერის ციხეზე ჯ. ნადირაძის მიერ მოპოვებულ მცირერიცხოვან არტეფაქტებთან ერთად ამჟამად ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდში.

ექსპედიციას ჰქონდა ორი ძირითადი მიზანი: დაედგინა არქეოლოგიური ფენების სტრატოგრაფია და მიეკვლია გვიანანტიკური ხანის სამაროვნისთვის. თავიდანვე აღვნიშნავ, რომ ექსპედიციამ ეს ორივე მიზანი შეასრულა. დადგინდა ნამოსახლარის სტრატოგრაფია და მიკვლეული იქნა სამაროვანი. არქეოლოგიური სამუშაოები წარიმართა ციხის სამხრეთ ფერდობზე და აღმოსავლეთი ფერდობის ქვედა ტერასაზე.

სამხრეთი ფერდობი.

სვერის ციხის სამხრეთი ფერდობი საკმაოდ დამრეცია. ნამოსახლარი ფენების სტრატოგრაფიის დადგენის მიზნით გაიჭრა მართკუთხედი ფორმის თხრილი, რომლის ზომები იყო 15 მ X 7 მ. ხოლო მაქსიმალური სიმაღლე - 210 სმ. სტრატოგრაფიულმა ქრილმა

მოგვცა შემდეგი სურათი: ჰუმუსოვან ფენას (30 სმ) მოსდევდა ქვაცირილიანი ფენა, რომელიც სიმაღლეში ზოგან 50 სმ-ს აღწევდა. ქვაცირილიანი ფენის ქვეშ ფიქსირდება I ნამოსახლარი ფენა, რომლის სიმაღლეს 40-50 სმ-ია; I ფენის II ფენისგან იმიჯნებოდა 10-20 სმ. სიმაღლის სტერილური შრით, ხოლო უშუალოდ II ფენა სიმაღლე 30-40 სმ-ს აღწევდა (სურ. 2). ქვაცირილიანი ფენა წარმოქმნილია ციხის კედლებიდან ჩამოცვენილი ქვებისგან და მასში არქეოლოგიური არტიფაქტები არ ფიქსირდება.

I ფენის არქეოლოგიურ მასალში გამოიყოფა სამშენებლო, სამეურნეო და სასუფრე კერამიკული ნაწარმი. სამშენებლო კერამიკა კრამიტითაა წარმოდგენილი. გვხვდება როგორც ბრტყელი, ასევე ოვალური ცალები. ორივე ტიპის კრამიტი წითელი ფერისაა და დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისგან. არქეოლოგიურ გათხრებს I ფენაში ნაგებობების ნაშთები არ გამოუვლენია. ამიტომ სავარაუდოა, რომ კრამიტის მოხვედრა ამ ფენაში უნდა უკავშირდებოდეს ციხეზე არსებულ ნაგებობებს. სამეურნეო თუნის ნაწარმი უხეში, განუღებავი თიხისგან დამზადებული მონითალო-მოაგურისფრო ქვევრები და დერგებია, რომლებიც წარმოდგენილია პირებისა და გვერდების სახით. სუფრის ჭურჭლები მოჭიქული, შეღებილი და ორნამენტირებული თხელკეციანი კარგად განლექილი დოქების ფრაგმენტებია (სურ. 3).

სვერის ციხის სამხრეთ ფერდობზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის პარალელები მრავლად მოიპოვება საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე. საკუთრივ ზემო იმერეთში ჩვენს მიერ შესწავლილ ქვემო ბერეთისის დუმალას კომპლექსზე სწორედ ანალოგიური კერამიკული ნაწარმია წარმოდგენილი. დუმალას კომპლექსის არქეოლოგიური ფენა იქ მოპოვებული თურქული მონეტების მიხედვით კარგად თარიღდება XVIII საუკუნის მეორე ნახევრით [მახარაძე და სხვ. 2004: 77].

ვფიქრობ, ანალოგიური პერიოდით უნდა განისაზღვროს სვერის ციხის სამხრეთი ფერდობის I ფენის ასაკიც და იგი ციხის ფუნქციონირების უკანასკნელ ფაზას უნდა უკავშირდებოდეს.

როგორც აღინიშნა, II ფენა I ფენისგან იმიჯნებოდა 10-20 სმ. სისქის სტერილური შრით. II ფენა ხასიათდება მოშაო, ქვიშანარევი მიწით და სისქეში 20-30 სმ-ია. არქეოლოგიური მასალა ძირითადად კერამიკული ნაწარმია, რომელთა შორის გამოიყოფა ორნამენტირებული ქოთნების პირები, შავი ფერის პირგადაშლილი ჯამები (სურ. 5), ნაჭდევებით შემკული და სადა დოქების გვერდების ფრაგმენტები, დოქების სადა ყურები, დოქების ძირებისა და ძირგვერდების ფრაგმენტები. ამავე ფენიდან მომდინარეობს ქვის ხელსაფქვავიც (სურ. 4).

დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე უხვადაა გამოვლენილი სვერის ციხის II ფენის ანალოგიური მასალა. შორს რომ არ წავიდეთ, საკუთრივ ჭიათურა-საჩხერის რაიონებში არაერთ ძეგლზეა მიკვლეული ასეთი კერამიკა. ეს ვითარება არც არის გასაკვირი, რადგან ზემო იმერეთის ისეთი ეტალონური არქეოლოგიური ძეგლები, როგორებიცაა საირხე, ითხვისი და მოდინახე მდებარეობს სვერიდან 5-15 კმ-ის რადიუსში და ცხადია, რომ ის კულტურული იმპულსები, რაც დამახასიათებელი იყო ადრეანტიკური ხანის აღმოსავლეთ კოლხეთისთვის, საერთოა აღნიშნული დასახლებებისთვის. სვერის ციხის სამხრეთი ფერდობის II ფენა სწორედ ადრეანტიკურ ხანას მიეკუთვნება. ჩვენს განკარგულებაში არსებული არქეოლოგიური მასალა ქრონოლოგიურად ძვ.წ. VI-V საუკუნეებს მიეკუთვნება.

ამრიგად, არქეოლოგიურმა გათხრებმა აჩვენა, რომ სვერის ციხის ფერდობები სამოსახლოდ ათვისებული ჩანს ჯერ კიდევ ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან და ეს ვითარება გარკვეულწილად ეხმიანება ყვირილის ხეობის ზემო წელზე არსებულ არქეოლოგიურ სიტუაციას, რადგან ჩვენს მიერ ცნობილ თითქმის ყველა ციხეზე (მოდინახე,

იქცისი, წინსოფელი, ნიგოზეთი, ნავარძეთი) საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი ქ.ნ. I ათასწლეულის არქეოლოგიური ფენები და ამ მხრივ არც სვერის ციხეა გამონაკლისი.

აღმოსავლეთი ფერდობი. ქვედა ტერასა.

აღნიშნულ არეალში ექსპედიციამ იმუშავა 2018 წელს. 2017 წლის გათხრებმა გაგვიჩინა განცდა, რომ ციხის მიდამოებში მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო ადრეანტიკური ხანაზე უფრო ადრეული ფენების არსებობა და ჩვენს მიზნსაც სწორედ მათი გამოვლენა წარმოადგენდა. ეს სეზონი საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა სვერის ციხის სხვადასხვა პერიოდის ნამოსახლარების გამოვლენისა და ძეგლის ზოგადი სტრატეგრაფიის დადგენის თვალსაზრისით. ამ მხრივ განსაკუთრებით ხელშეწყობები მასალა მოგვცა სამმა თხრილმა და აქ სწორედ მათში გამოვლენილ შედეგებს შევეხები.

თხრილი 1: თხრილის სიგრძე 17 მ. სიგანე 6 მ. მაქსიმალური სიღრმე 125 სმ. (სურ. 9). 10 სმ. სისქის კორდოვანი ფენის მოხსნის შემდეგ გამოიკვეთა მონაცრისფრო ფენა, რომელიც 30 სმ-ს აღწევდა. ფენას მოსდევდა სტერილური ფენა, რომლის ნაწილი შევსებული იყო ქვებით. სტერილური ფენა სიმაღლეში 10-დან 15 სმ-დე მერყეობდა, ხოლო მის ქვეშ დაფიქსირდა მოშაო ფერის ფენა, რომელიც სისქეში 20-25 სმ-ს აღწევდა. მეორე ფენას კვლავ მოსდევდა 15-20 სმ. სტერილური ფენა, ხოლო მის ქვეშ დაფიქსირდა ნახშირებით და ბათქაშებით შედგენილი 30-40 სმ. სისქის ფენა, რომელიც კლდოვან დედაქანზე იდო (სურ.10-11).

ზედა, I ფენის მასალა ძირითადად წარმოდგენილია თიხის ნაწარმით და ერთი მეტალის ნივთით. ესაა რკინის ისრისპირი (სურ.12). თუნის ნაწარმში გვხვდება დოქების, ქოთნებისა და დერგების პირები, პირ-ყელის ფრაგმენტები, ძირები და ყურები (სურ.13). უმეტესი მათგანი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან და გამომწვარია მოჩალისფროდ, წითლად და მოაგურისფროდ. განსაკუთრებით საინტერესოა მსხლისებურკორპუსიანი დოქების პირ-გვერდების ცალეები. ასეთი სახის კერამიკა ფართოდაა გავრცელებული ზემო იმერეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე. მსხლისებურ კორპუსიანი კერამიკა წარმოადგენს მოდინახეს, რგანის და წინსოფლის სამარხეული ინვენტარის განუყოფელ ნაწილს და კარგად თარიღდება IV საუკუნის პირველი ნახევრით.

მსგავსი კერამიკა გამოვლინდა 2017 წელს სვერის ციხის აღმოსავლეთ ფერდობზე მიკვლეულ სამაროვანზეც (იხ. ქვემოთ), რომელიც აღნიშნული თხრილიდან დაშორებულია 300 მეტრით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ I თხრილში დაფიქსირებული I ფენა წარმოადგენს სამაროვნის თანადროულ დასახლებას და მისი მეცნიერული მნიშვნელობა საკმაოდ იზრდება, რადგან ზემო იმერეთში ეს არის გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარის აღმოჩენის პირველი შემთხვევა. საერთოდ, ზემო იმერეთი მდიდარია გვიანანტიკური ხანის სამარხეული კომპლექსებით, თუმცა მათი სინქრონული დასახლება ამ ეტაპამდე მიკვლეული არ ყოფილა და ამდენად, სვერი გვევლინება პირველ არქეოლოგიურ ობიექტად, სადაც აღმოჩნდა გვიანანტიკური ხანის როგორც სამაროვანი, ასევე-ნამოსახლარიც.

როგორც ითქვა, პირველი და მეორე ფენა გამიჯნული იყო 10-15 სმ. სისქის სტერილური ფენით. II ფენაში მოპოვებული კერამიკული ნაწარმიდან ყურადღებას იქცევს პირდაღარული და სადა დერგებისა და ქოთნების ფრაგმენტები, დოქების ორნამენტირებული და სადა პირ-გვერდების ნატეხები (სურ.14). მეორე ფენის მსგავსი მასალა დასავლეთ საქართველოს არაერთ ძეგლზეა ფიქსირებული და ძირითადად ადრეანტიკური ხანით თარიღდება. ზემო იმერეთში ქ.ნ. I ათასწლეულის რამდენიმე კარგად სტრატეგიცირებული ძეგლია შესწავლილი (საირხე, ითხვისი, მოდინახე) და მსგავსი არქეოლოგიური მასალის ქრონოლოგიური დიაპაზონი ქ.ნ. VI-V საუკუნეებს შორის თავსდება. ეს ფენა 2017 წელს სვერის ციხის სამხრეთ ფერდობზე მიკვლეული მეორე ფენის სინქრონულია და შეიძლება თამამად ითქვას, რომ

ადრეანტიკურ ხანაში სამოსახლოდ ათვისებულია სვერის ციხის მთელი მიმდებარე ტერიტორია. აღნიშნული ვითარება მოულოდნელი არ არის, რადგან ეს პერიოდი კოლხეთის სამეფოს აღმავლობის ეპოქაა და ცხადია, ქვეყნის მძლავრი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა განაპირობებდა დასახლებული ადგილების მრავალრიცხოვნებას. სწორედ ქ.ნ. V-IV საუკუნეებს მიეკუთვნება საირხის, მოდინახესა და ითხვისის მდიდრული სამარხები, რაც თვალნათლივ მეტყველებს ზემო იმერეთის განსაკუთრებულ ეკონომიკურ დანიშნულებულობაზე ადრეანტიკურ ხანაში.

ქვედა მესამე ფენა მოშაო და მონითალო მიწით ხასიათდებოდა და ჭრილში კარგად ჩანდა ნახშირებისა და ბათქაშების კვალი. III ფენის მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია. ესენია: მოშაო-მორუხო ფერის ქოთნები (სურ.18), პირმოყრილი და სადა ჯამები (სურ.20), ზოომორფული (სურ. 15, 21, 23) და სადა ყურები (სურ. 16, 22), სახელურები (სურ. 19) კანელურებით შემკული გვერდები (სურ. 18) და ტოლჩები (სურ. 22). აღმოჩენილი ბათქაშები და ნახშირები გვაფიქრებინებს, რომ ამავე ფენაში უნდა არსებულიყო ხის ძელებიანი ნაგებობებიც, მაგრამ მათ ჩვენამდე ვეღარ მოაღწიეს.

კოლხეთის სინადვილეში საკმაო რაოდენობითაა გამოვლენილი III ფენის თანადროული არტეფაქტები. საკუთრივ ზემო იმერეთშიც არაერთ ძეგლზეა მიკვლეული ზოომორფული თუ კანელურებიანი კერამიკა (საირხე, მოდინახე, ითხვისი, ჯიეთი, წინსოფელი, რგანი). ამიტომ მრავალრიცხოვანი პარალელების გათვალისწინებით III ფენის არქეოლოგიური მასალა ქ.ნ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება.

როგორც ვნახეთ აღნიშნულმა თხრილმა მოგვცა საკამოდ საინტერესო და მრავლისმეტყველი არქეოლოგიური მასალა და ამ მონაპოვარმა კიდევ უფრო გაამყარა შეხედულება ქ.ნ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კოლხეთის კულტურული ერთგვაროვანობის შესახებ და ასევე გამოავლინა გვიან ანტიკური ხანის პირველი ნამოსახლარი ზემო იმერეთში.

თხრილი 2. თხრილის სიგრძე 8 მ. სიგანე 5 მ. მაქსიმალური სიღრმე 150 სმ. (სურ. 24). აღნიშნული თხრილი საკმაოდ საინტერესო გამოდგა. დაფიქსირდა ორი ფენა. ჰუმუსოვანი ფენის სისქე იყო 20 სმ. ჰუმუსის ფენას მოსდევს პირველი ფენა, რომელიც სიმაღლეში 40-50 სმ-ს არწევს. პირველი და მეორე ფენა იმიჯნებოდა 20-25 სმ. სისქის სტერილური ფენით, ხოლო მეორე ფენის სიმაღლე მერყეობდა 40-დან 70 სმ-მდე. ამ ფენის ქვეშ ფიქსირდება კლდოვანი ქანი (სურ. 25).

I ფენაში გამოვლინდა როგორც თუნის ნაწარმი, ასევე-ლითონის არტეფაქტები. კერამიკული ნაწარმიდან გამოირჩევა ქვევრების, დერგებისა და ქოთნების პირები, გვერდები და ძირები. ასევე დოქების ყურები. ლითონის ნივთებიდან ყურადღებას იქცევს ვერცხლის ზარაკი, რკინის დანა და რკინის ორი საკინძი (სურ.26). I ფენის მსგავსი კერამიკა ზემო იმერეთში მოპოვებულია საირხის მარნიგორის ბორცვზე და წინსოფლის ნამოსახლარზე და ძირითადად V-VII სს-ით თარიღდება. ვერცხლის ზარაკისა და რკინის საკინძების შემცველი მოდინახეს ადრეული შუა საუკუნეების კომპლექსებიც ანალოგიურ პერიოდს მიეკუთვნება. ამდენად, II თხრილის I ფენა ზოგადად ადრეული შუა საუკუნეების პერიოდისაა და იგი V-VII საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

II ფენის მასალა უფრო მრავალფეროვანია. თუნის ნაწარმი დამზადებულია განლექილი თიხისგან, კვარცის მინარევებით. გამოწვის ხარისხიც მაღალია. ამ ფენის მასალიდან ყურადღებას იქცევს ზოომორფული ყურები (სურ.27,28) და სოლისებური ნაჭდევით შემკული ქოთნების პირ-გვერდების ფრაგმენტები (სურ. 29, 30). სოლისებურ ნაჭდევიანი კერამიკა აღმოჩენილია მოდინახეს გვიან ბრინჯაოს ხანის სამარხებში, ასევე მოდინახესა და ჯიეთის გვიან ბრინჯაოს ხანის კულტურულ ფენებში. ამავე თხრილში მიკვლეული რკინის წიდები

(სურ. 32) და რკინის საკინძები (სურ. 31) ზოომორფულ კერამიკასთან ერთად მიაწოდებოდა, რომ II ფენა I თხრილის III ფენის თანადროული უნდა იყოს.

აღნიშნული ფენის მონაცემებმა გარკვეულწილად დააზუსტა სოლისებურ ნაჭდევიანი კერამიკის გავრცელების ზედა ქრონოლოგიური ზღვარიც. რკინის წილებთან ერთად ამ სახის არტეფაქტების დადასტურება მიაწოდებოდა, რომ ისინი არსებობს წინარე ანტიკურ ხანშიც. თავის მხრივ მეტად საყურადღებოა რკინის წილებისა და რკინის ნივთების დადასტურება ქ.ნ. VIII-VII საუკუნეებში, რადგან ჭიათურა-საჩხერის დღემდე შესწავლილ არც ერთი არქეოლოგიური ძეგლის თანადროულ ფენებში (ქ.ნ. VIII-VII სს) რკინის არტეფაქტები გამოვლენილი არ ყოფილა და ლითონის ნივთებიდან უპირატესი მდგომარეობა ბრინჯაოს უკავია. ისეთ ცნობილ და კარგად სტრატოგრაფიულ ძეგლებზეც კი, როგორცაა საირხის საბადურის გორის ნამოსახლარი და სამაროვანი, რკინის ნივთები მხოლოდ ადრე ანტიკურ ხანაში ჩნდება. იგივე შეიძლება ითქვას ძვლის არტეფაქტის შესახებაც (სავარაუდოდ ნემსი) (სურ. 31), რადგან ზემო იმერეთის წინარე ანტიკური ხანის ფენებისთვის ძვლის ნივთები მაინც და მაინც დამახასიათებელი არ არის. ასე რომ ამ თხრილის ქვედა ფენა საკმაოდ მნიშველოვანი ინფორმაციის შემცველია ქ.ნ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კულტურის ისტორიის თვალსაზრისით.

ამრიგად, პირველი თხრილის III და მეორე თხრილის II ფენა ერთი და იგივე დასახლებაა და იგი საკმაოდ დიდ ფართობზე ვრცელდება. წინასწარი მონაცემებით, სიგრძეში მისი გავრცელების არეალი 300 მეტრ ფართობს ფარავს.

თხრილი 3. გაიჭრა სვერიდან გუნდაეთისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, შემადგენელ ადგილებზე. ბუჩქნარის საფარისგან განმეზღვის შემდეგ გამოიკვეთა ქვაყრილი (სურ. 33). მისი ზომები იყო 4 მ X 3 მ-ზე. ქვაყრილის ალების შემდეგ დაფიქსირდა ფლეთილი ქვით და კირხსნარით ნაგები კედელი, რომლის სიგრძეა 4.5 მ. სიგანე 1.5 მ. 1 მ-ის მოცილებით აღმოჩნდა მეორე, პარალელური კედელიც, რომელიც შედარებით ვიწროა (სიგანე 1 მ) (სურ. 34). კედლები შემორჩენილია 30-40 სმ. სიმაღლეზე. ნაგებობის დასავლეთის კიდეში დაფიქსირდა მინაში ვერტიკალურად ჩადგმული, რელიეფურ ნიბოანინი, თხელ კედლიანებიანი, ჩაუკირავი ქვევრი, რომელიც სავარაუდოდ წყლისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი (სურ. 35).

მესამე თხრილში ქვევრის გრდა სხვა არქეოლოგიური არტეფაქტი არ გამოვლენილა. თუმცა, ქვევრის მიხედვით შესაძლებელია დავადგინოთ კომპლექსი მიახლოებითი თარიღი და იგი ზოგადად ადრე შუასაუკუნეებით განვსაზღვროთ. რაც შეეხება ნაგებობის ფუნქციას, ამ ეტაპზე ვვარაუდობთ, რომ შესაძლებელია საქმე გვექონდეს ადრეული შუა საუკუნეების სათვალთვალ კოშკთან (სურ. 36), რომელიც დიდი ალბათობით სვერის ციხის მშენებლობის თავდაპირველ პერიოდს (VIII ს.) უკავშირდება.

სამაროვანი.

როგორც უკვე აღინიშნა, გასული საუკუნის 60-იან წლებში სვერის ციხეზე მისასვლელი სამანქანო გზის გაყვანის დროს დაანგრიეს სამარხები, ისე რომ მაშინ ისინი არავის შეუსწავლია. 2017 წელს თხრილები გავავლეთ ციხის აღმოსავლეთი ფერდობის ქვედა ტერასის სამაროვნის სავარაუდო ტერიტორიაზე (სურ. 6). გამოვლინდა მხოლოდ ორი სამარხი. მათგან ერთი (№ 2) პირნმინდად იყო დანგრეული. ვერ მოხერხდა ვერც სამარხის ზომების დადგენა და ვერც მიცვალებულის დაკრძალვის პოზის განსაზღვრა. სამარხეული ინვენტარიდან გადარჩენილი იყო მხოლოდ რამდენიმე მძივი და ბრინჯაოს უსახური რგოლის ფრაგმენტი. რაც შეეხება №1 სამარხს, მან ხელუხლებლად მოაღწია ჩვენამდე. სამარხი №1 მდებარეობდა მინის ზედაპირიდან 45 სმ-ის სიღრმეზე. სამარხის სიგრძე 2 მ-ია, სიგანე 110

სმ. სამარხში დაკრძალული იყო ორი მიცვალებული, ერთი გამოტილ, ხოლო მეორე, მოკრუნჩხულ პოზაში, მარჯვენა გვერდზე (სურ. 7). გამოტილ პოზაში დაკრძალულ მიცვალებულს აღმოაჩნდა:

შუბისპირი, რკინის. სიგრძე 24 სმ. (სურ. 8). აღმოჩნდა მიცვალებულის თავთან.

აბზინდა, რკინის (სურ. 8). აღმოჩნდა მიცვალებულის თავთან.

მშვიდსაკინძი, რკინის (სურ. 8). აღმოჩნდა მიცვალებულის თავთან.

ბეჭედი, ვერცხლის. რკინის ბუდით (სურ. 8). აღმოჩნდა მიცვალებულის ხელზე.

მძივები, პასტის (სურ. 8). აღმოჩნდა მიცვალებულის თავის არეში.

დოქი, თიხის, წითელი ფერის, მრგვალპირიანი და ოვალურძირიანი. სიმაღლე 12 სმ (სურ. 8). აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან.

შედარებით მოკრძალებული ინვენტარი აღმოაჩნდა მოკრუნჩხულ პოზაში დაკრძალულ მიცვალებულს:

საყურე, ვერცხლის, ბურთულიანი (სურ. 8). აღმოჩნდა მიცვალებულის თავთან.

დოქი, თიხის, წითელი ფერის. დაზიანებული. სიმაღლე 20 სმ. (სურ.8). აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან.

სვერის სამარხეული ინვენტარის უახლოესი პარალელები ზემო იმერეთის გვიანრომაული ხანის სამაროვნებზეა მიკვლეული. საერთოდ, ზემო იმერეთი დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით მდიდარია გვიანრომაული ხანის სამაროვნების მხრივ. აქ გათხრილი და შესწავლილია აღნიშნული ეპოქის ისეთი ცნობილი ძეგლები, როგორებიცაა: მოდინახე [ნადირაძე 1975.], რგანი [ბრაგვაძე 2000.], ჯიეთი [სონლულაშვილი 2006], წინსოფელი (მასალა ინახება ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში).

სწორედ მოდინახეზე, წინსოფელსა და რგანშია დაფიქსირებული სვერის სამარხების ანალოგიური არტეფაქტები (რკინის შუბისპირები, ფიბულები, აბზინდები, ბეჭდები, საყურეები და დოქები). მოდინახეს, რგანისა და წინსოფლის სამაროვნების კომპლექსები კარგად არის დათარიღებული IV საუკუნის პირველი ნახევრით და სწორედ ანალოგიურ პერიოდს, უფრო კი IV საუკუნის შუა ხანებს მიეკუთვნება სვერის სამარხებიც. ამ აღმოჩენებმა კიდევ უფრო გაამყარა ვარაუდი, რომელიც ზემო იმერეთის გვიანანტიკური ხანის სამარხებში იარაღის სიმრავლის ფაქტორის გათვალისწინებით აქ მეომარი მოსახლეობის ცალკე ფენად არსებობას შეეხება [ბრაგვაძე 2021; 83-93].

ზემო იმერეთის იარაღიანი სამარხები გამოვლენილია ხეობებში და როგორც ჩანს, აღნიშნული მეომართა ფენა იცავდა და აკონტროლებდა რაჭაში, ჩრდილო კავკასიასა და ქართლში გადასვლელ გზებს. ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ სვერის ციხის აღმოჩენებიც და ადრეულ შუა საუკუნეებში ამ ადგილზე ციხის აგება სწორედ აღნიშნული ვითარებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ციხე კონტროლს უწევდა მდ. საძალიხევის ხეობის გასწვრივ არსებულ გზას, რომელიც ქართლიდან შორაპნისკენ მიემართებოდა და როგორც ჩანს, ამიტომაც იყო ეს ციხე ცილობის საგანი ქართლისა და იმერეთის მეფეებს შორის.

2018 წელსაც გაგრძელდა არქეოლოგიური გათხრები სამაროვნის ტერიტორიაზე, მაგრამ 25 სმ-ის დაღრმავების შემდეგ ნათელი გახდა, რომ აქ სამარხები აღარ არსებობდა, რადგან დავედით კლდის ქანზე და კულტურული მემკვიდრეობის ნიშნების შემცველი ობიექტი არ დაფიქსირებულა. ამ თხრილისგან ოდნავ მოშორებით (3 მეტრით ჩრდილოეთით) გაიჭრა კიდევ ერთი თხრილი. თხრილის სიღრმე (1 მ.) აღძრავდა აქ სამარხების აღმოჩენის იმედს. თუმცა, მეორე თხრილის მსგავსად ეს თხრილიც სტერილური იყო და მხოლოდ ალაგ-ალაგ ჩნდებოდა უსახური კერამიკის მცირე ფრაგმენტები. სამაროვანზე გაჭრილმა მეორე და მესამე თხრილებმა დაგვარწმუნა, რომ სამარხები, სამწუხაროდ, სრულად არის განადგურებული ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-70-იან წლებში. სამანქანო გზის გაყვანამდეც

აღნიშნული ტერიტორია ინტენსიურად იხვნებოდა და როგორც ადგილობრივმა მკვიდრებმა თქვეს, ხშირი იყო ცალკეული ნივთების აღმოჩენების შემთხვევები, რომლებიც უკვალადაა გამქრალი. ბედის უკუღმართობას სრულად გადაურჩა მხოლოდ ერთი სამარხი, და როგორც ჩანს, ამ მონაკვეთზე სხვა სამარხების გამოვლენა მოსალოდნელი აღარ არის.

ამრიგად, სვერის ციხეზე ჩატარებულმა ორწლიანმა არქეოლოგიურმა კამპანიამ ხელშესახები მასალა მოგვცა საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მომავალი არქეოლოგიური ძიება კიდევ ბევრ სიურპრიზს გვპირდება. თუმცა, უკვე მოპოვებული არქეოლოგიური არტეფაქტების სრულფასოვანი მეცნიერული შესწავლა ახალ ფურცელს გადაშლის როგორც ზემო იმერეთის, ისე ზოგადად საქართველოს კულტურის ისტორიის შემდგომი კვლევის საქმეში.

ლიტერატურა:

ბრაგვაძე 2021. ბრაგვაძე ზ., კოლხეთი და იბერია, - *არქეოლოგიური ძიებანი*. თბ.2021.

ბრაგვაძე 2000. ბრაგვაძე ზ., რგანის სამაროვანი. *რქეოლოგიური ჟურნალი* I. თბ.2000.

გამყრელიძე და სხვ. 2013: გამყრელიძე გ., მინდორაშვილი დ., ბრაგვაძე ზ., კვაჭაძე მ. - *ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი*, თბ.

მახარაძე და სხვ. 2004. მახარაძე გ., ბრაგვაძე ზ., გაგოშიძე გ., ლომთაძე გ., ბერიკაშვილი დ., წერეთელი მ. არქეოლოგიური გათხრები სოფელ ქვედა ბერეთისაში, - *საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები*, IX. თბ.2004.

ნადირაძე 1990. ნადირაძე ჯ. საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი. თბ.1990.

ნადირაძე 1975. ნადირაძე ჯ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ.1975.

სონლულაშვილი 2006. სონლულაშვილი ხ. ჯიეთის სამაროვანი. *რქეოლოგიური ჟურნალი* IV. თბ.2006.

ცქიტიშვილი 1970. ცქიტიშვილი გ. სვერის ციხე. – *ჟურ. ძეგლის მეგობარი* №21. თბ.

ქც I. მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება I. თბ.1955. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.

ქც IV. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება IV. თბ.1975. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.

სურათების აღწერილობა:

1. სვერის ციხე.
2. სტრატეგრაფიული ჭრილი სამხრეთ ფერდობზე.
3. სამხრეთი ფერდობის თხრილის I ფენის არქეოლოგიური მასალა.
4. ხელსაფქვავი.
5. სამხრეთი ფერდობის თხრილის II ფენის არქეოლოგიური მასალა.
6. სამაროვნის ტერიტორია.
7. სამარხი №1.
8. №1 სამარხის ინვენტარი.


9. I თხრილი აღმოსავლეთი ფერდობის ქვედა ტერასაზე.
10. არქეოლოგიური ფენები აღმოსავლეთი ფერდობის ქვედა ტერასის პირველ თხრილში.
11. I თხრილის სტრატиграფიული ჭრილის გრაფიკა.
12. I თხრილის I ფენის არქეოლოგიური მასალა.
13. I თხრილის I ფენის არქეოლოგიური მასალა.
14. I თხრილის II ფენის არქეოლოგიური მასალა.
15. I თხრილის III ფენის არქეოლოგიური მასალა.
16. I თხრილის III ფენის არქეოლოგიური მასალა.
17. I თხრილის III ფენის არქეოლოგიური მასალა.
18. I თხრილის III ფენის არქეოლოგიური მასალა.
19. I თხრილის III ფენის არქეოლოგიური მასალა.
20. I თხრილის III ფენის არქეოლოგიური მასალის გრაფილული ჩანახატი.
21. I თხრილის III ფენის არქეოლოგიური მასალის გრაფილული ჩანახატი.
22. I თხრილის III ფენის არქეოლოგიური მასალის გრაფილული ჩანახატი.
23. I თხრილის III ფენის არქეოლოგიური მასალის გრაფილული ჩანახატი.
24. II თხრილი აღმოსავლეთი ფერდობის ქვედა ტერასაზე.
25. II თხრილის სტრატиграფიული ჭრილის გრაფიკა.
26. ლითონის არტეფაქტები II თხრილის I ფენიდან.
27. ზოომორფული კერამიკა II თხრილის II ფენიდან.
28. ზოომორფული კერამიკა II თხრილის II ფენიდან. რაფიკული ჩანახატი.
29. სოლისებრნაჭდევებიანი კერამიკა II თხრილის II ფენიდან.
30. სოლისებრნაჭდევებიანი კერამიკა II თხრილის II ფენიდან. გრაფიკა.
31. რკინის წიდა, ძვლის ნემსი და რკინის საკინძები II თხრილის II ფენიდან.
32. რკინის წიდეები II თხრილის II ფენიდან.
33. ქვაყრილი სათვალთვალ კოშკის ადგილზე.
34. სათვალთვალ კოშკის ზოგადი ხედი.
35. ქვევრი სათვალთვალ კოშკთან.
36. კოშკის გრაფიკული ჩანახატი.



1



2





4



5



6



7



1



2



3



4



5



6



7



8



8






9



10

სტრატეგრაფიული ჭრილი



- 1. ჰუმუსი
- 2. I ფენა
- 3. სტერილური ფენა
- 4. II ფენა
- 5. სტერილური ფენა
- 6. III ფენა
- 7. კლდოვანი ქანი


m 1:25




11



12



13



14



— 15 —



16

137









17






18






19






20



— — — — —
21




22



— — — — —
23



სტრატობრაზიული ჰრილი



- 1 კუმუსი
- 2 I ფენა
- 3 სტერილური ფენა
- 4 II ფენა
- 5 კლდეპანო ძანო

m 1:25
 0 1 2 3



24 - 25



26




27




— — —
28




29




.....



0. 1:3



30



31



32




33



34



35



36

154

ქვის საკურთხეველი სოფ. ტკოციდას

ბიძინა მურვანიძე, ლერი ჯიბლაძე

საკურთხეველი საკრალური დანიშნულების ნაგებობა ან ცალკეული ნივთია, რომელიც ღვთაებისადმი სხვადასხვა შესანიშნავი მიძღვნისთვის გამოიყენებოდა. კლასიკური ხანის შესწავლილ არქეოლოგიურ ძეგლებზე განსხვავებული ტიპისა და რელიგიური კუთვნილების საკურთხეველებია გამოვლენილი. მათ შორის გამოიყოფა სატაძრო, საოჯახო და გადასატანი მცირე ზომის საკურთხეველები - ე.წ. საკურთხეველის მოდელები [შატერაშვილი, გამყრელიძე 2021: 278].

ანტიკურ სამყაროში მსხვერპლშენიშვნის რიტუალი ძირითადად საკურთხეველებზე ტარდებოდა, რომლებიც აღმართული იყო ტაძრების წინ, საცხოვრებელ სახლებში, ქუჩებსა თუ მოედნებზე, ქალაქურ და სოფლურ დასახლებებში. კლასიკურ ხანაში საკურთხეველების სტილი, ფორმა და კონსტრუქცია ხშირად იცვლებოდა. სხვადასხვა პერიოდში გავრცელებული იყო ცილინდრული, მართკუთხა, სწორკუთხიანი, კუბისებური ფორმები; ზოგჯერ მონოლითური, ანდა მინიატურული სადა თუ გამოსახულებიანი, წარწერიანი თუ უწარწერო საკურთხეველები და სხვ. [თოდუა, ბარამიძე 2006:169].

წინამდებარე მცირე ფორმატის სტატიაში შევხებით ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ფლევის სასოფლო თემში შემავალ სოფ. ტკოცაში შემთხვევით აღმოჩენილ საკურთხეველს, რომელიც დამზადებულია ადვილად დასამუშავებელი მოთეთრო-მონაცისფრო ფერის კირქვისაგან. სავარაუდოდ ეს ნივთი უნდა მომდინარეობდეს სოფ. ტკოცის ბორცვიდან, სადაც შემთხვევითი აღმოჩენილი მასალებით დასტურდება კლასიკური ხანის კულტურული ფენა. ამჟამად არტეფაქტი დაცულია ტკოცის სკოლის მუზეუმში. ტკოცის საკურთხეველი არის გეგმაში მრგვალგანიკვეთიანი და მინიატურული ზომის. განეკუთვნება მოძრავ (გადასატან) საკულტო საკურთხეველს. ასეთი ზომის ე.წ. პორტატული საკურთხეველები, ამ სახის არტეფაქტების მოდელებადაა მიჩნეული. ტკოცის საკურთხეველი შემორჩენილია შედარებით სრულად. მხოლოდ პირის გვირგვინის (კაპიტელის) გვერდითი ნაწილია ჩამოტეხილი, რომელსაც თავზე გააჩნია 2 სმ-ის სიღრმის თასისებური ჩაღრმავება.

ტკოცის საკურთხეველი სამი ნაწილისგან შედგება - ბაზის, კორპუსისა და კაპიტელისაგან. სიმაღლეა 11,5 სმ. არტეფაქტი მრგვალი ძირისკენ უმნიშვნელოდ ფართოვდება, რომლის დმ-ია 8 სმ, ბრტყელი ძირის ცენტრში დატანილია 2 სმ-ის სიღრმის (დმ.1სმ) ღრმული, რომლითაც ალბათ საკურთხეველი რაღაც წვრილ ნივთზე მაგრდებოდა. ბაზა მრგვალი ფორმისაა, საფეხურები არ გამოიყოფა. კორპუსი შედარებით სადაა, რომლის ფასადის წინა და უკანა მხარე შემკულია ორნამენტით. კერძოდ, მის ქვედა ნაწილს ირგვლივ შემოსდევს 2 სმ სიგანის, ერთმანეთისაგან დაშორებული ჰორიზონტალური ღარები. მათ შორის არსებული სივრცე შევსებულია წვერით ზემოთ მიმართული, ქვედა ნაწილში გადაბმული, ამოღარული ხაზებით შედგენილი სამი სამკუთხა (პირამიდისებური) დეკორით. კაპიტელს ქვემოდან შემოსდევს 7,5 სმ სიგანის სარტყელი, სადაც ვერტიკალურ რიგში ირიბად გამოყვანილია ერთმანეთისაგან თითქმის თანაბარი მანძილით დაცილებული 8 ღარი. მათ ჰორიზონტალურად ერთ რიგში ებმის ოთხი ფოსო. ერთი ასეთი ჩაღრმავება დასმულია უფრო ქვემოთ. საკურთხეველის კორპუსის შუა წელის სიგრძეა 6,5 სმ. ტკოცის საკურთხეველი საოჯახო დანიშნულების ნივთს წარმოადგენს. როგორც წესი ამ ვარიანტის საკურთხეველები თიხისა და შედარებით იოლად დასამუშავებელი ქვისგან მზადდებოდა.

საერთო ფონის ჩვენებისათვის ზოგადად და მოკლედ დავახასიათებთ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ სხვადასხვა ტიპისა და პერიოდის საკურთხეველებს, რომლებიც

უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებულ ნაშრომში ერთად იქნა განხილული [შატერაშვილი, გამყრელიძე 2021: 278-282]. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებზე საკურთხევლები არ დასტურდება. თუმცა აქ ზოგიერთი ნასახლარის კულტურულ ფენაში გვხვდება სამლოცველო ადგილები, სადაც უნდა ვივარაუდოთ მცირე ზომის საკურთხევლების არსებობა, რომლებიც არ შემორჩა. ვფიქრობთ, ამის დასტურად გამოდგება ფიჩორის ცენტრალური ბორცვის VIII ფენაში, ხის ბოძებით ნაგებ სათავსოს ნარჩენებში რიყის ქვებით შეკრულ წრეში გამოვლენილი ირმის ტოტებნახერხილი ორი რქა, 8 კგ დანახშირებული ხორბლის მარცვალი, ხის სახვნელი, ორ ათეულამდე ცულისა და თოხის ჩამოსასხმელი ყალიბი, კერამიკული მასალა და სხვა არტეფაქტები. სავარაუდოდ ამ ნივთების ერთად თავმოყრა უნდა მიგვითითებდეს იმაზე, რომ ფიჩორის VIII კულტურული ფენა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მინათმოქმედებისა და მეტალურგიის კულტთან, მათ მფარველ ღვთაებებთან. შესაძლოა ეს ადგილი სამლოცველო ნიშაც ყოფილიყო [ჯიბლაძე 2007: 89]. ნამჭედურის ნამოსახლარის V კულტურული ფენის არსებობის პერიოდში (გვიანი ბრინჯაოს სანყისი ხანა) მის ირგვლივ განლაგებული ტერიტორია მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. სამლოცველოსთვის განკუთვნილი ხის შენობის ნაშთები გამოვლინდა ელინისტური ხანის ნეკროპოლის ტერიტორიაზე, სადაც დადასტურდა ერთად თავმოყრილი და დაღწეული საკულტო დანიშნულების მრავალგანყოფილებიანი ტაფები, სადგრები და ფალოსები [Микеладзе, Хахუთაიშვილი 1985:18]. შესაძლოა, აქ საოჯახოსთან ერთად სათემო სამლოცველო არსებობდა. სავარაუდოა, რომ ამ ძეგლის V ფენის მცხოვრებლები გვიანბრინჯაოს ხანაში ატარებდნენ საკულტო რიტუალს. ამის დასტური უნდა იყოს აქ აღმოჩენილი V კულტურული ფენის მასალების შესატყვისი მრავალგანყოფილებიანი ტაფები და რქისებრი სადგრები.

საკულტო-სარიტუალო მოედნები დადასტურდა ყულევის ნამოსახლარის II კულტურულ ფენაში [პაპუაშვილი და სხვ. 2017: 50]. ამ ძეგლზე ასევე წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი საკულტო-სარიტუალო საგნები. მათ შორის თიხის რქისებურშვერილიანი და ცხოველის სახიანი სადგრები, ქანდაკებები და როგორც ვარაუდობენ საკურთხევლების ცალკეული დეტალები [პაპუაშვილი და სხვ. 2017: 57]. დიუნური სადგომების მოსახლეთა ყოფაცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კულტმსახურებასა და მასთან დაკავშირებულ რიტუალებს [თავამაიშვილი 1999: 50]. ამის დამადასტურებელი ფაქტორი უნდა იყოს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალშავზღვეურ ტერასაზე გამართულ დიუნურ სადგომებზე (ციხისძირი, ფიჭვნარი, ბობოყვათი და სხვ.) აღმოჩენილი ოვალური ან მართკუთხა ფორმის რქისებურშვერილიანი სადგრებით შედგენილი სამსხვერპლოები (ზომა 2,50 X 1, 30 X 0,25 სმ-ზე) [რამიშვილი 1964:18, სურ.2,3; რამიშვილი 1975: 141-152; თავამაიშვილი 1999: 50].

აღმოსავლეთ საქართველოში საკურთხევლები გვიანბრინჯაოს პერიოდიდან ჩნდება და ელინისტური ხანის ჩათვლით ფუნქციონირებენ. როგორც აღნიშნავენ, ისინი წარმოდგენილია ამ რეგიონში მხოლოდ შიდა ქართლის ტერიტორიაზე ორი ტიპით - ნახევარწრიული და ოთხკუთხა ფორმის. ნახევარწრიული ფორმის საკურთხევლები გვხვდება ნარეკვავის, ხოვლეგორას, სამთავროს, ცხინვალის ნაცარგორასა და ყათლანისხევის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარებზე [სადრაძე 2002: 187-188, ტაბ.1, სურ.1-9]. ოთხკუთხა ფორმის საკურთხევლები დასტურდება ნარეკვავის, ნასტაკისის და ღართისკარის ნამოსახლარების ელინისტური ხანის ფენებში [სადრაძე 2002: 189].

საოჯახო საკურთხევლები საცხოვრებელ ნაგებობებშია გამართული. ძვ.წ.VII ს-ისა და მომდევნო ხანის არქეოლოგიური ძეგლებიდან ამ მხრივ საყურადღებოა ნარეკვავის ნასახლარის საცხოვრებელ სახლებში აღმოჩენილი 12 საკურთხეველი, რომელთა შორის

გამოიყოფა ალიზით ნაგები ნახევარწრიული და ოთხკუთხა ფორმის საკურთხევლები [დავლიანიძე, სადრაძე 1993:10-15,29,30, ტაბ. XXV; შატბერაშვილი, გამყრელიძე 2021: 281]. ალიზისა და ქვისგან ნაგები სხვადასხვა ფორმის საოჯახო საკურთხევლები გამოვლინდა წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. დარაქოის ნამოსახლარზე (1,4,5,7,9 სახლები), რომლის ქვედა და ზედა ფენები თანმხლებ მასალასთან ერთად ძვ.წ.V-IV ს-ის შუა ხანებითა და ძვ.წ. VI ს-ით თარიღდება [ნარიმანაშვილი 2005: 94-125; შატბერაშვილი, გამყრელიძე 2021: 281].

სატაძრო საკურთხევლები გამართულია უშუალოდ ტაძრებში, მის მინაშენებში, ან მცირე ზომის სამლოცველოებში. მათ შორის დავასახელებთ ციხიაგორის სატაძრო კომპლექსის ცელაში მიკვლეულ თიხის ოთხკუთხა სვეტისებურ და მთავარი ტაძრის მართკუთხა ფორმის საკურთხევლებს [მახარაძე და სხვ 2023: 8, ტაბ.45-1]. ასევე აღსანიშნავია ციხიაგორის არქეოლოგიური კომპლექსის ე.წ. მარნის სამხრეთ კედელთან ალიზისგან ნაგები კვადრატული ფორმის საკურთხევლის აღმოჩენა [ცქიტიშვილი 2003: 11, ტაბ.XIX-1; შატბერაშვილი, გამყრელიძე 2021: 278-279; მახარაძე და სხვ 2023: 8,14,15]. ციხიაგორის არქეოლოგიურ კომპლექსს და შესაბამისად საკურთხევლებს ძვ.წ.III ს-ით ათარიღებენ [მახარაძე, ნარიმანაშვილი 2001: 53-54; შატბერაშვილი, გამყრელიძე 2021: 279].

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ვანის ნაქალაქარზე, მისი საკულტო ხასიათიდან გამომდინარე, ელინისტური ხანის საკურთხევლების აღმოჩენის მრავალი შემთხვევაა დადასტურებული. ნაქალაქარის ყველა უბანზეა გამოვლენილი მონუმენტური, მონოლითური, მონოლითოიდური, მინიატურული საკურთხევლები [მათიაშვილი 2005: 117]. ისინი ბერძნული ნიმუშების მიხედვითაა დამზადებული [მათიაშვილი 2005ა:45; თოდუა, ბარამიძე 2006:169; Лордкипаниძე Г. 1977: 105-110]. საკურთხევლები აღმოჩენილია ძვ.წ. II-I სს-ების კარიბჭის კომპლექსთან, ნაქალაქარის ზედა და ქვედა ტერასაზე [შატბერაშვილი, გამყრელიძე 2021: 279; მათიაშვილი 2013: 118]. ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ საკულტო ნივთებს შორის გამოირჩევა თიხის რიტუალური დანიშნულების მცირე ფორმები - მაღალფეხიანი თასები და უნიკალური რიტონის მაგვარი ჭურჭელი [ფირცხალავა 2003: 89]. თიხის ფეხიანი თასების, თიმიატერიონების, მსგავსი არტეფაქტები მანამდე საქართველოში არქეოლოგიური ძეგლებიდან არ იყო ცნობილი. ვანის ნაქალაქარზე 8 ასეთი თიხის თასი და მისი ნაწილებია აღმოჩენილი. მათ მაღალფეხიან თასებს, სამსხვერპლო სადგრებს ან თას-საკურთხევლებს უწოდებენ, რომელთა ანალოგები ცნობილია ძველ ეგვიპტესა და ძველი ბაბილონურ კულტურულ წრეში [ფირცხალავა 2003: 87].

ფიქრობენ, რომ ტიპოლოგიური და ფუნქციონალური თვალსაზრისით ელინისტური ხანის თიხის თიმიატერიონებს საფუძვლად უდევს ქვის საკურთხევლის მოდელი. ამ დასკვნამდე მიდიან ვანის მცირე ზომის ქვის საკურთხევლით, რომელიც აღდგენილი და გრაფიკულად იქნა ჩახატული [ლეჟავა 1976: 42]. დასკვნა ასეთია: ფეხიანი თასის ფორმა ადრიდანვე იყო ცნობილი ეგვიპტეში, მესოპოტამიასა და ირანში. ელინისტურ თიმიატერიონებსა და მათ შორის უშუალო მემკვიდრეობა არ შეინიშნება. საფიქრებელია რომ ეს ფორმა ხელახლა აღორძინდა ელინისტურ ხანაში ქვის მცირე ზომის საკურთხევლების გავლენით, იმ საკურთხევლებისა, რომელსაც ზედაპირზე თასისებური ჩაღრმავება ახასიათებთ [ფირცხალავა 2003: 90]. ნასტაკისის არქეოლოგიური ძეგლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში გაითხარა ძვ.წ. I, ახ.წ. II ს-ის ნაგებობა, სადაც აღმოჩნდა ქვიშაქვისაგან გამოკვეთილი ორი საკურთხეველი [ბოხოჩაძე 1990: 313]; მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ე.წ. სამადლოს მიწების დაზიანებულ საკრალურ ნაგებობაში დადასტურდა ძვ.წ. II ს-ის ალიზით ნაგები საკურთხეველი. ასევე აქ აღმოჩნდა შესანიშნავი ოთხკუთხაბაკოიანი თიხის ჭურჭელი და ა.შ [ნარიმანაშვილი და სხვ.1993: 105-108; შატბერაშვილი, გამყრელიძე 2021: 280]. დედოფლის გორას არქეოლოგიური ძეგლის მთავარი ტაძრის კვადრატული დარბაზის

ცენტრში გამოვლინდა საკურთხევლისთვის განკუთვნილი ბაქანი, ხოლო ამავე ძეგლის მეათე ოთახში აღმოჩნდა ცეცხლის სამსაფეხურიანი საკურთხეველი [ნარიმანაშვილი, ხიმშიაშვილი 1993: 102-119]. ამ ძეგლის №20 ოთახში დადასტურდა საკურთხეველი და სხვა ნივთები [შატბერაშვილი, გამყრელიძე 2021: 281; გაგომიძე 2015: 125-126].

ადგილ დიღმისთავის სამლოცველოში გამოვლინდა პრიზმის მოყვანილობის ქვის საკურთხეველი. ფიქრობენ, რომ აღნიშნული ნაგებობა ზოროასტრულ რელიგიას უნდა უკავშირდებოდეს, რომელსაც ათარილებენ პირველი საუკუნით [მირცხულავა და სხვ 2007: 120-121]. როგორც აღვნიშნეთ, ტკოცის მცირე ზომის გადასატანი საკურთხევლის მსგავს არტეფაქტებს ე.წ. პორტატულ საკურთხევლებს უწოდებენ. მათი ნაწილი მიჩნეულია საკურთხევლების მოდელად. საქართველოს ტერიტორიაზე ამ ტიპის საკურთხევლები ცნობილია მცირე რაოდენობით. ერთ-ერთი ასეთი ნივთი არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. კლდეში, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის 225-ე კმ-ზე, სამეურნეო ორმოში [თოდუა, ბარამიძე 2006: 169; Дзnelაძე 2007: 82-83]. მცხეთის სამთავროს ნეკროპოლის კულტურულ ფენაში, გამოვლენილია ახ.წ. III ს-ის მცირე ზომის, დაფანჯრული თიხის საკურთხეველი [Gamkrelidze 2014: სურ.27]. ის გეგმაში ოთხკუთხა ფორმისაა. ორივე საკურთხეველი თარიღდება ძვ.წ. I საუკუნით [შატბერაშვილი, გამყრელიძე 2021: 281-282]. მცირე ზომის საკურთხეველი მომდინარეობს ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასიდან (დაცულია ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში) [შატბერაშვილი, გამყრელიძე 2021: 221]; მინიატურული ზომის ოთხკუთხა საკურთხეველი აღმოჩენილია დედოფლის მინდორზე. ქვიშაქვისაგან დამზადებული ოთხკუთხა საკურთხევლის მოდელი სხვა არტეფაქტებთან ერთად ასევე გამოვლინდა ქსანში, ნასტაკის ველზე ელინისტური ხანის ფენაში [Бохочაძე და სხვ. 1981: 149, ტაბ. XXX-4].

მინიატურული ზომის საკურთხევლები მზადდებოდა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში. თავდაპირველად დიდი საბერძნეთისა და შავიზღვისპირეთის კოლონიების გარემოცვაში. შესაძლოა მოგვიანებით მატერიკულ საბერძნეთში [ბილდე 2005: 21]. ისინი ძვ.წ. VI ს-დან ვრცელდება ატიკაში, სამხრეთ იტალიასა და სიცილიის ბერძნულ პოლისებში. მათი სერიული წარმოება იწყება ძვ.წ. 250 წლიდან ძვ.წ.166 წლის მახლობელ ხანებამდე [ბილდე 2005: 21]. ისინი ამ პერიოდიდან ფართოდ არის წარმოდგენილი ანტიკური სამყაროს როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ პერიფერიებში [თოდუა, ბარამიძე 2006: 170]. რომაულ პერიოდში მინიატურული ზომის საკურთხევლები ინტენსიურად გვხვდებიან ეგვიპტეში, მცირე აზიაში, სირიასა და სხვ. [Соломоник 1988: 88].

ადრე მიჩნეული იყო, რომ საკურთხევლები კეთდებოდა ერთ რომელიმე ცენტრში (შესაძლოა ტარენტუმი, ათენი, თუ დელოსი) და აქედან ვრცელდებოდა სხვა ადგილებში [ბილდე 2005: 21]. თუმცა ახლა თვლიან, რომ მათ ასევე ამზადდნენ ჩრდილო შავიზღვისპირეთის სხვადასხვა ადგილებში, ძირითადად მის დასავლეთ ნაწილში. აქიდან გამომდინარე, ვარაუდობენ საკურთხევლების ადგილობრივ წარმოებასაც. ფიქრობენ, რომ მათი გავრცელების ძირითადი რეგიონი უნდა ყოფილიყო შავიზღვისპირეთი, სადაც ცნობილ საკურთხევლებიდან, ნახევარზე მეტია აღმოჩენილი [ბილდე 2005: 22]. პორტატული საკურთხევლები გვხვდება საცხოვრებელ ნაგებობებში, საკარმიდამო ნაკვეთებში არსებულ სახლებში, ვილებში, სამლოცველოებსა და სამარხებში. ეს საკურთხევლები უპირატესად საოჯახო სამლოცველოებში იდგა. ზოგჯერ კედლის ნიშებში ათავსებდნენ და ემსახურებოდნენ საკურთხევლების მფლობელებს [ბილდე 2005: 22]. ზოგჯერ მათ კუბისებურ ე.წ. arulae-ს ტიპის საკურთხეველს აკუთვნებენ [Tavis 1948: 171; თოდუა, ბარამიძე 2006:171]. „არულები“ პორტატულ საკურთხევლებს წარმოადგენენ. ისინი მცირე

ზომით ხასიათდებიან (10-დან 20-სმ-მდე მერყეობს) და უპირატესად საკმეველისთვის იყო განკუთვნილი. ზოგჯერ კი ღვთაებისადმი მიძღვნილი პროდუქტების მარილის, ღვინის, ხორბლის შესანიშნავად გამოიყენებოდა [თოდუა, ბარამიძე 2006: 170]. შესაძლოა იგივე ფუნქციის მატარებელი იყო ტკოცის საკურთხეველიც.

საოჯახო საკურთხეველები მზადდებოდა თიხისა და ქვისგან. ამ მასალისაგან გაკეთებული ოთხკუთხა განიკვეთიანი, მცირე ზომის საკურთხეველები კორპუსზე გამოსახული რთული კომპოზიციებით ძვ.წ. III-II სს-ში გვხვდება ჩრდილო შავიზღვისპირეთში (ოლივია, ხერსონესში და ა.შ.) [Античные гос. Сев. Причерноморья 1984: 290, ტაბ. 5,7,8; Соломоник 1988: 38, 64, სურ.8,10,64]. საკურთხეველები ასევე ცნობილია არმაზისხევის (№3 სამარხი), ზღუდერისა (#2 სამ.) და ბორის ვერცხლის თასებზე გამოსახული ამ რიგის არტეფაქტების სახით და ა.შ. [იხ. შატერაშვილი, გამყრელიძე 2021: 282].

ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ მინიატურული ზომის, ოთხკუთხა განიკვეთიანი საოჯახო საკურთხეველებისაგან განსხვავებით, ტკოცის საკურთხეველი გეგმაში მრგვალგანიკვეთიანია. მისი თანხვედრები სოფ. კლდისა და სამთავროს ამ სახის არტეფაქტებთან პირველ რიგში ვლინდება ზომებში. ზოგიერთ საკურთხეველთან (კლდე, ვანი) შეხების წერტილები შეინიშნება ჰორიზონტალურ ღარებს შორის მოქცეული სამკუთხა ორნამენტით და კორპუსის მოყვანილობის გარკვეული დეტალის მიხედვით. ვფიქრობთ, რომ ტკოცის საკურთხეველი უნდა იყოს ადგილობრივი წარმოების და მისი სავარაუდო თარიღი უნდა განისაზღვროს გვიან რომაული პერიოდით.

ლიტერატურა:

ბილდე 2005: ბილდე გ. მოსაზრებანი ელინისტური ტერაკოტური საკურთხეველების შესახებ - შავიზღვისპირეთი ელინისტური სამყაროს სისტემაში – ძიებანი, დამატებანი, XIII, თბ., გვ.20-23.

ბოხოჩაძე 1990: ბოხოჩაძე ალ. ნასტაგორი (ნასტაკისი), სძა, ტ.5. თბ., გვ. 313-315.

ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე 2009: ბრაუნდი დ., ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ. საგანძური ზღუდერიდან (ახ.წ.200-250), თბ.

გაგოშიძე 2015: გაგოშიძე იულ. არქეოლოგიური გათხრები დედოფლის გორაზე. ჟურ. იბერია-კოლხეთი (რედ. გ. გამყრელიძე), N11, თბ., გვ.119-139.

დავლიანიძე, სადრაძე 1993: დავლიანიძე რ., სადრაძე ვ., ნარეკვავის ნამოსახლარი და სამაროვანი, თბ.

თავამაიშვილი 1999: თავამაიშვილი გ. უძველესი ნამოსახლარები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალშავზღვურ ტერასაზე. საკანდიდატო დისერტაცია, თბ.

თოდუა, ბარამიძე 2006: თოდუა თ., ბარამიძე მ. ტერაკოტული საკურთხეველი სოფ. კლდიდან. ჟურ. ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, 17-18, თბ., გვ.169-174.

ლეჟავა გ.1976: ლეჟავა გ. ანტიკური მცირე ზომის საკურთხეველები, ძმ,1,თბ., გვ.42.

ლოთქიფანიძე 2022: ლოთქიფანიძე ოთ. ძვ. ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ.

მათიაშვილი 2005: მათიაშვილი ნ. საკურთხეველები ვანის ნაქალაქარის სატაძრო კომპლექსიდან. ჟურ. იბერია-კოლხეთი (რედ.გ. გამყრელიძე), 2, თბ., გვ.117-121.

მათიაშვილი 2005ა: მათიაშვილი ნ. ელინისტური ხანის კოლხეთის ისტ. საკითხები. თბ.

მათიაშვილი 2013: მათიაშვილი ნ. გვიანელინისტური სატაძრო კომპლექსი (ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასა) - კრებ. ვანი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), X, თბ.

მახარაძე, ნარიმანაშვილი 2001: მახარაძე ზ, ნარიმანაშვილი გ. ციხიაგორა აქამენიდურ ხანაში. ჟურ. ძიებანი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), 7,თბ., გვ.47-53.

მირცხულავა, სონლულაშვილი 2007: მირცხულავა გ; სონლულაშვილი ირ. დიღმისთავის წინაქრისტიანული სამლოცველო. *ჟურ. იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), 3, თბ., გვ.120-130.

ნარიმანაშვილი, ხიმშიაშვილი 1993: ნარიმანაშვილი გ., ხიმშიაშვილი კ. იბერიული ცეცხლის ტაძრების ერთი ჯგუფი, *ჟურ. ლიტერატურა და ხელოვნება*, 1, თბ., გვ.102-119.

ნარიმანაშვილი 2005: ნარიმანაშვილი გ. დარაქოის ნამოსახლარი და სამხრეთ კავკასიის აქამენიდური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. *ჟურ. იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), 5, თბ., გვ.94-125.

პაპუაშვილი, ჩიტაია პაპუაშვილი 2017: პაპუაშვილი რ; ჩიტაია გ; პაპუაშვილი ი. ყულევი (არქეოლოგია, ისტორია), თბ.

რამიშვილი 1964: რამიშვილი ალ. ძველი სადგომები ფიჭვნარის ქვიშნარ დიუნაზე (1961 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგები), კრებ. სდს I, თბ, გვ.17-27.

რამიშვილი 1975: რამიშვილი ალ. გვიანბრინჯაოს ხანის ნაქალაქარი ფიჭვნარში, - მაცნე, ისტ., არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, #4, თბ, გვ.141-152.

სადრაძე 2002: სადრაძე ვ. მცხეთისა და მისი შემოგარენის ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიური ძეგლები, თბ.

ფირცხალავა 2003: ფირცხალავა მ. საკრალური ინვეტარის ერთი ჯგუფი ვანის ნაქალაქარიდან, *ჟურ. იბერია-კოლხეთი* (რედ. გ. გამყრელიძე), 1, თბ., გვ.86-97.

შატბერაშვილი, გამყრელიძე 2021: შატბერაშვილი ვ., გამყრელიძე გ. საკურთხევლები. საქართველოს არქეოლოგიის ნარკვევები, თბ., გვ.278-282.

ცქიტიშვილი გ. 2003: ცქიტიშვილი გ. ციხიაგორას სატაძრო კომპლექსი. *ჟურ. ძიებანის დამტება*, XI, თბ.

ჯიბლაძე 2007: ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათას-ის ნამოსახლარები. თბ.

Gamkrelidze 2014: Gamkrelidze G. Archaeology of the Roman Period of Georgia. https://www.academia.edu/32923731/Archaeology_of_the_Roman_Period_of_Georgia_essay_and_catalog .

Tavis 1948: Tavis G. Greek altars. Saint Luis.

Античные государства Северного Причерноморья 1984, М.



Бохочадзе, Мирианашвили, Нариманашвили 1981: Бохочадзе А, Мирианашвили Н, Нариманашвили Г. Настакисская археол. Экспедиция, - ПАИ, 1978г., с.143-159.

Дзнеладзе 2007: Дзнеладзе М. Домашний алтарь из с клде - сб.kaef, Тბ., с. 82-83.

Микеладзе, Хахутаიшвили 1985: Микеладзе Т., Хахутаიшвили Д. Древнее Колхидское поселение Намчедури. Тბ.

Лордкипანიძე 1977: Лордкиპანიძე Г. Алтари Ванского Городища. История и Культура Античного Мира. М., с. 104-112.

Соломоник 1988: Соломоник Э. Древние надписи Крыма, Киев.



**კონტაქტები ჰტოლმეაიოსების ეპიკრიზისა და ქართლის სამეფოს შორის:
ეპიკრიზი ნანარკი დედოფლის გორის სასახლეში**

დავით გაგოშიძე

ქ.ნ. I - ქ.შ. I საუკუნეებში რომის ლაშქრობების შედეგად ახალი პოლიტიკური რეალობა შეიქმნა მცირე აზიასა და სამხრეთ კავკასიაში. რომაულმა ლეგიონებმა ლუკულუსისა (ქ.ნ. 73 წ.) და პომპეუსის (ქ.ნ. 66 წ.) სარდლობით დაამარცხეს ქართლის სამეფოს (კავკასიის იბერიის) ძლიერი სამხრეთი მეზობლები - პონტო და არმენია და დაუპირისპირდნენ პართიას. რომისა და პართიის ამ საუკუნოვან დაპირისპირებაში ქართლის სამეფო რომის მხარეზე აღმოჩნდა. პომპეუსის ლაშქრობის შედეგად ქართლის სამეფომ მიიღო რომის მოკავშირის სტატუსი და ეს სტატუსი იბერიას გაჰყვა რომის იმპერატორობის ხანაშიც: მცხეთის ბერძნულ წარწერაში იბერიის მეფე იხსენიება როგორც “*კეისრის მეგობარი და რომაელთა მოყვარული*” (75 წ.) [Gagoshidze 2008: 10-14].

პოლიტიკური სიტუაციის ცვლილებებს და რომაული გარნიზონებით დაცული ციხე-სიმაგრეების (კასტელუმების) სისტემის გაჩენას რომისა და პართიის საზღვარზე და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე (“პონტოს ლიმესი”) მოჰყვა ძირეული ცვლილებები ქართლის სამეფოს, როგორც ნივთიერი ისე სულიერი კულტურის თითქმის ყველა სფეროში. ქ.შ. პირველი საუკუნეები საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა განსაკუთრებით მასშტაბებისა და აღმავლობის ხანაა. ქართლის სამეფოს მოსახლეობის აქტიურ ჩაბმას საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა პროცესში ხელს უწყობდა მისი სიახლოვე დიდ სავაჭრო მაგისტრალებთან [ლორთქიფანიძე 1968: 65-68]. ამგვარად, ქ.ნ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე აღმოსავლური-ელინისტური სამყაროს წიაღში შობილი ქართლის სამეფო ქ.შ. I ს-ის ბოლოს დასავლური, რამაული სამყაროს განუყოფელ ნაწილად იქცა. კულტურის ეს ცვლილებები კარგადაა ასახული *დედოფლის გორის* სასახლის (შიდა ქართლი, ქარელის მუნიციპალიტეტი) არქეოლოგიურ მასალაში.

არქეოლოგიური გათხრებით გაირკვა, რომ *დედოფლის გორის* სამეფო სასახლე (სურ. 1) - ქართლის მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია აგებულია ქ.ნ. 100 წლის მახლობელ ხანაში და დაინგრა ქ.შ. I ს-ის ბოლო მეოთხედში. ნგრევა გამოიწვია ძლიერმა მიწისძვრამ, რომელსაც ხანძარიც მოჰყვა. სამსართულიანი სასახლის ზედა ორი სართულის დამწვარ-დადუღებულმა ნანგრევმა დამარხა პირველი სართულის სათავსები, მთელი მათი შიგთავსით. ამიტომაც არის 23 ოთახის გათხრებით მოპოვებული მასალა - ავეჯი, ჭურჭელი, სამეურნეო და საბრძოლო იარაღ-საჭურველი, სამკაული, მონეტები, ქსოვილები და სხვ. უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი. ამას ემატება არქეოლოგიური მასალაც ზედა სართულიდან, რომელიც ნანგრევებში იყო შერეული [Gagoshidze 2001:259; Varazanashvili, Tsereteli, Tsereteli 2011:20-21; გაგოშიძე 2015:120].

დედოფლის გორის სასახლის მონაპოვარი საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ქართლის სამეფოს (კავკასიის იბერიის) ურთიერთობას გარესამყაროსთან, უპირველეს ყოვლისა ელინისტურ სახელმწიფოებთან და რომის იმპერიასთან, როგორც მეტროპოლიასთან ისე მის აღმოსავლეთ პროვინციებთან. *დედოფლის გორის* სასახლეში არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულ მრავალფეროვან მასალაში გამოსარჩევია ეგვიპტური ნივთები.

1986 წლის არქეოლოგიური კამპანიის დროს *დედოფლის გორის* სასახლის №1 ოთახის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში და კარის ზღურბლთან სხვადასხვა სახის მრავალრიცხოვან

სამკაულს შორის დადასტურდა ეგვიპტური პასტის (ფაიანსის) ფიგურული საკიდები სკარაბეის, კუს, ბუზების, ყურძნის მტევნებისა და სხვა გამოსახულებებით. ნ. გოგიბერიძის აზრით, ეგვიპტური საკიდ-ამულეტები დედოფლის გორაზე შემოტანილია ქ.შ. I საუკუნეში სახმელეთო გზით უშალოდ ეგვიპტიდან, სირიის გავლით. მსგავსი ტიპის საკიდ-ამულეტები ასევე აღმოჩენილია საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში [გოგიბერიძე 1999: 106-114].

ეგვიპტური სახელოსნოების ნანარმადაა მიჩნეული დედოფლის გორის სასახლის №1, №11, №12 და №13 ოთახების ნანგრევებში აღმოჩენილი მინისა და ფაიანსის მძივები. დედოფლის გორის ფაიანსის მძივები დიდ მსგავსებას ავლენენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მასალებთან, რომლის შემოსვლა ეგვიპტიდან იქ იწყება ქ.ნ. II ს-დან და განსაკუთრებით ინტენსიური ხდება ქ.შ. I ს-ში [გოგიბერიძე 2003-2004: 95-101].

ქ.ნ. I - ქ.შ. I საუკუნეების პერიოდის ქართლის სამეფოსა და ელინისტურ ეგვიპტეს შორის ურთიერთობის კვლევისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ეგვიპტის მმართველი გვარის პტოლემეაიოსების წარმომადგენლების გამოსახულებიანი ნივთების აღმოჩენის ფაქტები.

დედოფლის გორის სასახლის №1 ოთახის ზღურბლზე არქეოლოგიურმა ექსპედიციამ იპოვა ვერცხლის ბეჭედი გრანატის ინტალიოთი (სურ. 2). ინტალიო ოვალურია და მასზე გამოსახულია ახალგაზრდა ქალის ბიუსტი პროფილში. ქალს თავს უმშვენებს მაღალი ფრონტონისებური დიადემა, შემკული ტეხილი ხაზებით. დედოფლის გორის გემაზე გამოსახული ქალი ყველა ნიშნით ძალიან გავს ეგვიპტის დედოფლის არსინოე II-ის მონეტებზე გამოსახულ პორტრეტებს, ამიტომაც ქ.ჯავახიშვილის ფიქრობს რომ დედოფლის გორის გრანატის გემაზე ეგვიპტის დედოფალი არსინოე II (ქ.ნ. 316-270) არის გამოსახული. გემა შექმნილი უნდა იყოს ქ.ნ. 270 წლის შემდეგ, როდესაც არსინოე II გარდაიცვალა და მის სახელზე დაწესდა პომპეზური კულტი. ამავე დროს დაიწყო მონეტების მოჭრა მისი გამოსახულებით. თვითონ ბეჭედის ფორმა, რომელშიც გემა იყო ჩასმული ტიპურია ქ.ნ. III საუკუნისთვის. ასევე დედოფლის გორის სასახლის №1 ოთახშია აღმოჩენილი თიხის ბულა, არსინოე III-ის (ქ.ნ. 246-204) პორტრეტიანი გემის ანაბეჭდით (დათარღებულია ქ.ნ. III ს-ის ბოლოთი) [ჯავახიშვილი 2003: 77-81; Javakhishvili 2008: 192-193,201,219]. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დედოფლის გორაზე აღმოჩენილი ერთი ნივთი, რომელსაც დეტალურად განვიხილავ ქვემოთ.

2017 წელს არქეოლოგიური გათხრების დროს დედოფლის გორის სასახლის №24 ოთახის (სურ. 3) შემავსებელ ნანგრევში აღმოჩნდა ლულოვანი ძვლისგან გამოთლილი მცირე ზომის ქანდაკების ნაწილი (სიმაღლე 2.5 სმ; სიგანე 1 სმ) - მამაკაცის თავის გამოსახულება, რომელსაც ამკობს ეგვიპტელი ფარაონების თავსაბურავი - ნემესი (სურ. 4. 1) [გაგოშიძე 2018: 30-33]. ქანდაკების თავის ახლოსვე აღმოჩნდა, სავარაუდოდ, ამავე ნივთის სხვა ფრაგმენტები. ესაა ასევე ლულოვან ძვალზე ამოჭრილი ბუმბულიანი ფრთები და ცხოველის გრძელი ფეხი, ბრჭყალებიანი თათით (სურ. 4. 2,3). ფრაგმენტების უმრავლესობა ჩადუღებულია ქვისა და ალიზის განიდებულ მასაში და ვერ ხერხდება მათი გამოცალკევება. როგორც ჩანს, ეს უნდა ყოფილიყო მცირე ზომის, ადამიანის თავიანი სფინქსის გამოსახულება (სურ. 5). ზოგადად სფინქსის ქანდაკებებს ტანი ლომის, ფრთები ფრინველის და თავი ადამიანის აქვს. როგორც წესი, სფინქსის ქანდაკებების თავები წარმოდგენილი იყო ცნობილი მეფეების სახეებით. მაგალითად, გიგანტურ სფინქსს გიზადან ფარაონ ხეფრენის სახე აქვს.

დედოფლის გორის ქანდაკების თავს წარმოადგენს ახალგაზრდა უწვერული მამაკაცი, რომლის სახე ფაქიზად და დიდი ოსტატობით არის შესრულებული. ყმანვილს ოვალური სახე, რამდენადმე წინ წამოწეული წარბის ძვალი, მორკალული ქუთუთოები და ფართოდ

გახელილი თვალეები აქვს. ცხვირი სწორია, განიერი ნესტოებით. ყმანვილის ღანვები სავსეა, ლოყები ოდნავ გამობერილი და ბრტყელი. პატარა ბაგეები შებერილი აქვს, ნიკაპი კი მომრგვალებული და გამოწეული. თავსაბურავი დაზიანებულია, თუმცა კარგადაა შერჩენილი შუბლსაკრავი და ვერტიკალური ზოლები, რომლითაც შემკული იყო ნემესი.

დედოფლის გორის მამაკაცის პორტრეტი ძალიან გავს ათენის აგორაზე აღმოჩენილ თასების ძირზე რელიეფურად გამოსახული მამაკაცის თავებს (2 ც.). სუსან როტროფი ათენურ გამოსახულებებს ადარებს პტოლემეაოს I-ის გამოსახულებას მისივე მოჭრილ მონეტაზე, ასევე ელინისტური პერიოდის ვერცხლის მედალიონებიდან აღებულ თაბაშირის სხმულებს, რომლებიც ითვლება პტოლემეაოს I-ის გამოსახულებათ და ასკვნის, რომ ათენურ თასებზე გამოსახული მამაკაცი უნდა იყოს პტოლემეაოსების ეგვიპტის პირველი მეფე - პტოლემეაოს I სოტერი [Rotroff 1988: 516-523].

დედოფლის გორაზე აღმოჩენილი მამაკაცის თავის გამოსახულებას, მსგავსად ათენურისა, შებერილი ბრტყელი ლოყები, მძიმე წარბები, პატარა შებერილი ბაგეები და მრგვალი ოდნავ გამოწეული ნიკაპი აქვს. მძიმე წარბებით, თავლის ფორმით და ნიკაპით ჩვენი ქანდაკება ემსგავსება პტოლემეაოს I-ის გამოსახულებას მონეტაზე, რომლის მოჭრა მან დაიწყო ქ.წ. 305/304 წლებში. პარარელის გავლება შეიძლება ასევე ზემოთ ნახსენებ ვერცხლის მედალიონებიდან აღებული თაბაშირის სხმულებზე, რომლებზეც პტოლემეაოს I არის გამოსახული [Rubensohn 1911: 44-45].

ეს პორტრეტები ცალკეული დეტალებით ერთმანეთისაგან განსხვავებულია, მაგრამ მთლიანობაში მათი ურთიერთმსგავსება უეჭველია. დედოფლის გორის და ათენის აგორის მამაკაცის გამოსახულებებს შორის ის განსხვავებაა, რომ დედოფლის გორის მამაკაცის ქანდაკების თავს, როგორც ზემოთ ითქვა, ამკობს ფარაონის თავსაბურავი (ნემესი), მაშინ როცა ათენურს მაკედონიური თავსაბურავი - კაუსია (χαυσια) ხურავს [Rotroff 1988: 518].

პტოლემეაოსების სამეფო ოჯახის წევრების გამოსახულებებზე ხშირად ვხვდებით ეგვიპტელი ფარაონების ატრიბუტებს, განსაკუთრებით კი თავსაბურავს - ნემესს. ამითი ისინი ბაძავდნენ ეგვიპტელ ფარაონებს, მისდევდნენ მათ ტრადიციებს, აღმერთებდნენ საკუთარ მეფეებს, როგორც ეგვიპტელები, გამოხატავდნენ დიდ პატივისცემას მათ მიმართ და თავს მიიჩნევდნენ მათ მემკვიდრეებად [Haggag 2014: 75-78; Шахермаир 1986: 355; Свенцицкая 1982: 326].

ბრიტანეთის მუზეუმის გამოფენაზე გამოტანილია პტოლემეაოს I-ის ბაზალტის ბიუსტი, რომელზეც მეფე წარმოდგენილია ეგვიპტურ თავსაბურავში. მეფის პორტრეტი იდეალიზებულია და ძალიან გავს ძველი ეგვიპტის ფარაონების გამოსახულებებს (ბრიტანეთის მუზეუმი ინვენტარის №1641). კრაკოვის მუზეუმში დაცული ბაზალტის ქვაში ამოკვეთილი მამაკაცის თავის გამოსახულება ფარაონების თავსაბურავით, აღიარებულია, როგორც პტოლემეაოსების სამეფო ოჯახის ერთერთი წარმომადგენელი [Budzanowski 2001: 53-58].

ბრიტანეთის მუზეუმიდან ცნობილია პტოლემეაოს II ფილადელფოსის ბიუსტი ნემესით [Haggag 2014: 76-77]. პტოლემეაოს II უნდა იყოს ასევე გამოსახული სტრასბურგის უნივერსიტეტში და ტურინის მუზეუმში დაცულ მამაკაცის ბიუსტებზე, რომლებთაც ასევე ამშვენებს ფარაონის თავსაბურავი [Mysliwiec 1973: 42-50]. ალექსანდრიის ბერძნულ-რომაულ მუზეუმში ინახება პტოლემეაოს VI-ის გრანიტის კოლოსალური თავი, რომელსაც ბედნული სტილის სახე და თმები აქვს, თავს კი ეგვიპტელი ფარაონების თავსაბურავი - ნემესი ამკობს [Stanwick 2004: 402].

დედოფლის გორის სფინქსის ქანდაკება მაღალმხატვრული ოსტატობით არის შესრულებული და ელინისტური პერიოდის მცირეპლასტიკის შესანიშნავი ნიმუშია. ვფიქრობ, სფინქსის თავი წარმოადგენს პტოლემეაიოსების ეგვიპტის პირველი მეფის პტოლემეაიოს I სოტერის გამოსახულებას. ქანდაკება გაკეთებული უნდა იყოს ეგვიპტეში ქ.წ. 282 წლის მერე, როდესაც გარდაცვლილი მამა პტოლემეაიოს II ფილადელფოსმა ღმერთად შერაცხა და მისი კულტის თაყვანისცემა დაანესა [Rotroff 1988: 520; Свенцицкая 1982: 331]. ზოგადად, პტოლემეაიოსების მეფეების პორტრეტები ორგვარი ტიპისაა: ბერძნული - რეალისტური და ეგვიპტური - იდეალიზებული [Mysliwiec 1973: 42]. ჩვენი ქანდაკების სახე რელისტურია, მაგრამ თავზე ეგვიპტური ნემესი ახურავს.

სფინქსების ქანდაკებები პტოლემეაიოსების პერიოდშიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. პტოლემეაიოს VI ფილომეტორის (ქ.წ. 181/180-145) დროს არის გაკეთებული ორი კოლოსალური სფინქსის ქანდაკება ფარაონის თავით, რომლებიც აღმართული იყო ალექსანდრიაში სერაპისისადმი მიძღვნილ ტაძარში [Bothmer 1960: 147, figs.284-285; Stanwick 2004: 407, figs.15-16].

პტოლემეაიოსების პერიოდის დიდი ზომის გრანიტის სფინქსის თავია ნაპოვნი ძველი ეგვიპტის საზღვაო ქალაქ კანოპუსში [Stanwick 2004: 407, ფიგ.17]. მილანის არქეოლოგიურ მუზეუმი დაცული კირქვის სფინქსის თავი ფაიუმიდან, რომელზეც გამოსახული უნდა იყოს პტოლემეაიოსების დინასტიის რომელიღაც წარმომადგენელი. ფაიუმშივეა ინ სიტუ შემორჩენილი სფინქსის ქანდაკება ფარაონის თავით და ლომის ტანით [Stanwick 2004: 406, figs.11-12]. ვერცხლის ადამიანის ზომის სფინქსია ცნობილი ქ.წ. I ს-ის დენდერის ტაძრის განძიდან. სფინქსის თავს ამკობს გრძელი, ზოლიანი ნემესი (ამჟამად ინახება კაიროს მუზეუმში) [Stanwick 2004: 415, fig.31].

ქ.წ. II-I საუკუნეების მიჯნაზე აშენებული დედოფლის გორის სასახლიდან, რომელიც ქ.წ. I ს-ის ბოლოს დაინგრა, უფრო ადრეული ნივთების აღმოჩენის ფაქტები გასაკვირი არ არის. ზემოთ ნახსენები, არსინოე II-ის გამოსახულებიანი გემისა და არსინოე III-ის გამოსახულებიანი თიხის ბულის გარდა აქ ნაპოვნია ქ.წ. II ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებული ფულკრუმი №12 ოთახიდან [Löhr 2008: 157-158,162] და ლისიმაქეს ოქროს სტატერი, რომელიც მოჭრილია ბიზანტიუმში, ქ.წ. II ს-ის დასაწყისში [Sherozia 2008: 242].

ცნობილია, რომ როდესაც მარკუს ანტონიუსი პართელებთან საბრძოლველად ემზადებოდა მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი გახდა სამხრეთ კავკასიის სამეფოების მხარდაჭერა. ანტონიუსმა ქართლში გაგზავნა თავისი სარდალი პუბლიუს კანიდიუს კრასუსი. ქ.წ. 36 წელს კრასუსმა დაამარცხა ქართლის მეფე ფარნავაზ II და დაიყოლია მოკავშირეობაზე. როგორც დიონ კასიუსი აღნიშნავს, ამ კავშირით მარკუს ანტონიუსი ამყობდა [Меликишвили 1959: 336].

ამდენად, ზოგი მეცნიერი ფიქრობს, რომ ნივთები, რომლებზეც წარმოდგენილია პტოლემეაიოსების ეგვიპტის სამეფო პორტრეტები საქართველოში მოხვდა მარკუს ანტონიუსის მიერ ქართლის მეფე ფარნავაზ II-სთან გამოგზავნილ დიპლომატიურ საჩუქრებთან ერთად (ამავე საჩუქრების კონტექსტში დასახელებულია პტოლემეაიოს V ეპიფანეს პორტრეტიანი ინტალიო ალმანდინის ოქროს ბეჭედში ზღუდერის სამაროვნის №3 ხის სარკოფაგიდან [იხ. ჯავახიშვილი 2003: 81-83; Javakhishvili 2008: 193]), რადგან სწორედ მას ჰქონდა მჭიდრო კავშირი პტოლემეაიოსების კართან. პტოლემეაიოსების კარზე კი მიღებული იყო დაახლოებულ პირთა, პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა დასაჩუქრება მეფეთა და დედოფალთა პორტრეტიანი ბეჭედებით [ჯავახიშვილი 2003: 75-76; Javakhishvili 2008: 194-195].

ვეფერობ, ძვლისგან გამოთლილი პტოლემეაოს I-ის თავიანი სფინქსიც, რომელიც სავარაუდოდ ავეჯის დეტალს წარმოადგენდა, ქართლში ამ ნივთებთან ერთად უნდა მოხვედრილიყო. ამიტომაც, ქართლის იბერიის მეფეთა ერთერთ რეზიდენციაში, როგორც იყო დედოფლის გორის სასახლე მისი აღმოჩენა არ უნდა იყოს გასაკვირი [Gagoshidze 2021: 211-219].

ლიტერატურა:

გაგოშიძე 2018: გაგოშიძე დ. არადეთის ორგორის (დედოფლის გორის) არქეოლოგიური ექსპედიციის 2017 წ. საველე სამუშაოების მოკლე ანგარიში. - კრებ. 2017 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშები, თბ., გვ. 30-33.

გაგოშიძე 2015: გაგოშიძე იულ. 2013-2015 წლების არქეოლოგიური გათხრები დედოფლის გორაზე. - ჟურ. იბერია-კოლხეთი (რედ. გ. გამყრელიძე), 11, თბ., გვ. 119-138.

გოგიბერიძე 1999: გოგიბერიძე ნ. ეგვიპტური ფაიანსის ამულეტები დედოფლის გორიდან. - ჟურ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე 43b, თბ., გვ. 106-114.

გოგიბერიძე 2003-2004: გოგიბერიძე ნ. ეგვიპტური მძივები დედოფლის გორის ანტიკური სასახლიდან. - ჟურ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 45, თბ., გვ. 95-101.

ლორთქიფანიძე 1968: ლორთქიფანიძე ოთ. ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო. თბ.

ჯავახიშვილი 2003: ჯავახიშვილი ქ. ქართლის სამეფოსა და ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან რომაულ ხანაში (გლიპტიკური მასალის მიხედვით). - ჟურ. ძიებანი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), №12, თბ., გვ.75-88.

Bothmer 1960: Bothmer B. Egyptian Sculpture of the Late Period: 700 B.C. to 100 A.D. Brooklyn, NY.

Budzanowski 2001: Budzanowski M. A Royal Portrait from the Ptolemaic Period in the Czartoryski Museum in Cracow. - jour. Studia Archaeologica. Krakow, pg. 53-58.

Gagoshidze 2021: Gagoshidze D. A possible portrait of Ptolemy I from Dedoplis Gora in Caucasian Iberia (Georgia). - Journal of Roman Archaeology 34. New York, pg. 211-219.

Gagoshidze 2001: Gagoshidze I. A Royal Palace in First-Century Iberia, According to the Archaeological material from Dedoplis Gora, Georgia. The Royal Palace Institution in the 1st Millennium BC (ed. Inge Nielsen), Monographs of the Danish Institute at Athens v. 4. Aarhus, pp. 259-283.

Gagoshidze 2008: Gagoshidze I. Kartli in Hellenistic and Roman Times, General Aspects. Iberia and Rome, The Excavations of the Palace at Dedoplis Gora and the Roman influence in the Caucasian Kingdom of Iberia (ed. A.Furtwängler, I.Gagoshidze, H.Löhr, N.Ludwig). Langenweißbach, pp. 1-40.

Haggag 2014: Haggag M. Duality and Fusion in the Royal Portraits of Ptolemaic Alexandria. - Art & Civilisations De L'Orient Hellenise. Paris, pg. 75-81.

Javakhishvili 2008: Javakhishvili K. Engraved Gems and Impressions of Seals and Clay-Bullae. Iberia and Rome, The Excavations of the Palace at Dedoplis Gora and the Roman influence in the Caucasian Kingdom of Iberia (ed. A.Furtwängler, I.Gagoshidze, H.Löhr, N.Ludwig). Langenweißbach, pg. 191-221.

Löhr 2008: Löhr H. Metal Vessels and Furniture. Iberia and Rome, The Excavations of the Palace at Dedoplis Gora and the Roman Influence in the Caucasian Kingdom of Iberia (ed. ed. A.Furtwängler, I.Gagoshidze, H.Löhr, N.Ludwig). Langenweißbach, pg. 155-164.

Mysliwiec 1973: Mysliwiec K. A Contribution to the Study of the Ptolemaic Royal Portrait. - jour. Studia i Prace VII. Warszawa, pg. 41-51.

Rotroff 1988: Rotroff S. A Ptolemaic Portrait in Athens. - Proceedings of the 3rd Symposium on Ancient Greek and related Pottery. Copenhagen, pg. 516-523.

Rubensohn 1911: Rubensohn O. Hellenistisches Silbergerät in Antiken Gipsabgüssen. Berlin.

Sherozia 2008: Sherozia M. Monetary Circulation in Iberia in the 1stc. BC. - 1st c. AD. Iberia and Rome, The Excavations of the Palace at Dedoplis Gora and the Roman influence in the Caucasian Kingdom of Iberia (ed. A.Furtwängler, I.Gagoshidze, H.Löhr, N.Ludwig). Langenweißbach, pg. 235-251.

Stanwick 2004: Stanwick P.E. Regional styles in Ptolemaic Royal Portraits. – jour. *Städel-Jahrbuch*, Neue Folge Band 19, . Stuttgart, pg.399-420.

Varazanashvili, Tsereteli, Tsereteli 2011: Varazanashvili O., Tsereteli N., Tsereteli E. Historical Earthquakes in Georgia (up to 1900): Source Analysis and Catalogue Compilation. Tb.

Меликишвили 1959: Меликишвили Г. К истории Древней Грузии. Тб.

Свенцицкая 1982: Свенцицкая И. Эллинистический Египет. - *История Древнего Мира*. Мос., с. 324-337.

Шахермаир 1986: Шахермаир Ф. Александр Македонский. Мос.

ტაბულების აღწერილობა:

სურ. 1. დედოფლის გორა, დრონის ფოტო.

სურ. 2. ვერცხლის ბეჭედი გრანატის ინტალიოთი არსინოე II-ის გამოსახულებით, დედოფლის გორის სასახლის №1 ოთახიდან.

სურ. 3. დედოფლის გორის სასახლის №24 ოთახი.

სურ. 4. ძვლის სფინქსის მცირე ზომის ქანდაკების ფრაგმენტები დედოფლის გორის სასახლის №24 ოთახიდან.

სურ. 5. ძვლის სფინქსის მცირე ზომის ქანდაკების ფრაგმენტები, გრაფიკული ნახატი (ც. თურქიაშვილი).



სურ. 1.



სურ. 2.



სურ. 3.



1




2



3

სურ. 4.




სურ. 5.

რეცენზიები:

რეცენზია ნაშრომაზე — *ერგეტა (სამაროვნები)*

გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი არქეოლოგის, ისტორიის დოქტორის, **ბ-ნ რევაზ პაპუაშვილის და ბ-ნ ლაშა ჯიქიას, ქ-ნ ნინო ქობალიას, ბ-ნ იოსებ პაპუაშვილის საყურადღებო ნაშრომი — ერგეტა (სამაროვნები)**. ერგეტის არქეოლოგიური ძეგლები დიდი ხანია მოქცეულია მკვლევართა ყურადღების სფეროში. სხვადასხვა წლებში არაერთ ქართველ თუ უცხოელ სპეციალისტს გამოუყენებია ამ სოფლიდან მომდინარე არქეოლოგიური არტეფაქტები. სამწუხაროდ, სრულფასოვან კვლევას ართულებდა ის გარემოება, რომ ერგეტის მასალების აბსოლუტური უმრავლესობა ან გამოქვეყნებული არ იყო, ან გაბნეული იყო სხვადასხვა სტატიებში ან ანგარიშებში. ამიტომ კოლხეთის არქეოლოგიით დაინტერესებულ მეცნიერთათვის და მკითხველთა ფართო წრისათვის ნამდვილად შესანიშნავი შენაძენია ახლახანს გამოცემული ნაშრომი **“ერგეტა (სამაროვნები)”**, რომელშიც მონოგრაფიულად თავმოყრილი და შესწავლილია ერგეტის ოთხივე სამაროვნის არქეოლოგიური არტეფაქტები, მათი აღმოჩენის პირობები და ისტორიული ექსკურსი.



ერგეტის სამაროვნების კვლევა-ძიებას საფუძველი ჩაეყარა 1978 წლიდან, როდესაც კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია გამოჩენილი მეცნიერის თეიმურაზ მიქელაძის ხელმძღვანელობით შეუდგა პირველი სამაროვნის გათხრას. წლების შემდეგ ეს საქმე წარმატებით გააგრძელა ბატონმა რევაზ პაპუაშვილმა, რომელიც ჩამოყალიბდა როგორც კოლხეთის არქეოლოგიისა და ზოგადად, კულტურული მემკვიდრეობის, თვალსაჩინო მკვლევარი. მონოგრაფია შედგება რამდენიმე თავისგან. საკმაოდ დაწვრილებით არის მიმოხილული ერგეტის არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენების ისტორია და პირობები;

აღნიშნულია ყველა იმ მეცნიერის თუ ადამიანის ღვაწლი, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ სოფლის სიძველეების გამოვლენის, გადარჩენისა და შესწავლის საქმეში. საკმაოდ მოზრდილი ნაწილი ეთმობა სამაროვნების ანალიზს, რომელიც მოიცავს ცალკეული სამაროვნების აღმოჩენის პირობებს, სამარხეულ კომპლექსთა თავისებურებებს, დასაკრძალავ და საკულტო მოედნებს, გამოვლენილი არტეფაქტების კომპლექსურ კვლევას. ცალკეა განხილული სამარხთა აგებულება, მათი გარეგნული მხარე და დაკრძალვის წესები, რომელიც შესწავლილია ზოგადად კოლხეთის ადრე რკინის ხანის სამაროვნების კონტექსტში. საკმაოდ საინტერესო და ნაყოფიერია დასკვნითი ნაწილი, რომელიც შეეხება ერგეტის სამაროვანთა მნიშვნელობას საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის და სრულიად სამართლიანად არის აღნიშნული, რომ ამ არქეოლოგიური ძეგლების მონაცემების გათვალისწინების გარეშე დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია კოლხეთისა და ადრე რკინის ხანის კავკასიის არქეოლოგიის მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტა.

მონოგრაფიას ახლავს ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმე, რომელიც უცხოენოვან მკითხველს სრულ წარმოდგენას შეუქმნის აღნიშნული ნაშრომის ავ-კარგის შესახებ. როგორც წესი, მონოგრაფიის შემადგენელი ნაწილია შთამბეჭდავი რაოდენობით წარმოდგენილი ბიბლიოგრაფია, ტაბულების, ილუსტრაციებისა და ცხრილების აღწერილობა. მონოგრაფია უხვადაა ილუსტრირებული და მკითხველს სრული წარმოდგენა ექმნება განხილული არქეოლოგიური ძეგლების შესახებ. მართლაც, 106 ტაბულა, 146 მაღალი ხარისხის შავ-თეთრი და ფერადი ფოტო და 10 ცხრილი საკმარისი საბუთია იმისთვის, რათა ნებისმიერმა მკვლევარმა თუ უბრალოდ, საკითხით დაინტერესებულმა მკითხველმა სრულად აღიქვას როგორც არქეოლოგიური ობიექტები, ისე არქეოლოგიური მასალა. “ერგეტა (სამაროვნები)” ეძღვნება ამ სოფლის სიძველეთა ცნობილი ქომავის, ბატონ ბონდო მამფორიას ნათელ ხსოვნას. მონოგრაფია გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე და ამ საქმეში ობიექტურ მადლობას იმსახურებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, რომელთა ფინანსური ხელშეწყობითაც მოხერხდა წიგნის გამოცემა. არ გადავაჭარბებ, თუ აღვნიშნავ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მესვეურთა განსაკუთრებულ ზრუნვას და ქომავობას არქეოლოგიის მიმართ. მხოლოდ შეგვიძლია ვისურვოთ, რომ ამ მართლაც კარგ მაგალითს მიბაძონ ქვეყნის სხვა მუნიციპალიტეტებმაც.


მონოგრაფიის ავტორები არიან რევაზ პაპუაშვილი, ლაშა ჯიქია, ნინო ქობალია და იოსებ პაპუაშვილი. ეს არის პროფესიონალთა შესანიშნავი გუნდი, რომელიც წლებია იკვლევს კოლხეთის, განსაკუთრებით სამეგრელოს, არქეოლოგიურ ძეგლებს და მათ სახელს უკავშირდება არაერთი გახმაურებული აღმოცენა და სამეცნიერო ნაშრომი. ამ წიგნშიც დიდი შრომა აქვთ მათ ჩადებული, რაც იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ერგეტის სამაროვნების არქეოლოგიური არტეფაქტები დაცულია რამდენიმე (თბილისი, ზუგდიდი, ფოთი) მუზეუმში და ლოჯისტიკური თვალსაზრისით არ იქნებოდა ადვილი აღნიშნულ ნაშრომზე მუშაობა. მინდა, მათ ვუსურვო მომავალი წარმატებები.

როგორც იტყვიან, მონოგრაფია შედგა. რეცენზიის ბოლოს აღვნიშნავ, რომ წიგნი დაწერილია კარგი ქართულით და სასიამოვნოდ იკითხება. კოლხეთის არქეოლოგიურ ლიტერატურას შეემატა მნიშვნელოვანი ნაშრომი და ამ ფაქტს ყველა ის ადამიანი დაადასტურებს, ვინც ნაიკითხავს აღნიშნულ მონოგრაფიას.

პროფესორი — *ზურაბ ბრავაძე.*

რეცენზია ნაშრომაზე — ეცოს სამაროვანი.

გამოქვეყნდა არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელის, ისტორიის დოქტორის, **ბ-ნ ვახტანგ შატბერაშვილის საყურადღებო ნაშრომი — ეცოს სამაროვანი**. 1986-88 წლებში, თეთრინყაროს მახლობლად, ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე დატანილ, შუასაუკუნეების ნასოფლარ ეცოს მიდამოებში, მარაბდა-ახალქალაქის ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ზ. შატბერაშვილი) შეისწავლა ძვ.წ. IV-I საუკუნეების სამაროვანი. არქეოლოგიურ პერიოდიკაში (ჟურ: *ძეგლის მეგობარი, იბერია-კოლხეთი, ძიებანი*) სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა რამდენიმე გამორჩეული სამარხი, აგრეთვე ცალკეული კომპონენტები - საბეჭდავი ბეჭდები, იარაღი, მოხატული კერამიკა, რაც სრულად ვერ წარმოაჩენდა ძეგლის მნიშვნელობასა და ხასიათს. 2020 წელს გამომცემლობა "აკადემიურმა ნიგნმა" მცირე ტირაჟით (50 ეგზემპლარი) გამოსცა ვახტანგ შატბერაშვილის მონოგრაფია "**ეცოს სამაროვანი (ქრ.წ. IV-I საუკუნეები)**", რამაც ეს ხარვეზი გამოასწორა.



ნიგნი წარმოადგენს ავტორის მიერ 2005 წელს დაცული საკანდიდატო დისერტაციის, "ქვემო ქართლი ძვ.წ. IV-I საუკუნეებში" გადამუშავებულ და შემოკლებულ ვარიანტს. მონოგრაფიაში შესწავლილი და განხილულია ეცოს სამაროვანზე მიკვლეული ყველა (120) სამარხი.

ნაშრომი მოიცავს 144 გვერდს და შედგება ქართული ტექსტის, 46 ტაბულის, გამოყენებული ლიტერატურის ვრცელი სიისა და ტაბულების აღწერისაგან. ინგლისურადაა თარგმნილი ქართული ტექსტის შემოკლებული ვარიანტი, კატალოგი და ტაბულების აღწერილობა.

ნაშრომი შედგება სამი თავისაგან. პირველ თავში მიმოხილულია ძეგლის აღმოჩენის პირობები, სამარხთა ტიპები, ფორმა და ზომები, მიცვალებულთა დაკრძალვის წესი. აღნიშნულია, რომ სამარხთა განსხვავებული ტიპების მიუხედავად, (ქვის ფილით გადახურული ორმოსამარხი, ქვევრის გვერდით გადახურული ორმოსამარხი, ქვასამარხი) მათ ინვენტარს შორის არანაირი განსხვავება არ აღინიშნება და ამ ნიშნით რაიმე ქრონოლოგიურ სხვაობაზე არ შეიძლება საუბარი. ამავე თავში დეტალურადაა განხილული სამაროვანზე მიკვლეული ინვენტარი. მასალა ტიპოლოგიური ანალიზის შედეგად დაჯგუფებულია ტიპებად და ქვეტიპებად. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ეპოქისათვის დამახასიათებელ და დამათარიღებელ ნივთებს – მსხლისებურტანიან დოქებსა და ხელაძებს, რკინის ბურთულებიან სამაჯურებს. დაწვრილებითაა დახასიათებული სხვა კომპონენტებიც: საბრძოლო იარაღი, საბეჭდავი ბეჭდები, სამკაული და სხვ.

ცალკე თავი ეძღვნება ქრონოლოგიის საკითხს: ავტორის მიხედვით, ეცოს სამაროვანზე შესწავლილი 120 სამარხი ძვ.წ. IV-I საუკუნეების ფარგლებში ექცევა, რაზედაც კარგად მეტყველებს როგორც ტიპოლოგიური ანალიზისას მოშველიებული პარალელური მასალა, ისე ძეგლის სტრატეგრაფიული მონაცემები. აქვე უნდა ითქვას, რომ იგი ქვემო ქართლში მიკვლეულ და ძვ.წ. IV-I საუკუნეებით დათარიღებულ ძეგლებს შორის ერთ-ერთი ყველაზე სრულად შესწავლილია (ბეშთაშენის, შავსაყდარასა და პაპიგორასთან ერთად), რითაც ქვემო ქართლის სხვა რიგითი სამაროვნების ქრონოლოგიისათვისაცაა მნიშვნელოვანი.

მესამე თავი მთლიანად ეთმობა კატალოგს, რომელშიაც სრულადაა აღწერილი ყველა სამარხი და თანმხლები ინვენტარი.

ნაშრომი დაწერილია გამართული ქართული ენით და კარგად იკითხება. მსჯელობას საფუძვლად უდევს თანადროული და პარალელური არქეოლოგიური მასალის საფუძვლიანი ცოდნა, რაც მიღებული დასკვნების სანდოობას უფრო თვალსაჩინოს ხდის.

ეცოს სამაროვანი ანტიკური ხანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია და სასიხარულოა, რომ მივიღეთ სამაროვნის სრული გამოკვლევა. ის საყურადღებო გამოცემაა და მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული არქეოლოგიით დაინტერესებული მკითხველთათვის.

როგორც ზემოთ ვთქვით, წიგნი 2005 წელს დაცული დისერტაციის ნაწილია. სასურველია, რომ ამ ნაშრომის მეორე ნაწილიც გამოიცეს, რომელშიც ქვემო ქართლში აღმოჩენილი, ძვ.წ. IV-I საუკუნეების ყველა ძეგლია აღწერილი და დახასიათებული. ასევე, ვისურვებდით, რომ გაგრძელდეს სამუშაოები ამ სამაროვანზე და მოიძებნოს მისი სინქრონული ნამოსახლარიც.

**ჟურ. იბერია-კოლხეთის სარედაქციო-სარეცენზიო
საბჭოს სახელით — გელა გამყრელიძე.**

**რეცენზია ნაშრომზე — სახელმწიფოებრიობის
დასაბამი საქართველოში და არქეოლოგია**

ნიგნ, “საქართველოს არქეოლოგიის ნარკვევები: ძვ.წ.V-ახ.წ.V სს.” (პროექტის ხელმძღვანელი გ. გამყრელიძე), ჟურნალ, “იბერია-კოლხეთის”, დამატება I-ში (გვ. 129-151) გამოქვეყნდა ცნობილი მეცნიერის, ისტორიკოსისა და არქეოლოგის, ისტ. მეცნ. დოქტორის, პროფ. გელა გამყრელიძის საინტერესო ნაშრომი „სახელმწიფოებრიობის დასაბამი საქართველოში და არქეოლოგია“. სტატია მრავალმხრივ საყურადღებოა. განსაკუთრებით გამოვყოფდით ზოგიერთ საკითხს. კერძოდ, მანამდე არსებული შეხედულებებისაგან განსხვავებით, რომელიც ეხება საქართველოს ტერიტორიაზე პროტოსახელმწიფოების წარმოქმნა-განვითარების ისტორიას, ქართულ არქეოლოგიურ მეცნიერებაში პირველად დაისვა საკითხი, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში პროტოსახელმწიფოებრიობა ჩაისახა საქართველოს ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში, შემდგომ კი მოიცვა მისი აღმოსავლეთი მხარე; ძვ.წ. III ს-დან კი საპირისპიროდ, კოლხეთის ნაწილი მოექცა გაძლიერებული და კონსოლიდირებული იბერიის სამეფოს შემადგენლობაში.



აღსანიშნავია, რომ ეს მოსაზრება სრულიად ახალი თეორიაა საქართველოს ტერიტორიაზე პროტოსახელმწიფოებრიობის წარმოშობის საკითხში. ავტორის მოსაზრებით, ამ შეხედულებას საფუძველი შეუშადა საქართველოში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში მეტალურგიისა და მიწათმოქმედება-მესაქონლეობის განვითარებამ, რამაც აქაური სოციალური დიფერენცირება გამოიწვია. ამდენად მკვლევარი მიიჩნევს, რომ ძვ.წ. VII საუკუნისათვის კოლხეთში უკვე ჩამოყალიბებულია სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელსაც ე.წ. ჩიფდომს უწოდებენ. მეცნიერის აღნიშვნით, არქეოლოგიაში ეს წარმონაქმნი, კოლხური ბრინჯაოს ხანის კულტურის სახელწოდებითაა ცნობილი (არქაული კოლხეთი, ძვ.წ. XV-VI სს-ები), რომელიც დასტურდება გრავირებული ცულებით, მრავალ-

ფეროვანი სახის და გაფორმებული კერამიკით, სპეციფიური სამკაულით და სხვა მთელი რიგი ნიშნების მიხედვით. განსაკუთრებით კი ხელოვნურად გამართული ბორცვ-ნამოსახლართა კომპლექსებით, თავისი დამახასიათებელი საარხო სისტემებით, რომლითაც სახელმწიფოს წარმოქმნის წინა პერიოდში, ძვ.წ. VIII-VII სს-ებში, იფარება მთელი კოლხეთის დაბლობის ტერიტორია. ავტორი საუბრობს კოლხური ბრინჯაოს ხანის კულტურის გავრცელების საზღვრებზე; გამოთქვამს ვარაუდს, რომ კოლხური კულტურის მატარებელი საზოგადოება მისი განვითარების მეორე ეტაპზე, პროტოსახელმწიფოებრივი განვითარების დონეზე უნდა ყოფილიყო.

მეცნიერის ვარაუდით, ძვ.წ. IX ს-იდან საქართველოს ტერიტორიაზე იწყება რკინის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარება, რომელიც ძვ.წ. VII ს-დან უფრო ინტენსიური ხდება. დახასიათებულია ამ პერიოდის შესწავლილი სხვადასხვა კატეგორიის ძეგლები. აღნიშნულია, რომ კავკასიაში რკინის ინტენსიური დამუშავება-განვითარებისათვის კარგი პირობები არსებობდა. აქ იყო რკინის მადნით მდიდარი რეგიონები; საწვავისთვის საჭირო ხე-ტყის მასალა და რაც მთავარია, ბრინჯაოს ლითონის წარმოების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება. საქართველოში არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილი რკინის ნივთების შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ ადგილობრივი ხელოსნები სრულყოფილად ფლობდნენ მადნის ქურაში დნობას, ყალიბში ჩამოსხმას, ცხლად ჭედვასა და რკინის მეტალურგიასთან დაკავშირებულ ყველა ტექნოლოგიურ პროცესს. ავტორს მხედველობის არედან არ რჩება ბერძნულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული ქართველური მოსახლეობა ხალიბები, რომლებიც ცხოვრობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვი-სპირეთში და იმდროინდელ სამყაროში რკინა-ფოლადის გამომგონებლად ითვლებოდნენ.

ურარტულ წყაროებზე დაყრდნობით გ. გამყრელიძე მსჯელობს სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ტერიტორიაზე, ძვ.წ. VIII ს-ში ნახსენებ კოლხეთზე, რომელიც სხვა მკვლევართა დარად თავისი სტრუქტურით მიაჩნია ადმინისტრაციული სისტემის მქონე პროტოსახელმწიფოდ. აღნიშნულია, რომ იმდროინდელი კოლხეთი დღევანდელი საქართველოს დასავლეთი და აღმოსავლეთი მხარის დიდ ნაწილს მოიცავდა.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ნაშრომის ის მონაკვეთი, სადაც საუბარია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე გავრცელებულ ნამოსახლარებზე, რომლებიც ხელოვნურად მოზვინულ ბორცვებზე იყო განლაგებული. ეს სამოსახლო ბორცვები მოსახლეობის ცხოვრების ხანგრძლივ ნაკვალევს ასახავენ, სადაც ძირითადად ჯარგვალური ტიპის ხის ძელებიანი ნაგებობები იყო გავრცელებული. აღნიშნულია, რომ კოლხეთში ხელოვნური ბორცვების გარდა სხვა ტიპის ნამოსახლარებიც ჯგუფებად იყო განლაგებული ბუნებრივ შემადლებებზე, მთის ფერდობებზე, ზღვისპირა და მდინარისპირა ტერასებზე.

ძვ.წ. VIII-VII სს-ში კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე მრავლდება ხელოვნურად გამართული სამოსახლო ბორცვები, რომელთა უფრო მეტი კონცენტრაცია შეინიშნება რიონ-ენგურის ორმდინარეთში. მათთვის დამახასიათებელია ჯგუფებად განლაგება მდინარეების ან ძველი ნამდინარევი კალაპოტების გასწვრივ, ერთ საკომუნიკაციო ხაზზე. ავტორის აღნიშვნით, მათ შორის უმეტესად კონფიგურაციითა და მდებარეობით გამოირჩევა ცენტრალური ბორცვი, რომლის ირგვლივ განფენილია შედარებით მცირე ზომის თანამგზავრი (სატელიტი) გუძუბები. მთავარი ბორცვების დმ 80-150 მ, ხოლო მცირე ბორცვების -30-80 მ, სიმაღლე 3-7 მ შორის მერყეობს. როგორც მიუთითებენ, ნამოსახლართა კომპლექსების ფართობია 10, 15, 20, 25, ჰა, რომელთა შორის გამოირჩევა ნამარნუს, ფიჩორის, ერგეტას, ჩოლოქისპირა და ნამჭედურის ვრცელ ნამოსახლართა

კომპლექსები. პროტოსახელმწიფოებრიობის წინა პერიოდი განსაკუთრებით კარგად იკვეთება ნამარნუს ნამოსახლართა სისტემაში, რომელიც წინაანტიკურ და ადრეანტიკურ ხანაში წარმოადგენდა ერთგვარ პოლიტიკურ და ჰეგემონ ცენტრს. მის ორბიტაში მოქცეული უნდა ყოფილიყო მდ. ფიჩორის შუა წელისა და მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე განლაგებული არაერთი ბორცვ-ნამოსახლარი.

ბ-ნ გელა გამყრელიძის ვარაუდით, ბორცვთა ირგვლივ სადრენაჟო, თავდაცვითი, საკომუნიკაციო არხების გაჭრა, რომელთა სიგანე ზოგჯერ აღწევს 20, 25, 50-მ, სიღრმე კი 3-4 მეტრს, მოითხოვდა დიდი სამუშაოების ჩატარებას, რასაც აწარმოებდა მკაცრ შრომით ორგანიზაციაზე დაფუძნებული საგვარეულო თემი და თემთა გაერთიანებები. აღნიშნულია, რომ ასეთი საარხო სისტემები კარგადაა შემორჩენილი ნამარნუში, ნაოხვამუში, ნაკარღალში, ფიჩორსა და მთელ რიგ სხვა ნამოსახლარებზე. ავტორი მართებულად შენიშნავს, რომ ასეთი თხრილების ამოღებაში ჩაბმული უნდა ყოფილიყო რამდენიმე მეზობელი თემის გაერთიანება. ბუნებრივია, თხრილების პარამეტრები ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ ბორცვებს შორის კარგად უნდა ემოძრავათ ნავებს. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტს მეტ დამაჯერებლობას მატებს ბერძენი ექიმისა და მეცნიერის ჰიპოკრატეს (ძვ.წ. VI ს) ცნობილი ნაშრომი „ჰაერთა, ნყალთა და ადგილთა შესახებ“. აქ მოთხრობილია, რომ „კოლხები იშვიათად დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავსადგურებში, სამაგიეროდ დაცურავენ ერთ (მთლიან) ხეში ამოღებული ნავებით, რადგან იქ არხები ბევრია“. ამის პირდაპირ საბუთად თვლიან (მ. ბარამიძე), საგვიჩიოს ტერიტორიაზე არხის ფსკერზე, ადრეანტიკური ხანის მასალებთან ერთად აღმოჩენილ ხის ნიჩაბის ნაწილს. მართალია ეს წყარო შედარებით მოგვიანო ხანისაა, მაგრამ იგი უფრო ადრეულ ეპოქასაც უნდა ეხმაურებოდეს.

